ძლევა

№2
2014 დეკემბერი

მთავარია, გავაღვიძოთ ხალხში ეროვნული თვითშეგნება, განსაკუთრებით, ახალგაზრდობაში. მივცეთ ხალხს ცოდნა ჩვენი ისტორიის, ჩვენი ეროვნული ვინაობის შესახებ, რათა ქართველნი აღარ წამოეგონ უმეცართა და შეგნებულ პროვოკატორთა ანკესზე, რომელთაც მიზნად დაუსახავთ საქართველოს კუთხეებად დაქუცმაცება და მტრისთვის ხელის შეწყობა მის მოსპობასა და ასიმილაციაში

ზვიადი

პირადად მე უმთავრეს იდეად ერთიანობის იდეა მიმაჩნია. თუკი ჩვენ არ გავერთიანდებით და ერთად არ ვიმოქმედებთ, განგება ისეთ გამოცდას მოგვიწყობს, რომ ერთმანეთს ვეძებდეთ ხელების ცეცებით.

მერაბი



აიია-ძლევაი

politika, mecniereba, religia...

2
2014 dekemberi

სარჩევი

* წინაპართა ხმა
ჯათალიჯოს ამბროსი ხელაიას მიმართვა
გენუის ჯონფერენციისადმი 6
ვაჟა-ფშაველა
ლექსები 7
ჯოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი .8
ზვიად გამსახურდია
დილემა ჯაცობრიობის წინაშე. 12

* მამული, ენა, სარწმუნოება!
ზვიად გამსახურდია
წერილები. 24
მასალები საქართველოს ეროვნული
გმირი სელიმ ხიმშიაშვილის
პორტრეტისათვის. 36
ნიაზ ბოლქვაძე
მზაჯვრული ჩანაფიქრი თუ ჩვეული გულ-
გრილობა და უუნარობა?! 41
ტარიელ ჯაჭარავა
გზა ხსნისა 47
ზაზა პატარავა
შენელებული მოქმედების ნალმი 51
ზურაბ წიქარიძე
რატომ არ მისცემს სამართლებრივ
შეფასებას ფაქტობრივი ხელისუფლება
1991-1992 წლების გადატრიალებას 57
ზურაბ დარსალია
ფაქტობრივი ხელისუფლება და ხალხი. .65
გულიჯო გაბაიძე
ლექსები 67
რომან ძიძიგური
დაე, ცხონდეს სული შენი მარადის 69
მიშა იოსელიანი
ლექსები 70
საქართველოს ჯანონი
სახელმწიფო ენის შესახებ (პროექტი) . . .72

* მეცნიერება
ზვიად გამსახურდია
საქართველოს სულიერი მისსია. 85
ალიჯო ცინცაძე
ქრისტიანობის ჰემატრიული ჯოდი 99

* ჩვენ და მსოფლიო
ფირუზ დიაკონიძე
წერილი ამერიკელ მეგობარს 107
ზურაბ წიქარიძე
რა არის ეს ნაციონალიზმი? 113

* დიდება ხალხისთვის
წამებულ რაინდებს!
გოჩა ესებუა 121
ვახტანგ ნოდია. 122
ამირან ჯალაძე. 124
გივი ფარადაშვილი 125

სარედაქციო კოლეგია:
ფირუზ დიაკონიძე
დავით ჭაბუკაშვილი
ტარიელ კაჭარავა
თემურ შრატაძე
ნიაზ ბოლქვაძე
ედემი კვირტია

იურიდიული მისამართი:
ქუთაისი ტ.ტაბიძის 28/10

სტამბა:
შპს "პოლიბრაფმაქსი"
თბილისი ბ. რობაქიძის №7

საკონტაქტო:
ტელ. 574999671
ელ.ფოსტა: piruzi_99@mail.ru;
Facebook: აიია-ძლევაი

ISSN 1987-7102

9 771987 710008

ვეძებთ თანამოაზრე თანამებრძოლებს!

1) მამული, ენა, სარწმუნოება!

ა) მამული ჩემი, საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, არის ქართველი ერის, როგორც კაცობრიობის ნაწილის, საკუთრება!

ბ) საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული! ჩვენი სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს აგრეთვე სხვა ქართველურ ენებზე, რადგან მათში შემონახული სულიერი საგანძური არ დაგვეკარგოს! სკოლებში უნდა ისწავლებოდეს არჩევით ერთ ერთი მათგანი!

გ) ჩვენი რელიგია არის მართლმადიდებლობა! ამასთანავე ქვეყანაში უნდა იყოს ჭეშმარიტი სინდისის თავისუფლება! დაუშვებელია ვინმეს იძულება რელიგიური მრწამსის შესაცვლელად!

2) სახელმწიფოს დამოუკიდებლობა!

ა) 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები! არჩეულ იქნა უზენაესი საბჭო! მას შემდეგ ქართველ ერს არჩევანი არ ჰქონია!

ბ) 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა დამოუკიდებლობის აღდგენა!

გ) 1991 წლის 26 მაისს ჩატარდა საპრეზიდენტო და ადგილობრივი მმართველობის არჩევნები! არჩეულ იქნა პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია და საკრებულოები! მას შემდეგ ქართველ ერს არჩევანი არ ჰქონია!

დ) 1992-93 წლებში საქართველო კვლავ დაიპყრეს რუსულმა სამხედრო ნაწილებმა დასავლეთის "დემოკრატებისა" და ადგილობრივი მეხუთე კოლონის მხარდაჭერით! ამჟამად ქვეყანას მართავენ საოკუპაციო დე-ფაქტო რეჟიმები (თბილისის, სოხუმის და ცხინვალის)! ლეგიტიმური ხელისუფლება კი დევნილობაშია პრემიერ მინისტრ ბესარიონ გუგუშვილის მეთაურობით!

3) ერის თავისუფლება!

ა) ჩვენ არ ვცნობთ დამპყრობელთა მიერ შემუშავებულ ბრძოლის წესებს!

ბ) ჩვენ არ ვცნობთ დამპყრობელთა მიერ ჩატარებულ ვითომ არჩევნებს!

გ) ჩვენ არ ვმონაწილეობთ დე ფაქტო საოკუპაციო რეჟიმის მმართველობაში!

დ) ჩვენი მიზანია ქართველმა ერმა დაიბრუნოს თავისუფლება და თავად განსაზღვროს საკუთარი ბედი!

4) ადამიანის უფლებები და მოვალეობები!

ა) ადამიანს ცხოველისგან განსხვავებით გააჩნია მოვალეობები! (ზნეობა, სამართალი, რწმენა...)

ბ) ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფალი შრომის უფლება და შედეგიც მას უნდა ეკუთვნოდეს!

წინაპართა ხმა

კათალიკოს ამბროსი ხელაიას მიმართვა გენუის კონფერენციისადმი

„1918 წელს ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდა თავისი პოლიტიკური და ეროვნულ-კულტურული ცხოვრების რესტავრაციას რასაკვირველია ამას ვერ შეურიგდებოდა მისი ყოფილი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთი.მან დასძრა საქართველოს საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს, უსწორო ბრძოლაში სისხლიდან დაცლილ საქართველოს ხელმეორედ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები,მაგრამ რამდენად ბედნიერად ჰგრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერად გავლურების და გახრწნის კარამდე!

ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არ აქვს ხმის ამოღებისა. ამგვარ პირობებში ჩემს მწყემსმთავრულ მოვალეობადა ვრაცხ კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვსთქვა: მე, როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმების დაფასებასა და რეგლამენტაციაში. მაგრამ არ შემიძლია არ ვისურვო ჩემი ერისათვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას.

ამიტომ ვითხოვ:

1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან.

2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა.“

1922 წ.

ვაჟა-ფშაველა

ilia WavWavaZis saxsovrad

საძირკვლად აზრი ჩააგდე,
ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი,
მან გააბრწყინა სხივებით
ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი.
გვყარაულობდი თვალ-ფხიზლად,
შენ იყავ ჩვენი საფარი -
მოგკალით ჩვენისვე ხელით,
მოძმეთთვის ნაჭირმაგარი;
და შენი სისხლიც იქ ბრწყინავს,
სად წინაპართა ნთხეულა,
რომელთა ხსოვნა შენს გულში
არდის გამოლეულა;
იმათ სისხლს არაგვის პირად
შენიც დაერთო წლეულა.

მოჰკვდი თვის სატრფოს კალთაზე.
დადუმდა ჩანგის სიმები;
აყვავებული მამული
გაგვიხდა დასატირები!
დაგიკოცნიან სახესა
ნათელს არაგვის გმირები;
შვილის დაკარგვას გლოვობენ
ტურფა ალაზნის პირები!
კაკო ყაჩაღთან ერთადა
მოსთქვამენ გლეხის შვილები,
უსამართლობის მსხვერპლები,
ყაჩაღად გაცვივნილები.
ჩვენის საწყლობის მოზარევ,
მანდ დაისვენო ეგები?!
ჩვენ რა ვქნათ, ჩვენა, ცოცხლებმა?
გარს შემოვივლეთ ბექები,
ვხდებით ყვავ-ყორნის სადილად,
ტურა-მგელთ გასაყვლეფები!

ვაი, რომ რჩება აკვანი
ბაზალეთის ტბის ძირასა,
და დიდხანს კითხვადვე გვრჩება:
„ვინ ამოიღებს იმასა?
ან იმ ბალღს ვინ უპატრონებს,
უსუსურს მტირალს ბედისა,
აკვანში რომ წევს საწყალი
და ძუძუ სწყურის დედისა?
ან იმ ცრემლის ტბას დიადსა,
ერისგან დანადინარსა,
ვინ დაშრეტს, ვინ ამოიყვანს
იმ უსუსურსა მტირალსა?!”

ვერაფერს ვიტყვი. ენა სდუმს,
თავზე დაგვჩხავის ყორანი;
გაღმა გასვლისა მსურველთა
უკუღმა მიგვყავს ბორანი;
გაგვიბატონდა, მგოსანო,
სირეგვნე შეუწონარი

akakis saiubileod

მშობელი ქვეყნის მოზარევ,
უნდა გიმღერო მთურადა.
იმავ ჭირით ვარ სნეული,
რაც შენ გატყვია წყლულადა.
რა ვუყოთ?! ბედი, შავბედი
თუმცა გვექცევა მგლურადა,
მაინც ვაჟღერებ ჩონგურსა
მტარვალთა შესამუსრადა,
შენს სამახსოვროდ, მოხუცო,
თავს ჩაჩქნად დასახურადა!

თუნდ არ მოგწონდეს, იქნება,
ჩემის ფანდურის ჩხაკუნი,
მიიღე, სარეკელასი
როგორც წისქვილში რაკუნი,
ეს ჩემი შენთვის მოძღვნილი
სალამი, გრძნობის ნაჟური.
დღევანდელ დღესა არ ძალმიძს,
არ ჟღერდეს ჩემი ფანდური!
ილიაც მესაუბრება,
უნდა დავუგდო მას ყური.

დავალებული გულისა
უნდა ამოთქვას ენამა:
წყლულები საქართველოსი
გაიგო შენმა სმენამა.
მეც ამატირა ბევრჯელა
შენს თვალზე ცრემლის დენამა.
ნეტავი, ბევრი გაზარდოს
შენისთანები დედამა!
რომ მიყვარს მამულიშვილი,
დაე იცოდეს ყველამა,
გადაგვარების მოსურნე
შაჭამოს ტურა-მელამა!
მადლობელი ვარ გულითა,
შოთაის სულის ლხენამა!
სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი გიკურთხოს ზენამა!

dagvianebuli pasuxi akakis

“ენას გიწუნებ, ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო,
თუმც კი გვითესავ მარგალიტს,
მკითხველიც იმას მკისაო”.

აკაკი

ბევრი ვიფიქრე ძალიან,
თუ რა პასუხი გამეცა
შენთვის, მხცოვანო პოეტო;
დღეცა ვფიქრობდი, ღამეცა.
როს დავაპირე სიტყვის თქმა,
უცებ თავზარი დამეცა,
სიტყვა, მოსული სათქმელად
ენიდან მომწყდა, გამექცა.
დავღონებულვარ ძალიან,
თითქოს სახლ-კარი დამექცა.
რადა? რა ღმერთი გამიწყრა
მარგალიტების მფლობელსა,
რომ თავის უშნო ენითა
ვერას ვაგონებ მშობელსა?!
ბულბულისათვის გალობა
დაუწუნია რომელსა?
მარგალიტების მფლობელი
ენასა ხმარობს ღონედა,
და როცა მარგალიტს სთესავს,
ან თუ ააგებს ყორედა,
მაინც ის არი, რაც არი,
ჭორები მოაშორეთა!
იქნებ მე, ჩემმა ენამა,
სამშობლო დავაღონეთა?
ფრთები შევკვეცეთ ოცნებას,
დავამხეთ, დავამონეთა?
უვარგისობის მიზეზი
ფშავლობა არის სწორედა.
მოძღვნილი არი მთის მიერ,
ჩამოტანილი ქარისა,
რატომ არ ჰგუობს, არ ვიცი,
ამ ჰანგს ბუნება ბარისა?!
აქაც ხომ ქართველები ვართ,
ყვავილი აქაც ჰყვავისა,
ხატად ჰყავ, სალოცავ ხატად,
მთიელთ სამშობლო თავისა.
და ენა მთისა სიმტკიცით

მსგავსია კლდისა სალისა;
იქნებ, აკლია, არ ვიცი,
ამ ლომს სინაზე ქალისა?
ამისთვის დასაგმობია
და წასაღები წყალისა?!
კაცი მეტყველი, მგრძნობელი,
ცხოვლად ამხელი თვალისა,
ამგვარის ამბის მოწამე,
შევდრკე, დავმუნჯდე ლამისა.
მაინც წინ მივალ, მაინცა,
არ მეშინიან შარისა,
გულს მისვენია ხატადა
ენა მთისა და ბარისა.

მე არც ერთს კილოს არ ვწუნობ,
თუა ქართველის გვარისა,
მოთაყვანე ვარ ყოვლისა
იმათ ტკბილის და მწარისა.
სხვა რამ მაშინებს, ისა ვსთქვათ,
დამხშობი მზის და მთვარისა,
სამშობლოს დამამხობელი
და გამომჯრელი კარისა
სჯობს, რომ იმაზე ვიტიროთ,
მუდამ მთქმელი ვარ ამისა,
ნუ შეგაშინებსთ, არ გავნებსთ
მთიდან ყვირილი ხარისა.

---

kosmopolitizmi da patriotizmi

ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმო–პოლიტიზმს,მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, - რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდი–ლობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს,საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთე–ლის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრედვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვი–თარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანი–სათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრე–თვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა,ენერგია,თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...

ყოველი მამულიშვილი თავის სამშო–ბლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოგდება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს,მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა,აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო - მთელი ქვეყანა,მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა,

გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით“, „მეფე ლირით“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკბება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს სად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნცა კარგად იცოდეს ქართული ენა,როგორც თვით ქართველი? - არასდროს. გენიოსს,როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ,მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის ავკარგი,მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

პატრიტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია,მწერლობა და სხვა. იმავ წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე - საზრდოდ, ნანა - მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან ჰგრძნობდა, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, - ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი შვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდაც უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი,ან დაბა უყვარს,სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, სადის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? - იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას,ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, - სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალეო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ...

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა,თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპილიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა

გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას,თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერის კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვი–თარებისა.

zviad gamsaxurdia

dilema kacobriobis winaSe

„რარიგ ვეუცხოვე სამყაროს ცივ დენას,
ნექტარიც წავიღე და შხამიც რამდენი ”

არაერთგზის თქმულა და დაწერილა, რომ მე-20 საუკუნე თვისობრივად ახალი საუკუნეა,სხვა წინამორბედ საუკუნეებთან შედარებით. თვით ზედაპირული დაკვი–რვებითაც ცხადია, რომ იგი, ახალი ეპოქის, ახალი ერის დასაწყისია კაცობრიობის ისტორიაში. ამ ახალი ერის გარიჟრარჟზე საუკუნის, ეპოქის სულმა ახალი,სრულიად განსხვავებული მოთხოვნები წამოუყენა ერებსა და ადამიანებს. შეიცვალა არა მარტოოდენ გარეგანი სახე ჩვენი ცივილიზაციისა, არამედ ინტელექტუალური რელიეფი, კულტურის სპეციფიკა, შეიცვალა არამარტო აზროვნებისა და მეცნიერული თუ მხატვრული ძიებების მიმართულება, შეიცვალა ჩვენი ფსიქიკა, აღმოცენდა ახალი გაგება მოქალაქეობრივი თუ ინტელექტუალური სინდისისა.

უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ საცნაურია კაცობრიობის მანამდე არნახული დიფერენციაცია. რაც უფრო ვუახლოვდებით საუკუნის დასასრულს, მით უფრო იკვეთება საშინელი დილემა, რომელიც დგას დღევანდელი საზო–გადოებრიობის თუ პიროვნების წინაშე.

რა დილემაა ეს? იგი,ცხადია,უეცრად, თავისთავად არ აღმოცენებულა. მან განიცადა ევოლუცია, როგორც ყველაფერმა გასულ საუკუნეებში, განსაკუთრებით მე-19 საუკუნეში; მას მხოლოდ რჩეული გენიოსები აღიქვამდნენ და განიცდიდნენ მთელი სიმწვავით. მათ შორის უდიდესთა წვა და მარტვილობა, ხოლო ზოგჯერ კატასტროფაც ამ დილემასთან იყო დაკავშირებული. მათ დაინახეს მთელი სიცხადით, რომ ამ დილემისათვის გვერდის ავლა, ან მისთვის თვალის ვერგამართვა გამოიწვევს პიროვნების თუ საზოგადოების სრულ დეგრადაციას, მიგვიყვანს სამყაროს სრულ დეჰუმანიზაციამდე და დაღუპვამდე. ასევე შემზარავი იყო მათთვის გაცნობიერება იმისა, რომ ამ დილემის დიდმნიშვნელოვანების მიფუჩეჩებას და ყოველგვარ ნიველირებას ცდილობდა არაერთი წამყვანი მეცნიერული თუ აზროვნებისმიერი მიმართულება იმ საუკუნისა.

ხოლო ის ერთეულები,ვინც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უმართავდა

გაბატონებულ გაგებას მორალისას, სულიერი ღირებულებებისა თუ აზროვ–ნებისმიერ ჩვევებისას, როგორც წესი ფიასკოს განიცდიდა და საუბარს იწყებდა საუკუნისათვის გაუგებარ ენაზე, რითაც კარგავდა კაცობრიობის ბედ-იღბალზე ზემოქმედების რეალურ საშუალებას.

რა დილემაა ეს დილემა, რომელიც ისტორიულად ესოდენ აღაშფოთებდა ადამიანურ სინდისს, ხოლო დღეს ჩვენი ყოფნა-არყოფნის ძირითად ფაქტორად ქცეულა? ამ დილემას სჭვრეტდნენ ჯერაც უძველეს ხალხთა ბრძენნი და მოძღვართ მოძღვარნი, რომელთა ნააზრევი და ნაგრძნობი ესოდენ დიდებულად აისახა კაცობრიობის საკრალურ წიგნებში. ოღონდ სიმწვავე ამ დილემისა მაშინ როდი იყო ესოდენ საცნაური. შეიძლება ითქვას, რომ იმჟამად ადამიანისათვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა გადაწყვეტა ამ დილემისა; მართებული, ცხოვრებისეულად გამართლებული გზის არჩევა პიროვნულ ან საზოგადოებრივ ყოფაში უნებურად ხდებოდა. იმჟამად ბრძენთა ავტორიტეტი,დიდი რელიგიების ფუძემდებელთა საკრალური პრაქტიკა საჩინოს ჰყოფდა გზას სიქველისას, ჭეშმარიტებისა, რომელსაც მხოლოდ შლეგი, ან მორალურად გადაგვარებული თუ შეაქცევდა შეგნებულად ზურგს; ამიტომაც ფსალმუნთა შექმნის ეპოქაში ათეიზმი და უგნურება სინონიმად ითვლებოდა: “სთქვა უგნურმა გულსა თვისსა შიგან – არ არს ღმერთი”. (თუმცა დღევანდელ ეპოქაში, ფსევდოინტელექტუალური ”ინ–ტელიგენციისათვის” უგნურების სინო–ნიმად რწმენა ქცეულა).

ჟამთა ვითარებაში შეიცვალა გან–გების მიმართება კაცთა მოდგმისადმი. ადამიანთა ევოლუციისათვის საჭირო გახდა ჭეშმარიტებისა და სიკეთის გარდა თავისუფლების გაგება და განვითარება. ამანვე გამოიწვია თავად დილემის შესაძლებლობა. უფრო მეტიც, საბედისწერო გახდა ეს დილემა: რწმენისა და ურწმუნოების, სულიერ ღირებულებათა აღიარებისა ადამიანთა მიერ და მეორეს მხრივ, ამავე ღირებულებათა ზურგის შექცევისა და მათი მივიწყებისა.

განგებამ და ეპოქამ მოიტანა აუცი–ლებლობა იმისა, რომ ადამიანი თავისუფალ არსებად იქცეს. ამიტომაც გაქრნენ ისტორიის არენიდან დიდი წმინდანნი და მოძღვართ მოძღვარნი, ამიტომ შესუსტდა რელიგია, ამიტომ გაძლიერდნენ ყოვე–ლგვარი ცთომილებანი აზროვნებისა და მსოფლმხედველობისმიერნი. გაძლიერდა ჯერ სკეპტიციზმი, შემდეგ კი ნიჰილიზმი, საბუნებისმეტყველო აზროვნების სფეროში ფეხი მოიდგა მატერიალისტურმა ცთომილებამ, ფილოსოფიაში რაციონალიზმმა, პოზიტივიზმმა და „იზმებმა”, სახელი მათი ლეგიონია.

ყოველივე ამან გამოიწვია დილემა აზროვნების, მორალის, ეთიკის, კულ–ტურის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების სფეროში. თუმცა მე-20 საუკუნემდე, როგორც ვამბობდი, ყო–ველი ადამიანისათვის ცნობიერად თუ ქვეცნობიერად როდი გამოკვეთილა ამ დილემის სიმწვავე.

დღეს კი საკმარისია თვალი გადა–ვავლოთ ცხოვრებას ჩვენი საუკუნის ცივილიზებული კაცობრიობისა, ნათელი გახდება თუ რაოდენ გამწვავდა ცნობიერი თუ ქვეცნობიერი აღქმა ზემოხსენებული დილემისა. დღეს ეს დილემა ამგვარად გამოიკვეთა აზროვნების, ეთიკის თუ მორალის სფეროში: ან ვაღიაროთ, რომ დიდი სამყარო, უნივერსუმი და ჩვენ კაცობრიობა შექმნილი ვართ აბსოლუტურად კეთილი გონიერი უნივერსალური ძალის მიერ, რომ ჩვენ გვაქვს მაღალი დანიშნულება, დიადი მიზნები, რომ ჩვენი ისტორია და კულტურა არ არის მარტოოდენ რაღაც მექანიკური და ობიექტურად აუცილებელი „კანონზომიერების” შედე–გი, რომ ის არ აღმოცენებულა შემ–თხვევით თუ უაზროდ და არ არის

მატერიის ქაოტურ ძალთა მოძრაობის პროდუქტი, რომელსაც, შესაძლოა ასეთივე შემთხვევითი განადგურება უწერია; ამასთან თეორიულად ყოველივე ამის აღიარებამ უნდა მიგვიყვანოს ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულ გარდაქმნამდე. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეისთვის და არა ამქვეყნიური კეთილდღეობისთვის. ჩვენ უდა გავიღოთ მსხვერპლი, არ უნდა ვუღალატოთ ჩვენს მაღალ მრწამსს, თუნდაც რომ სიკვდილის წიაშე მოგვიხდეს წარდგომა. ეს იქნება პრაქტიკული დადასტურება ჩვენს მიერ ჩვენი უმაღლესი მოვალეობის გაგებისა. ამით მიეცემა ჩვენს ყოფას აზრი (პირველქრისტიანების კრედო); ან ვაღიაროთ საპირისპირო – ადამიანი შემთხვევითობის ან მკვდარი, უმიზეზო აუცილებლობის პროდუქტია, რომ არავითარი რეალური გონიერება არ არსებობს სამყაროს ევოლუციასა და ადამიანთა ისტორიაში. ვაღიაროთ, რომ კოსმოსი არის შემთხვევითობათა უსასრულო ქაოსის დროებითი, შემთხვევითი მოწესრიგებული ფორმა, ისე როგორც ჩვენ ვართ დროებითი, შეკოწიწებული ფორმა მატერიის უმიზნო გავითარებისა და რომ ეს ფორმა ჩვენთვის ისეთივე შემთხვევითი და წარმავალია, როგორც სფერული ფორმა საპნის ბუშტისათვის; ხოლო ამგვარმა თეორიულმა შეხედულებამ პრაქტიკაში უნდა მიგვიყვანოს შემდეგ დასკვნებამდე: რახან ყველაფერი შემთხვევითობაა, რახან ჩვენს ცხოვრებას არავითარი უზენაესი აზრი არ გააჩნია, ზურგი უნდა ვაქციოთ ყოველგვარ იდეალებს, უზენაესზე ფიქრს, ვიცხოვროთ მხოლოდ დღევანდელი დღით, ჩვენი სონატური მოთხოვნილებების, სურვილებისა და ვნებების დაკმაყოფილებებისათვის, ამსოფლიური კეთილდღეობისა და კომ–ფორტისათვის, თავი არ შევიწუხოთ მოქალაქეობრივ ვალზე, ღმერთზე და მოყვარეზე ფიქრით, მივყვეთ ცხოვრების დინებას, ვეძებოთ "მშვიდი ცხოვრება", ამქვეყნიური ბედნიერება, ვინაიდან ჩვენს არსებობას სხვა არავითარი დანიშნულება არ გააჩნია:

"ვაი ჩვენს პატრონს, ჩვენი
ყოფის თავი და ბოლო
ჭამა და საჭმლის მონელება
თუ არის მხოლოდ".

მ. მაჭავარიანი

ან ვაღიაროთ, რომ უზენაესი რეალურად არსებობს, არსებობს მორალის გაგება, სრულყოფილი ეთიკა, რომლის განხორციელებასაც უნდა მიელტვოდეს ადამიანი, რომელსაც სურს აღსრულება თავისი ამსოფლიური მაღალი დანიშნულებისა. ან ვაღიაროთ, საპირისპირო: მორალი და ეთიკა მხოლოდ ცარიელი, უაზრო ცნებებია, ისეთ ადამიან–თა მიერ გამოგონილი, რომელთაც სურთ ამ გზით დამონება და დათრგუნვა დანარჩენი კაცობრიობისა და რომელნიც თავიანთი ქვენა მიზნების განხორციელებისათვის იყენებენ ამ ცნებებს. ერთადერთი მისაღები და ცხოვრებისეულად გამართლებული ფორმაა ადამიანთა ყოფისა ცხოველურ ყოფასთან დაახლოება: ბუნებისმიერი და მატერიალური მოთხოვნილებების, პირუტყვული ინსტიქტების და ვნებების დაკმაყოფილება.

აქედან გამომდინარე, დგას დილემა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. ერთის მხრივ მოქალაქეობრივი თავგანწირვა, ნიადაგ სინდისის კარნახით მოქმედება, სულიერი იდეალების პირველ პლანზე დაყენება, ხოლო მეორეს მხრივ, ფილი–სტერული, თვითკმაყოფილი ფსევდო–პრაგმატიზმი, სინდისის ხმის ჩახშობა საკუთარ სულში, თვალის დახუჭვა ყოველგვარ უმსგავსოებაზე, რომელსაც სჩადის ესა თუ ის საზოგადოებრივი წყობა თუ ცალკეული ადამიანი. ეს გახლავთ ის მწვავე დილემა, რომელიც დგას დღეს ყოველი ჩვენგანის წინაშე. აი ის კითხვები, რომლებზეც პასუხის გაუცემლობა აუცი–ლებლად მიგვიყვანს სავალალო მდგო–მარეობამდე. აი მთავარი ფესვი ყველა დღევანდელი სოციალური და ადამიანური

ბოროტებისა! ჩვენ ვამტკიცებთ: მე 20 საუკუნის ადამიანს გაუმწვავდა აღქმა შეგრძნება ამ დილემისა. ამავე დროს ცხადია: ადამიანური ცნობიერების ამ განვითარების სხვადასხვა დონეებზე ამ დილემის აღქმა სხვადასხვაგვარია და მასზე რეაგირებაც. ამას განაპირობებს აგრეთვე სოციალური მდგომარეობაც, ბიოლოგიური სრულფასოვნება – არა–სრულფასოვნება, მატერიალური და ეკონომიური პირობები, რასული თუ ეთნიკური წარმომავლობა და ა.შ. ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აბსოლუტიზირება რომელიმე ფაქტორისა. ყველა შემთხვევაში ინდივიდუალობასთან გვაქვს საქმე და ამიტომ სურათიც უაღრესად ნაირგვარია.

ჩვენი გაგებით ამ დილემის გაუცნობიერებლობა არანაკლებ დამღუპველია ადამიანისათვის, ვიდრე მისთვის შეგნებულად ზურგის შექცევა, ვინაიდან ქვეცნობიერად, ინსტიქტურად ყველა ადამიანი გრძნობს მის დიდმნიშვნელობას და ბედითობას.

არსებობს ადამიანთა განვითარების უსასრულოდ ნაირგვარი დონეები. დღევადელი დიდი ადამიანისათვის კი დილემის პირისპირ არ არსებობს ჭოჭმანი. მათ იმთავითვე აირჩიეს ამ დილემის პირველი მხარე (ცხადია, მათაც ინდივიდუალური მიდგომითა და ნიუანსებით). ღრმა რელიგიურობა, ჭეშმარიტად იდეალისტური მსოფლმხედველობა დამახასიათებელია მათი უმრავლესობისათვის. მათი მორალი, ეთიკური სრულყოფა, მათი თავდადება იდეალისათვის, მათი ცხოვრებისეული მარტვილობა მისაბაძია კაცობრიობის შეგნებული ნაწილისათვის. ეს დიდი ადამიანები იმგვარად როდი იტანჯებიან, როდი განიცდიან იმგვარ ქენჯნას, როგორც ნიცშე ან ტოლსტოი, რომელთა შინაგანი ბრძოლა იმაზე მიგვანიშნებდა, რომ ისინი მაინც ვერ იდგნენ მყარად თავის ნიადაგზე,მაინც მსხვერპლნი იყვნენ იმ გაორებისა,რომელმაც საუკუნის სენად იჩინა იმუამად თავი. მე-20 საუკუნის მნათობნი კი ტიტანური ურყეობითა და იდეალის სამსახურში თანმიმდევრობით გვაოცებენ. მათი მარტვილობა არა მათი პირადული ქენჯაა, არამედ ურვაა კაცობრიობისათვის. მათი აზროვნება არ ვარდება ურთიერთის გამომრიცხავ უკიდურესობებში და შემდეგ ქაოტურად არ იბინდება კვლავ ახალი სინთეზის ძიებაში. მათი მოქალაქეობრივი მრწამსი უქცევია ისევე, როგორც მათი გადაწყვეტილება საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებისა კაცობრიობის საკურთხეველზე. აი რაგორია დღევანდელი დიდი ადამიანების მიმართება კაცობრიობის წინაშე მდგარი დღევანდელი დილემისადმი. ამით ისინი უფრო ძველი ეპოქის მოძღვრებსა და წმინდანებს ჰგვანან,ვიდრე მე-19 საუკუნის გაორებულ გენიოსებს. ე.წ. დისიდენტური მოძრაობა დღევანდელ საბჭოეთში ამ დიდი ადამიანების კვალს მისდევს. დისიდენტებმა აირჩიეს პირველი მხარე ამ დილემისა, მაგრამ არა ერთნაირი წარმატებითა და გაბედულებით. უთუოდ ეს არის მიზეზი იმისა,რომ მათ შორისაც არის დონეები მსხვერპლის გაღებისა, ჭეშმარიტი გზის არჩევისა, ამ გზაზე გამბედაობისა თუ შორსმჭვრეტელობისა. იგივე გახლავთ მიზეზი მათ შორის პაექრობისა და ზოგჯერ შუღლისა. ჩვენ აქ კონკრეტულ მაგალითებს აღარ მოვყვებით,რათა რომელიმე პიროვნება არ გავანაწყენოთ ან შეცდომა არ დავუშვათ კონკრეტულ შეფასებაში.

საბედისწერო დილემის წინაშე გმირულად იდგნენ აგრეთვე მე-20 საუკუნის მისიონერები. ისინი, ვინც საკუთარი კეთილდღეობისა და სიცოცხლის ფასად დღესაც აგრძელებენ მაცხოვრის მიბაძვას და ნერგავენ სიყვარულისა და ჭეშმარიტების სახარებას არაცივილიზებულ, ჩამორჩენილ ტომებში ჩვენ მოწმენი გავხდით უკანასკნელ ხანებში უგანდის მთავარეპისკოპოსისა და სხვა მრავალი მისიონერის მხეცური მკვლელობისა. ისინი ჭეშმარიტად პირველქრისტიანი მოწამეებისა და შუასაუკუნეთა რჩეულ მარტვილთა დიდ საქმეთა გამგრძელებელნი არიან ჩვენს

რთულსა და ტრაგიკულ დროში. იგივე ითქმის ზოგიერთი ბუდისტი მისიონერის გამო. განსაკუთრებით საბჭოთა ციხის ჯალათთა მიერ მხეცურად მოკლული ბურიატელი მისიონერის, შესანიშნავი მოქალაქისა და მოაზროვნის ბიდია დანდარონის შესახებ.

ასეთივე ნათელი და მაღალი მაგალითია ცხოვრება და მოქალაქეობა ჯონ ბრაუნისა, მარტინ ლუთერ კინგისა, ალბერტ შვაიცერისა, ამროსი ხელაიასი და სხვათა. ყოველივე ამით ცხადი ხდება, რომ მე-20 საუკუნის კაცობრიობის მასის ტოტალური გადაგვარება და განურჩევლობა ერთი მხარეა სასწორისა, რომელსაც უპირისპირდება მაღალი მორალური შეგნება დღევანდელი კაცობრიობის რჩეულთა. ტოტალიტარულ სახელმწიფოებში სამართლიანობისათვის მებრძოლნი თუნდაც დიდი ცდომილებებითა და გზააბნეულობით რომ გამოირჩევიან, მაინც მიედრებიან ამ რჩეულებს, უკეთუ მათი ბრძოლა და მარტვილობა გულწრფელია და ქვენა მიზნებისაგან კიდეგან მდგარი.

შესაძლოა გაგვაოცოს მცირერიცხოვანობამ დასახელებული მაგალითებისა, მაგრამ ჩვენ შევახსენებთ მკითხველს, თუ რაოდენ ვიწროა გზა ხსნისა და რაოდენ ფართოა გზა წარწყმენდისა და გადაგვარებისა, სახარების ფორმულით რომ ვთქვათ. იგივე გახლავთ მიზეზი საბჭოთა კავშირში დისიდენტთა მცირერიცხოვანებისა, რომელიც ხელზე აქვს დახვეული ჭეშმარიტებისა და სიკეთის მარადიულ მტრებს, რომელნიც ნიადაგ გაჰყვირიან: „შეხედეთ ამ ერთი მუჭა გროვას, გზააბნეული და ხალხსმოწყვეტილი ადამიანებისა! ნუთუ ისინი გამოხატავენ მრავალმილიონიანი მასების ნებას? ნუთუ მათ გააჩნიათ უფლება ილაპარაკონ ხალხის სახელით? ხალხისა, რომელმაც არც კი იცის მათი არსებობა, მათი ფიქრები და მიზანზრახვანი?»[7]

დიახ, დიახ მეგობრებო, ბნელეთის მოციქულთა მრავალრიცხოვანო ლეგიონერებო, ისტორიაში მუდამ მცირენი იყვნენ უმაღლესი სიკეთისა და ჭეშმარიტებისათვის თავდადებულნი, მაგრამ მათი სულიერი ძალა და შემართება მარად სძლევდა მრავალრიცხოვანებას წყვდიადისას! დიახ, მარად ასე იყო: ჭეშმარიტების მშვენება და სიდიადე იმით როდი განისაზღვრებოდა, თუ იმთავითვე რამდენი იგებდნენ ან აფასებდნენ მას! მაგრამ განგების კეთილი ნება ისტორიის საჭეს სწორედ ამ მცირერიცხოვანთა გეზს უქვემდებარებდა და არა ქაოსის უზომობასა და უსახობას.

გადავხედოთ კაცობრიობის დღევანდელ ყოფას. განა ახსოვს რომელიმე საუკუნეს 2 საბედისწერო მსოფლიო ომი, მესამე მსოფლიო ომის ესოდენ რეალური საფრთხე, გამუდმებული შფოთისა და სისხლისღვრის ამდენი კერები?! რას მივაწეროთ დღევანდელი ადამიანის უგუნურება, სასოწარკვეთა, გაველურება ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით? რას მივაწეროთ ის, რომ ამ ნიჰილიზმმა, თვითუარყოფამ, ყოველგვარ სულიერ ღირებულებათა იგნორირებამ ფილოსოფიურად შექმნა საკუთარი, ათეისტური ეგზისტენციალიზმის სახით, ხოლო ადამიანის პირუტყვული მოთხოვნილებელის აბსოლუტიზაციამ, ეკონომიკურ ღირებულებათა განვითარების მიხედვით ქცევამ – შექმნა თავისი ფილოსოფია მარქსიზმის სახით? რას მივაწეროთ ის, რომ დღეს ბიოლოგიური სრულყოფისაკენ სწრაფვას, შეიქმნა იდეოლოგია ბიოლოგიური და რასული უპირატესობისა.

ყოველივე ეს შედეგია იმისა, რომ კაცობრიობის მასა უძლური აღმოჩდა ამ უმძიმესი დილემის წინაშე, მასას დილემის მეორე მხარე აარჩევიეს, ზურგი აქცევინეს ყოველგვარი სულიერი იდეალებისგან და ამის შედეგად მან ღმერთკაცობის წილ არჩია გზა მხეცკაცობისა, ბესტილიზმისა, თუმცა ამ დამღუპველი გზისათვის გამოგონილ იქნა ათასგვარი სახელები: "სოციალური პროგრესი", "ეკონომიკური კეთილდღეობა", "კაცობრიობის რასული დახვეწა" და სხვა.

საგულისხმოა, რომ ამ ტენდენციებმა

უმთავრესად სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურებს დაასვეს დაღი, თუმცა ლიტერატურა, მეცნიერება და თვით რელიგიაც არ დარჩენილა მათი გამ–ხრწნელი ზეგავლენის კიდეგან: ლიტე–რატურაში ვულგარული ნატურალიზმი, უხეში სოციოლოგიზმი, ფსიქოანალიზურ ჭუჭყში ქექვა, ფროიდიზმი, რასიზმი და ყოველგვარი პათოლოგიის აპოლო–გია, ფსევდომოდერნიზმის, "ანტილიტე–რატურის" აღმოცენება. აი, საგანგაშო მეტასტაზები ამ სენისა. ფილოსოფიასა და მეცნიერებაში ვულგარული მატე–რიალიზმი და მარქსიზმი, მატერიალური დარვინიზმი, ე.წ. რასისტული ეთნო–გრაფია, ტექნოლოგიური პროგრესის იდეალიზაცია,კიბერნეტიზმის ცალმხრივი, არასპირიტუალური განვითარება, გენური ინჟინერია, ნუკლეანური ფიზიკის უკონტროლო განვითარება და სხვანი – აი, სავალალო შედეგი ამ სენისა.

ყოველივე ეს პიროვნებაში ქვეცნობიერ პროტესტსა და ამბოხს ბადებს, მიუ–ხედავად ამ პიროვნების განვითარების დონისა, ასაკისა, ინტელექტუალურ-მორალური მონაცემებისა. როგორც ზემოთ ვამბობდით, კაცობრიობის მასსამ ან ვერ აღიქვა, ან – ცნობიერად აქცია ზურგი ზემოხსენებულ მწვავე დილემას. მაგრამ განა იგი განთავისუფლდა ამ დილემისგან? სწორედ ამის შემდეგ იქცა მისთვის ეს დილემა დამღუპველ ძალად, მისი პიროვნების გადამგვარებელ ფაქტორად; სწორედ ამან განაპირობა მის ცხოვრებაში რთული ქაოსი და ანარქია და აი, ღირსშესანიშნავმა შედეგმაც არ დააგვიანა. განა შემთხვევითია,რომ სწორედ მე-20 საუკუნეში აღმოცენდა ჰიპებისა და ბიტნიკების მოძრაობა, არნახულად გაგვრცელდა ნარკომანია ათასგვარი სახით (დასავლეთის ქვეყნებსა და აზიაში), ალკოჰოლიზმი (საბჭოთა კავშირში), გამრავლდა თვითმკვლელობა,არნახულად გაიზარდა დამნაშავეობა, ტერორიზმი (ესპანეთი, აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, ორივე ამერიკა), დივერსიებისა და ხანძრებისაკენ მიდრეკილება (საბჭოთა კავშირი), არნახული პათოლოგიური გარყვნილება(დასავლეთ ევროპა) და სხვა.

სახის ამგვარი დაკარგვა ადამიანის მიერ გახლავთ შედეგი სწორედ იმისა, რომ დღევანდელმა ადამიანმა ვერ ჰპოვა გამოსავალი ამ რთული დილემის წინაშე, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებაში იგი ავლენს ქვეცნობიერ პროტესტს საკუთარი თავის წინააღმდეგ. იგი სასოწარკვეთილია იმით, რომ ვერ ჰპოვა გზა ჭეშმარიტი, რომელიც წილად ჰხვდა მას დაბადებით, რამეთუ კაცი ყოველი ხატი არის ღვთისა.

დიახ, ყოველი ადამიანი მოწოდებულია იმისაკენ, რომ აირჩიოს პირველი გზა, გზა ღმერთკაცობისა, მაღალი სულიერი იდეალის სამსახურისა, გზა საღვთო ქალაქის მოქალაქეობისა, სადაც უნდა გამეფდეს სიყვარული, ჭეშმარიტება და სამართლიანობა.

მაგრამ კაცობრიობა გზას ააც–დინეს მტრულმა ძალებმა, მცდარმა მსოფლმხედველობებმა, დემაგოგიურმა სოციალურ-პოლიტიკურმა მიმდინარეობ–ებმა. ნაცვლად ამ იდეალებისა მას დაუსახეს იდეალი ამსოფლიური კეთილდღეობისა, პრაქტიკული სარგებლიანობისა, სოცია–ლურ-ეკონომიკური "სამოთხისა". აი რამ დააბნია იგი და სასოწარუკვეთა მას ესოდენ ძლიერ!

სოციალიზმის დემაგოგია, უწინარეს ყოვლისა, ყოველი ადამიანის სულის კუნჭულში და დაშვებულ პატივმოყვარეო–ბაზე მოქმედებს. თანასწორუფლებიანობის ქველი იდეა მასას მიაწოდეს იმგვარად, თითქოს ადამიანს დაბადებითვე არ სჭირდებოდეს ინტელექტუალური და მორალური ევოლუცია და , მაგალითად ყოველ მზარეულს იმთავითვე გააჩნდეს თითქოს სახელმწიფოს მმართველის უნარი და გამოცდილება. ამან დაბადა საოცარი თვითკმაყოფილება და რეალობის გრძნობის დაკარგვა. ადამიანმა თავისი თავი დაინახა მოჩვენებით მწვერვალზე და ამით დაკარგა აღმასვლის ყოველგვარი სურვილი და მოთხოვნილება. თვით უკიდურეს სიღატაკეს შეექმნა ილუზია უკიდურესი სიმდიდრისა. დემაგოგთა

ეს ილუზიონიზმი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ სულიერ გაღატაკებას რომ თავი დავანებოთ, ხორციელად უკიდურესად გაღატაკებულნი თავს უმდიდრესად თვლიან მატერიალური თვალსაზრისითაც კი. თუმც აპათია უფრო გაძლიერდა და ველურმა ინსტიქტებმა უფრო აიშვეს. სოციალიზმმა ადამიანს მისცა მოჩვენებითი და მზამზარეული კაცღმერთობა, რითაც დააკმაყოფილა პატივმოყვარეობა, ხოლო ღმერთკაცობის ნამდვილი გზისკენ სამუდამოდ დაუხშო გზა.

განა ეს დილემა არ სტანჯავდა შავნაღვლიან პრინცს დანიისას? განა მას არ აეჭვებდა შესაძლებლობა უმაღლესთან სპირიტუალური ზიარებისა, საიქიოს რეალობისა, განა იმიტომ არ ქენჯნიდა იგი საკუთარ თავს, რომ ამქვეყნიური საწუთრო კეთილდღეობის სრულ დათმობას მოითხოვდა მისგან, ვალი მოყვასის წინაშე, ვალი სამართლიანი შურისძიების აღსრულებისა? განა ამიტომ არ აირჩია მაშინ დროებითი ყოფნა, განა არყოფნისაკენ ნაბიჯი იმპულსურად არ გადადგა სისხლისღვრის ექსტაზში შესულმა?

განა ამ დილემის სიმწვავემ არ გალია ლამანჩელი რაინდი და ლანდს არ დაამსგავსა იგი, საოცნებო აჩრდილთა სამყაროდან გადმოხვეწილს ამ ცოდვილ დედამიწაზე? განა ამ დილემას არ ანაცვალა ფაუსტმა მაგიით მოპოვებული უმაღლესი სპირიტუალური კეთილდღეობა, განა ამიტომ არ დასდო პაქტი სატანასთან, რათა ზიარებოდა საწუთროს წარმავალ ბედნიერებას? განა დონ-ჟუანს საიქიოდან მობრუნებულმა კომანდორმა არ შეაცვლევინა გეზი ჩვეული ყოფა-ცხოვრებისა, რომელსაც იგი მანამდის ერთადერთ გამართლებულ გზად სთვლიდა? განა ამ დილემასთან ბრძოლაში არ გადაიჩეხა ფრიდრიხ ნიცშე კაცთმძულვარებისა და ღვთის უარყოფის უფსკრულში? განა ლევ ტოლსტოისათვის ეს მარადიული დილემაც ამსოფლიურად არ გამოიხატა ერთის მხრივ საგრაფო მამულისა და მეორეს მხრივ, ოპტინას უდაბნოს სახით? განა ამ დილემას არ გაექცა იგი ოპტინას უდაბნოში? ყოველივე ამის შედეგად განა ცხადი არ არის რომ ახალი დროის გარიჟრაჟზე ადამიანის განწყობილება და ქმედება სხვაგვარი იყო მარადიული დილემის წინაშე, ვიდრე ძველი ეპოქის კაცთათვის? დავაკვირდეთ ჩვენს თანამედროვეობას და ცხადი გახდება, რომ დღესაც სხვაგვარია სპეციფიკა დილემის წინაშე დგომისა და მისი განცდისა.

შეიქმნა უკიდურესობები პიროვნულ და სამოქალაქო თავისუფლების გაგების სფეროში.

ერთის მხრივ ტოტალიტარიზმის მიერ ვნებადახშული უხეში ძალადობით გაოგნებული და აპათიაში ჩავარდნილი მასა, რომელსაც თავისუფლების არათუ შეგნება, არამედ იოტისოდენა მოთხოვნილებაც კი არ გააჩნია. დოსტოევსკის დიდი ინკვიზიტორის მიერ მონუსხული ბრბოს მსგავსად, თავისუფლებისაკენ სწრაფვას იგი უკეთეს შემთხვევაში უცნაურობად, სიგიჟედ ან კიდევ უფრო უარეს რამედ სთვლის. ნურავინ იფიქრებს, რომ, მაგალითად, საბჭოთა კავშირში მხოლოდ მმართველ წრეებს დაებადათ იდეა თავისუფლებისმოყვარე ადამიანების სულიერ ავადმყოფებად გამოცხადებისა. ეს ფსიქოლოგია თავად მასაში შემუშავდა თავდაპირველად, იმდენად წარმოუდგენელი იყო სახელმწიფო ტერორისა და ტოტალიტარიზმის ხუნდების წინააღმდეგ რაიმე ამბოხი "ჭკუათმყოფელი" ადამიანისათვის. სახელმწიფოს მესვეურებმაც კარგად გაუგეს მასის ამგვარ ფსიქოლოგიას და არ დააგვიანეს ფსიქიატრიული რეპრესიები, რაც საქმით "განამტკიცებს" მასში მოარულ ვერსიას იმის შესახებ, რომ ვინც აღიმაღლებს ხმას სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის, სულით ავადმყოფია.

მეორეს მხრივ, დასავლეთში შეიქმნა უკიდურესობანი დემოკრატიული თავისუფლების სფეროში, მწარმოებლობის სფეროში, რამაც გზა მისცა არა მხოლოდ

პიროვნების აღვირახსნილობას, არამედ სოციალურ ქაოსს, იდეოლოგიურ კრი–ზისს დასავლეთისას, რომელმაც უკვე დაყარა ფარ-ხმალი ტოტალიტარიზმთან იდეოლოგიურ ბრძოლაში და ე.წ. "დეტანტის" მეშვეობით იმედოვნებს საკუთარი სტატუს ქვო-ს შენარჩუნებას. საყოველთაო, უსაზღვრო დემოკრატიზმი გამართლებული იქნებოდა მაშინ, კაცო–ბრიობის თითქმის ნახევარი რომ არ იყოს გამომწყვდეული ტოტალიტარიზმის მარწუხებში, იმ ტოტალიტარიზმისა, რომელიც წალეკვას უქადის ცივილი–ზაციისა და კულტურის ყველა მონა–პოვარს. დემოკრატიული სისტემები თავისდაუნებურად ხელს უწყობენ ტოტა–ლიტარიზმის ძლევამოსილ თვითნებობას მთელს მსოფლიოში, რითაც საკუთარი იდეებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმეს ემსახურებიან უნებლიედ. უახ–ლოესმა ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადჰყო,რომ ისინი უძლურნი არიან იხსნან კაცობრიობა ამ უმთავრესი სოციალური ბოროტებისაგან. დემოკრატიისა და ტოტალიტარიზმის დაპირისპირება საბო–ლოოა. სამკვდრო-სასიცოცხლო დაპი–რისპირებაა დასავლეთისა და აღმო–სავლეთისა, ევროპული ჰუმანიტარული ტრადიციების ერთის მხრივ და აზიური, თურანულ-მონღოლური ბარ–ბაროსობისა და ტირანიისა, მეორეს მხრივ. თუმცა ეს უკანასკნელი დღეს ევროპიდან ფილოსოფიური სუროგატით და სოციალური ყალიბით ინიღბება. ტოტალიტარიზმსა და დიქტატურას უნდა დაუპირისპირდეს სამართლიანი, ახალი ტიპის დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული წყობილება, ვინაიდან დასა–ვლური ტიპის წყობილებანი მხოლოდ აძლიერებდნენ ტოტალიტარიზმსა და ძირს უთხრიდნენ საკუთარ თავს.

შემთხვევითი როდია ის გარემოება,რომ მაგალითად საბჭოთა კავშირის სამხედრო ეკონომიკაც კი დასავლეთის ფინანსებითა და ტექნოლოგიებით იკვებება. რაოდენ კეთილშობილური და პრინციპული არ უნდა იყოს ისეთი პიროვნებების მცდელობა, როგორიცაა პრეზიდენტი კარტერი, მისთვის შეუძლებელი იქნება მოქმედება იმ სისტემის პირობებში, რომელსაც იგი ემსახურება დღეს. კარტერის კეთილშობილური იდეები ასეთივე ქველი და თანამიმდევრული საქმეებით არ განმტკიცდებიან, ამაო დარჩება მისი ღაღადისი ნებამოშლილი დასავლეთის უდაბნოსა შინა. მთავარი საკითხი კი მაინც ის არის, შესძლებს თუ არა იგი ამ დიდი საქმეების რეალიზაციას თავისი სისტემის პირობებში, თავისი პარტნიორებით გარემოცული? საზოგა–დოებაში, სადაც COMMONWELTH-ისა და PROSPERITY-ს გაგებები დღესაც რჩებიან მთავარ ღირებულებებად. განა შეიძლება ადამიანის ესოდენ მაღალ ალტრუისტულ პრინციპებზე ოცნება? რამდენადაც ადამიანის უფლებები გარანტირებული აქვს ამ საზოგადოებას, განა ისურვებს იგი საკუთარი COMMONWELTH-ისა და PROSPERITY-ს დათმობის ფასად ჯვარო–სნულ ლაშქრობაში გაჰყვეს კარტერს სხვათათვის, სრულიად უცხოთათვის, ადამიანური უფლების მოსაპოვებლად? ამგვარად კარტერი უწინარეს ყოვლისა უნდა ებრძოლოს დასავლეთის სოციალურ ეგოიზმს და თვითკმაყოფილებას,თუ სურს იმ მიზნის მიღწევა, რომელთა თეორიულ დეკლარირებას იგი ეწევა.

სხვა საკითხია, რამდენად გააღვიძებს კარტერი სინდისს თავის მოყვასთა და თანამემამულეთა წიაღში, რამდენად შესძრავს იგი მათ გულებს მსოფლიოში გამეფებული ტირანიისა და უსამართლობის მხილებით. რამდენად ცხადად დაანახვებს იგი თავის ერს დღევანდელი დილემის სიმწვავეს, პრაგმატიზმის, პრაქტიკული მატერიალიზმის და უტილიტარიზმის ჭაობიდან ამოსვლის აუცილებლობას და თუ იგი ამას შესძლებს დღევანდელი ამერიკის სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან და ჰუმანისტებთან ერთად, აგრეთვე იქ მყოფ ემიგრანტ დისიდენტებთან ერთად. კაცობრიობის მომავლის პერსპექტივა აღარ იქნება ესოდენ შავი და უნუგეშო, როგორც დღეს.

დღევანდელი ადამიანისთვის მთავარია, რომ მან შეიგნოს დილემის არსი, დილემისა, რომელიც თავად განგებამ წამოუყენა.

დღეს პიროვნებებსა და ერებს: ან თვითდათმობა იდეალისთვის, საწუთრო კეთილდღეობისა და კომფორტის არად ჩაგდება, მსხვერპლი და თავგანწირვა ჭეშმარიტებისათვის, მოქლაქეობრივი თავდადება, ან მიყოლა ცხოვრების დინებისა, განდგომა ყოველგვარი სულიერი იდეალებისგან და აპათიისა და დეგრადაციის გზაზე დადგომა. პირველი გამოიწვევს კაცობრიობის სპირიტუალურ და სოციალურ აღორძინებას, მეორე კი – ტოტალურ დეჰუმანიზაციასა და ქაოსს, რისი აშკარა ნიშნების წინაშე უკვე ვდგავართ დღეს. ტოტალიტარიზმის სცილასა და აღვირახსნილი "დემოკრატიზმის" ქარიბდას შორის მშვიდობით გავლა კაცობრიობის მთავარ მიზნად უნდა იქცეს დღეს.

სოციალიზმმა გააბატონა ცრუ იდეალი ფიზიკური შრომის გმირობისა, რათა მოესპო გაგება ჭეშმარიტი გმირობის, ადამიანთა მოდგმის სულიერი აღორძინებისთვის ბრძოლის ასპარეზზე. მან მოითხოვა ადამიანებისაგან თვითდათმობა ფიზიკური შრომის ასპარეზზე, რათა ფარულად დაეგმო ის გმირობა, რომელსაც მოითხოვდა სინდისის ხმა ადამიანში. დიახ, სწორედ სინდისის კატეგორიის ნიველირება და უარყოფა საუკეთესო საშუალებაა ადამიანის გამძლე მანქანად ქცევისა, მანქანად, რომელსაც გარედან მართავს სოციალური ნება და არა შინაგანი სულიერი თვითშეგნება.

სოციალისტურმა ტოტალიტარიზმმა კირკესეული ჯადოქრობით ღორებად აქცია მასა, მაგრამ მან ვერ შესძლო ერთგულ პიროვნებათა ამგვარი ტრანსფორმაცია. ამ პიროვნებებმა შეინარჩუნეს კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი, შეინარჩუნეს ნათელი თვალთახედვა გარემო მოვლენებზე. მათი დეზორიენტაცია ვერ შესძლო თვით დახვეწილმა დემაგოგმაც კი. აქედან გამომდინარე, ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში მაინც არსებობს ინტელიგენცია, თუმცა არცთუ შორეულ წარსულში ადგილი ჰქონდა მისი საყოველთაო განადგურების ცდებს. და აი, სწორედ ამ ინტელიგენციას დასჭირდა ყველა ფენაზე მეტი პასუხისმგებლობა დილემის წინაშე ვინაიდან იგი გაბრუებული, დეზორიენტირებული მასების მსგავსად ვეღარ იტყვის, რომ ვერ ხედავს ან არ ხედავს ამ დილემას. ინტელიგენცია, თუნდაც [2×7] სოლჟენიცინისეული "ობრაზოვშჩინა", თვით ე.წ. "პარტიული". ე.ი. "კომუნისტური ინტელიგენცია" აშკარად ხედავს ამ დილემას, ვინაიდან მის დანახვას დღეს არ სჭირდება არც ფრიდრიხ ნიცშესეული ინტუიცია, არც ილია ჭავჭავაძისეული, ან ტოლსტოისეული მორალური პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება.

ამრიგად, თანამედროვე დემოკრატიის უძლურებისა და კრიზისის მთავარი მომენტი იმაში გამოიხატება, რომ იგი თავადვე კვებავს იმ ურჩხულს, რომელმაც საბოლოოდ უნდა შთანთქას იგი (არსებობს ლენინისეული თეზა: «კაპიტალიზმი თავადვე მოგვყიდის თავისავე ჩამოსახჩობ თოკს»).

და აი, ამ დილემის დამნახველი ინტელიგენციის მხოლოდ მცირე ნაწილი ირჩევს გზას მარტვილობისას, თვითდათმობისას, უთანასწორო ბრძოლისას ციხეებისა და ფსიქიატრიული საავადმყოფოების ჭანგებით აღჭურვილ ურჩხულთან. ეს გასაგებიცაა. უფრო იოლია თვალის დახუჭვა, საკუთარი პოზიციის გამაგრება «კეთილგონიერებით», «შორს–მჭვრეტელობით», ან თუნდაც დევიზით: «სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისაგან». უფრო მეტიც, ოპორტუნისტულად განწყობილი ინტელიგენცია დღეს კი ინიღბება «გონივრული ინტელიგენციის» ნიღბით, ვითომდა ბრძოლის უფრო ეფექტური საშუალებებით, ვიდრე «კედლისათვის თავის შეხლაა». ამიტომ გამრავლდა ჩვენში «მინიშნებითი, წამყოფითი ლიტერატურა», ყველასათვის უჩინარი და შეუმჩნეველი დაპირისპირება

რეჟიმის უსამართლობასთან და ა.შ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ყოველივე ამას თვით ტოტალიტარული ხელისუფლება ზოგჯერ ფარულად თავად უწყობს ხელს, რათა შექმნას ილუზია სიტყვის თავისუფლებისა, ლიბერალიზაციისა, რათა ხალხში აღძრას სურვილი ოპო–ზიციური ჟინის მოკვლისა იმგვარად ნათქვამი და უმისამართო გამოხტომებით, რომლებიც ვიღაც-ვიღაცეების მიხედვით «რეჟიმის წინააღმდეგ არიან მიმართული». ეს უფრო ეფექტური საშუალებაა დისიდენტურ გამოსვლებთან ბრძოლისა, ვიდრე უხეში ადმინისტრირება ან პირდაპირი რეპრესირება ნამდვილი ოპოზიციონერებისა, დისიდენტების დისკრედიტაცია, როგორც «უტაქტო», «დიპლომატიას მოკლებული ადამია–ნებისა», ან ფრთხილი შეფასება, როგორც «ოდნავ ჭკუაზე გადამცდარი ხალხისა», ზემოხსენებულ «ბრძენ ოპოზი–ციონერთაგან» განსხვავებით, იგი რეჟიმის მიზნებს საუკეთესოდ ემსახურება, ვინაიდან რეჟიმი კვლავ განაგრძობს არსებობას, ხოლო ოპოზიციური ვნებები, რომელიც უფრო და უფრო იზრდება ხალხში, ამგვარი სათამაშო თოფის სროლით კმაყოფილდებიან. ბოლოს იქმნება ილუზია დემოკრატიული საზოგადოებისა, სადაც დისიდენტები რეალობის გრძნობას მოწყვეტილი ხორცმეტები, ან "დემაგოგი ავისმჩხრეკელი ნაძირალები" არიან, ხოლო სუკ-ის აგენტები – "ჭეშმარიტ ინტელიგენციას" წარმოადგენენ.

ისევე, როგორც, მაგალითად, იაპონიის საწარმოთა ხელისუფალთ ურჩევნიათ დადგან რეზინის ქანდაკებები მუშები–სათვის საძულველი მექარხნისა, რომელსაც ყოველი მუშა ეროს ურტყამს თავში, ვიდრე მოხდეს ნამდვილი გაფიცვები, ასევე ურჩევნია საბჭოთა რეჟიმს მოჩვენებითი, აღვირამოდებული ოპოზიციის არსებობა ჭეშმარიტი ოპოზიციისათვის დასაპი–რისპირებლად. აი, ფარისევლური აზრი ფსევდოოპოზიციისა ტოტალიტარულ ქვე–ყნებში (თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ტოტალიტარული ცენზურა ზომებს ვერ იცავს ჯეროვნად, ზოგჯერ მასაც ღალატობს ალღო და სათანადო ზღვარს ვერ უწესებს თავის მიერვე სტიმულირებულ ფსევდოოპოზიციურ გამოხდომებს, რის შედეგადაც ხშირად, მათი ხელით, უნტეროფიცრის ცოლივით, საკუთარ თავს გაიროზგავენ ხოლმე). აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ეს მოვლენა მაინც ფრიად საგანგაშოა ტოტალიტარიზმისათვის და კრიზისს მოასწავებს მის შიდაპოლიტიკურ ფრონტზე, ვინაიდან ამან შესაძლოა გამოიწვიოს რეჟიმისათვის არასასურველი შედეგები. საერთოდ, დემოკრატიული სისტემების შიდაპოლიტიკურ სტაბი–ლურობას უპირისპირდება მათი საგა–რეო-პოლიტიკური და სამხედრო არასტა–ბილურობა, ხოლო ტოტალიტარულ ქვეყნებში პირიქითაა საქმე: შინაპო–ლიტიკური არასტაბილურობა სულ უფრო და უფრო საცნაური ხდება მაშინ, როდესაც საგარეო-პოლიტიკური თვალსაზრისით მათი ექსპანსიონიზმი და გარეგანი ძლიერება ყველასათვის თვალსაჩინოა.

რაც შეეხება კაპიტალიზმს, იგი, ყოველგვარი თეორიისა და დემაგოგიური ქადაგების გარეშე, პრაქტიკულად ნერგავს კულტს სიმდიდრისა და კომფორტისა, ამსოფლიური კეთილდღეობისა, რითაც უნებლიეთ, მაგრამ მაინც მტრობს კაცობრიობის მაღალ იდეალებს. ადამიანში აჩლუნგებს წყურვილს თავგანწირვისას, მსხვერპლის გაღებას, ანვითარებს ეგოიზმს, ანგარებასა და პატივმოყვარეობას. კაპიტალისტთა შორის მრავალს ურჩევნია არაფრით დაზარალდეს მისი ბიზნესის მწარმოებლური ინტერესები, ვიდრე ამის ფასად გადადგან თუნდაც ერთი მორალური ნაბიჯი, გაიღონ მცირე მსხვერპლი მაინც ზნეობის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. პრეზიდენტი კარტერი, როგორც აღმზრდელი, სწორედ ამ სფეროზე ზეგავლენით თუ შეფასდება. აქ გამოჩნდება მისი ავტორიტეტის ძალა, შთაგონების უნარი. მან უნდა გარდაქმნას კაპიტალის მსახურნი თავისუფლების იდეის მსახურებად. კაპიტალი უნდა

გახდეს ხელშემწყობი კაცობრიობის ზნეობრივი გარდაქმნისა.

ასე, რომ კაპიტალიზმის ქვეყნებში ადამიანებმა უნდა დასთმონ სნობიზმი, კომფორტის სიყვარული, მოგებისა და სარგებლიანობის კულტი. სოციალისტურ ქვეყნებში კი ადამიანებმა უნდა დასთმონ შიში, ვიწრო ეგოისტური კარჩაკეტილობა, ასოციალურობა, მოქალაქეობრივი დეზერტირობა, ფილისტერული თვითკმაყოფილება და აგრეთვე თვითმოტყუება ფსევდოოპოზიციონერობით. შენ დაბრძანდები დიდი ქალაქის ქუჩებში, ვიწრო მეგობართა წრეში ოპოზიციურად ყბედობ, სიტყვით გმირი ხარ, საქმით კი, ყოველნაირად თავს არიდებ სიმართლისათვის ომს, რომელსაც აწარმოებენ შენი მოყვასნი, ნიადაგ ციხისა და სიკვდილის საფრთხის ქვეშ მდგომნი. შენ არად გენაღვლება ციხეებსა და ბანაკებში ჩაყრილი ადამიანების ბედი, რომელთაც ნელი წამებით კლავენ, აავადებენ, შენ მათზე ფიქრსაც კი თავს არიდებ, შენ განდევნე ისინი შენი ცნობიერების ველიდან, შენთვის ისინი «არაპიროვნებანი» არიან. როგორც ეს ორუელის ცნობილ რომანში ხდება, ამით კი შენ თავად ხდები ფიტული კაცისა, სნობი სნობთა შორის, ყბედობის სენით დაავადებული. თანდათან შენი ცხოვრების წესი მიგიყვანს დეგრადაციამდე, ამორალიზმამდე, ბოლოს შენ შესაძლოა შეიძულო შენი მოყვასი, რომელიც თავს სწირავს სიმართლისა და სიკეთისათვის ბრძოლაში, შენ მისთვის იწყებ ათასგვარი ატრიბუტების გამოგონებასაც: „უცნაური", „დონ-კიხოტი", „პოზიორი »; იწყებ მის წვრილმან ნაკელში ქექვას, მის კრიტიკას, მოკლედ, გსურს დაასაბუთო შენი გზის სისწორე, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავხარ [17]

სამწუხაროა, მაგრამ ამგვარ გზას დღეს ჩვენში უპრინციპო ან უმსოფლმხედველო ხალხი როდი მიყვება მხოლოდ. აქ "ქრისტიანთა" ხმებიც გაისმის, კვიეტიზმის მქადაგებელთა, ისინი გმობენ ხმის ყოველგვარ ამაღლებას ბოროტების წინააღმდეგ. ეს სიტყვით ქრისტიანები, ხოლო საქმით გაიძვერა ფარისევლები საღმრთო წერილსაც კი იშველიებენ თავიანთი სილაჩრისა და სიბილწის გასამართლებლად, თან ავიწყდებათ უზენაესი ცოცხალი მაგალითი საღმრთო წერილისა, იესო ქრისტე, რომელიც ადამიანთა მოდგმის ხსნისათვის, სიმართლისა და სიქველის იდეალებისათვის, ბოროტების მხილებისათვის ჯვარს ეცვა. ამ ადამიანებს კი ჯვარცმა უკიდიათ ხშირად თავიანთ ოჯახში მოოქროვილი, ვითარცა კედლის სამკაული, ხოლო თავად არ სურთ ეცვან ჯვარს, ასეთ "ქრისტიანებს" ჭეშმარიტად ათეისტები სჯობიან, რომლებიც ადამიანის ღირსებებისათვის და უფლებებისათვის იბრძვიან უშიშრად. ამ ათეისტებმა, მართალია სულიერად ვერ გააცნობიერეს დილემა, მაგრამ იგრძნეს იგი ესოდენ ძალუმად, რომ მათი ცხოვრება მთლიანად გარდაიქმნა, მათი ნებელობა ღვთის სამსახურში ჩადგა, ისინი დიდი გულისა და შეგრძნებების ადამიანები არიან, რომლებიც ხშირად, საღვთო გზასაც პოულობენ ხოლმე თავიანთი მაღალი იდეალის სამსახურში ან იმ ცხოვრებისეული ტანჯვის შედეგად, რომელიც გარდაუვალი ხდება მათთვის ამ გზაზე. სიმართლისათვის თავდადებამ არ შეიძლება არ მიგვიყვანოს სიმართლისა და სიკეთის წყარომდე – ღმერთამდე.

P.S. "დილემა კაცობრიობის წინაშე" თავის ავტორთან ერთად დააპატიმრეს 1977 წლის 7 აპრილს, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით იგი განთავისუფლდა პატიმრობიდან მხოლოდ 1991 წლის იანვარში. ვფიქრობ, მას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა და თუ ეს ასე არ არის, მაშინ კულტურულ-ისტორიული ღირებულებების თვალსაზრისით მაინც იქნება საინტერესო ჩემი იმდროინდელი ნაფიქრ-ნატანჯი. (ზ.გ.)

ენა მამული სარწმუნოება



ზვიად გამსახურდია
suk-i win ixedeboda, rodesac cru samRvdeloebas qmnida

ბოროტებისადმი დაუმორჩილებლობა ქრისტიანული ეთიკისა და პრაქსისის საფუძველთა საფუძველია. რა იყო პირველქრისტიანთა ცხოვრება, თუ არა უღმერთობისა და უზნეობისადმი დაუმორჩილებლობა? ქრისტიანობამ გაი–მარჯვა ამ ბრძოლაში, რამეთუ საღვთო წერილი გვასწავლის: "საჭურველად გარე მოგადგეს შენ ჭეშმარიტებაი მისი", ხოლო სიმართლისათვის დევნა სახარების პირველი ნეტარებაა. ის, ვინც არ იბრძვის სიმართლისათვის და არ არის დევნილი, არც ქრისტიანია. ამასთან, ყოველი დროის ტირანები ცდილობენ გაყალბებას მოციქულთა სიბრძნისას – ხელისუფლებისადმი დამორჩილების შესახებ. როგორც ცნობილია,მოციქულები მოგვიწოდებენ ხელისუფლებისადმი დამო–რჩილებას, რამეთუ, მათი თქმით, ყოველი ხელისუფალი ღვთისგანაა. მაგრამ საქმე ის გახლავთ,რომ მოციქულთათვის სიტყვა "ხელისუფლება" ნიშნავს ლეგიტიმურ ხელისუფლებას,კანონიერ ხელისუფლებას და არა უკანონო,ყაჩაღურ,უზურპატორულ ხელისუფლებას, რომელიც ეშმაკისგან არის და არა – ღვთისგან.

რა შეიძლება მოიფიქროს და მოიმოქმედოს დღეს ჭეშმარიტად მართლ–მადიდებელმა და საკუთარი ერის მოყვარე ქრისტიანმა? მთავარზე უმთავრესია, ბრძოლა ჭეშმარიტი ქრისტიანობის აღო–რძინებისათვის, რასაც მრავალ დაბრკო–ლებას უქმნის ჩვენს ქვეყანაში გაბატო–ნებული ანტიქრისტე. ქრისტიანობა არა მხოლოდ ქადაგებით, არამედ საქმით, ბრძოლა სატანასთან როგორც სულიერ, ასევე ფიზიკურ პლანში. უაღრესად საჭიროა ნამდვილი მოძღვარნი,რომელთაც ძალუძთ არა მხოლოდ ლოცვა და ქადაგება, არამედ ეშმაკეულ ადამიანთა განკურნება, მათი სულიერად განწმენდა და გადარჩენა. უნდა გვახსოვდეს, რომ ეგზორციზმი ახასიათებდა არა მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიას, არამედ – მართლმადიდებლურსაც. ამ თვალ–საზრისით უნდა ამოქმედდეს ბასილი დიდის კურთხევანი, თუ, რასაკვირველია, ეკლესიაში შეხიზნულმა ანტიქრისტეს მსახურებმა ეს ტექსტები არ გაანადგურეს. გვახსოვდეს,რომ ასურელი მამები,გრიგოლ ხანძთელი, გიორგი, ექვთიმე და იოანე მთაწმინდელები უდიდესი ეგზორცისტები იყვნენ, რაც ჩანს მათი ცხოვრებიდან; ასეთები იყვნენ, აგრეთვე, ჩვენს დიდ მღვდელმთავართა შორის უმეტესნი. მღვდელმთავრის ჩაცმულობაში ერთ-ერთი უმთავრესი ატრიბუტია "ენქერი", რომლის დანიშნულება დღეს მრავალმა სამღდველო პირმაც აღარ იცის. ენქერი არის სულიერი მახვილი, რომლითაც მღვდელმთავარმა სულიერ პლანში უნდა განგმიროს ბოროტი არსებანი და დათრგუნოს ისინი ამ დედამიწაზე. დღეს კი, სამწუხაროდ, ჩვენ მღვდელმთავართა უმრავლესობა ამ ბოროტ არსებათა მონებად ქცეულან თავად! აი, რაზე უნდა დავცეთ განგაში უწინარეს ყოვლისა, აი, რას უნდა ვუშველოთ! სანამ ჭეშმარიტი რელიგია არ აღდგება ჩვენში, ჩვენს ერს გადარჩენა არ უწერია.

მინდა შეგახსენოთ ქრისტიანული ღმრთისმეტყველებისა და ჰაგიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ტერმინი "მართლ–მხილება", რაც აგრეთვე ქრისტიანული პრაქსისის საფუძველია. ჭეშმარიტების სამსახური მარტო მის აღიარებაში როდი გამოიხატება. ეს სამსახური, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს სიცრუისა და ბოროტების მხილებას. მაცხოვარი ჩვენი მართლმხილების გამო აცვეს ჯვარს,

მართლმხილების ძალამ, ღვთის ძალამ აღადგინა იგი მკვდრეთით და ცად აღამაღლა. მწიგნობართა, ფარისეველთა და ცრუ მღვდელმთავართა მხილება იყო მისი ქადაგების ძირითადი მიზანი. ხალხს უნდა განვუმარტოთ განსხვავება ეკლესიასა და ფიზიკურ ტაძარს შორის. ეკლესია სულიერი გაგებაა, ეკლესია სულიერად არსებობს და ბჭენი ჯოჯოხეთისანი მას ვერასოდეს მოერევიან; ეკლესია მოძღვრებაა, ღვთის, ზეციურ არსებათა და წმინდანთა ერთობლიობაა. ეკლესია იდეაში არსებობს, ხოლო ტაძარი მატერიალურია და ამქვეყნად არსებობს. ყველა ტაძარიც რომ შემუსროს ბოროტმა ძალამ თავისი მსახურებითურთ, ეკლესიას მაინც ვერ გაანადგურებს. ანტიქრისტეს ძალუძს თავისი გადაცმული მსტოვრები შეაგზავნოს ტაძარში. ეკლესიაში ვერ შეაგზავნის. ეკლესიის ისტორიას შეიძლება ეწოდოს "ჭეშმარიტების ისტორია", ამბობდა პასკალი. "ის დევნულებანი, რომელნიც დაატყდა თავს ეკლესიას, ჰგვანან იმ ქარიშხლის მოქმედებას, რომელიც ებრძვის ჩაუძირავ გემს".

აი, ეს ეკლესიაა დაფუძნებული "კლდესა ზედა", ხოლო კლდე – საღვთო ჭეშმარიტებაა. რაც უფრო მიემსგავსება ფიზიკური ტაძარი ეკლესიას, რაც უფრო მიუახლოვდება ამ იდეალს, მით უფრო სრულყოფილია იგი. ღვთის ტაძარში მოკალათებულ ანტიქრისტეს მსახურთა მხილება კი ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანის უპირველესი მოვალეობაა. ამის გამო საუბრობენ ანტიქრისტეს მსახურნი მხოლოდ ტაძარზე (ტემპლუმ), ეკლესიაზე კი არას ამბობენ, რამეთუ მათთვის მთავარია ნივთიერი და არა სულიერი. სულიერ ეკლესიას კი ებრძვიან აშკარად თუ ფარულად, ამიტომ არის მათი ღმერთი თხის რქებიანი და ჩლიქებიანი ბაფომეტი, ანდროგენული ურჩხული, რომელსაც თავზე ჩირაღდანი ადგას და რომელსაც ისინი უწოდებენ "ტემპლუმ ომნიუმ ჰომინუმ პაცის აბბატ" ("ყოველთა კაცთა მშვიდობის ტაძრის მამა"). "ქვენ მამისა ეშმაკისანი "ხართ" – ეუბნებოდა იესო ქრისტე ასეთ ადამიანებს. ჩვენთვის კი მამაა ღმერთი, ეკლესიის თავი და არა ცრუ ტაძრის კერპი. ამისთვისაა საჭირო ქრისტიანული განმანათებლობა, რომელიც განუმარტავს ყოველივე ამას გაუთვით ცნო ბიე რებელ ხალხს.

მიწიერი ეკლესია, ამქვეყნიური ადამიანებისგან შემდგარი, უნდა ბაძავდეს ზეციურ ეკლესიას, მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში ასეთი რამ თითქმის აღარ არსებობს. მიწიერი ეკლესია დაპყრობილია უღმერთო ძალების მიერ. ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს – საქართველოში აღდგეს ასეთი ეკლესია.

"ცრუ მოციქულნი, მზაკვარნი, ღებულობენ სახეს ქრისტეს მოციქულისას. ეს არც არის გასაკვირი, რამეთუ სატანაც ღებულობს ნათლის ანგელოსის სახეს მაგრამ მათი აღსასრული საქმეთა მათთაებრ იქნება" – გვასწავლის პავლე მოციქული. მაცხოვარიც ტაძარში ამხელდა ქვაბავაზაკებს. ალბათ გახსოვთ, თუ ვით აღლესა გრიგოლ ხანძთელმა "მახვილი მხილებისა", ხოლო, უფრო მოგვიანებით, დავით აღმაშენებელმა მთელი საეკლესიო კრება მიუძღვნა ასეთ მართლმხილებას. ამის გარეშე დღეს წარმოუდგენელია ჩვენი ერის განწმენდა და აღორძინება.

მართლმადიდებლობას მუდამ ახასიათებდა შემწყნარებლობა სხვა რწმენათა მიმართ. მართლმადიდებლობამ არ იცოდა ინკვიზიციის კოცონები, მართლმადიდებელი მღვდელმთავრები, იმპერატორები და მეფეები უფრო დარწმუნების გზას მიმართავდნენ. ანტიქრისტეს დღევანდელმა მძლავრობამ და საყოველთაო აპოსტასიამ (რაც ნაწინასწარმეტყველებია საღვთო წერილში) მრავალი დააბნია და მოსწყვიტა ჭეშმარიტ რწმენას. სამწუხაროდ, მრავალი დადებითი პიროვნება, კარგი მამულიშვილი ან უღმერთოა, ან მცირედ მორწმუნე. ასეთებს უნდა შევაშველოთ ხელი დახმარებისა, ისინი არ უნდა შევიძულოთ, მოთმინებით ვიზრუნოთ მათი გადარჩენისათვის, ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცევისათვის. გვახსოვდეს, რომ მაცხოვარიც და

მოციქულებიც დიდი ტოლერანტობით გამოირჩეოდნენ. ისინი საბოლოოდ არ წირავდნენ არავის, ღვთისა და სიკეთის აქტიური მტრების გარდა.

გავიხსენოთ ქართველი ერის სიბრძნე: "სიბრძნე ებრძვის სიბრიყვეს უთოფოდ და უზარბაზნოდ". ეს უაღრესად ქრისტიანული მიდგომაა. არამართლმორწმუნეებს იდეურად უნდა ვეკამათოთ,მათი ადამიანური უფლებების პატივისცემა ჩვენ მხოლოდ გვაძლიერებს. რაჟდენ მოწამეს, ევსტათე მცხეთელს და აბო ტფილელს არავინ ახვევდა თავს ქრისტიანულ სარწმუნოებას, მაგრამ ისინი ქრისტეს მოწამეები გახდნენ. ამაში იყო ძალა ჩვენი სარწმუნოებისა. სხვანი კი ცეცხლით და მახვილით ავრცელებდნენ თავის სარწმუნოებას. თორმეტმა ჭეშმარიტმა მორწმუნემ თითქმის მთელი მსოფლიო მოაქცია თავის რწმენაზე. მაცხოვრის სიტყვებით რომ ვთქვათ, "უკეთუ გვექნება სარწმუნოება თუნდაც ქრთილის ოდენი, მთას რომ ვუბრძანოთ,აღიძრება და ზღვად შთაიფხვრება"! რწმენას სასწაულები ძალუძს.

ანტიქრისტე თავად უდიდესი ცრუწინასწარმეტყველია. ასე რომ, არ არის გასაკვირი, მისი წინამორბედნი და მსახურნი ბიბლიური სიბრძნისა და წინასწარმეტყველთა ნააზრევის პროფანაციას რომ ისახავდნენ ერთ-ერთ მთავარ მიზნად. რელიგიასა და საღვთო წერილის პროფანაცია ანტიქრისტეს უმთავრესი მიზანია. ამიტომ უწყობენ აგრეთვე ხელს ყოველგვარი ბნელი სექტების გავრცელებას. მაგალითად, სამეგრელოში იეღოველებმა ხალხის დიდი უბედურებით ისარგებლეს და გაავრცელეს ხმა: "1993 წელი არმაგედონის წელია,წელს აღდგება მკვდრეთით და გაცოცხლდება ყველა ის, ვინც იეღოვას იწამებსო". წარმოიდგინეთ, ზოგიერთმა გაუბედურებულმა და სასო წარ კვეთილმა შვილდაკარგულმა მშობელმა ირწმუნა ეს და იწყო ყოყმანი მართლმადიდებლურ რწმენაში. აი, რა მეთოდებით მოქმედებენ ბოროტების მსახურნი. დღეს, დარწმუნებული ვარ, პუტჩისტური სუკ-ი დიდ იმედებს ამყარებს მათზე და საქმითაც იყენებს.

ერთმა გამოჩენილმა მოაზროვნემ ასეთი ფორმულა მოგვცა: "ღვთის უარყოფა სულის დაავადებაა, ქრისტეს უარყოფა – სულის უბედურება, ხოლო სულის უარყოფა – თვითმოტყუება". რა უნდა იყოს უფრო სავალალო, ვიდრე ასეთი ადამიანი? ღმერთი და სულიერი სამყარო ჭეშმარიტი სამშობლოა ადამიანის, მიწიერი სამშობლო კი – მისი ხატი.

თუ მეცნიერება თავია საზოგადოებისა, რელიგია გულია მისი. როდესაც მტერი ჩვენს მოსპობას ცდილობს, თავში ან გულში გვიმიზნებს ტყვიას. სამოცდაათი წლის მანძილზე ანტიქრისტეს ხელისუფლება სწორედ ჩვენი თავისა და გულის განადგურებას ცდილობდა და არცთუ უშედეგოდ. ინტელიგენციის ნაწილი გადააგვარეს, სამღვდელოება კი თითქმის მთლიანად მოსპეს და შექმნეს ცრუ წითელი სამღვდელოება, რამაც თავი იჩინა ყველაზე მეტად პუტჩის ავბედით დღეებში. ნაცვლად იმისა, რომ იერარქები ჯვრით ხელში ჩამდგარიყვნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ურთიერთდაპირისპირებულ მოძმეთა შორის, ისინი ანტიქრისტეს მხედრობას ამოუდგნენ მხარში – ეკლესიები იარაღის საწყობებად მისცეს, ქაშუეთის ტაძარი ბლინდაჟად აქციეს, საიდანაც ჭურვებსა და ტყვიას უშენდნენ კანონიერ ხელისუფლებას; წმინდა პანტელეიმონის ტაძარში სნაიპერები ჩასვეს და ნაღმტყორცნები ჩადგეს, რომელნიც "კოლხურ კოშკს" უშენდნენ. ზოგიერთი სამღვდელო პირი ავტომატით ხელში იბრძოდა პუტჩისტებთან ერთად. რამდენიმე პატიოსანი სამღვდელო პირი კი, რომელმაც არ უღალატა კანონიერ ხელისუფლებას და ლოცვითა და ქადაგებით ამხნევებდა უზენაესი საბჭოს შენობაში გამომწყვდეულ მის წარმომადგენლებს,პუტჩისტმა პატრიარქმა განკვეთა და გააძევა საქართველოდანაც კი. ასე რომ, სუკ-ი წინ იხედებოდა, როდესაც ცრუ სამღვდე ლოებას ქმნიდა.

წითელი სამღვდელოება სუკ-ის ყველაზე საშინელი დამკვრელი ძალაა.

როგორც მოგახსენეთ, მოციქულთა დევიზია კანონიერი, ლეგიტიმური ხელის–უფლების ერთგულება, რამეთუ ასეთი ხელისუფლება ღვთისგანაა ახალი აღთქმის მიხედვით.

ერის ღალატი იგივე მოყვასის ღალატია. ეს თანაბრად მიუტევებელი ცოდვაა,როგორც სასულიერო,ასევე საერო პირისათვის. მაგრამ სასულიერო პირს სჯულისკანონის მიხედვით ყველაფერში უფრო მკაცრად მოეთხოვება, ვიდრე ერისკაცს, ისევე, როგორც მოზრდილს უფრო მოეთხოვება დანაშაულისათვის, ვიდრე მოზარდს.

მომნანიე ადამიანის შეწყნარება დამოკიდებულია იმაზე, საქმით ინანიებს იგი ჩადენილს, თუ მარტოოდენ ლიტონი სიტყვით.

ეროვნული თუ სამოქალაქო მოძრაობის ძალა მშვიდობიანი ხერხებით ბრძოლაშია. ამით დგას განდიზმი მარქსიზმზე მაღლა.

ღვთის სიყვარული, მოყვასის სიყ–ვარული, სამართლიანობის სიყვარული თანაბრად სჭირდება ყველა რიგით თუ არარიგით ქრისტიანს.

ქვეყნის მმართველი, უწინარეს ყოვლისა, ქრისტეს მბაძავი უნდა იყოს მოყვასის სიყვარულით, სამართლიანობით, შემწყნარებლობით, სიმტკიცითა და ბოროტი ძალებისადმი შეურიგებლობით.

სიყვარული და მკაცრი სამართლიანობა თანაბრად საჭიროა. ერთ-ერთის დომი–ნირება იწვევს ან სენტიმენტალობას და გულჩვილობას, ან უხეშობას და სისასტიკეს.

ვინც მტერს შეისწავლის, ის მას დაამარცხებს. უნდა შევისწავლოთ უღმერთოთა შავბნელი ძალების ტაქტიკა, მათი ფანდების არსენალი და გამუდმებით ვამხილოთ ეს ყოველივე. წარსულში არ გვქონია ამდენი გამოცდილება. დღეს კი, როგორც იტყვიან, "ზოგი ჭირი მარგებელია", ბევრი რამ გაცხადდა, მრავალი დაფარული გამოვლინდა და ჩვენც უფრო მეტად გავძლიერდით.

ერისა და ეკლესიის ერთგულ შვილებს ვუსურვებ დიდ სიმტკიცეს რწმენაში, ბრძოლაში შეუპოვრობას, დიდ მოთმინებას, რამეთუ "აურაცხელ არიან ჭირნი მართალთანი და ყოველთა მათთაგან იხსნას იგინი უფალმან". დღეს ჩვენ ყველანი განგებამ უდიდესი გამოცდის წინაშე დაგვაყენა და ეს,უწინარეს ყოვლისა, ჩვენი სარწმუნოების გამოცდაა. ადამიანთა დაცემული ბუნება უწყოდა უფალმა, როდესაც ბრძანა: "მე მოვედ სახელითა მამისა ჩემისაითა და არა შემიწყნარებთ. უკუეთუ სხვაი მოვიდეს სახელითა თვისითა, იგი შეიწყნაროთ". (იოანე, 5,43). ეს "სხუაი" ანტიქრისტეა. იგი მოვა მომავალში, მაგრამ მისი წინამორბედნი უკვე მოდიან და ვაი მათ, ვინც მათ შეიწყნარებს. ამასთან, გვახსოვდეს, რომ მევენახეთა იგავი მარტო ისრაელის სამღვდელოებას კი არ ეხება, არამედ მთელს კაცობრიობას. უფალი არ ჩქარობს შურისგებას, მაგრამ ამავე დროს გვაფრთხილებს: "ჩემი არს შურისგება და მე მივაგო". ამასთან, აუცილებელია, რომ ათეისტებმა და არამართლმორწმუნეებმა არ გვაჯობონ მოყვასის სიყვარულში და სიმართლისათვის თავდადებაში, მამულის ერთგულებაში. ერთი დისიდენტი მღვ–დელი ამბობდა: – დღეს ქრისტიანები როდი აღსდგნენ ადამიანის წმიდათაწმიდა უფლებებისათვის საბრძოლველად, არამედ – ათეისტებიო. ასეთ ქრისტიანებს მე იმ მღვდელს ვადარებ, რომელმაც ნახა გზაზე ყაჩაღთა მიერ გაძარცვული, ნაცემი და ცნობამიხდილი კაცი და არ მიეშველა,თანა წარხდა, ხოლო ის ათეისტები, რომელთაც გააჩნიათ მოქალაქეობრივი შემართება, მე შევადარე კეთილ სამარიტელს.

დღევანდელი დღის სპეციფიკა კი იმაში მდგომარეობს, რომ ათეისტებმა და კომუნისტებმა მიატოვეს ბრძოლა რელიგიასთან. მეორე მხრივ, ეშმაკსაც სწამს და შიშით ცახცახებს კიდეც ღვთის წინაშე, მაგრამ გამოსწორება არ ეტყობა.

"სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკვდარ არს!" – ბრძანებს იაკობ მოციქული. ვიყოთ ქრისტიანები და გეორგიანელები საქმით – აი, ჩვენი მოწოდება.

ზვიად გამსახურდია

pasuxi saqarTvelos teqnikuri universitetis gazeT "samanis" redaqtoris, b-n giorgi andriaZis SekiTxvebze

გვიან მივიღე თქვენი წერილი და ამიტომაც დამიგვიანდა პასუხი. ფრიად კმაყოფილი ვარ, ვინაიდან ვხედავ, რომ დღეს ჩვენს ახალგაზრდობაში მაინც არის ჯანსაღი ძალები, რომლებსაც სერიოზულად აფიქრებთ ჩვენი ერისა და ქვეყნის მომავალი. წავიკითხე თქვენი გაზეთის ორი ნომერი (ივნისისა და ოქტომბრისა), და მართალი გითხრათ, გული ჩამწყდა. საერთო შთაბეჭდილება ასეთია: ჩვენი ახალგაზრდობა დღეს არის უმწყემსოდ დარჩენილი ფარა, რომელსაც ცხვრის ტყავში გახვეული მგლები დაპატრონებიან. ისინი "გმოძღვრავენ" თქვენ და "გიქადაგებენ", რომ დღევანდელ ხელისუფლებაში მოვიდნენ ადამიანები, რომელთაც "ძალუძთ ჭეშმარიტად დემოკრატიული, თავისუფალი საქართველოს აშენება", "შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია სტაბილიზაციისაკენ მიდის", რომ "ბეიკერისნაირი ხალხი სიტყვას ჰაერზე არ ისვრის" (ეს ივნისში იყო თქმული), რომ "სექსუალური თავისუფლება ხელს არ უშლის ზნეობრივ სისუფთავეს" და სხვა. მართალია იქვე "ქედის" საკმაოდ პრინციპული, ეროვნულ პოზი–ციებზე დამყარებული პროგრამაა გამოქვეყნებული, მაგრამ ეს არ ცვლის საქმეს. მე ვერ დავინახე მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური ორიენტაცია. შესაძლოა თქვენი გაზეთის მომდევნო ნომრებში გამოასწორეთ ეს ყოველივე, მაგრამ მე ჯერ ხელთ არა მაქვს ეს ნომრები (სასურველი კი იქნებოდა მათი გაცნობა).

საქართველოს დღევანდელი ტრაგედია გამოწვეულია იმით, რომ მტერმა მიაღწია ეროვნული მოძრაობის გახლეჩას. ეროვ–ნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში დანერგა ისეთი კოლაბორაციონისტული, შენიღბული ფსევდოეროვნული ორგანიზაციები, როგორიც არის ედპ, "საქართველოს ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირი", "მხედრიონი", და სხვანი. როგორც ჩანს, მათ ახალგაზრდულ მოძრაობაში ღრმად აქვთ გადგმული ფესვები, რაც თქვენი გაზეთიდანაც ჩანს. დღეს ამ ორგანიზაციების კავშირი საქართველოს მტრებთან, პროიმპერიულ ნომენკლატურულ ხუნტასთან ყველასათვის ნათელია. თუ ჩვენი ახალგაზრდობა არ გაემიჯნება და არ დაგმობს ამ კოლაბორაციონისტულ ძალებს,რომელთაც დღეს საქართველოს დააკარგვინეს სახელმწიფოებრიობა და იგი პოლიტიკური და ეკონომიკური კატასტროფისკენ მიჰყავთ, ჩვენს ქვეყანას გადარჩენა არ უწერია.

სწორედ ხუნტისა და ამ ორგანიზაციების ზეობის შედეგია ყოველივე ის, რასაც თქვენ მწერთ: ძარცვა-ყაჩაღობა, მკვლელობა, ნარკომანია,პროსტიტუცია,სიძულვილი, დაუნდობლობა, საეთო ნიჰილიზმი და სასო წარკვეთა. სწორედ მათი "დამსა–ხურებაა" იმ არაქრისტიანული,არაერო–ვნული,არატრადიციული ცნობიერებისა და ცხოვრების წესის დანერგვა,რომელიც ღუპავს დღეს ჩვენს ქვეყანას, მათგან მოდის აგრეთვე ფსევდოდასავლური ორიენტაცია, ეროვნული და ზნეობრივი გადაგვარება, ყოველივე ამას ისინი შეგნებულად ნერგავენ, რითაც იმ დიდი სატანისტური საძმოს დავალებას ასრულებენ, რომელმაც მოავლინა

ისინი საქართველოში და ჩააბარა საჭე ხელისუფლებისა. ახლა რაც შეეხება თქვენს კითხვებს.

I. ქართული ცნობიერების საფუძველია ქრისტიანულ ფასეულობათა პრიორიტეტი, სულიერის მატერიალურზე მაღლა დაყენება, ღვთისა და ერისათვის თავგანწირვა და მარტვილობა, ქრისტიანული რაინდობა. ამ მახასიათებლების მიხედვით უწოდეს უცხოელებმა ძველ ქართველებს გეორგიანნი, რამეთუ საქართველოს აღიქვამდნენ როგორც წმინდა გიორგის ერთიან ორდენს. ეს არის ჭყონდიდელურ-აღმაშენებლური მსოფლმხედველობა, რუსთველური მსოფლმხედველობა. ქართული ცნობიერების ხატია წმინდა გიორგი, ბოროტების ძალთა წინააღმდეგ ამხედრებული, ამიტომ არის იგი გერბი საქართველოსი. ეს არის მოწამეობრივი იდეალის მსახურება, მებრძოლი სიკეთე, მებრძოლი ქრისტიანობა. უფრო დეტალურად ყოველივე ამას შეგიძლიათ გაეცნოთ ჩემს წიგნებში "საქართველოს სულიერი მისსია" და "ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება". სწორედ ამიტომ შეერთდნენ და შეკავშირდნენ დღეს საქართველოს წინააღმდეგ ბოროტების მსოფლიო ძალები, ამიტომ ცდილობენ ისინი დღეს საქართველოს სულიერად დაპყრობას, მის გადაგვარებას და განადგურებას. მაგრამ გახსოვდეთ იოანე მახარობლის სიტყვები:"და ვიხილე მხეცი იგი და მეფენი ქვეყანისანი და მხედრობანი მათნი შეკრებულნი ბრძოლის ყოფად მჯდომარისა მის ცხენსა ზედა და მხედრობისა მისისა მიმართ. და შეპყრობილ იქნა მხეცი იგი და მის თანა ცრუ წინასწარმეტყველი იგი, რომელმან ქმნნა წინაშე მისსა სასწაულნი, რომლითა აცთუნნა იგინი, რომელთა მიიღეს ბეჭედი იგი მხეცისაი და თაყუანის-სცეს ხატსა მისსა და ცოცხლივ შთავარდეს ორნივე იგი ტბასა მას ცეცხლისასა, რომელი იგი იწუების წუმწუბითა. და სხუანი იგი მოისრნეს მახვილითა ცხენსა ზედა მჯდომარისათა, რომელი გამოვიდა პირით მისით, და ყოველნი მფრინველნი გაძღეს ხორცითა მათითა" (იოანეს გამოცხადება, თ.19, 19-21).

II. მართლმადიდებლობა ქართული ცნობიერების საფუძველთა საფუძველია. შემთხვევითი როდია, რომ საქართველოში წმინდა გიორგის გვერდით დგას წმინდა ნიკოლოზი, კონფესიური მართლმადიდებლობის ბურჯი, ორივენი მფარველნი არიან ქართველი ერისა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა, ამ ორი წმინდანის სახელობის ეკლესიები ყველას სჭარბობენ საქართველოში. ქართული რელიგიური ელიტის აზრთამპყრობელნი მუდამ მართლმა დიდებელი მამები იყვნენ, შემთხვევითი როდია რომ ორი უდიდესი მათგანი იოანე ოქროპირი და მაქსიმე აღმსარებელი საქართველოს მიწაში არიან დაკრძალულნი. მართლმადიდებელ წმინდანთა და მოწამეთა სიმრავლითაც საქართველო პირველ ადგილზე დგას მსოფლიოში. ეს მიუთითებს მართლმადიდებლობის პრიორიტეტზე. დღესაც მტერმა პირველ რიგში ჩვენს ეკლესიას დაუმიზნა, შემოგზავნა სამღვდელოების რიგებში მართლმადიდებლობის მტრები, ცხვრის ქურქში გახვეული მგლები, რომელთაც დააკნინეს და თითქმის გაანადგურეს მართლმადიდებლური რწმენა. მტრის სადაზვერვო სამსახურების აგენტების ადგილი ეკლესიაში არ არის. ჩვენი ეკლესია უნდა განიწმინდოს მათგან, რათა ერი არ დაიღუპოს. აუცილებელია ახალი რუის-ურბნისი.

III. სექტანტობა შეუთავსებელია ქართულ ცნობიერებასთან, უწინარეს ყოვლისა თავისი დაკნინებული, მწვალებლური აზროვნებით, ზნეობრივი დეგრადაციით. სექტანტობა ჩვენი მტრის მთავარი იარაღია, შემთხვევითი როდია, რომ მის გავრცელებას დიდად უწყობდა ხელს კომუნისტური ხელისუფლება, დღესაც იგი მთავარი იარაღია ჭეშმარიტ სარწმუნო ებასთან

ბრძოლაში. სექტანტობის გაძლიერებას ხელს უწყობენ ჩვენი ეკლესიის ცრუ საჭეთმპყრობელნი, თავისი შეგნებული პასიურობით, ნიღილიზმით, ინდიფერენტულობით და უზნეობით.

IV. ანთროპოსოფია არ არის რელი–გიური აღმსარებლობა, იგი არ არის სექტა ან ორდენი. ეს არის შემეცნებითი მოძღვრება მატერიალიზმის წინა–აღმდეგ მიმართული. მე მესმის ამ კითხვის მიზანი. ამ კითხვასაც გავეცი სათანადო პასუხი ჩემს წიგნში "საქართველოს სულიერი მისსია". აქაც გეტყვით: მეც და მერაბ კოსტავასაც ყველა ფილოსოფიური და სულიერი მოძღვრება შეგვისწავლია ყველა ერისა, ეს ჩვენი შემეცნებითი ძიებები იყო, რაც არასოდეს უშლიდა ხელს ჩვენს მართლმადიდებლურ აღმსარებლობას. ასეთ ჭორებს ავრცელებენ უწიგნურნი, უმეცარნი, რომელთაც ვერ გაურჩევიათ ურთიერთისაგან რელიგიისა და შემეცნების მიზნები. დღეს უწიგნური და უმეცარი ადამიანი ვერ იქნება ჭეშმარიტი მორწმუნე. ბასილი დიდი არ უკრძალავდა თავის მოწაფეებს პლატონისა და არისტოტელეს კითხვას, დავით აღმაშენებელიც თავისი დროის ყველა მოძღვრებას სწავლობდა, მაგრამ მართლმადიდებლობისთვის არასოდეს უღალატია, ასევე იყო რუსთაველიც, რაც ჩანს მისი პოემიდან. ასე რომ ნუ აჰყვებით უმეცარ ავკაცთა მონაჭორებს. რელიგიურ და შემეცნებით საკითხებზე მსჯელობა მათი საქმე არ არის.

V. დასავლურ უზნეობას და კულტურის სუროგატებს თავად დასავლეთშიც ჰყავთ მოწინააღმდეგეები. რატომ მათ არ ბაძავენ ჩვენში ესოდენ გამრავლებული მოტრფიალენი "დასავლური ცხოვრების წესისა"? საქმე ის გახლავთ, რომ ამით შეგნებულად სურთ ქართული ქრისტიანული ცხოვრების წესისა და ზნეობის განადგურება, რათა უკეთ გადააგვარონ და მოსპონ ქართველი ერი. სხვათაშორის 1921 წელს საქართველოს დაპყრობისთანავე ბოლშევიკებმა თბილისში დააარსეს "ცეკვისა და პლასტიკის კურსები", სადაც ზნეობრივად რყვნიდნენ ახალგაზრდობას. დღეს მათი სულიერი მემკვიდრეები იმავე იარაღს იყენებენ. ამიტომ გთხოვთ, ძალიან ნუ გაგიტაცებთ "სილამაზის კონკურსების" მოწყობა და სხვა მსგავსი ღონისძიებები თმამოშვებული და საყურეებიანი "მამაკაცების" მონაწილეობით.

VI. სხვათაშორის დღევანდელ დასა–ვლეთში მამაკაცთა ემანსიპაციის მოძრაობაც დაიწყო, რაც იმის ნიშანია, რომ ხედავენ ქალთა ემანსიპაციის გადაჭარბებული, ცალმხრივი განვითა–რების საფრთხეს.

VII. ქართველი ქალისა და მამაკაცის სახე ყველაზე უკეთ ჩვენს ეროვნულ ტანსაცმელში და ეროვნულ ცეკვებშია გამოხატული. ქართული რაინდობა, იბერიულ-კავკასიური რაინდობაა ამ ჩაცმულობაში და ქალური კდემამოსილება. მე არ გეუბნებით დღეს ჩოხებითა და ქართული კაბებით იარეთ მეთქი, მაგრამ ის სული, რომელიც ამ ჩაცმულობით არის გამოხატული, უნდა აღდგეს ქართველ ქალში და ქართველ მამაკაცში.

VIII. ქართული ეროვნული ცნობიერება უნდა აღდგეს ქრისტიანული რწმენისა და ქართული ეროვნული იდეოლოგიის აღორძინებითა და პროპაგანდით, ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის აქტივი ზა ციით, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ხელისუფლების აღდგენით. ეს კი ჩვენი ბრძოლის უმთავრესი მიზანია. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგველის ეროვნული გადაგვარება და კატასტროფა. ღვთისა და მამულისათვის თავგანწირვა დღეს ერთადერთი გზაა გადარჩენისა!

1993. 27. თებერვალი

ზვიად გამსახურდია
maxvili mxilebisa

შეკითხვა: ბატონო პრეზიდენტო! თა–ვისთავად გასაგებია ქართველი მორწმუნე საზოგადოების სურვილი (მით უმეტეს, ყოველივე მომხდარის შემდგომ), გაიგოს თავისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცისა და პრეზიდენტის კომპეტენტური აზრი იმის თაობაზე, თუ ამჟამად მართლმორწმუნე მამულიშვილმა ღვთისა და ერისადმი სრულყოფილი მსახურებისთვის რა შეიძლება მოიფიქროს და მოიმოქმედოს.

ბოროტებისადმი დაუმორჩილებლობა ქრისტიანული ეთიკისა და პრაქსისის საფუძველთა საფუძველია. რა იყო პირველ ქრისტიანთა ცხოვრება, თუ არა უღმერთობისა და უზნეობისადმი დაუმორჩილებლობა? ქრისტიანობამ გაიმარჯვა ამ ბრძოლაში,რამეთუ საღვთო წერილი გვასწავლის: "საჭურველად გარე მოგადგეს ჭეშმარიტებაი მისი", ხოლო სიმართლისათვის დევნა სახარების პირველი ნეტარებაა. ის, ვინც არ იბრძვის სიმართლისათვის და არ არის დევნილი,არც ქრისტიანია. ამასთან, ყოველი დროის ტირანები ცდილობდნენ გაყალბებას მოციქულთა სიბრძნისას ხელისუფლებისადმი დამორჩილების შესახებ.როგორც ცნობილია,მოციქულები მოგვიწოდებდნენ ხელისუფ ლებისადმი დამორჩილებას, რამეთუ, მათი თქმით, ყოველი ხელისუფლება ღვთისგანაა. მაგრამ, საქმე ის გახლავთ, რომ მოციქულთათვის სიტყვა "ხელისუფლება" ნიშნავს ლეგიტიმურ ხელისუფლებას, კანონიერ ხელისუფლებას და არა უკანონო, ყაჩაღურ, უზურპატორულ ხელისუფლებას, რომელიც ეშმაკისაგან არის და არა ღვთისაგან.

რა შეიძლება მოიფიქროს და მოიმოქმედოს დღეს ჭეშმარიტად მართლმადიდებელმა და საკუთარი ერის მოყვარე ქრისტიანმა? მთავარზე უმთავრესია, ბრძოლა ჭეშმარიტი ქრისტიანობის აღორძინებისათვის, რასაც მრავალ დაბრკოლებას უქმნის ჩვენს ქვეყანაში გაბატონებული ანტი-ქრისტე. ქრისტიანობა არა მხოლოდ ქადაგებით, არამედ საქმით, ბრძოლა სატანასთან, როგორც სულიერ, ასევე ფიზიკურ პლანში. უაღრესად საჭიროა ნამდვილი მოძღვარნი, რომელთაც ძალუძთ არა მხოლოდ ლოცვა და ქადაგება, არამედ ეშმაკეულ ადამიანთა განკურნება, მათი სულიერად განწმენდა და გადარჩენა. უნდა გვახსოვდეს, რომ ეგზორციზმი ახასიათებდა არა მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიას, არამედ მართლმადიდებლურსაც. ამ თვალ–საზრისით უნდა ამოქმედდეს ბასილი დიდის კურთხევანი, თუ, რასაკვირველია, ეკლესიაში შეხიზნულმა ანტიქრისტეს მსახურებმა ეს ტექსტები არ გაანადგურეს. გვახსოვდეს,რომ ასურელი მამები, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი, ექვთიმე და იოანე მთაწმინდელები უდიდესი ეგზორცისტები იყვნენ, რაც ჩანს მათი ცხოვრებიდან; ასეთები იყვნენ, აგრეთვე, ჩვენს დიდ მღვდელმთავართა შორის უმეტესნი. მღვდელმთავრის ჩაცმულობაში ერთ-ერთი უმთავრესი ატრიბუტია "ენქერი", რომლის დანიშნულება დღეს მრავალმა სამღვდელო პირმაც აღარ იცის. ენქერი არის სულიერი მახვილი, რომლითაც მღვდელმთავარმა სულიერ პლანში უნდა განგმიროს ბოროტი არსებანი და დათრგუნოს ისინი ამ დედამიწაზე, დღეს კი, სამწუხაროდ, ჩვენ მღვდელმთავართა უმრავლესობა ამ ბოროტ არსებათა მონებად ქცეულან თავად! აი, რაზე უნდა დავცეთ განგაში უწინარეს ყოვლისა, აი, რას უნდა ვუშველოთ! სანამ ჭეშმარიტი რელიგია არ აღსდგება ჩვენში, ჩვენს ერს გადარჩენა არ უწერია.

ისტორიულად მრავალგზის დადას–ტურებული ჭეშმარიტებაა, რომ ერის

გადარჩენისა და აღორძინებისათვის, უპირველეს ყოვლისა, ჯერ ეკლესიის განწმენდაა საჭირო. მაგრამ, როგორც გვეჩვენება, ჯანსაღი რელიგიური წრეების მხრიდან ჯერჯერობით შედარებითი სიფრთხილე იგრძნობა რჯულის მოღალატე იერარქთა მხილების საქმეში, რაც გამოწვეულია სავსებით გასაგები და გასათვალისწინებელი მიზეზებით. საქმე ის გახლავთ, რომ ფარისევლობაში დაბრძენებული მოწინააღმდეგე (თვით საპატრიარქოს მესვეურთა ხელშეწყობით) ცდილობს ცალკეული უჯერო სასულიერო პირისა და ეკლესიის გაიგივებას რელიგიაში გაუთვითცნობიერებელი საზოგადოების თვალში, რათა მათ ამით ერთის სიძულვილით მეორეც შეაჯავრონ, კაცობრივი ცოდვა ღვთაებრივ სიწმინდეს გადააბრალონ

შეკითხვა: როგორ უნდა მოხერხდეს, რომ მართლმადიდებლური მოძღვრების საფუძველზე უკეთურნი ბოლომდე ვამ–ხილოთ და ამავე დროს საზოგადოება ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ არ დავაბრკოლოთ? ამისთვის მთელმა ეროვნულმა მოძრაობამ რა უნდა მოიმოქმედოს?

მინდა შეგახსენოთ ქრისტიანული ღმრთისმეტყველებისა და ჰაგიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ტერმინი "მართლმ–ხილება", რაც აგრეთვე, ქრისტიანული პრაქსისის საფუძველთა საფუძველია. ჭეშმარიტების სამსახური მარტო მის აღიარებაში როდი გამოიხატება. ეს სამსახური, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს სიცრუისა და ბოროტების მხილებას. მაცხოვარი ჩვენი მართლმხილების გამო აცვეს ჯვარს, მართლმხილების ძალამ, ღვთის ძალამ აღადგინა იგი მკვდრეთით და ცად აღამაღლა. მწიგნობართა, ფარისეველთა და ცრუ მღვდელმთავართა მხილება იყო მისი ქადაგებების ძირითადი მიზანი. ხალხს უნდა განვუმარტოთ განსხვავება ეკლესიასა და ფიზიკურ ტაძარს შორის. ეკლესია სულიერი გაგებაა, ეკლესია სულიერად არსებობს და ბჭენი ჯოჯოხეთისანი მას ვერასოდეს მოერევიან; ეკლესია მოძღვრებაა, ღვთის, ზეციურ არსებათა და წმინდანთა ერთობლიობაა. ეკლესია იდეაში არ–სებობს, ხოლო ტაძარი მატერიალურია და ამქვეყნად არსებობს. ყველა ტაძარიც რომ შემუსროს ბოროტმა ძალამ თავისი მსახურებითურთ, ეკლესიას მაინც ვერ გაანადგურებს. ანტიქრისტეს ძალუძს თავის გადაცმული მსტოვრები შეაგზავნოს ტაძარში, ეკლესიაში კი ვერ შეაგზავნის. "ეკლესიის ისტორიას შეიძლება ეწოდოს ჭეშმარიტების ისტორია", ამბობდა პასკალი. "ის დევნულებანი, რომელნიც დაატყდნენ თავს ეკლესიას, გვანან იმ ქარიშხლის მოქმედებას, რომელიც ებრძვის ჩაუძირავ გემს". აი, ეს ეკლესიაა დაფუძნებული "კლდესა ზედა", ხოლო კლდე – საღვთო ჭეშმარიტებაა, რაც უფრო მიემსგავსება ფიზიკური ტაძარი ეკლესიას, რაც უფრო მიუახლოვდება ამ იდეას, მით უფრო სრულყოფილია იგი". ღვთის ტაძარში მოკალათებულ ანტიქრისტეს მსახურთა მხილება კი ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანის უპირველესი მოვალეობაა. ამის გამო საუბრობენ ანტიქრისტეს მსახურნი მხოლოდ ტაძარზე (თემპლუმ). ეკლესიაზე კი არას ამბობენ, რამეთუ მათთვის მთავარია ნივთიერი და არა სულიერი. სულიერ ეკლესიას კი ებრძვიან აშკარად თუ ფარულად. ამიტომ არის მათი ღმერთი თხის რქებიანი და ჩლიქებიანი ბაფომეტი, ანდროგენული ურჩხული, რომელსაც თავზე ჩირაღდანი ადგას და რომელსაც ისინი უწოდებენ "თემპლუმ ომნიუმ ჰომინუმ პაცის აბბატ" ("ყოველთა კაცთა მშვიდობის ტაძრის მამა"). "თქვენ მამისა ეშმაკისანი ხართ" – ეუბნებოდა იესო ქრისტე ასეთ ადამიანებს. ჩვენთვის კი მამაა ღმერთი, ეკლესიის თავი და არა ცრუ ტაძრის კერპი. ამისთვისაა საჭირო ქრისტიანული განმანათლებლობა, რომე–ლიც განუმარტავს ყოველივე ამას გაუ–თვითცნობიერებელ ხალხს. მიწიერი

ეკლესია, ამქვეყნიური ადამიანებისაგან შემდგარი, უნდა ბაძავდეს ზეციურ ეკლესიას, მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში ასეთი რამ თითქმის აღარ არსებობს. მიწიერი ეკლესია დაპყრობილია უღმერთოთა ძალების მიერ. ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს საქართველოში აღდგეს მთავარი ეკლესია.

"ცრუ მოციქულნი, მზაკვარნი ღებულობდნენ სახეს ქრისტეს მოციქულისას. ეს არც არის გასაკვირი,რამეთუ სატანაც ღებულობს ნათლის ანგელოსის სახეს მაგრამ მათი აღსასრული საქმეთა მათთაებრ იქნება" – გვასწავლის პავლე მოციქული. მაცხოვარიც ტაძარში ამხელდა ქვაბავაზაკებს. ალბათ, გახსოვთ, თუ ვით აღლესა გრიგოლ ხანძთელმა "მახვილი მხილებისა", ხოლო, უფრო მოგვიანებით, დავით აღმაშენებელმა მთელი საეკლესიო კრება მიუძღვნა ასეთ მართლმხილებას. ამის გარეშე დღეს წარმოუდგენელია ჩვენი ერის განწმენდა და აღორძინება.

რაც შეეხება საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას, როგორც მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ნაწილი, იგი კვლავ ღვთის მადლის მატარებლად რომ დარჩეს, ამისათვისსაჭიროა "ტაძრის მსახურთა" კეთილმსახურება, ე.ი. ჩვენ შემთხვევაში – ბოროტმსახურთაგან ტაძრის განწმენდა, რასაც მხოლოდ სრული საეკლესიო კრება ახორციელებს, მთელი მართლმადიდებელი ერის თანადგომითა და უშუალო მონაწილეობით.

მართლმადიდებლობას მუდამ ახასიათებდა შემწყნარებლობა სხვა რწმენათა მიმართ. მართლმადიდებლობამ არ იცოდა ინკვიზიციის კოცონები, მართლმადიდებელი მღვდელმთავრები, იმპერატორები და მეფეები უფრო დარწმუნების გზას მიმართავდნენ. ანტიქრისტეს დღევანდელმა მძლავრობამ და საყოველთაო აპოსტასიამ (რაც ნაწინასწარმეტყველებია საღვთო წერილში) მრავალი დააბნია და მოსწყვიტა ჭეშმარიტ რწმენას. სამწუხაროდ, მრავალი დადებითი პიროვნება, კარგი მამულიშვილი ან უღმერთოა, ან მცირედ მორწმუნე. ასეთებს უნდა შევაშველოთ ხელი დახმარებისა, ისინი არ უნდა შევიძულოთ,მოთმინებით უნდა ვიზრუნოთ მათი გადარჩენისათვის, ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცევისათვის. გვახსოვდეს, რომ მაცხოვარიც და მოციქულებიც დიდი ტოლერანტობით გამოირჩეოდნენ. ისინი საბოლოოდ არ წირავდნენ არავის ღვთისა და სიკეთის აქტიური მტრების გარდა.

შეკითხვა: დღევანდელი სულიერი სიდუხჭირის ჟამს შეძლებს თუ არა ერი, რომ მისმა ძირითადმა ბირთვმა ეკლესიური და ტრადიციული მართლმადიდებლური ცხოვრებით იცხოვროს, სახელმწიფო კი ამგვარი საზოგადოებრივი ყოფის დამცველი გახდეს, თან ისე, რომ არ შეიზღუდოს არამართლმორწმუნეთა ადამიანური უფლებები?

გავიხსენოთ ქართველი ერის სიბრძნე: "სიბრძნე ებრძვის სიბრიყვეს უთოფოდ და უზარბაზნოდ". ეს უაღრესად ქრისტიანული მიდგომაა. არამართლმორწმუნეებს იდეურად უნდა ვეკამათოთ,მათი ადამიანური უფლებების პატივისცემა ჩვენ მხოლოდ გვაძლიერებს. რაუდენ მოწამეს, ევსტათე მცხეთელსა და აბო თბილელს არავინ ახვევდა თავს ქრისტიანულ სარწმუნოებას,მაგრამ ისინი ქრისტეს მოწამეები გახდნენ. ამაში იყო ძალა ჩვენი სარწმუნოებისა. სხვანი კი ცეცხლით და მახვილით ავრცელებდნენ თავის სარწმუნოებას. თორმეტმა ჭეშმარიტმა მორწმუნემ თითქმის მთელი მსოფლიო მოაქცია თავის რწმენაზე. მაცხოვრის სიტყვებით რომ ვთქვათ, "უკეთუ გვექნება სარწმუნოება თუნდაც ქრთილის ოდენი, მთას რომ ვუბრძანოთ, აღიძრება და ზღვად შთაიფხვრება". რწმენას სასწაულები ძალუძს.

ზვიად გამსახურდია

sityva warmoTmqulia sulxan-saba orbelianis saxelobis pedagogiuri universitetis studentTa konferenciaze 1990 wels

დიდად სასიამოვნოა ჩვენთვის ამ კონფერენციის მოწვევა, მაგრამ არ არის დასამალი, რომ ჩვენ ახალგაზრდობასთან პრეტენზიები გვაქვს. იცით, რომ ახალგაზრდობა არის ერთ-ერთი დასაყრდენი ჩვენი მოძრაობის. მაგრამ, კარგად გამიგეთ, არ იფიქროთ, რომ აქ ან რექტორს მოველაპარაკე, ან პედაგოგებს. ეს ჩემი აზრია. ვიფიქროთ ძირითადად იმ საქმიანობაზე, რისთვსაც თქვენ ხართ ამ დაწესებულებაში. სხვა საკითხია, რომ განათლების სისტემას სჭირდება რეორგანიზაცია, გაუმჯობესება. ამისთვის ჩვენც ვიბრძვით,თქვენც იბრძოლეთ. მაგრამ აკადემიური მოსწრება რასაც ჰქვია, ეს არანაკლებ სერიოზულია, მეგობრებო, ვიდრე პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობა. ეს არ გეგონოთ ტრადიციული ჭკუის დარიგება თქვენზე ასაკით უფროსი ადამიანის მიერ, არა, მეგობრებო! მე ამას გეუბნებით, როგორც თანამებრძოლებს და კოლეგებს. გახსოვდეთ, რომ ეროვნულ მოძრაობას სჭირდება ყოველმხრივ განათლებული, სპეციალობაში კარგად მომზადებული ადამიანები. ეს არ უნდა იყოს უწიგნურთა მოძრაობა, სხვაგვარად არ გამოვა, მეგობრებო! სასწავლო დაწესებულებების გაფიცვები ჩვენ ნუ გვიტაცებს. არ გვაქვს ჩვენ ისე ცუდად საქმე, მეგობრებო, რომ თქვენს ხარჯზე მოვაწყოთ გაფიცვები. მთელი საქართველო ჩვენთან არის. რა გვიჭირს იმის ფასი, რომ თქვენ ჩამოგარჩინოთ სწავლაში. აი, მე გთხოვთ ყველას, გთხოვთ სერიოზულად, მეტი იფიქროთ პროფესიის დაუფლებაზე. ისე არ გამოვიდეს, რომ ჩვენ ვართ უსაქმურთა და ზარმაცთა თავშესაფარი. მე ეს ნოემბრის შიმშილობაზეც ვთქვი, აპრილის დღეებშიც ვთქვი, ყოველთვის ვამბობდი ამას, მეგობრებო და ეხლაც ვიმეორებ.

მეორე ამბავი ის არის, მეგობრებო, რომ ძალზე მძიმე მდგომარეობაა ზნეობის თვალსაზრისით. ას შვიდი მკვლელობაა ამ უკანასკნელ ხანში თბილისში და ამას სჩადიან უმთავრესად ახალგაზრდა ადამიანები. ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვაცხადოთ ასეთი ადამიანები ერის მოღალატეებად, ეროვნული მოძრაობის მოღალატეებად და მათი ფოტობრალდებებით და ბიოგრაფიებით "უკვდავყოფთ" მათ, როგორც ერის მოღალატეებს. სხვა გამოსავალი არ არის.

თან გვაქვს მონაცემები, რომ ჩვენი მოსისხლე მტერი ფარულად წარმართავს ყოველივეს. ძალიან გთხოვთ, აი, ამაში ამოგვიდგეთ მხარში. ჩვენ პოლიტიკური თეორიების შექმნაში მოხმარება არ გვჭირდება. კი, ბატონო, თქვენც შექმენით, მაგრამ მოდით, ზნეობის საკითხებში უფრო მეტად დავუჭიროთ მხარი ერთმანეთს, რომ არ დავღუპოთ ერი, მეგობრებო!

მინდა, კიდევ გისურვოთ, რომ ახალგაზრდობა უფრო ინტენსიურად ჩაებას რელიგიურ ცხოვრებაში. ღვთისმეტყველების და რელიგიის გარეშე არ არსებობს არავითარი განათლება, მეგობრებო! ეს კომუნისტებმა შემოიღეს ანტირელიგიური განათლება. მოვექცეთ რწმენაზე საქმით, პრაქტიკულად, ვინაიდან "სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკვდარ არს", როგორც არის ნათქვამი ბიბლიაში. აი, ეს არის ჩვენი სურვილები.

ისევ ზნეობას დავუბრუნდეთ. საშინელი

მდგომარეობაა სკოლებში ზნეობის მხრივ. რა მეტყველებაა, რა მეტყველებაა სკოლებში; რა ენაზე მეტყველებს ჩვენი ახალგაზრდობა?! დაივიწყა წინაპრების ენა, წინაპართა სარწმუნოება, გადავიდა საშინელ მეტყველებაზე, რომელიც ყურით არ მოისმინება. აი, რას უნდა ვებრძოლოთ პირველ რიგში, მეგობრებო, და მერე ვიმსჯელოთ მაღალ პოლიტიკურ საკითხებზე და მერე გავარჩიოთ მსოფლიო პოლიტიკის და თუნდაც შიდა პოლიტიკის საკითხები. შეძრული ვარ, ისეთი სიტყვები მესმის, როდესაც დავდივარ სკოლებში. მეტყველება სულის ანარეკლია, მეგობრებო! ის სულის გამოხატულებაა. ეს ამ კომუნისტურმა წყობამ გადააგვარა ასე ადამიანები, კომუნისტურმა წყობამ წაართვა რელიგია, ზნეობა. ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ ყოველივე ამას, თუ გვინდა, რომ მართლაც ვიბრძოლოთ დამოუკიდებლობისათვის. ჩვენი ერი ვერასოდეს ვერ იქნება დამოუკიდებელი, თუ ის ზნეობრივად არ ამაღლდა, რელიგიურად არ ამაღლდა, მეგობრებო! ესეც უნდა გვახსოვდეს, მეგობრებო, რამეთუ ისტორიამ იცის სასჯელები, მე დიდ დავით გურამიშვილს გაგახსენებთ. როგორ უკავშირებს ის საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას და მის უბედურებას რელიგიის დაკარგვას და ზნეობის დაცემას. ხომ გვახსოვს ყველას "ქართლის ჭირი".

მე კიდევ ვიმეორებ და გთხოვთ, რომ ჩვენს მეგობრებს, ნაცნობებს, ყველას მოვუწოდოთ, რომ აღარ მოხდეს ჩვენს თბილისში, მთელ საქართველოში ის მახინჯი მოვლენები, რომლებმაც ჩვენს ახალგაზრდობას სახელი გაუტეხა. აი, ეს არის ჩემი უპირველესი სურვილი.

მასალები საქართველოს ეროვნული გმირის სელიმ ხიმშიაშვილის პორტრეტისათვის

სელიმ ხიმშიაშვილი იყო ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე,რომელიც იბრძოდა ოსმალთა ბატონობისაგან საქართველოს გასანთავისუფლებლად, მე-18-19 საუკუნის მიჯნაზე დაიწყო ოსმალთა იმპერიის დასუსტება, ამით ისარგებლა სელიმ ხიმშიაშვილმა და დაიწყო ბრძოლა ოსმა–ლთა იმპერიიდან აჭარის გამოყოფისა და საქართველოსთან შესაერთებლად.

ხიმშიაშვილები აბუსერიძეების ნასა–ხლარზე ისხდნენ. აბუსერიძეების უშუალო სამკვიდრებელი კი იყო სხალთისწყლის ხეობის ზედა ნაწილი, სადაც ედგათ სასახლე ბაკო. ხიმშიასვილების ძირითადი ნაფუძვარი იყო ნიგაზეური და მსხალთა, ხოლო საზაფხულო რეზიდენცია ქონდათ ბაკოში კერძოთ ქოჩახში, სადაც დაიბადა სელიმ ხიმშიაშვილი 1755წლის 3 ივნისს. ქოჩახი ერთი დიდი სოფელი ყოფილა, მას შესანიშნავი მდებარეობა აქვს, იგი გაშლილ ველზეა გაშენებული. სხალთის წყლის ხეობაში ასეთი ვრცელი ვაკე ადგილი არ აქვს არცეთ მაღალმთიან სოფელს, ჩრდილოეთიდან მას სხალთის წყალი ჩაუდის, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან კი აკრავს ნაძვნარი ტყე. სოფელს ცხოვრებისათვის საჭირო ყველა პირობა გააჩნია, აქვს მდიდარი საძოვრები და სათიბები,შესანიშნავი სასმელი წყლები. ქოჩახის ახლოს ბაკოს გავლით გადიოდა საქარავნო გზები, რომელიც აკავშირებდა ერთმანეთს, ჩინეთს ხმალთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებს. ქოჩახიდან ერთი საათის სავალზე სოფელ ბაკოს თავში ხირხათის ქედის ტაფობზე მდებარეობს ციხე ხიხანი. რომელიც კეტავდა საქართველოს

სამხრეთ კარიპჭეს არაბების, თურქ-სელჩუკების, მონღოლებისა და სხვათა შემოსევებისაგან, რის გამოც სოფელს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ხიმშიაშვილებიდან სელიმი იყო ქოჩახის უკანასკნელი ბინადარი, რადგან მის შვილებს, შემდეგში იქ აღარ უცხოვრიათ.

სელიმ ხიმშიაშვილს მიღებული ჰქონდა კარგი განათლება, რის საფუძველსაც გვაძლევს სელიმის მიერ ქართულ ენაზე შედგენილი პოლიტიკური წერილები მიწერილი გურიის მთავრობისადმი და კავკასიის რუსული ხელისუფლებისადმი.

სელიმ ხიმშიაშვილის მსოფმხედვე–ლობის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ოსმალთაგან მიტაცებულ აჭარაში თანდათან ინერგებოდა დამპყრობელთა წესები და ზნეჩვეულებანი. ამ პერიოდში აჭარაში ოსმალთა იმპერიამ სახელმწიფო ენად თურქული გამოაცხადა. სამხრეთ-საქართველოს მაღალი საზოგადოება ოფიციალურ შეხვედრებსა თუ საზო–გადო დაწესებულებაში სასაუბროდ უკვე თურქულ ენას იყენებდა. თავის მდგომარეობიდან გამომდინარე სელიმ ხიმშიაშვილსაც უნდა სცოდნოდა თურქუ–ლი ენა და არაბული წერა-კითხვა.

1784-1785წლებში სელიმი ღებულობს ფირმანს,რითიც ხდება აჭარის მმართველი და გამოდის დიდ პოლიტიკურ ასპარეზზე. ისტორიულ დოკუმენტებში სელიმის მამა აბდულა მოიხსენიება აღად, ოსმალოთა ადმინისტრაციაში მაღალი თანამდებობა იყო და რჩეულ ცხენოსანთა რაზმის უფროსს ერქვა. ჩანს მამამ, განსაკუთრებით კი სელიმმა ამ ძალაზე დაყრდნობით გაიკაფეს გზა მაღალი თანამდებობებისაკენ.

მე-18 საუკუნის დამლევიდან ოსმა–ლთა იმპერიის ცენტრალური ხელი–სუფლების დასუსტებას თან მოჰყვა ქვეყნის დეცენტრალიზაციის პროცესი, დაიწყო მსხვილ მოხელეების განდგომა. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დაიწ–ყო ბალკანეთში, ერაყსა და ეგვიპტეში, იგივე ტენდენციებმა თავი იჩინა სამაჰ–მადიანო საქართველოშიც, კერძოდ სამცხე-საათაბაგო ანუ იგივე ახალციხის საფაშოში. ოსმალეთმა იგი მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში მიიტაცა. ახალციხის საფაშო ადმინისტრაციულად ვრცელი ოლქი იყო, სხვა რაიონებთან ერთად მასში აჭარაც შედიოდა, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული.

მე-19საუკუნის დასაწყისში აჭარა იყო ოსმალეთის ნახევრად ვასავლური პროვინცია, რომელსაც ქართველი ბეგები ხიმშიაშვილები განაგებდნენ. ოსმალეთში თანამდებობა ეძლეოდა არა მემკვიდრეობით, არამედ სულთანის ფირმანით, რომელიც გარკვეული ვადით იყო განსაზღვრული. აჭარა ადმინი–სტრაციულად კი ემორჩილებოდა ახალციხის ფაშას, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანი პრივილეგიებით სარგებ–ლობდა. აჭარის მმართველი, სახელმწიფო მიწებისგან შემოსავლის გარკვეულ ნაწილს თავად იტოვებდა და რაც მთავარია ჰქონდა თანამდებობის მემკვიდრეობით გადაცემის უფლება, ამ გარემოებამ დააჩქარა ხიმშიაშვილების ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერება.

როგორც ჭეშმარიტი ქართველი სელიმ ხიმშიაშვილის მიზანი იყო სამხრეთ საქართველოს განთავისუფლება ოსმალო-დამყრობლებისაგან. ამისათვის მისი ძალები, კერძოდ მხოლოდ აჭარა საკმარისი არ იყო, მან ფეხით შემოიარა და გაიგო დაპყრობილი ქართველი მოსახლეობის განწყობა და მზად ყოფნა თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ამის შემდეგ მან დაიწყო მოკავშირეების ძებნა საქართველოს შიგნით, კავშირს ამყარებს იმერეთის მეფე სოლომონთან, ქართლ-კახეთ ის მეფე ერეკლე-მეორესთან, ხოლო გურიის მთავარ მამია გურიელთან მოყვრდება.

გამოიკვეთა, რომ ახალციხის ფაშის ძალაუფლების გამოყენება აუცილებე–ლი პირობა იყო ამ მიზნის განხორციე–ლებისათვის. ახალციხის საფაშოში შედიოდა ვრცელი მიწა-წყალი კერძოდ,

სამცხე- ჯავახეთი, ბათუმის და ზღვის კიდეთა სამფლობელოები, მასშივე შედი–ოდა ფოთის ციხის გარნიზონი, რაც ცხადია ზრდიდა მის სტრადეგიულ მნიშ–ვნელობას.

1792 წლის 26 მაისს სელიმ ხიმშიაშვილი მოკავშირეთა საძებნელად მიდის თბილისსში, ქართლ-კახეთის სა–მეფო დედაქალაქში და ხვდება მეფე ერეკლე მეორეს. ერეკლე მეორე ბაზიერთ უხუცესის იოსეფ ბებუთაშვილის მეშ–ვეობით ახალციხეში მიმდინარე მოვ–ლენების კურსში იყო. ინტერესით შეჰყუ–რებდა სელიმ ხიმშიაშვილის პოზიციას. ამ პერიოდში ახალციხის ფაშა იყო შერფ-ჯაყელი., რომელსაც გამოუჩნდა ძლიერი კონკურენტი

1797 წლის აპრილში ახალციხეში მოხდა გადატრიალება, რომელშიც სელიმ ხიმშიაშვილის ხელიც ერია.

1801 წლის 3 მაისს სელიმ ხიმშიაშვილი ჯარით მოულოდნელად დაეცა ახალციხეს, მეორე დღეს რაბათშიც შეიჭრა, მაგრამ ციხე ვერ აიღო და ჯარით უკან დაიხია. სელიმ ხიმშიაშვილს ფარხმალი არ დაუყრია, დაუკავშირდა თავის გურულ მოყვრებს, კერზოდ შვილის აბდილბეგის დაწინდულ კესარიას ძმას, გურიის მთავარს მამია გურიელს, აგრეთვე სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს და ისინი ახალციხის მომავალ ლაშქრობაში მოკავშირეებად შეიპირა.

სელიმ ხიმშიაშვილი და სელიფ ყიფიანი შეუთანხმდნენ ყარსის ფაშას მეჰმედს ერთობლივი ძალებით გაილაშქრეს ახალციხეზე. ამ ლაშქრობაში ჯარის დიდი ნაწლი აჭარიდან იყო, მოკავშირეები ისე სწრაფად მოქმედებდნენ, რომ ფაშამ ვერ შესძლო წინააგმდეგობის ორგანიზება და მცირე რიცხოვანი ამალით არზრუმს გაიქცა. ძველ ქართულ ციხე-ქალაქთან ოლთისთან, რომელიც ძველად საქართველოს სამხრეთი საზღვრის საიმედო ბურჯი იყო ერთმანეთს გადამწყვეტ ბრძოლაში შეეჯახნეენ შერიფ ჯაყელი და სელიმ ხიმსიაშვილი.

1801წლის 21 ნოემბრს შერიფ ჯაყელი დამარცხდა და უკუიქცა. მემატიანე გვიდასტურებს ოლთისი აჭარლებმა, რომ აიღეს ზარბაზნები ისროლეს.

იმპერიის ცენტრალურმა მთავრობამ მაშინვე გამარჯვებულის მხარე დაიჭირა.

1803წლის 21 სექტემბერს სულთანისაგან სელიმ ფაშას თუღები და მუყარლამა მოუვიდა, სელიმ ყიფიანი მის სილაჰდარად და მუსელიმად დაინიშნა.

ახალციხის საფაშოს ტახტისათვის ბრძოლაში გამარჯვებული სელიმ ხიმშია–შვილი იმპერიის სამოხელეო იერაარქიის ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურზე შედგა, ამიერიდან იგი იყო ვრცელი პოლიტიკური ადმინისტრაციული ერთეულის გურჯი–სტანის ან ახალციხის საფაშოს ბეგლარბეგი მას ემორჩილებოდა მთელი ადმინისტრაციული და სამხედრო ხელი–სუფლება, თავის ტერიტორიაზე ჰქონდა ისეთივე განუსაზღვრელი უფლებები, როგორც სულთანს იმპერიაში. ამიერიდან სელიმი სულთანის ვეზირი და მის კარზე არსებული საბჭოს წევრი გახდა.

ახალციხის სამეფოში შედიოდა ვრცელი მიწა-წყალი კერძოდ ოფიცი–ალურად ემორჩილებოდა ვრცელი მიწა-წყალი, კერძოდ ბათუმის და ზღვის კიდეთა სამფლობელოები, მასშივე შედიოდა ფოთის ციხის გარნიზონი, რაც ცხადია ზრდიდა მის მნიშვნელობას.

ქრონიკებიდან ჩანს, რომ სელიმი იყო ენერგიული, მახვილგიონიერი კაცი, რომელიც ხალხს კარგად ექცეოდა, სელიმმა ალაგმა მექრთამე მოხელენი და მეჯლისის ყადები, რის გამოც იგი ხალხს დიდად უყვარდა.

1806წლის 13სექტემბერს ფაშამ მოწყა–ლება გაიღო და დაკეტილი კათოლიკური საყდრის კარების გახსნა ბრძანა, ამ გადაწყვეტილებამ იოანე ხუცესის სიტყვით კათოლიკე მორწმუნენი აღაფრთოვანა.

ოფიციალურად სელიმ ხიმშიაშვილის ურთიერთობა საქართველოს ტერიტ–ორიების გაერთიანების მიზნით ამიერ კავკასიის რუსულ ხელისუფლებასთან 1803 წლის ზაფხულიდან დაიწყო, სელიმ ხიმშიაშვილი და პ. ციციანოვი პირადად

იცნობდნენ ერთმანეთს, სელიმ ბეგი, როცა თბილისსში გახლდათ მთავარ მართებელმა ციციშვილმა მას კაი ნადიმი გაუმართა, ნადიმის დროს მთავარ მართებელს იგი მშვენიერის ქართულით ესაუბვრებიდა, საუბრის დროს მთავარ მართებელს სელიმ-ფაშა-ხიმშიაშვილი ნატვრას უცხადებდა მის შესახებ, რომ ეგები ახალციხე მისი თემით თქვენ შემოგიერთდეთ, ეს შეხვედრა თუ კი მართლა იყო ალბათ 1803-1806წლებში შედგა, რადგან ციციანოვი 1806 წლის თებერვალში მოკლეს ბაქოს ციხის კედლებთან.

1807წლის, რუსეთ-ოსმალეთის ომში სელიმმა პასიურობა გამოიჩინა. ოსმა– ლეთის იმპერიამ მისი უმოქმედობა დანაშაულად ცნო და მოღალატეთ გამოაცხადა.

1815წლის გაზაფხულისათვის სულ– თანის ბრძანებით არზრუმის მმართვე– ლმა ბაბა-ფაშამ 15 ათასი კაცი შეაგროვა და გაეშურნენ სელიმ ხიმშიაშვილის წინააღმდეგ, რომელიც განსაკუთრებით გამაგრებულ აჭარაში ჩაიკეტა.სელიმი გაერიდა მტრის რიცხობრივ უპირა– ტესობას, და მიუდგომელ ხიხანის ციხეში გამაგრდა, თან ერთი წლის საკვები შეიტანა, თურქებმა ალყაში მოაქციეს ხიხანის ციხე, ციხე მიუდგომელი იყო და მის აღებას პირი არ უჩანდა, ამიტომ თურქებმა დაიწყეს სოფლების გადაწვა, მოსახლეობის აწიოკებდა, ამ დროს ხიხანში ჩაკეტილ სელიმს გარედან დახმარების არანაირი იმედი არ ჰქონდა, 1812წელს ბუქარესტის ზავის თანახმად რუსეთმა ქალაქი ფოთი და ახალქალაქი დაუთმო ოსმალეთს, გარეგნულად ამ ორ იმპერიას შორის ურთიერთობა დათბა, ამ პერიოდისათვის რუსეთმა სელიმ ხიმშიაშვილი გაწირა.

1815 წლის 10 მაისს რუსეთის გენერალი რეტიშჩევი თურქეთის სულთნის წარმომადგენელს, ბაბა-ფაშას უგზავნის წამქეზებელ წერილს: სელიმი რუსეთში ვერსად ნახავს მფარველს, ვერც თავშესაფარსო.

ხეობაში შექმნილ სიტუაციას საკუ– თარი თვალით ხედავდა სელიმ ხიმ– შიაშვილი, უაზრო სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად გადაწყვიტა თვითონ ჩაბარებოდა მტერს და ციხის უფროსს თავის უახლოეს მეგობარსა და თანამებრძოლს ზენდიდელ თულუმბა-ბეგ-ბეჟანიძეს დაავალა ციხის კარების გაღება.

1815 წლის 31 მაის სელიმი ჩაბარდა,იგი წამოიყვანეს სოფელ ბაკოში, სერიყანაში და 1815 წლის 3 ივნის, მისი დაბადების დღეს ჯალათებმა თავი მოჰკვეთეს და მოჭრილი თავი სულთანს მიჰგვარეს.

მისი სხეული მისმა თანამებრძოლებმა ჩუმად გაიტაცეს და დაასაფლავეს ბაკო – თხილვანის ბოლოს შიგანაში, კერძოდ მერეში ასწლოვანი კაკლის ხის ძირში, ხოლო მოგვიასნებით მისმა მეუღლემ ელმას-ხანუმ სურმანელიძემ ნეშთი გადაასვენა მშობლიურ სოფელ ნიგაზეულში, სადაც დღემდეა მისი საფლავი.

ანდერძი..,,,,,,,, სელიმმა დატოვა ანდერძი "მე თავს მჭრით,მაგრამ გეტ– ყვით, გურჯისტანი ოსმალეთს სამუ– დამოდ არ შერჩება, ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს ვუტოვებ" ამ ანდერძმა გააერთიანა ქართველი მამულიშვილები აჭარის გამოხსნისა და დედასამშობლო-საქართველოსთან დაბრუნებისათვის საბ– რძოლველად.

ანდერძი 2

ზაქარია ჭიჭინაძეს ასე ჩაუწერია სელიმის ბოლო სიტყვები. უშუალო მხილველებისაგან

"გეტყვით იმას ,რომ სულ ერთია ეს ქვეყანა და ხალხი ოსმალეთს არ შერჩება,ეს ქვეყანა საქართველოა, ჩვენი ენა ქართულია და არა ოსმალური, ჩემი ფიქრი მაინც შესრულდება. მე თავს მომჭრით, მაგრამ რჩება მეორე სელიმ ფაშა, რომელიც განაგრძობს ამ შრომას, ქართველ მაჰმადიანებში ჯარს მოჰკრებს და ბოლოს იგი მიაღწევს იმ საწადელს, რასაც თქვენი წყალობით მე ვერ მივაღწიე, ეს უსათუოთ მოხდება და ეს ქვეყანა

ოსმალეთს არ შერჩება.”

მისი ანდერძი 50წლის,შემდეგ მისი შვილიშვილის შეროფ ხიმსიაშვილის მეთაურობით განხორციელდა 1877-1878 წლების რუსეთ –თურქეთის ომის შედეგად.

სელიმის მიერ შედგენილ დღემდე ცნობილ შვიდ წერილში კარგად ჩანს საქართველოს გაერთიანების სურვილი. წერილები რომლებიც გაგზავნილია იმერეთის მეფის სოლომონ მეორის, ერეკლე მეორის, მამია გურიელისადმი წარმოგვიჩენს ბიოგრაფიის საინტერესო დეტალებს, წერილებიდან ჩანს ,რომ სელიმ ხიმშიაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ერეკლე მეორეს სამეფო კართან, თვით მეფესთანაც და ერთგული იყო ერეკლე მეორის იდეებისა, განსაკუთრებით საინტერესოა 1804წლის 15 ნოემბერს კავკასიის მთავარ მართებელ პავლე ციციანოვისადმი (ციციშვილი) გაგზავნილი წერილი, ამ წერილით წარმოჩნდება სპეტაკი ქრისტიანობისა და შეგნების მქონე ბრძენი კაცი,დიდი სელიმ ხიმშიაშვილი თუმცა ამ დროისათვის ოფიციალურად იყო მუსულმანური რწმენის ამღსარებელი, ამ წერილიდან ჩანს,რომ ჯერ კიდევ ახსოვს მამაო ჩვენო და ლოცულობს ქართულად.

,,,

mzakvruli Canafiqri Tu Cveuli gulgriloba da uunaroba?!
(vis uSlis xels osmalTa 300-wlovani batonobisagan aWaris ganTavisuflebis memorialis q. baTumSi aRmarTva)

იმ ფონზე, როდესაც აჭარა და არა მხოლოდ აჭარა, მეზობელი თურქეთის სახელმწიფოს ეკონომიკურ და იდეოლოგიურ გავლენას განიცდის, რაც, თუ ასე გაგრძელდა, უდავოდ, პოლიტიკურ გავლენაში გადაიზრდება, ასეთ დროს აჭარაში და მთლიანად საქართველოში არსად არ არსებობს იმ შავბნელი 300-წლოვანი პერიოდის ამსახველი რაიმე ძეგლი, მემორიალი - სიმბოლო ჩვენი წინაპართა ეროვნულ - გამანთავისუფლებელ მოძრაობისა, რომელიც საბოლოოდ გამარჯვებით დამთავრდა.

ჩვენი ასეთი უუნარობითა და გულგრილობით სარგებლობს მეზობელი სახელმწიფოს რეაქციული ძალები, რომელნიც არ მალავენ თავიანთ ამბიციას აჭარაზე და მას ოსმალეთის განუყოფელ ისტორიულ ნაწილად თვლიან. ამ აზრის პროპაგანდას ეწევიან მოსახლეობაში...,

არაერთხელ საქვეყნოდ განვაცხადეთ: ჩვენთვის ძვირფასია მეზობელ თურქ ხალხთან მეგობრობა და კეთილმეზობლობა, რომელიც ბუნებით თვით ღმერთისგან არის განპირობებული, მაგრამ ამ მეგობრობას სწორი მიმართულების მიცემა ესაჭიროება და არ უნდა ხდებობეს ქართული ეროვნული ღირსების და ინტერესების დაკნინების ხარჯზე, რაც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას.

რუსთაველი ბრძანებს : „რა მისჭირდეს მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“. აქედან გამომდინარე, 2013 წლის 17 აგვისტოს აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის ინიციატივით ქობულეთში, ჩოლოქში, გაიმართა სახალხო საზეიმო მიტინგი აჭარის განთავისუფლებისა და დედა-საქართველოსთან დაბრუნების 135-წლის აღსანიშნავად.აქვე შეკრებილმა საზოგადოებამ მოიწონა ჩვენს მიერ წარმოდგენილი იდეა - აღიმართოს ამ დიდად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის აღსანიშნავი მემორიალი. ასევე 25 აგვისტო გამოცხადდეს სრულიად საქართველოში ეროვნულ დღესასწაულად როგორც აჭარის განთავისუფლებისა და დედა-საქართველოსთან დაბრუნების დღე.

აღნიშნული ღონისძიებების გატარება დიდად მნიშვნელოვანი აუცილებელი მოვლენა იქნება ქართული ეროვნული და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ, როდესაც თურქეთის რეაქციული ძალები აჭარას ოსმალეთის ისტორიულ



ნაწილად მოიხსენიებენ და ყველაფერს აკეთებენ აჭარაში თავიანთი გავლენის გასაძლიერებლად ამ დროს აქ :

1. აღმართული მემორიალი მთელ სამყაროს, ტურისტს თუ ადგილობრივს, მტერს თუ მოყვარეს, მომავალ თაობებს სამარადჟამოდ უჩვენებს, რომ აჭარა ოსმალეთის ისტორიული ნაწილი კი არ იყო, არამედ ოსმალეთის მიერ მიტაცებული 1878 წლის 25 აგვისტოს დედასაქართველოს დაუბრუნდა.

2. 25 აგვისტოს სრულიად საქართველოში ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადება ჩვენი ერის ღირსეულ მომავალს უფრო ემსახურება, ვიდრე ისტორიული წარსულის ხსოვნას.

აჭარისა და მესხეთის ოსმალთა იმპერიისაგან განთავისუფლება ერთადერთი პრეცედენტია საქართველოს ისტორიაში, რომ საქართველო, რომელიც მუდმივად კარგავს ტერიტორიებს, დაკარგული დაიბრუნა. ეს კი ჩვენ ხალხს, თანამედროვეთ და მომავალ თაობებს იმედით განაწყობს, რომ დაკარგულის დაბრუნება შეიძლება,მიუხედავად დროის ხანგრძლივობისა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სიტყვა საქმედ იქცა. ერთი წლის მანძილზე სახალხო შემოწირულობებით შეგროვდა საჭირო თანხა, შევიძინეთ გრანიტის ქვა, რომელზედაც ბრინჯაოში ჩამოსხმულია ისტორიული მოვლენის ამსახველი ბარელიეფები, გორელიეფები და მრგვალი ქანდაკებები.

2014 წლის 14 მარტს ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში შედგა მემორიალის პროექტის განხილვა. აქ დამსწრე აჭარის ინტელიგენციამ, მოქანდაკეებმა, არქიტექტორებმა, მხატვრებმა, მწერლებმა, მეცნიერებმა, თეატრის მსახიობებმა, პედაგოგებმა, ექიმებმა, საზოგადო მოღვაწეებმა და ფართე საზოგადოებამ (დაახლოებით 150 კაცი) დიდად მოიწონეს მემორიალის პროექტი თავისი შინაარსობრივი და ვიზუალური დატვირთვით და მოითხოვეს მისი ქ. ბათუმის ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე განთავსება. აქვე აღნიშნეს, რომ ეს დღე, დემოკრატიის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დღეა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, როდესაც ქალაქის საზოგადოება იხილავს რა და სად დაიდგას, რაც, სამწუხაროდ,ხშირად არ ხდება,რის შედეგადაც მივიღეთ შლოპანცების, დაჭეჭყილი ბოთლის ძეგლი, მამათმავლების ძეგლი და სხვა სიმახინჯე.

მემორიალის პროექტმა ბათუმში

წარმატების შემდეგ ფართე საზოგადოების მხარდაჭერა მოიპოვა მთელ საქარ–თველოში. შემოწირულობებით შესაძ–ლებელი გახდა მემორიალის ხორცშესხმა. მემორიალის იდეით აღფრთოვანებულმა მწერალმა თენგიზ ცეცხლაშვილმა მიუძღვნა წიგნი „ერის სადარაჯოზე“ ჯერ კიდევ არდადგმულ მემორიალს და მამულიშვილთა კავშირის საქმიანობას.

მემორიალის წარდგინება-განხილვა მოხდა ქ.თბილისში საქართველოს ეროვნულ აკადემიაში, ხელნაწერთა ინსტიტუტში, ქართულ უნივერსიტეტში, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურა. 6 ოქტომბერს მემორიალის განხილვა შედგა დიდი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის სალონ-მუზეუმში.

მერაბ ბერძენიშვილმა მემორიალს „ბრწინვალე ჩანაფიქრის ბრწყინვალე შესრულება“ უწოდა.

იმავე დღეს,6 ოქტომბერს ,ქ. თბილისის სამების საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს საგვარეულო კავშირის დარბაზის შეკრებაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნებით შედგა მემორიალის ლოცვა-კურთხევა.

***

უკვე თითქმის ექვსი თვეა უძვირფასესი მემორიალი სახალხო შემოწირულობებით მზად არის დასადგმლად. მთელი საქართველო ელოდება მხოლოდ და მხოლოდ ქ. ბათუმის საკრებულოსაგან მემორიალის დადგმისათვის ადგილის გამოყოფას...

ათი თვის მანძილზე ადგილის გამოყოფის მოთხოვნით მრავალჯერ მივმართეთ ქალაქის მერს გიორგი ერმაკოვს, საკრებულოს თავმჯომარეს, ჯერ ირაკლი ჩავლეიშვილს, არჩევნების შემდეგ კი - ირაკლი ჭეიშვილს. ასევე თანადგომისთვის არაერთხელ მივმართეთ აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს არჩილ ხაბაძეს, უმაღლეს საბჭოს, განათლების,კულტურისა და სპორტის სამინისტროს,მაგრამ სრულიად უშედეგოდ. ერთადერთი მიზეზი უარის თქმის, რასაც ასახელებენ ირაკლი ჭეიშვილი, ნინო ბერაძე არაოფიციალურად პირად საუბრებში არის ის, რომ მეზობელი თურქეთი არ გაგვინაწყენდესო. ირაკლი ჭეიშვილმა, ირაკლი ჩავლეიშვილმა პირადად მთხოვეს, რომ აჭარის ოსმალეთისაგან განთავისუფლება



არ გვეხსენებინა, მხოლოდ დედა-საქართველოსთან დაბრუნება...

აქ უკვე გაგვიჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ დღევანდელი ქალაქისა და კუთხის ხელმძღვანელობა, რომლებიც ნაციონალური რეჟიმის მიერ დაწყებულ საქმეს უცვლელად და ურცხვად აგრძელებენ, კერძოდ, რომ აჭარის ზღვისპრეთის საუკეთესო მიწების 70%-ზე მეტი დღეს თურქ მოქალაქეებს ეკუთვნის. აჭარაში არავითარი ბიზნესი თურქების გარეშე არ კეთდება, ყველა სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტები, მათ შორის ბათუმის ირგვლივ სიმაღლეები, საიდანაც ყოველთვის ისტორიულად ხდებოდა ქ. ხოფასა და ქ. ფოთის მიმართულებით სამხედრო კონტროლი, რომ ეს ყველაფერი თურქი მოქალაქეების ხელშია, ბათუმი-გონიო უცხოელების გასართობ, გარყვნილებისა და სავაჭრო ობიექტად გადააქციეს; ამის შემყურე ხელისუფლება არაფერს აკეთებს ეროვნული ღირსებისა და ინტერესების დასაცავად, საკუთარი ფუფუნების სანაცვლოდ თურქეთის სახელმწიფოს ინტერესებს ხომ არ ემსახურებიან?! აჭარაში მოქმედ თურქ ბიზნესმენთა საამებლად, ვისთანაც ბევრი აკავშიორებთ, ხომ არ ამბობენ უარს მემორიალის დადგმაზე, რადგანაც კარგად იციან, რომ მათგან განსხვავებით თურქი ბიზნესმენები საქართველოში ბიზნესთან ერთად თურქეთის სახელმწიფო ინტერესებს იცავენ?! ასეთი ეჭვების არსებობას ის სამწუხარო ფაქტები მოწმობენ, რომ აღნიშნულ ფონზე, როდესაც ამ მოტივით უარს ამბობენ მემორიალისათვის ადგილის გამოყოფაზე, ამ დროს, 2014 წლის 8 ნოემბერს დიდი პატივით და ცერემონიებით ქ.ბათუმში ბარბარეს ეკლესიასთან პომპეზურად იხსნება ლონდონის სკვერი 1918-1920 წლებში ინგლისის მიერ აჭარის ოკუპაციის დროს დაღუპულ ინგლისელ საოკუპაციო ჯარისკაცთა საპატივცემულოდ...

აჭარის ხელისუფლებამ იმ საოკუპაციო ჯარისკაცთა საპატივცემულოდ გახსნა სკვერი და ისინი ჩვენი ქვეყნის წინაშე ღვაწლმოსილებად მოიხსენია, ვინც აჭარის გამანთავისუფლებელი კომიტეტის წევრებს მემედ აბაშიძეს, ხასან თხილაიშვილს, ჰაიდარ აბაშიძეს და მათ თანამებრძოლეებს დევნიდნენ, მათ მიტინგებს არბევდნენ, კლავდნენ, რათა აჭარა დედა-საქართველოს არ დაბრუნებოდა, კვლავ ოსმალეთისა და ინგლისის გავლენის ქვეშ დარჩენილიყო.

თუ ოსმალეთს საქართველოსთან ჩოლოქში ჰქონდა საზღვარი, ინგლისის საოკუპაციო რეჟიმმა ეს საზღვარი გურიის სოფელ ნატანების სადგურთნ გადაიტანეს. ასეთი ძალადობით ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი ტერიტორია ჩამოეგლიჯათ ახლად შექმნლი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი საქართველოსათვის. ამის დამადასტურებელი ყველა ისტორიული წერილობითი წყარო არსებობს, კარგად არის დამკვიდრებული უფროსი თაობების მეხსიერებაში.

ქ.ბათუმისა და აჭარის ხელისუფლების ანტიეროვნულ პოლიტიკაზე კიდევ ის სამწუხარო ფაქტები მოწმობს, რომ ყოველი მამულიშვილური ინიციატივა, რომელიც საზოგადოებიდან მოდის, იბლოკება და არ არის მხარდაჭერილი, განსაკუთრებით რომელიც თურქეთის გავლენის შემცირებას ემსახურება აჭარაში.

ასეთი მიდგომის შედეგად ქართველი ხალხი, ბათუმელები საკუთარი ხელისუფლებისაგან ხდება დაუცველი და თურქი მოქალაქეების წინაშე დამცირებული, დაჩაგრული, რაც საბოლოო ჯამში დიდ ზიანს აყენებს ქართველი და თურქი ხალხის მომავალ მეგობრულ ურთიერთობებს... რომელსაც, პირიქით, სწორი მიმართულების მიცემა ესაჭიროება, თუ ნამდვილად კეთილმეზობლობა და მეგობრობა გვსურს.

ხელისუფლების ასეთი უპრინციპობის შემყურეთ ისღა დამრჩენოდა დიპლომატიური მისია ჩვენ, საზოგადოებას, აგვეღო საკუთარ თავზე ხელისუფლების დასარწმუნებლად.

სიბრძნის სწორად გადმოცემა სიბრძნის მეტყველისაგან, მსმენელისაგან

ყურადღებით მოსმენა კაციჭამიასაც კი დაიმორჩილებსო. სწორედ ასეთი ფილოსოფიური მიდგომით ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგი.

29 ოქტომბერს თურქეთის სახელმწიფო ზეიმობს ოსმალეთის სულთნის რეჟიმზე რევოლუციის გამარჯვებისა და თურქეთის რესპუბლიკის დღეთ გამოცხადებას. ამ დღეს ჩემს ორ თანამოაზრესთან იოსებ წულუკიძესთან და ვახტანგ გოგრაჭაძესთან ერთად გადავედი თურქეთის ქალაქ ქემალ-ფაშაში ოფიციალურად. როგორც ქართველმა მწერალმა და მეცნიერმა ჩვენი საზოგადოების სახელით შევხდით და მიულოცეთ იქაურ ხალხს ეს დიდი დღესასწაული. ძალიან გაიხარეს.

იქვე ვუთხარით, რომ იგივე ოსმალეთის სულთნის რეჟიმისაგან განთავისუფლებას ჩვენ ქართველები 25 აგვისტოს ვზეიმობთ და მომავალში ამ დღის აღსანიშნავად მოვიწვიეთ სტუმრად. მივიღეთ თანხმობა და დიდი მადლობები ყურადღებისათვის.

ეს ფაქტი, რომ თურქეთის სახელ–მწიფო, თურქი ხალხი თვითონ ზეიმობს ოსმალეთის სულთნის რეჟიმისაგან განთავისუფლებასჩვენთან საქართველოში კი ეს თარიღი სრულებით მივიწყებულია, ჩვენი ხელისუფლების ნებით თუ უნებ–ლიეთ ეროვნული ინტერესებისადმი გულ–გრილობასა და ანტიეროვნულ პოლი–ტიკაზე მეტყველებს.

კიდევ ერთი სამწუხარო ფაქტი, რაც ასეთ ეჭვებს ამძაფრებს და საზოგადოება შეძრა, ქალაქის საკრებულოს მიერ მემო–რიალიოსათვის ადგილის არგამოყოფის ახსნის მიზეზს იძლევა: იმ დროს, როცა მემორიალისათვის ადგილის გამოყოფას ელოდება ხალხი, ქ. ბათუმის საკრებულომ ჩაატარა კონკურსი სელიმ ხიმშიაშვილის ძეგლზე.

მოწონებული იქნა სელიმ ხიმშიაშვი–ლის ბიუსტი, რომლისთვისაც ადგილიც უკვე გამოყოფილია. ბიუსტი გაიხსნება სელიმ ხიმშიაშვილის თავის მოკვეთიდან 200 წლის აღსანიშნავად... თურქრთში მცხოვრებმა სელიმის შთამომავალმა ილდირიმ აჯარმა აჭარაში ვიზიტის დროს სპეციალურად ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სელიმი ქართველთათვის იგივეა, როგორიც იყო თურქი ხალხისათვის მუსტაფა ათათურქი - ოსმალეთის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი. აქვე გამოთქვა მზსადყოფნა ქალაქ ბათუმში აღიმართოს გმირი სელიმის ძეგლი ხმლით ხელში ცხენზე ამხედრებული,საჭირო თანხებს კი თვითონ უზრუნველყოფს (გაზეთი „ ბათუმელები“, 24-30 ნოემბერი, გვ. 13. ხელისუფლებამ ეს წინადადება უარყო. შემოიფარგლა მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ბიუსტით, რომელიც ამ შემთხვევაში ასოცირდება მოკვეთილ თავთან და დამარცხებულ სელიმთან.

აქ უკვე კომენტარი აღარ საჭიროებს. ვფიქრობ, თუ მდგომარეობა უახლოეს დღეებში, დაპირებისამებრ, არ გამოს–წორდა, ხელისუფლებამ არსებული ეჭვები არ გაფანტა,ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს შესაბამისი დასკვნები და გამოგვეხმაუროს, რათა ერთად ვიზრუნოთ ეროვნული ინტერესების გადასარჩენად, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო ყველას გასაგონად: - ჩვენთვის ძვირფასია თურქეთთან, ინგლისთან, რუსეთთან, ამერიკასთან და ყველა ქვეყანასთან მეგობრობა, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს ჩვენი ეროვნული ღირსების და ინტერესების დაკნინების ხარჯზე.

ახლა კი მკითხველის წინაშე შეძლე–ბისდაგვარად წარმოვადგენ მემორიალს, თუ რა არის ქართველი ხალხის მოთხოვნა და რის სანაცვლოდ რაზე ამბობს უარს ხალხის „რჩეული“ ხელისუფლება.

მემორიალი სულ ოთხი მეტრი სიმაღლისაა. ორი მეტრი ბუნებრივი გრანიტის ქვა, რომელსაც კლდის ფორმა აქვს - კლდე შეუვალი, მარადიული, როგორც საქართველო. ქვას პირამიდის ფორმა გააჩნია და რამდენიმე სიბ–რტყისაგან შედგება. ქვის მწვერვალზე არის ბრინჯაოში ჩამოსხმული: ხიხანის ციხე; კლდის ფერდობზე - სხალთის

ტაძარი; მარჯვნივ - გონიოს ციხე, მარცხნივ - პეტრას ციხე,აჭარის მთავარი სიმბოლოები, საქართველოს კარიბჭე - ფარი; მარჯვნივ მეორე მხარეს - თამარის თაღოვანი ხიდი (აჭარისწყლის ხეობის); ქვის მარცხენა სიბრტყეზე - 1877-1878 წ.წ. რუსეთ-ოსმალეთის ომში გამარჯვების სიმბოლოები: ქართული მაჭახელის თოფი, რუსული კარაბინი და ზარბაზანი წარწერით 1877-1878 წ.წ. .

ქვის წინა ხედზე წარმოდგენილია:

- ილია ჭავჭავაძე - ერის მამა, საქართველოს მთლიანობის სიმბოლო.

- წარწერა ოქროს ასოებით: მამული, ენა, სარწმუნოება !

- იქვე ქვემოდ მარცხენა მხარეს: სელიმ ხიმშიაშვილი,ოსმალთა ბატონიბისაგან აჭარა - მესხეთსა და ტაო-კლარჯეთში ეროვნულ-გამანთავისუფლების მოძრაობის ფუძემდებელი (თავი მოკვეთეს 1815 წელს).

- მარჯვნივ - მემედ აბაშიძე - აჭარის გამანთავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარე 1918 – 1920 წ.წ.), ვისი მეთაურობითაც აჭარის მოსახლეობამ საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით სელიმის დაწყებული საქმე საუკუნის შემდეგ წარმატებით დააგვირგვინა.

- ქვემოდ შუაში - სელიმის ცნობილი ანდერძი: „ მე თავს მჭრით,მაგრამ იცოდეთ, გურჯისტანი ოსმალოს საბოლოოდ არ შერჩება. მე ამის ცოდნას შთამომავლობას ანდერძად ვუტოვებ.“

ორი მეტრი სიმაღლის ორიგინალური კვარცხლბეკი მემორიალს წარმოაჩენს როგორც ანთებულ ჩირაღდანს.

მემორიალზე დაცულია ყველა მთავარი ისტორიული მოვლენა, ეროვნული ღირ–სება, წარსული და მომავლის იდეა.

მართალია,1878 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთის გამარჯვების შედეგად, სადაც რუსებთან ერთად 40 000 - მდე ქართველი იბრძოდა, აჭარის განთავისუფ–ლების მთავარი მოვლენა იყო,მაგრამ აქვე კარგად ჩანს,რომ მანამდე ჩვენი წინაპრები საუკუნეების მანძილზე არ ეგუებოდნენ დამპყრობლის უძელს. ასევე ჩანს, რომ რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ქართველი ხალხი, აჭარის მოსახლეობა, მარტოდ დარჩენილები, კვლავ იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის...

ასეთი მიდგომით მემორიალზე წარმო–დგენილია აჭარაში ოსმალთა ბატონო–ბისაგან ეროვნულ - გამანთავისუფლებელი მოძრაობის უწყვეტი ჯაჭვი 1800 – 1920 წ. ჩათვლით.

მემორიალი შესრულებულია ავტორთა ჯგუფით:

- მოქანდაკე - დავით ბოლქვაძე, აჭარის დამსახურებული მოღვაწე;

- არქიტექტორი - დუგლას ზამთარაძე, საქართველოს დამსახურებული მოღვაწე;

- იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი - ნიაზ ბოლქვაძე, ფილოსოფოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი,საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, აჭარის მამული–შვილთა საგვარეულო კავშირის თავმ–ჯდომარე.

დასასრულს, საორგანიზაციო ჯგუფის სახელით მივმართავ რა ჩვენს თანამე–მამულეთ, ქართველ ხალხს,რათა ყოველმა ჩვენთაგანმა ერთად დავიცვათ ჩვენი წილი საქართველო, მინდა აღვნიშნო შემდეგი:

25აგვისტოს სრულად ქართველთათვის ეროვნულ დღე-სასწაულად გამოცხადება და აღნიშნული მემორიალის ქ. ბათუმში აღმართვა დღევანდელი პოლიტიკური კრიზისის პირობებში იქნება იმ პროცესის დასაწყისი, რაზედაც საქართველოს პატ–რიარქმა ილია მეორემ არაერთხელ ბრძანა: „საქართველო აჭარიდან მოიქცევა“ - ო.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი ამ საღვთო და საერო გზაზე.

დიდი პატივისცემით,
საორგანიზაციო ჯგუფის სახელით,

ნიაზ (ნიკოლოზ) ბოლქვაძე
მობ.: 555 74 02 71,
mamulishvilta.kavshiri@mail.ru
ქ.ბათუმი, 08.12.2014 წ.

ტარიელ კაჭარავა
გზა ხსნისა

ბოლო წლებში ერთი ვაი უშველებელია ატეხილი ადამიანის უფლებათა დარღვევებზე,რელიგიურ უმცირესობათა შვიწროებაზე, დანაშაულის ზრდაზე, ქალთა მიმართ ძალადობაზე, განსხვავებული სექსუალური მიდრეკილებების მქონე ადამიანთა ჩაგვრაზე,გახშირებულ მკვლელობებზე და ა.შ. საინფორმაციო საშუალებები დიდ ადგილს უთმობენ ამ პრობლემათა გაშუქებას. მთავრობაში ღებულობენ სხვადასხვა გადაწყვეტილებებსა და კანონებს ამ პრობლემათა გადასაჭრელად. მიმდინარეობს ფართო მასშტაბის დებატები სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა შორის, მაგრამ პრობლემები მაინც გადაუჭრელია. რატომ? მე მიმაჩნია რომ პრობლემები მანმადე არ გადაიჭრება ვიდრე საზოგადოება ძირფესვიანად არ განიხილავს ამ უბედურებათა წარმომშობ მიზეზებს და არ იზრუნებს ამ მიზეზთა აღმოფხვრაზე. საქმე ის გახლავთ რომ ერთად ერთი გარანტი ყველა ამ პრობლემის გადაჭრისა არის ჭეშმარიტ სარწმუნოებაში ყოფნა. არ შეიძლება ებრძოდე ამ ჭეშმარიტების, ანუ ღვთის წინააღმდეგ და გსურდეს საზოგადოებაში კანონიერებისა და წესრიგის დამყარება. ცივილიზაციის თანამედროვე წარმატებათა და ტექნიკის განუზომლად ზრდის პირობებში, ადამიანთა შემაკავებელი ერთადერთი ფაქტორი, რომ არ ჩაიდინონ დანაშაული არის ჭეშმარიტი რწმენა. ის ადამიანი ნაღდად არ ჩაიდენს დანაშაულს, რომელსაც ღვთის ჭეშმარიტი რწმენა გააჩნია. შეუძლებელია ადამიანს სისხლსა და ხორცში ჰქონდეს გამჯდარი უფლის ათი მცნება და იგი დანაშაულს ჩადიოდეს.

მახსენდება ერთი შემთხვევა. მე და ჩემი მეუღლე სამსახურში მივდიოდით სოფლიდან ქალაქში. ეს იყო ზვიად გამსახურდიას შემდგომ შექმნილი განუკითხაობის დროს. უცებ გამოიარა მაშინდელი მილიციის უფროსმა კალანდაძემ და მანქანა გაგვიჩერა, მოვკალათდით მანქანის უკანა სავარძელზე და შევამჩნიეთ რომ მილიციის უფროსი ძალზე შეშფოთებული ჩანდა. მიზეზი ვკითხე და მან მომიგო: “ჩვენს ეკლესიაში ზარები მოიპარეს სამრეკლოდან და შეშფოთებული როგორ არ ვიქნებიო”. მეც დავუდასტურე,“მართლაც შესაშფოთებელი ამბავი ყოფილა,მაგრამ არა გასაკვირი.” “გასაკვირი რატომ არ არისო?”- მკითხა გაოცებულმა. “იმიტომ რომ კომუნისტები სამოცდაათი წელია ხალხს უჩიჩინებდა: არ არსებობს ღმერთი, არ არსებობს სულის უკვდავება, არ არსებობს საიქიო ცხოვრება და ამ კაცმა, რომელმაც ის ზარები მოიპარა, იფიქრა თუ არცერთი არ არსებობს, ეს ზარები აქ რისი მაქნისია. ჩამოვხსნი,გავყიდი (ზარები ხომ სპილენძისაა) და აღებული ფულით ერთხანს ცოლშვილს გამოვკვებავო. აბა ის კაცი მორწმუნე რომ ყოფილიყო, მის შეგნებაში “არა იპაროო” იქნებოდა და ის ზარების ჩამოხსნას კი არა გაფიქრებასაც ვერ გაბედავდა.” მილიციის უფროსი ბრძენი აღმოჩნდა და არ შემომდავებია. ან რა დიდი მიხვედრა უნდა იმას რომ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი არც ერთი სახის უკეთურებას არ ჩაიდენს და ამისთვის მას არ სჭირდება არავითარი

ამკრძალავი სახელმწიფო კანონი. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს დღევანდელობაში?

გავიხსენებ კიდევ ერთ შემთხვევას. ტელეკომპანია ობიექტივის გადაცემას ვუყურებდი. სტუდიაში ორი სოლიდური ასაკის ადამიანი იყო მოწვეული, მსჯელობდნენ მიმდინარე მოვლენებზე. უცებ სტუდიაში დარეკა მსმენელმა და თქვა: "ძმებო მე დიდი ხანია საქართველოდან წამოსული ვარ და როცა მანდ ვიყავი, მახსოვს, ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა ურწმუნო იყო. ახლა კი ვხედავ რომ ტაძრებში უამრავი ადამიანი დადის. ასე ერთბაშად ყველა მორწმუნე როგორ გახდა"-ო. სტუდიაში მყოფმა ერთერთმა უპასუხა: "დიახ ეს ასეა, თუ მაშინ 90% ურწმუნო იყო, ახლა პირიქით 90% მორწმუნეა"-ო. მე, ამის გამგონე, გაოგნებული დავრჩი. როგორ ვერ შეამჩნია ამ უდაოდ ნასწავლმა კაცმა, რომ ამ განცხდებით ღმერთს საშინელი შეურაცყოფა მიაყენა. თურმე ღმერთი ისე უსამართლო ყოფილა (უფალო მაპატიე!) რომ 90% ჭეშმარიტი მორწმუნე ისეთ გაუსაძლის პირობებში მოაქცია, როგორიც საქართველოშია! წმინდა წერილში უფალი ამბობს: "მე კი მოვალ ამ ქვეყნად მეორედ, მაგრამ დამხვდება კი თუნდაც რამდენიმე ჭეშმარიტი მორწმნეო." და კიდევ ვიწროა გზა ცხოვნებისა და ამ გზით მხოლოდ მცირედი ვლენან, ფართოა გზა წარწყმენდისა და ამ გზით უამრავი ადამიანი მიდის. ჩვენ კი წმინდა წერილის საპირისპიროდ ვამტკიცებთ, რომ ჭეშმარიტ მორწმუნეთა რაოდენობა განუხრელად იზრდება. სინამდვილეში რა მდგომარეობაშია დღეს რეალურად მართლმადიდემლობა (არა მარტო საქართველოში არამედ ყველგან)? ამას კარგად გვიჩვენებს ერთი სასულიერო მოღვაწე. იგი მოგვითხრობს: ერთ ძალიან მდიდარ ოჯახს თავს დაესხა ავაზაკთა ხროვა. ოჯახი გაანდგურეს, გაძარცვეს, მისი წევრები ამოწყვიტეს და როცა ნაძარცვით დატვირთულები სახლს ტოვებდნენ ერთერთი მოშორებული ოთახიდან ბავშვის ტირილი მოესმათ. შევიდნენ და ოთახში 5-6 წლის ბიჭუნა ნახეს მტირალი. ამ ბავშვს ხელი არ ახლოთ, განაცხადა ბანდის მეთაურმა, წავიყვანოთ, გავზარდოთ და სემდეგ მის მდიდარ ნათესავებს დიდი თანხა გადავახდევინოთ გამოსასყიდის სახით... ბავშვი წაიყვანეს, იგი ბანდის მეთაურმა მოსავლელად ჩააბარა მის საყვარელს,რომელიც ამ ბანდის წევრი იყო.

გავიდა დრო და ბანდის მეთაურმა ქალს ჰკითხა რა მდგომაეობაში იყო ბავშვი. ქალმა მიუგო რომ ბავშვი გახდა, არაფერს არ ჭამს,დარდობს და მუდამ დედას ნატრობსო. მეთაურმა ქალს უსაყვედურა, მე ხომ იმ ბავშვის დედის ტანსაცმელი და სამკაული მთლიანად შენ მოგეცი და როგორ ვერ მოიფიქრე რომ გამოწყობილიყავი დედამისის სამოსში, გაგეკეთებინა მისი სამკაულები და ბავშვი დაგერწმუნებინა რომ დედამისი ხარო. ქალიც ასე მოიქცა, გამოეცხადა ბავშვს და უთხრა შემომხედე ბიჭუნა მე ხომ დედაშენი ვარ. აი ეს კაბა, ფეხსაცმელები, სამკაულები, ნუთუ ვერ იცანიო. ბავშმა ერთხანს უცქირა ქალს, შემდეგ კი ნაღვლიანად უთხრა: " კი კაბაც დედაჩემისაა, ფეხსაცმელიც, სამკაულიც მაგრამ შენ დედაჩემი არ ხარო". აი ამ მდგომარეობაშია დღეს მართლმადიდებლობა, დაასკვნის სასულიერო პირი. ტაძრებში გარეგნულად ყველაფერი წესრიგშია. ხატები, მორთულობა,ლიტურგიის ფორმა,ლოცვები,სანთლები,ერთი სიტყვით გარეგნული ატრიბუტები მართლმადიდებლობისა, მაგრამ ეკლესია მართლმადიდებლური აღარ არისო.

სანამ ჩვენ თავს არ დავანებებთ მოჩვენებით მართლმადიდებლობას, სანამ ადამიანთა მნიშვნელოვანი მასა განაგრძობს ღვთის შეურაცყოფას, წმინდანთა აბუჩად აგდებას, მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო კანონების მიღებას, სიწმინდეთა

სებილწვას, სანამ სახელმწიფო და კანონი გულგრილად უყურებს ამ საშინელებას, ჩემთვის ჭეშმარიტად გაუგებარი რჩება რამ უნდა დაამყაროს წესრიგი საზოგადოებაში. ავიღოთ თუნდაც პარლამენტის მიერ მიღებული ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი. ხალხს თვალს უხვევენ და ეუბნებიან, რომ ეს კანონი კრძალავს ადამიანთა დისკრიმინაციას. სინამდვილეში კი ამით გზას უხსნიან გარყვნილებას და ათას სისაძაგლეს. გვარწმუნებენ რომ ამას არ მოჰყვება ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება, მაგრამ ისმის კითხვა, თუ მაგალითად ორმა მამაკაცმა ან ქალმა მიმართა სასამართლოს დაქორწინების მოთხოვნით როგორ უნდა უთხრას მათ უარი სასამართლომ? ეს ხომ მათი დისკრიმინაცია იქნება? სხვათაშორის როცა პარლამენტი ამ კანონს იღებდა პარლამენტის არცერთი წევრი არ დაფიქრებულა იმაზე, რომ ამ კანონის მიღებით მათ ლაფში ამოსვარეს და შეურაცყვეს საქართველოს ამჟამინდელი ჰიმნი. ჰიმნში ვმღერივართ: "ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა, განა–თებული მთაბარი, წილნაყარია ღმერთ–თანა".. ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი ყოველგვარი ეჭვის გარეშე წილნაყარია ეშმაკთან. ახლა ისმის კითხვა. როგორ შეიძლება, რომ ქვეყანა ღმერთთან იყოს წილნაყარი, ხოლო ამ ქვეყნის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ეშმაკთან? აქ გამოსავალი

ერთია ბატონო პარლამენტარებო. ან გააუქმოთ ეს ავადსახსენებელი კანონი ან ჰიმნი შეცვალოთ: "...განათებული მთაბარი წილნაყარია ეშმაკთან". სხვა გამოსავალი არ არსებობს!!!

კიდევ ერთი შეუსაბამობა, ხშირად გაიგონებთ ცნობილი ადამიანებიდანაც: როგორ შეიძლებაო პატრიარქის გაკრი–ტიკება? სასტიკად ცდებით ბატონებო! ცისქვეშეთში მხოლოდ ქრისტე იყო უცოდველი და უნაკლო! მოკვდავი ადამიანი კი ყოველთვის შეიძლება შეცდეს! რა თქმა უნდა ერს უნდა უყვარდეს და პატივს სცემდეს თავის პატრიარქს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს რომ შეუმცდარი მხოლოდ ღმერთია. ნუ ვიზამთ ისე როგორც ერთმა მოძღვარმა განაცხადა ტელესტუდია "ტაბულაში" "ღმერთაცი დავივიწყოთ და კაცღმერთი შევქმნათო". სამწუხაროდ სწორედ აქეთკენ მიდის საქმე.

მახსენდება კიდევ ერთი მომენტი. ინგა გრიგოლიას გადაცემაში მსჯელობდნენ უკვე მიღებულ ე.წ. ანტიდისკრიმინაციულ კანონზე. ამ კანონის ერთ-ერთმა მხარ–დამჭერმა ქალბატონმა ასე დამოძღვრა მსმენელები: "განა თქვენ არ იცით როგორ მოიქცა იესო ქრისტე როცა ხალხი ქვებით ჩასაქოლად მისდევდა ერთ მეძავ ქალს? ქრისტემ ხალხს უთხრა, პირველი ქვა იმან ესროლოს ვინც უცოდველიაო. ხალხმა ქვები დაყარა და უკან გაბრუნდა. აი როგორ მოიქცა ქრისტე თქვენ კი ვინა ხართო. სამწუხაროდ სტუდიაში არ აღმოჩნდა წმინდა წერილის კარგი მცოდნე, რომ ამ ქალბატონის მზაკვრობა ემხილებინა. საქმე იმაშია რომ ამ ქალბატონმა იქ შეწყვიტა წმინდა წერილის ციტირება სადაც მას აწყოდა.სინამდვილეში როცა ხალხმა ქვები გადაყარა და უკან გაბ–რუნდა, იესომ იმ დედაკაცს მიმართა: "წადი დედაკაცო და არ სცოდოო!" (მართლაც ის ქალი შემდგომ, კარგად მოგეხსენებათ, წმინდანი გახდა). როგორ მოიქცა სტუდიაში მყოფი ის ქალბატონი? მან თავისი საქციელით მეძავებს ანიშნა. აი მე თქვენ დაგიცავით, გადაგარჩინეთ, ახლა თქვენ შეგიძლიათ განაგრძოთ მეძავობა განახლებული ძალით და სხვებსაც უქადაგოთ რომ იმეძავონ. წმინდა წერილის ასეთი დამახინჯება ხშირად ხდება და სამწუხაროდ პასუხის გამცემი არავინაა. საქართველოს ეკლესიის მრევლის აბსო–ლუტური უმრავლესობა ვერ ერკვევა ჭეშმარიტ მართლმადიდებლობაში, არ იციან მართლმადიდებლური მრწამსი, ათი მცნება, ცხრა ნეტარება, შვიდი სათნოება, და ა.შ. ამის შემოწმება ძალზედადვილია და ნურავინ შემომე–დავება. მაშასადამე ჩვენს ქვეყანაში უფრო მოჩვენებითი,სანახაობრივი მართლ–მადიდებლობაა და არა ჭეშმარიტი. საქა–რთველოს მოსახლეობის უმრავლესობა რომ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი იყოს პარლამენტი ვერ მიიღებდა ე.წ. ანტიდისკრიმინაციულ კანონს, სა–ქართველოში არ ჩატარდებოდა კა–ზანტიპის ე.წ. ფესტივალი, ილიას უნივერსიტეტში ვერ მოხდებოდა გარყვნილების მეხოტბე ვითომ პოეტების ანტიმართლმადიდებლური ნაწარმოებებისგანხილვები,თიბისიბანკის უსტაბაში ხაზარაძე ვერ გაბედავდასაბას პრემიით დაეჯილდოებინა გარყვნილების მოქადაგე ავტორები, რუსთავი ორის ტელეეკრანიდან თინა მახარაძე ვერ გაბედავდა ბიბლიაში გაუგონარი შესწორებების შეტანას. რამდენი უნდა ჩამოვთვალო!!!

ამ ფონზე მეტ დამაჯერებლობას იძენს ზვიად გამსახურდიას სიტყვები: "თუ საქართველოში არ აღდგა ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა, საქართველოს არაფერი ეშველება!"

აი სწორედ ეგაა ჩვენი გზა ხსნისა!

ზაზა პატარავა
შენელებული მოქმედების ნაღმი



ალბათ ბევრი დამეთანხმება, რომ საქართველო თანდათან ემსგავსება შენელებული მოქმედების ნაღმებით სავსე ველს, სადაც ყველას შეუძლია შესვლა, სეირნობა, დროის გატარება და ა.შ. ყველამ კარგად იცის თუ რა მოელის ნაღმზე ფეხის წამოკვრისას, მაგრამ რადგანაც ნაღმი შენელებული მოქმედებისაა და არაფერი არ ხდება ჯერჯერობით,ამიტომ მავანნი და მავანნი ადრენალინის მეტი გამომუშავებისათვის, მაინც აგძელებს ამ ველზე საკუტარ საქმიანობას. სხვანაირი შედარება ამ მომენტისათვის შეუფერებელი იქნება: ჯერ ერთი იმიტომ რომ შიდასახელმწიფოებრივი, რელიგიური თუ ეროვნული წინააღმდეგობები, რომლებმაც ბოლო წლებია რაც თავი წამოჰყვეს საქართველოში, აშკარად ხელივნური წარმოშობისაა და ბუნებრივი პროცესებისაგან განსხვავებით, მათ სათანადოდ მოწიფებისათვის გაცილებით მეტი დრო სჭირდებათ. საბედნიეროდ ჯერჯერობით ეს დრო არ დამდგარა, მაგრამ არავინ არ ცდილობს წინააღმდეგობის გაწევას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველა ელოდება ფინალს ფატალური მორჩილებით.

რადგან შენელებული მოქმედების ნაღმებზე ჩამოვარდა საუბარი, აუცილებელი განვიხილოთ თითოეული მათგანი, რა საფრთხეს წარმოადგენენ ისინი ჩვენი, ქართული რეალობისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი მათგანის ამოქმება ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს,რასაც არა მარტო ქართული სახელმწიფოებრიობის, არამედ ქართველი ერის განადგურება მოჰყვება!

ნაღმი №1: შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკური დაპირისპირება:

ალბათ ბევრი იტყვის,რომ პოლიტიკური დაპირისპირება ყველა ცივილიზებულ სახემწიფოშია, მაგრამ ამისტვის არვის არავინ მოუკლავსო! დაგეთანხმებით, ბატონებო! მაგრამ საქართველო არ შედის იმ ცივილიზებულ სახელმწიფოთა ჩამონათვალში, რადგანაც სწორედ ამ ე.წ. ცივილიზებულმა სახემწიფოებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესებს ერისათვის დამღუპველი ხასიათი მიეღო. გავიხსენოთ საქართველოს უახლესი ისტორია,განსაკუთრებით მისი უკანასკნელი ოცდაორი-ოცდასამი წელი: საქართველოში მიმდინარე ნებისმიერი დაპირისპირება ჯერჯერობით მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით მიმდინარეობდა. ეს დაპირისპირებებს, ქართველი ერი, შედარებით უმტკივნეულოდ გადაიტანდა,რომ ასეთ დაპირისპირებებს ქართული ტერიტორიების ნაწილი არ გადაჰყოლოდა. თუ ვინმეს დაავიწყდა გაგახსენებთ: აფხაზეთი და სამაჩაბლო! და ყველაფერი ეს ამა თუ იმ მმართველის ზეობის პერიოდში ხდებოდა.

დღეს, საქართველოს პოლირიკური სპექტრი იმდენად ჭრელია, რომ ძნელი ხდება მათში ჭეშმარიტად ეროვნული ძალის გამოყოფა. შდეგად კი მივიღეთ ის, რომ მართალია 2012 წლის

ოქტომბერში "ერთიანი ნაციონალური ხროვა" ჩამოშორდა სახელმწიფოს მართვის სადავეებს მაგრამ ფაქტიურად "ერთადერთი ოპოზიციური" ძალა გახდა, ხელისუფლებაში მოსვლის პერსპექტივით.

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერთა მიერ გამოცხადებულმა რებრენდინგმა არ გამართლა. არც მათი უცხოელი ლობისტების რჩევებმა, იმის თაობაზე, რომ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას თვითლიკვიდაცია გამოეცხადებინა და მის მაგივრად ახალი პარტიული ბრენდი გაჩენილიყო,ჰპოვა გამოხმაურება. ამიტომ ნაცხროვა გამოსავალს მხოლოდ ერთში ხედავს, არსებული ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობაში. მათი იდეების მეტნაკლებად გამართლებას ე.წ. კოჰაბიტაციის პერიოდმაც შეუწყო ხელი, რამაც ისინი გამოიყვანა საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შოკიდან. და ახლა ისინი საისხლიანი რევანშისათვის ემზადებიან!

თუმცა არის მცდელობა მთთან შეწინააღმდეგებისა ცალკეული პარტი–ების ლიდერთა თუ სახელწიფოდ პირველი პირებიდან, მაგრამ ისინი მხოლოდ ერთეულებს წარმოადგენენ და არსებულ სურათზე გავლენას მცირედით თუ ახდენენ.

ნაღმი №2: ეკონომიკური დამოკი–დებულება

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აშკარა ხდება, რომ მონსტრ სახელმწიფოსთან ერთად ძალადობრივად თავსმოხვეული ე.წ. სოციალისტური ფორმაციაც, უნდა ცაბარებოდა ისტორიას. მაგრამ ეს უნდა გაკეთებულიყო მისახლეობისათვის ნაკლებ მტკივნეულად, როგორც ეს ბალტიისპირეთის ქვეყნების მიმართ განხორციელდა. მაგრამ როგორ ჩანს ევრო-ამერიკელ პარტნიორებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ სულ სხვა დამოკიდებულება გააჩნდათ, ვიდრე ბალტიისპირეთის ქვეყნების მიმართ. როგორც ჩანს, ჩვენს უცხოელ "პარტნიორებს" არ მოსწონდათ და არც ახლა მოსწონთ ჩვენი რეგიონის ქვეყნების, განსაკუთრებით, ნავთობითა და გაზით მდიდარი აზერბაიჯანისა და საქართველოს მეტნაკლებად დამოუკიდებელი პოლიტიკა ევროპა-აზიის გზაგასაყარზე. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში ნაკლებია ენერგეტიკული რესურსები (ნავთობი და ბუნებრივი აირი), ამიტომ, როგორც ჩანს ჩვენმა უცხოელმა "პარტნიორებმა" საქართველოს დამორჩილება სავალო კაბალით. პირველი დიდი კრედიტი ჯერ ჯიდევ ედუარდ შევარდნაძემ აიღო თურქეთისაგან 50 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით. ფაქტიურად უცნობია თუ რას მოხმარდა ეს თანხა. იმ დროს ქვენის ბიუჯეტი თვიდან თვემდე ძვლივს ჰყოფნიდა საქართველოს... 1990 წლიდან 1995 წლამდე, ქართული ეკონომიკა ფაქტიურად სტაგნაციაში იმყოფებოდა, ხოლო პოლიტიკა, სიბნელეში ხელის ფათურსა და შავი კატის ძიებას უფრო ჰგავდა.

ქვეყანის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მეტნაკლებად დარეგუ–ლირების შემდეგ, დაუწყო უცხოური კაპიტალის შემოდინება, მაგრამ მათი რაოდენობიდან მხოლოდ მცირე ნაწილი თუ იყო ინვესტიციებისა და ეკონომიკის განვითარებისათვის გამოყოფილი, უდიდესი ნაწილი ჩინოვნიკთა ჯიბეებსა და სხვადასხვა საეჭვო პროეტებზე იხარჯებოდა. ფაქტიურად ამ პერი–ოდან იწყება ე.წ. არასამთავრობო ორგა–ნიზაციების, ანუ დღევანდელი გადმო–სახედიდან რომ ვთქვათ,"გრანტიჭამიების" ეპოქა.

ეკონომიკის მამოზრავებელი საშუალო ფენა ფაქტიურად გაქრა. პოლიტიკური სპექტრის სიჭრელემ ხელი შეუშალა ერთიანი პოლიტიკური პლათფორმისა და კურსის შემუშავებას. ვინაიდან ყველას საკუთარი ხედვა ჭემარიტად მიაჩნდა. ამასთან თავად სახელმწიფო აპარატიც არ იყო დაინტერესებული

ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში...

შედეგად მივიღეთ ის,რომ ფაქტიურად საქართველოს საგარეო ვალი, ყოველწლიურად იზრდებოდა.

მიუხედავად ამისა, საუკუნის დასაწყისისათვის თავი დავაღწიეთ ეკონომიკურ სტაგნაციას, მაგრამ ამ დროისათვის სსრკ-ს ერთ-ერთი ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი რესპუბლიკა, განვითარებად ქვეყნად იქცა, თანაც ისეთად, რომელსაც ყველა, ვისაც არ ეზარება, ჭკუას ასწავლის. ხან ერთი გააკეთე და ხან მეორე - პირველის საპირისპიროო.

როდესაც საუბარი შეეხება ეკონომიკას, მითუმეტეს ქართულს, არ შეიძლება გვერდი აუაროთ ისეთ ფენომენს, როგორიცაა "ქართული ბიზნესი". იგი თვალსაცინო გამოხატულებაა იმისა, თუ როგო არ შეიძლება ბიზნესის წარმართვა. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ნებისმიერი ბიზნესი, საქართველოში, იქმნება სპონტანურად, ყოველგარი გათვლების გარეშე და მხოლოდ მყისიერ მოგებაზეა გათვლილი. პერსპექტიული განვითარების გეგმაზე მოცემულ შემთხვევასი საუბარიც ზედმეტია. როდესაც ვსაუბრობ მყისიერ მოგებაზე, მხედველობაში მაქვს მოგება 100%-ით. ამაზე ნაკლებ მომგებიანი საქმიანობა ბიზნესად არ ითვლება.

როგორც ჩანს არც ჩვენი ხელისუფალნი იკლავენ დიდად თავს ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის, წინა–აღმდეგ შემთხვევაში, ფასების ზრდა პირველადი მოხმარების საქონელზე ასე მკვეთრი და მოსახლეობისათვის მტკივნეული არ იქნებოდა.პენსიებიც მიუახლოვდებოდა საშუალო ევროპულ დონეს და ა.შ.

იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენს სახელმწიფოს მართავს არა ჩვენი ხელისუფლება, არამედ რომელიღაც უცხოური ტრანსნაციონალური კორ–პორაცია, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მისი, როგორც კორპორაციის ინტერესები ჩვენს ქვეყა–ნაში ხელსეუხებელი დარჩეს. (თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით და ვრცლად ვისაუბრებთ).

ნაღმი №3 განათლება, კულტურა, მეცნიერება, ეროვნული თვითშეგნება

იმედი მაქვს,რომ ყველა დამეთანხმებით იმაში, რომ განათლების დონე საქართველოში,ძალზედ შერბილებულად რომ ვთქვათ, ძლიერ მოიკოჭლებს. ეს განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში გახდა შესამჩნევი. თუმცა არც გასული საუკუნის 90 წლებში იყო გამორჩეული თავისი "მაღალი" დონით. ერთ დროს, განათლებული და წიგნიერი ერი, თანდათანობით უწიგნურობის მორევში ვეშვებით. წიგნი, როგორც ასეთი ფუფუნების საგნად იქცა, უფრო მეტიც, სასკოლო სახელმძღვანელოებიც, მითუმეტეს ახალი, თანდათანობით ფუფუნების საგანი ხდება. თანამედროვე მოსწავლეს სკოლაში ყოფნის დრო, კვირაში უხანგრძლივდება, მაგრამ სწავლების ხარისხმა ფაქტიურად მოიკლო...

რაც შეეხება ქართულ კულტურას იგი ჯერჯერობით რჩება ჩვენი,ქართული იდენტობის ინდიკატორად, მაგრამ დაღმასვლა აქაც იგრძნობა. მოცემულ შემთხვევაში არ შეიძლება არ ვახსენო სუხიშვილების "ქართული ბალეტი". მახსენდება ერთ ერთი ახალი წლის ღამე ბათუმში, როდესაც ანსამბლი ფალიშვილის საცეკვაო მუსიკის თანხლებით ბანანების პარიკებსა და ფრაკებში გამოწყობილნი ცეკვავდნენ. ვერ გაარჩევდი ვინ ასრულებდა ქალი პარტიას ვინ კაცის. ეტყობა ყბადაღებული" გენდერული პოლიტიკა იმდენად გაისისხლხორცეს "ქართული ბალეტის" მესვეურებმა, რომ მათ მიერ დადგმული ცეკვების უმრავლესობაში ვერ გაარკვევს კაცი თუ ვინ ასრულებს კაცის პარტიას ქალი თუ კაცი. ამასთან როგორც ჩანს სუხიშვილებმა, ბუშის საქართველოში ვიზიტის შემდეგ, საერთოდ უარი თქვეს ისეთ ატრიბუტზე, როგორიცაა ხანჯალი...

მთლათ,დალაგებული რომ არაა შოუ-ბიზნესში საქმეები ჩვენს ქვეყანაში ამაზე ორი აზრი არ არსებობს. გაიხსენეთ და შემდეგ გამახსენეთ, როდის დაესწარით, ან როდის გაიგონეთ, ან სად ჩატარდა შვენი შოუ-ბიზნესის "ვარსკვლავების" თუნდაც ერთი სოლო კონცერტი.

არც ქართული კინოინდუსტრია გამოირჩევა მრავალფეროვნებით...

ეს მხოლოდ მცირედი ნაწილია ამ სფეროში ჩვენსთავსდამტყდარი პრობ–ლემებისა...

კულტურის შემდეგ ცოტა ძნელია მეცნიერებაზე საუბარი,რადგან როგორც ჩანს მეცნიერება საქართველოში, განსაკუთრებით ტექნიკური, მხოლოდ ფორმალურად არსებობს. რარაც ძვრები შეინიშნება არქეოლოგიაში და საერთოდ ისტორიულ მეცნიერებაში, დანარჩენში კი ფაქტიურად სტაგნაციაა. ასეთი რამ საბჭოეთი პერიოდშიც არ მომხდარა. მაშინდელ პრესის სათაურებს თუ გადა–ვხედავთ,საშუალოდ წელიადში ერთხელ ან ორჯერ, მაინც წავიკითხავდით ქართველ მეცნიერთა აღმოჩენას და ა.შ. შეიძლება ყველაფერი ეს უფულობას დავაბრალოთ, მაგრამ ერთ პატარა ფაქტს გავიხსენებ: თუ არ ვცდები 1996 წელს საქართველომ კოსმოსში გაუშვა პირველი ქართული ხელოვნური თანამგზავრი. ყველას იმედი გაუჩნდა, რომ ქართული მეცნიერება წინ წაიწევს, მაგრამ არაინფორმირებული ადამიანისათვისაც ნათელია, რომ იმის შემდეგ არაფერი არ გაკეთებულა. რა თქმა უნდა ფინანსების გარდა,მოცემულ შემთხვევაში კადრების პრობლემაცაა, მაგრამ როდესაც ტექნიკური უმაღ–ლესი სასწავლებლები ახდენენ გადაკვა–ლიფიცირებას, ამის შემდეგ რა უნდა ვთქვათ ტექნიკური მეცნიერებების შესახებ? რაც არ არსებობს, ან ჩანასახოვან სტადიას დაუბრუნდა,მათზე ვერავინ ვერაფერს იტყვის.

განატლების დეფიციტის ბრალია,რომ საქართველო, უფრო სწორად ქართველი, კარგავს თავის ეროვნულ თვითსეგნებას. დავუბრუნდები ისევ სსრკ-ს პერიოდს, უფრო სწორად მის ბოლო წლებს, გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვი,რომ საქართველოსნაირი მაღალი ეროვნული თვითშეგნება არც ერთ ერს არ ჰქონია. დღეს კი ახალგაზრდების საკმაოდ დიდ ნაწილს თვიიდენტიფიკაციის პრობლემა გააჩნია...

ნაღმი №4 "რელიგური მრავალფე–როვნება"

კარგად მახსოვს ის დრო, როდესაც საქართველოში შემოვიდა კრშნას მოძ–ღვრება. სექტანტები ყოველგვარი დაბრ–კოლებების გარეშე ავრცელებდნენ მათ ლიტერატურას. არავინ სდევნიდა მათ, რადგან თვლიდნენ, რომ (იმ დროს სამართლიანადაც) ინდუისტურ რწმენებზე აგებულ მოძღვრებას ჩვენს ქვეყანაში მიმდევრები ნაკლებად ეყოლებოდა. და ფაქტიურად ასეც მოხდა: დღეს საქართველოში აქა იქ თუ შემორჩა კრშნაიზმის მიმდევრები. ის ფაქტი, რომ კრშნაიზმი დესტრუქციულ სექტას წარმოადგენდა, გაცილებით მოგვიანებით გახდა ცნობილი. თუმცა როგორც ჩანს ეს მოვლენა სხვა სექტებისათვის (რომლებიც საკუთარ თავს რელიგიურ კონფესიებად მოიაზრებენ) ინფორმაციის საუკეთესო წყარო გახდა. უნდა ითქვას ისიც, რომ კშსნაიზმმა იმ დროს შემოაღწია საქართველოში, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ ეკონომიკურად შეძლებულ ქვეყანას წარმოადგენდა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის სექტანტური სწავლებებიმხოლოდ ლიტონი სიტყვები იყო. მაგრამ როდესაც ქვეყანაში ეკონომიკა სტაგნაციურ მდგომარეობაში ჩავარდა, სწორედ ამ მომენტიდან იწყეს ქვეყანაში სხვადსხვა დესტრუქციულმა თუ არადესტრუქციულმა სექტებმა დენა. მათ ფაქტიურად იყიდეს საკუთარი "მრევლი". ხოლო თუ ერთხელ მოხვდი სექტაში, იქედან თავის დაღწევა სამწუხაროდ ძლიან ძნელი ხდება. სექტებმა ამ დროს ცხვრის ტყავში გამოწყობილი მგლის ტაქტიკა გამოიყენეს... არ ერიდებოდნენ

აშკარა პროზელიტიზმს. რის გამოც შეძლეს საქართველოს მოსახლეობის ნაწილის გადაბირება. მათ "მრევლის" რაოდენობა იმდენად გაზარდეს, რომ დღეს "პოლიტკორექტულობის" დაცვისგამო მათ კონფესიები უნდა უწოდოს ადამიანმა და არა სექტები. მიუხედავად ამისა ისინი მაინც სექტებად რჩებიან...

რელიგიური საკითხები, ქართულ რეალობაში, მწვავე საკითხია! მით–უმეტეს, რომ საუკუნებგამოვლილი რელიგიური ტოლერანტობა, დღეს უკვე დაპირისპირების საგნად იქცა! საუკუნეების განმავლობაში საქართველოში არსებული ყველა რელიგიური კონფესია ერთხმად აღიარებდა მართლმადიდებლურ ქრის–ტიანობას სახელმწიფო რელიგიად და ქართული ეკლესიის წამყვან როლს ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში!

მე-19 საუკუსა და ფაქტიურად მთელი მე-20 საუკუნის ჯერ რუსეთის, ხოლო შემდგომ კი საბჭოეთი მიერ გატარებულმა რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ საფუძვლიანად შეარყია არა მხოლოდ ქართველთა რელიგიური შეხედულებები, არამედ საქართველოს მაცხოვრებელთა შორის, მითუმეტეს ქართველებში, ყველაფრისადმი კოსმოპოლიტურ-ნიჰი–ლისტური განწყობა დაამკვიდრა.

შედეგმაც არ დააყოვნა. მიუხედავად საქართველოს სახელმწიფოსა და საქა–რთველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის გაფორმებულ კონკორდატისა, 2004 წლიდან იწყება მართმადიდებლური ეკლესიის შევიწროვება, ზოგ შემთხვევაში კი - აშკარა დევნა! ამის შედეგი კი ყველას კარგად მოეხსენება! საშუალო ხნისა და ახალგაზრდობის ნაწილი დღესაც სოციალურ ქსელებში, ტელევიზიით თუ მასმედიის სხვადასხვა საშუალებებში ცდილობს ცალკეული მართლმადიდებლური სასულიერო პირის დისკრედიტაციას, იმაზე აპელირებით, რომ ისინი გადაადგილდებიან ძვირად–ღირებული ავტომობილებით. ამახვილებენ ასევე ყურადღებას სასულიერო პირის წარსულზე და ა.შ. სამღვდელო პირებისა და მართლმადიდებლობისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ დღეს ძალიან მძიმე სახე მიიღო: ვანდალურად ანადგურებენ ტაძრების ქონებას, სასაფლაოებს, რელიგიურ ლიტერატურას. და ეს არ არის ერთი ან ორი ფაქტი. ასეთი ფაქტები ბლომადაა!

ამასისიც დაერთოო, რომ საქართველოში ისლამისტური და პანთურქული მოძრა–ობებიც იკიდებენ ფეხს, მაგრამ ასეთ ფაქტებზე რეაგირება სახელმწიფოს მხრიდან არ ჩანს. შეიძლება ეს ასეც უნდა იტყოს, რადგან ექსტრემისტულ-ტერორისული ორგანიზაციებზე თვალ–ყურის დევნება და მათი გაუვნებელყოფა გასაიდუმლოებულია, მაგრამ შედეგები ამ ქმედებებისა ჯერჯერობით არ ჩანს!

რელიგიურ საკითხებში სახელმწიფოს უნიათობამ ის შედეგი გამოიღო, რომ საუკუნეების განმავლობაში მშვიდობიანი კონფესიური თანაარსებობა და პოლი–ფონია, დღეს საშინელ კაკაფონიად იქცა!!!

ყველა "რელიგიურ სუბიექტს" სურს დომინიონობა!

ნაღმი №5 პიროვნული თავისუფლებები

თავად სიტყვათა შეთანხმებაში "პირო–ვნული თავისუფლებები" საშინელი და საძრახისი არაფერი დევს, მაგრამ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ეს შეხამება სულ სხვა აზრსა და დატვირთვას ღებულობს. დავიწყოთ იქედან, რომ ამ სიტყვებს გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა. ამას თან დაერთო ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება "ადამიანის უფლებების დაცვის" კუთხით. შედეგად პიროვნულმა თავისუფლებამ სულ სხვა - გაუკუღმართებული დატვირთვა მიიღო. მოსახლეობის ნაწილის შეგნებაში იგი იქცა უზნეობის, მორალური დაცემულობის, სექსუალური გარყვნილების და ა.შ. სინონიმად.

ხელისუფლებიდან არავინ არ

თვლის საჭიროდ ამ უკუღმართობასთან იბრძოლოს. ზოგიერთმა ჩათრევას - ჩაყოლა ამჯობინა და დღეს ათასი ჯურის სექსუალური უმცირესობების დამცველად გვევლინება...

თუკი ათიოდე წლის წინ ჰომო–სექსუალისტობა საძრახისი სიტყვა და საქმე იყო, დღეს იგი მომგებიანი გახდა. ბევრი ქართული წამყვანი ტელეარხი ფართო რეკლამირებას უკეთებს ნომერ პირველა ჰომოსექსუალისტ-ტრანსექსუალ კესოს. ხოლო ტრანსექსულ საბის მკვლელობა კი ისე წარმოაჩინეს თიტქოს სამშობლოსათვის თავი გასწირა ამ საშუალო სქესის პირმა! მაპატიეთ ასეთი შედარება! ამავდროულად კი ხდება ნორმალური ადამიანების დისკრიმინაცია. ახლა თავად გამოიტანეთ დასკვნა: რა დაემართება ახალგაზრდა თაობას,რომე–ლიც ხედავს, რომ ჰომოსექსუალისტებს და ლესბოსელებს და ათასი ჯურის გარყვნილებს გუნდრუკს უკმევენ,უქმნიან კომფორტულ გარემოს და თავდადებული გმირივით მოიხსენიებენ! ხოლო უბრალო ადამიანი კი ამ დროს იძულებული ხდება ოჯახისა და საკუთარი თავის გამოსაკვებად მონასავით იმუშაოს 14-15 საათი. და ეს მხოლოდ იმიტომ რომ ოჯახი შიმშილით არ დაეხოცოს! ჩაცმა-დახურვაზე აღარაფერს ვამბობ!...

დამაფიქრებელია ყოველი ეს, მაგრამ აქ ჩვეული კუდაბზიკობა იჩენს თავს: არიქა,უცხოებმა ძვირი არ თქვან ჩვენზე!..

საქმე ისეთ აბსურდამდე მიგვყავს,რომ ყველაფერს აშშ-ს ელჩს ვეკითხებით! ისიც თავის მხრივ მისეული გაგებით გვმოძღვრავს.

იქნებ დრო მოვიდა თავისუფლებებზე კი არა მოვალეობა-ვალდებულებებზე ვილაპარაკოთ?

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ნაღმებისა, რომელიც ამ დანაღმულ ველზე აღმოვაჩინე.

ველი თქვენს გამოხმაურებებს!

აი ეს კი მთავარია – დემოკრატია

ზურაბ წიქარიძე

რატომ არ მისცემს სამართლებრივ შეფასებას ფაქტობრივი ხელისუფლება 1991-1992 წლების გადატრიალებას

თუმცა ჩვენს პლანეტაზე ყოფის გაადვილების მიზნით დროის დინება პირობითად მიმართულია წარსულიდან მომავლისაკენ, ადმიანთა მოდგმას ჯერ არ აქვს გაცემული პასუხი კითხვაზე, თუ რა განაპირობებს ნებისმიერი თაობის არსებობას – მისი წინაპარი თუ შთამომავალი? ანუ, ჩვენ ვარსებობთ იმიტომ, რომ არსებობდა ჩვენი წინაპარი, თუ ისინი არსებობდნენ იმიტომ, რომ ჩვენი არსებობა იყო გარდაუვალი და, შესაბამისად, ჩვენი არსებობაც განპირობებულია შთამომავლობის არსებობის გარდუვალობით და ა.შ. სწორედ ეს ვითარება ავალდებულებს ნებისმიერ თაობას, სათუთად მოექცეს წინაპართა თავგანწირულ, დაუოკებელ ძალისხმევას, მის მიერ შექმნილ ფასეულობებს და თავადაც შესაძლებლობის მაქსიმუმი გაიღოს შთამომავლობისთვის. ამდენად, ყველა თაობას აქვს ორი აუცი–ლებელი ვალი: ვალი წინაპრებისა და ვალი შთამომავლებისა. მრავალ პასუხისმგებლობათა შორის, რომლებიც ნებისმიერ თაობას აკისრია მომავალი თაობებისადმი, არის თავად ამ თაობის ცხოვრების პერიოდში განვითარებული მოვლენების ზუსტად, ყოველგვარი გაყალბების გარეშე ასახვა, რათა ახალმა თაობამ მიიღოს პატიოსანი, პირუთვნელი ისტორია, ვინაიდან ნებისმიერი საზოგადოება, დაფუძნებული ყალბ ისტორიაზე, განწირულია დასაღუპავად თუ არა, სატანჯველად მაინც. ახლად მოსული თაობა იძულებული ხდება თავის წინაპართა მიერ გაყალბებულ ისტორიაში სიმართლის ძებნასა და სამართლიანობის აღდგენაზე დახარჯოს დრო და ენერგია, რის გამოც უეჭველად ჩამორჩება ნორმალური განვითარების დინებას. ამის დასაბუთებისათვის შორს წასვლა არ არის საჭირო, ვინაიდან ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მცხოვრები დღევანდელი თაობა სწორედ ასეთ მდგომარეობაში იმყოფება დღეს, რეგვენი ბოლშევიკი წინაპრების მიერ ისტორიის გამრუდებისა და გაყალბების გამო.

უსამართლო ძალადობით სამართლიანობის დამარცხებას (რაც სამწუხაროდ. ხშირად მომხდარა ადამიანთა ცხოვრებაში) აუცილებლად მოსდევს გამარჯვებულთა მხრიდან

მოვლენათა და პიროვნებათა სრულიად სხვაგვარად წარმოჩენა, ისტორიული ფაქტების გაყალბება, დოკუმენტების მიჩქმალვა, ჭორი, ცინიზმი, დაცინვა, შეურაცხყოფა და ტერორი, რასაც გარდუვალად ეწირება სრულიად უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე. ამგვარ მდგომარეობას შეესატყვისება ბაირონის "ჩაილდ ჰაროლდის" I ნაწილის სამოცდამესამე სიმღერის ორი სტრიქონი:

"ვინც მკვლელთა ტახტს დაიკავებს
მკვლელობით მართავს ქვეყანას".

ხოლო თუ ამ სტრიქონების პერიფრაზსაც გავაკეთებთ, მაგ.:

"ვინც ცრუთა ტახტს დაიკავებს
სიცრუით მართავს ქვეყანას".

იგივე მდგომარეობა უფრო მეტი სიზუსტით წარმოგვიდგება.

1992 წლის 6 იანვრის შემდეგ საქართველოში ასეთი საქციელის გადაუღებელი თავსხმაა. "გამარჯვებულთა" მხრიდან ეროვნული ხელისუფლების მიმართ წამოყენებულ უტიფარ ბრალდებათა და ცილისწამებათა სრული ჩამოთვლა ერთ სტატიაში შეუძლებელია, მაგრამ ზოგიერთ არსებით ზეთქმა საჭიროც არის და აუცილებელიც. დავიწყოთ იმით, რომ ძალადობით მოსულებმა 1990 წლის 28 ოქტომბრის (შესაძლოა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული) არჩევნების შედეგად მოსული ეროვნული ხელისუფლების მოღვაწეობა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე პროვინციულ ფაშიზმად მონათლეს. აქ ერთი მომენტია გასახსენებელი: საბჭოთა კომუნისტები ავღანელ პატრიოტ-მოჯახედდინებს "დუშმანებს" უწოდებდნენ და საბჭოთა მსმენელ-მაყურებელში მათდამი უარყოფითი დამოკიდებულების გამძაფრებისთვის მახვილებს თანხმოვან "დ" და "შ" ბგერებზე სვამდნენ. ავღანელთათვის კი სიტყვა "დუშმანი" უბრალოდ "მტერს" ნიშნავს და მეთოდიც მარტივია – მოწინააღმდეგეს დააბრალო ის, რაც თავად ხარ. ასეთი ხრიკები საბჭოთა სუკ-ის მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების განყოფილებაში მუშავდებოდა და საქართველოში მომხდარი უსინდისო გადატრიალების მოსამზადებლად და შემდეგაც თითქმის იგივე სიზუსტით იქნა გამოყენებული და მიზანსაც ადვილად მიაღწია. აქ სამწუხარო მარტო ის კი არ არის, რომ ტერმინმა "პროვინციული ფაშიზმი" მავანთა გუნება-განწყობილებაში თბილად მოიკალათა (მაგალითად, პოლიტმიმომხილველი ნატო ონიანი ამ ტერმინს მეტად ვნებიანად იმეორებდა ხოლმე), არამედ ისიც, რომ ამ ტერმინის ეროვნულ მოძრაობასთან მისადაგებით ადამიანთა გარკვეულმა რაოდენობამ, განსაკუთრებით ინტელიგენციამ, განსაცვიფრებელი სიძულვილუნარიანობა გამოამჟღავნა. თუმც ფრანგი მწერალი ალფონს დოდე ამბობს, რომ "ზიზღი სუსტთა გულისწყრომაა"-ო, სწორედ ასეთმა ადამიანებმა მიიღეს გამარჯვებულთა პოზა და ყოფილი კომპარტიის ყოფილი წევრები ისე წარმოთქვამდნენ ამ ტერმინს "პროვინციული ფაშიზმი", თითქოს საბჭოთა კომუნიზმი ბევრად უკეთესი ყოფილიყოს გერმანულ ფაშიზმზე. დღეს დასავლეთის ისტორიკოსთა და პოლიტოლოგთათვის სადავო აღარ არის, რომ გერმანული ფაშიზმი რუსული (გნებავთ საბჭოთა) კომუნიზმის საპირწონედ შეიქმნა. ასეთი დებულების დასაბუთებისათვის სრულიად საკმარისია ამ ორი უგვანო იდეოლოგიის შეჯახების უშუალო მომსწრე-მონაწილის, უინსტონ ჩერჩილის ცნობილი ფრაზა: "ჩვენ ის ღორი არ დავკალით"-ო – ამერიკის ქალაქ ფულტონში წარმოთქმული სიტყვიდან, ომის დამთავრებიდან ერთი წლის თავზე (1946 წ.), სიტყვიდან, რომელიც ითვლება დასავლეთის დემოკრატიის ბრძოლის დასაწყისად საბჭოთა დესპოტიზმის წინააღმდეგ.

ტერმინ "პროვინციული ფაშშიზმის" ხელოვნურობას მარტო ბგერა "შ"-

ზე დასმული მახვილი არ წარმოაჩენს; კიდევ უფრო აბსურდულია სიტყვა "პროვინციული". რატომ პროვინციული? იმიტომ,რომ საქართველოა პროვინცია? თუ იმიტომ,რომ საქართველოს პროვინციიდან წამოიზარდა? არა,ბატონებო,ეს ეროვნული მოძრაობის ლიდერები და მათი მიმდევრები არიან "პროვინციალები" (ერთ-ერთი ასეთი "პროვინციალის" პორტრეტები კაბინეტებში ეკიდათ "გადემოკრატებულ" ჩინოვნიკებს, თუმცა დღეს მისი საფლავის ადგილსამყოფელი ეხამუშებათ). აი, აქ მივადექით იმ მაგალითს, როდესაც რუსი დამპყრობლები "დდუშშმანებს" უწოდებდნენ ავღანელ სამშობლოს დამცველებს. მაშ ვინ ვის უწოდებს "პროვინციულ" თუ "პროვინციელ ფაშისტებს"? უდავოა, ისინი, ვისზედაც უზუსტესად აქვს ნათქვამი ლერმონტოვს თავის გენიალურ ლექსში "Дума":

"Перед опасностью позорно малодушны,
И перед властью презренные рабы".

ისინი,ვინც მთელი სიცოცხლე ემსახურა დროსა და სივრცეში არსებულ ყველაზე პროვინციულ, ყველაზე გორსალურ (მაპატიოს მკითხველმა ქალაქური ჟარ–გონისათვის) იდეოლოგიასა და წეს-წყობილებას, მათ, ვინც მთელი სიცოცხლე (ან ცოტა ხანს მაინც) ებრძოდა სწორედ იმ მართლაც ძირმომპალ ცხოვრების წესს, მათ, ვის მიერ მიღებული "დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის" საფუძველზეც გახდა საქართველო საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, მათ, ვის მიერ დაწესებულ რელიგიურ თუ საერო დღესასწაულებსაც თვითონ ზეიმობენ.

ჩემთვის უკითხავთ ნიშნის მოგებით: "თქვენ არ დაგიშვიათ შეცდომებიო?" მე მათთვის მიპასუხნია და სხვებსაც, ვისაც

ასეთი შეკითხვები აქვს მინდა ვუთხრა: ქვეყნის დამოუკიდებლობის გზაზე ეროვნულ ხელისუფლებას შეცდომა არ დაუშვია. საერთოდ კი, რაიმე შეცდომა რომ არ დაგვეშვა, ღმერთები ვიქნებოდით. პირადად მაქვს დაშვებული ერთ-ერთი ასეთი შეცდომა: ვახტანგ რაზმაძის გენერალურ პროკურორად დანიშვნას მივეცი ხმა. რა დაპირებებიც არ უნდა მიეცა მას ბატონი ზვიადისათვის: - "მე დიდი გამოცდილება მაქვს, მხარში ამოგიდგები და გარდამავალ პერიოდში სამართლის გამნტკიცებაში დაგეხმარებიო" – როგორ შეიძლებოდა ასეთი ადამიანის გენერალურ პროკურორად დანიშვნა? როგორც კი იყნოსა, რომ ძალა მოძალადეთა მხარეს იხრებოდა, მაშინვე თავისივე გაცემული სანქციებით დაკავებულთა გვერდით აღმოჩნდა, პრეზიდენტს ოსების გენოციდში დასდო ბრალი და დამამ–ხობლებს არჩეული ხელისუფლების წარმომადგენელთა დევნაში ეხმარებოდა. როდესაც ნოდარ ნათაძეს უკითხავს, თუ რატომ დასდო ბრალი პრეზიდენტს ოსების გენოციდში, ეს ხომ იგივე ქართველთა მიმართ არის ბრალდებაო, მას უპასუხნია: სხვაგვარად სომხეთის ხელისუფლებას მის დაპატიმრებასა და ჩვენთვის (ანუ ხუნტისთვის - ზ.წ.) გადმოცემას ვერ მოვთხოვდითო. და დატრიალდა მას შემდეგ მრავალრიცხოვან შეკრებებზე (მათ შორის უცხოეთიდან ჩამოსულ ქართველთა თავყრილობებზე) თუ ცალ–კეულ გამოსვლებში: "ქართველებს სინდისი გვაქვს ჩამოსარეცხი ოსების წინაშეო". აი სწორედ აქ ითქმება: დიდება შენდა ღმერთო! მაშინ, როდესაც ქარ–თველი ერის მოძულე და მის წინაშე დამნაშავე ერებისა და პიროვნებების ჩამოთვლაც კი შეუძლებელია, თავად ამ უბედურ და გაწამებულ ერს, არა თუ სხვა რომელიმე ერის, ერთი პიროვნების წინაშეც კი არ მიუძღვის დანაშაული. დანაშაული თუ მიუძღვის მას, მხოლოდ თავისი თავის წინაშე. ეს არის ჩვენი ამოუცნობი, რაღაც მისტიკური ტრაგედია. ისე კი, ყოფილან ცალკეული ქართველები (როგორც მრავალი არაქართველიც), რომლებსაც ჩაუდენიათ სხვათა მიმართ უღირსი საქციელი.

არაობიექტურობამ ისეთ ზომას მიაღწია, რომ "მოწინავე ინტელიგენციის" წარმომადგენლებმა კონსტანტინე გამსა–ხურდიას გვარსა და ოჯახს ეროვნება შეუცვალეს. თავისთავად სომხობა მარ–თლაც არ არის სასირცხვილო, მაგრამ რაც არ უნდა ეფიცათ თამაზ კვაჭან–ტირაძესა და მზეჭაბუკ ამირეჯიბს: "ჩვენ სომხებს დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ გამსახურდიები სომხები არიანო", მათ ეს საქციელი იმ მიზნით ჩაიდინეს, რომ ამ ოჯახის თაყვანისმცემელთა შორის ეჭვი მაინც ჩაეთესათ. სიძულვილის შემძლე ადამიანთაგან ეს არ არის მოულოდნელი; მოულოდნელი და გულსატკენია ის, რომ მათსავე მომხრეებში არ აღმოჩნდა ერთი მაინც, რომელიც არათუ კატეგორიულად უარყოფდა ასეთ განცხადებებს, არამედ ეჭვს მაინც შეიტანდა მათში და იტყოდა: "ბატონებო, იქნებ დაგვეზუსტებინა ეს საკითხი და ასე ერთი ხელის დაკვრით ნუ გადავულოცავთ სომხებს საქართველოსთვის შეწირულ გვარსა და ოჯახს".

მოულოდნელია და გულსატკენია რომ ვამბობ, ვგულისხმობ ქალბატონ ანა კალანდაძეს,ბატონებს მურმან ლებანიძესა და შოთა ნიშნიანიძეს (და სხვებსაც). მე და ჩემი მეუღლე ჩვენს შვილებს ზეპირად ვასწავლიდით მათ ლექსებს, ახლა კი რა ვქნა? თუ მოვესწარი შვილიშვილებს, აღარ ვასწავლო იგივე ლექსები? და კიდევ ჩნდება დარდისმომგვრელი კითხვა: ლექსები რაღა შუაშია? ერთი რამ არის ეჭვგარეშე – მე გულისტკივილი მალაპარაკებს.

გამაოგნებელია კიდევ ის, რომ განუწყვეტლივ ესმება ხაზი "ჩვენი სისხლისა და ხორცის" ღალატს სოხუმის დაცემაში. მე არ ვიცი ვის გულისხმობენ "ჩვენს სისხლსა და ხორცში", მაგრამ ვიცი, რომ სოხუმის დაცემა გარდაუვალი იყო იმ ავანტიურისტული ე.წ. აფხაზური ომის დაწყების მომენტიდან, აღარაფერს

ვამბობ ქართველთა მიერ თითქმის მთელი შეიარაღების გამოტანაზე ე.წ. კონფლიქტის ზონიდან. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, სოხუმის დაცემისა და, საერთოდ,საქართველოში დატრიალებული ყველა უბედურების სათავე 1991 – 1992 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარი მოვლენებია და სოხუმის დაცემისას "ჩვენი სისხლისა და ხორცის" ღალატს იმგვარად წარმოაჩენენ,თითქოს 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში ვიღაც ოკეანიის უშორესი კუნძულის აბორიგენებმა (და არა ჩვენმა სისხლმა და ხორცმა) დაუწყეს სროლა საქართველოს უზენაესი საბჭოს შენობას, მით უმეტეს, რომ ის უზნეობა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ჩანაფიქრითა და გეგმით ხორციელდებოდა.

ძალზე ხშირად 1993 წლის შემოდგომის მოვლენებს დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ომის სახელწოდებით მოიხ–სენიებენ. არის გამოთქმები: "მაშინ საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინ–ვარებდა" და მისთანები. ვინც ბატონი ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნებას შეცდომად მიიჩნევს, მათ გასაგონად საჭიროა ითქვას,რომ სწორედ მისი დაბრუნების გარეშე მართლაც შეიძლებოდა მომხდარიყო რაიმე მასშტაბის შეტაკების პროვოცირება და ამ მოვლენებს დარქმეოდა სამოქალაქო ომი. მაგრამ ვინაიდან თბილისის ხელისუფლების გადასარჩენად საჭირო შეიქნა რუსეთის შეიარაღებული კაციჭამიების შემოყვანა ბალტინის მეთაურობით, განცხადება იმისა,რომ საქართველოში ადგილი ჰქონდა სამოქალაქო ომის მსგავსს – აბსურდია. დასავლეთ საქართველოში რუსის ჯარის მეშვეობით პოზიციების გამაგრების შემდეგ თბილისის ხელისუფლების აპოლოგეტმა, პოლიტმიმომხილველმა ნატო ონიანმა თავის "საფირმო" გადაცემაში აღიარა, რომ "საქართველოში სამოქალაქო ომი არ დაფიქსირდაო",რადგან იმ მომენტისათვის ამგვარი განცხადება არჩიეს ფაქტობრივი ხელისუფლებისათვის მომგებიანი ქულე–ბის ჩასაწერად,შემდეგ კი,როგორც საჭირო იქნებოდა, ამგვარად აქაც საქმე გვაქვს ფაქტებისა და ცნებების აღრევასთან.

ახლა ვნახოთ, თუ რა პოლიტიკური და სოციალური ხასიათის საბედისწერო ქმედებები ჩაიდინეს ძალადობით მოსუ–ლებმა, რომლებსაც არც მაშინ მოქმედი კონსტიტუციითა და არც საერთაშორისო სამართლით არანაირი მანდატი არ გააჩნდათ ასეთი თვითნებობისათვის. პირველი დიდი დანაშაული ქვეყნისა და ერის წინაშე იყო თავად იმ დროს მოქმედი, გარდამავალი პერიოდის კონსტიტუციის გაუქმება და 1921 წლის კონსტიტუციის ე.წ. საფუძვლების მიღება, რამაც ქვეყანაში შექმნა სრული სამართლებრივი შეუსაბამობები და, რაც მთავარია, აფხაზეთთან კონფლიქტის წინაპირობა. მოახდინეს ბინების სასწრაფო პრივატიზება და ფაქტიურად იჩუქეს კომუნისტების დროს მოსახლეობის თვალის ასახვევად სიდედრებსა და სხვა ახლო ნათესავებზე გაფორმებული მრავალოთახიანი ბინები, მაშინ, როდესაც უზენაეს საბჭოს მომზადებული ჰქონდა კანონი ბინების პრივატიზების შესახებ,რომლის მიხედვით მოსახლეობის მიერ ზედმეტ ფართში გადახდილი უმნიშვნელო თანხების შეჯამებით შესაძლებელი იქნებოდა ათწლეულობით აღრიცხვაზე მყოფი უბინაო ინვალიდთა და მრავალშვილიანი ოჯახების დაკმაყოფილება მაინც; ხელფასების დაურიგებლობის გამო სოციალური უკმაყოფილების შიშით შენატანების გაორმაგების დაპირებით მოსახლეობის დიდ ნაწილს შეატანინეს მთელი სიცოცხლის მანძილზე ნაგროვები ფული,რომელიც მეორე წელს გაუკუპონეს და ფაქტიურად უსახსრებოდ დატოვეს; სამართლებრივ სიცარიელეში ათასი ჯურის თაღლითს გაახსნევინეს ამდენივე ე.წ. კერძო ბანკი "ას პროცენტიანი" ინტერესით,რომლებშიც გაჭირვებული და მიმნდობი ადამიანების დიდმა რაოდენობამ გაყიდული ქონებით აღებული თანხები შეიტანა და. . . . ; გააუქმეს სახელმწიფო (ყოფილი საბჭოთა) მეურნეობები (მაშინ როდესაც ეს პროცესი საფეხურებრივ მიდგომას საჭიროებდა) და მეორე დღეს

სახელმწიფო კუთვნილების არც ერთ კომბაინს, ტრაქტორსა თუ სატვირთო მანქანას არც ძრავი და არც სხვა ნაწილი შერჩენია; ქვეყნის ტერიტორიიდან გროშ-კაპიკის ფასად გაიზიდა დიდძალი ხე-ტყე, ლითონი და სხვა ნედლეული, რომლითაც ერთეულებმა მილიონები ჩაიჯიბეს; პრივატიზაციის შედეგად სახელმწიფო ქონება ასევე კაპიკების ფასად ერთეულების ხელში აღმოჩნდა, ხოლო გაჭირვებულ მოსახლეობაზე 30 დოლარად გაცემული ე.წ. ვაუჩერები იმავე პრივატიზაციისას 6-7 ჯერ შემცირდა და კაცი არ ჩანს დივიდენდების მიმღები; თითქმის ნულზეა დასული ქვეყნის ეკონომიკა; ენერგეტიკული კრიზისის გამო მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წლობით აქვს გამობნელებული ფანჯრები და ქუჩები, რის გამოც კატასტროფულად იმატა ხანძრებმა,არის მსხვერპლი; ლამპის შუქზე მეცადინეობის გამო ბავშვებს გამოუღამდათ თვალები; თვეობით არ რიგდებოდა ხელფასები საბიუჯეტო ორგანიზაციებში; დამპყრობელი ქვეყნის ჯარს მოუხსნეს ოკუპანტის სტატუსი; ქვეყანა შეიყვანეს რაღაც აბსურდულ "თანამეგობრობაში", რომლის ორი "თანამეგობარი" დანასისხლად არის ერთმანეთზე გადაკიდებული; წააგეს ომი აფხაზეთში (დიდი "თანამეგობრის" დიდი დახმარებით); სრულიად უყურადღებოდ არის მიგდებული შიდა ქართლის პრობლემა, იქაურ დევნილებს შეუწყვიტეს დახმარება; თავად ამბობენ კორუფციამ შეჭამა ქვეყანაო. აქ მახსენდება შემზარავი ამბავი, რომელიც, თუ არ ვცდები, ოცი ან ოცდახუთი წლის წინ მოხდა საქართველოს ერთ-ერთ ქალაქში. ავტოინსპექტორმა გააჩერა მანქანა. საჭესთან აღმოჩნდა თითქმის უგონოდ მთვრალი მოქალაქე, რომელსაც გონების ის ნაწილი აღმოაჩნდა საღი, რომლითაც ავტოინსპექტორს დიდძალი ფული შესთავაზა გაშვების ფასად. ავტოინსპექტორმაც ფული ჩაიჯიბა და დამრღვევი გაუშვა. ათი წუთის შემდეგ გაშვებულმა მძღოლმა მანქანა რვა წლის ბავშვს დააჯახა და ადგილზე მოკლა. დაღუპული ბავშვი მექრთამე ავტოინსპექტორის შვილი აღმოჩნდა. დამაფიქრებელია: შთაბეჭდილება რჩება, რომ სწორედ იმ დაღუპილი ბავშვის ბედ-იღბალს უმზადებს საქართველოს დღევანდელი "ელიტა" ჩვენი ქვეყნის მომავალ თაობებს.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის შემდეგ დღევანდელი ხელისუფლების რომელიმე გულშემატკივარმა რომ მისაყვედუროს, ნუთუ კარგი ვერაფერი დაინახეო, არ იქნება მართალი, მით უმეტეს, რომ მკითხველსაც გამოუჩნდება დასამატებელი, რაც მე გამომრჩა.

ისმის კითხვა: როგორ შეიძლება ჩადგეს ის ბორიაყი, რომელიც ქართველ ერს უდგას თავის ქვეყანაში? აქ ყველაზე სწორი და სამართლიანი იქნება კანონიერი ხელისუფლების აღდგენა (თუნდაც რამდენიმე დღით) და ახალი არჩევნების დანიშვნა მის მიერ, ვინაიდან არჩევნები ლეგიტიმურია, თუ ის არის პერიოდული, პატიოსანი და ნამდვილი. არჩევნები ნამდვილია, თუ მას ნიშნავს ხელისუფლების ის სტრუქტურა, რომელსაც დანიშვნის უფლება აქვს. არჩევნები შეიძლება იყოს რიგგარეშე, მაგრამ ისიც დანიშნული უნდა იყოს იმის მიერ, ვისაც ამის უფლება აქვს.

არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ არსებულმა ხელისუფლებამ სამართლებრივი შეფასება მისცეს 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარის მოვლენებს, ხოლო კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მათმა მომხრეებმა გაითვალისწინონ რეალობა და მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, რომელსაც დანიშნავს დღევანდელი ხელისუფლება. სიტყვა "რეალობა" ნამდვილად წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ცნებას და საკითხი, რომ კანონიერი ხელისუფლების მოხრე ოპოზიცია რეალობას არ აანალიზებს და არ ითვალისწინებს, არ არის სწორი.

დავაკვირდეთ, რეალობაც არის და უდავო ფაქტიც, რომ არსებულ ხელისუფლებას დეკემბერ-იანვრის მოვლენებისთვის შეფასება (არა თუ სამართლებრივი, არც პოლიტიკური) არ მიუცია და არც აპირებს ასეთ საქციელს,ვინაიდან მის აბსოლუტურ უმრავლესობაში არ ჩანან იმდენად გაბედული ადამიანები, რომლებსაც ეროვნული გამთლიანების მიზნისთვის მსხვერპლის გაღება ძალუძთ, რომლებიც გულწრფელად და საჯაროდ იტყვიან: მოდით ბატონებო გავარკვიოთ რა მოხდა 1991-92 წლების მიჯნაზე საქართველოში "ნურც რას მოვუკლებთ და ნურც არაფერს მოვუმატებთ გაბოროტებით". გარდა ამისა მათ ლიდერს ე. შევარდნაძეს კატეგორიულად განუცხადებია "აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი პოლიტიკური ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს" წევრებთან შეხვედრისას, რომ სანამ ის ცოცხალია (როგორც ჩანს სიცოცხლის ბოლომდე აპირებს გადამწყვეტი სიტყვის უფლების ფლობას), არავითარი შეფასება არ მოხდება. და კიდევ, პროგრამა "საღამო მშვიდობისა"-ს წამყვან ნანა ჯაფარიძეს არაერთხელ უთქვამს ტელეეკრანიდან ფრაზები: "მომავალი თაობები შეაფასებენ...", "მომავალმა თაობებმა შეაფასონ...." საქმე ის არის,რომ ეს მარტო ამ ტელეწამყვანის აზრი არ გახლავთ, ეს გამარჯვებულთა პოზაში მყოფი "ელიტის" მყარი განწყობილებაა, იმდენად მყარი, რომ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა და მათ მომხრეთათვის სულერთია თუ, მაგალითად, მომავალი თაობები მათ საქციელს შეაფასებენ, როგორც უსამართლოსა და უზნეოს (ასე ვთქვათ თავშიაც ქვა უხლიათ), ოღონდ დღევანდელი მათი მდგომარეობა არ გაუარესდეს.

სპინოზას "ეთიკის" თეორემების მეთოდს თუ გამოვიყენებთ, ჩვენ შეგვიძლია ერთი წუთით დავუშვათ, რომ რეალობა სხვაგვარად წარიმართა, ამ ხელისუფლებამ გადადგა გაბედული ნაბიჯი და გადაწყვიტა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში განვითარებული მოვლენების სამართლებრივი შეფასება. მაშინ მათ მიერ, რა თქმა უნდა, ყველა ხერხი იქნება გამოყენებული იმისთვის,რომ ეროვნული ხელისუფლება რაც შეიძლება ცუდი კუთხით წარმოჩინდეს, მაგრამ ვერ გაექცევა იმ ფაქტს, რომ დამხობილი იქნა ყოველნაირი სამართლით, აბსოლუტურად სუფთა და ნამდვილი არჩევნებით

მოსული ხელისუფლება. ეს კი პლანეტა დედამიწაზე მოქმედი საერთაშორისო სამართლით ყველაზე დიდ დანაშაულად ითვლება. ამდენად გამორიცხულია, არსებულმა ხელისუფლებამ აღიაროს, რომ იგი ყველაზე დიდი უკანონობის შედეგად იმყოფება ქვეყნის სათავეში. რის დამტკიცებაც ჩვენ არ გვინდოდა, მაგრამ თეორემა სხვაგვარად არ მტკიცდება.

ამგვარად სწორედ რომ რეალობაა ის, რაც ჩვენ გვკარნახობს, რომ ზუსტად გავინაწილოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა, არ გავუყალბოთ, არ გავუმრუდოთ ჩვენს მომავალ თაობებს ისტორია და არ გავუძნელოთ არსებობა, მით უფრო რომ, შესაძლოა განგება თავად უმზადებს მათ თავიანთ წილ განსაცდელსა და გამოცდებს. და თუ ჩვენი თაობა (და სხვა თაობებიც) აერიდება სიმართლის თქმას თავისი ცხოვრების შესახებ, რაც არ უნდა კეთილდღეობაში ინებივროს, საკუთარ ღირსებას შელახავს. "ღირსება კი – როგორც აპულეიუსი ამბობს თავის "აპოლოგიაში" – ტანისამოსს ჰგავს, რაც უფრო შელახულია იგი, მით უფრო ზერელედ ექცევა მას პატრონიცა და გარშემომყოფნიც". ღირსებაშელახულ წინაპარს კი აუცილებლად გაკიცხავს მომავალი თაობა!!!

ფაქტობრივი ხელისუფლება და ხალხი

„ხალხს ხმა დაუკარგა მეფის სიყრუემა“ (მუხრანი)

ჩოხატაურის რაიონის სოფლებში, დიდი ვანი, შუასურები და ზემოსურები 90-იან წლებში 2000-მდე კომლი ცხოვრობდა. 2014 წლისთვის კი მისი მეათედიც აღარაა. დანარჩენები შეეკედლა სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებს. ამის მიზეზი გახდა აღნიშნულ სოფლებში გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობების გაჩენა. კერძოდ უმთავრესი პრობლემა არის უგზობა და უშუქობა. რაც თავის მხრივ გამოიწვია ბოლო ათწლეულებში ხელისუფლებათა უუნარობამ თუ გულ–გრილობამ. არ გვინდა ვთქვათ რომ ეს ყოველივე მიზანმიმართულად ხდება რათა სოფლები დაცარიელდეს, რომ შემდეგ იოლად ჩასახლდნენ აქ უცხოელები და პრობლემებიც გააქრონ.

2014 წლის 1 აპრილს შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც გავერთიანდით ამ სოფლებიდან წამოსული 500 კაცი. ჯგუფს ხელმძღვანელობს 15 კაცი. ჩვენი მიზანია დავეხმაროთ ხეობის მოსახლეობას, შევუმსუბუქოთ მათ ცხოვრების პირობები, რომ არ დაცარიელდეს ჩვენი მშობლიური მხარე. ჩვენმა ჯგუფმა მოახერხა და ხმა მიაწვდინა ენერგეტიკის მინისტრს ბატონ კახი კალაძეს და ენერგო პრო ჯორჯიას გენერალურ დირექტორს ბატონ ნიკოლაი ნიკოლაევს,რომლებმაც გულთან მიიტანეს ჩვენი გასაჭირი და დღეს ზემოსურების მოსახლეობას აქვს კომუნალური დენი. დიდი მადლობა ბატონებო ამისათვის!

მაგრამ სამწუხაროა რომ გზის საკითხი არც კი განიხილება სერიოზულად! საქმე იმაშია რომ ჩვენს მიერ გაგზავნილი წერილები გადადის ერთი უწყებიდან მეორეში, კეთდება შეკრული თუ მოჯადოებული წრე და დადებით პასუხს არ უჩანს პირი... არადა სოფლები ნელ-ნელა ცარიელდება. ჩვენ არ გვინდა რომ ოდესმე თქვან აქ ქართველები ცხოვრობდნენო!!!

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ყურადღება მივიქციოთ და ხმა მოგაწვდინოთ თქვენ, ვინც თავს თვლით ამჟამინდელი საქა–რთველოს ხელისუფლებად! კეთილი ინებეთ და ჩვენც დაგვარწმუნეთ რომ ხართ საქართველოს ხელისუფლება! თორემ ამ ქვეყნიდან ქართველები იძულებით გარბიან საზღვარგარეთ, მაშინ როცა ათასობით უცხოელისთვის აქ იქმნება საცხოვრებელი პირობები!!!

საინიციატივო ჯგუფის დამფუძნებელი
ზურაბ დარსალია

iberielTa simRera

Cven warRvnamdeli fesvebi mogvdgams,
Cvengan iswavles vazic, borbalic,
vZlieT epoqa SumerTa, kolxTa,
vWedeT foladi, vleweT xorbali.

anbanis sibrZne vauwyeT xalxTa,
vefxistyaosnad daviwviT trfobiT.
Cven avaSeneT gelaTi, xanZTa,
Cven aRvadginoT ngreulic mtrobiT!



daviTis sibrZne, Zleva Tamaris,
hquxs kavkasiis suli zviadi
da sakvirveli yovlis mZlevari
kvlavac iqneba Jami diadi!

imer _ amier iyos iberi
nikofsiiTgan darubandamde!
mravalJamier aw da maradis
da ukuniTi ukunisamde!

გულიკო გაბაიძე

გაიღვიძე საქართველოვ!

გაიღვიძე
საქართველოვ!
ჭრილობები
გაგვიახლეს,
ძმა ძმას
გადაჰკიდებია,
ქართლის სული
ლამის წახდეს.
გთალეს დღისით,
გთალეს ღამით,
სამაჩაბლო
ჩამოგთალეს,
გთალეს მტრის და
მოყვრის ხელით,
აფხაზეთიც
ჩამოგთალეს,
ჩვენი კუთხის იდგა
ჯერი
ჩანაფიქრი ვერ
დამალეს,
ხან ეკრანით
შეგვესივნენ,
ხან გაზეთით
შეგვედავნენ,
ხან გაზარდეს ჩვენი კუთხე
და ხან დაგვიპატარავეს.
ვერ გაიგებ ვინ ვის ლანძღავს,
ვერ გაიგებ ვინ ვის აქებს.
ბოროტება მართავს საჭეს,
ერის კაცებს უგებს მახეს.
გაიღვიძე საქართველოვ!
მტერი ითვლის წუთებს, წამებს,
რა პასუხი უნდა გავსცეთ
ატირებულ ქართულ ტაძრებს.
მამულს ცხელი ცრემლი ახრჩობს,
ენა ლამისაა წახდეს,
რწმენას გვიძარცვავენ თვალწინ
ბოროტება გვასამარებს.
გაიღვიძე საქართველოვ!
ჭრილობები გაგვიახლეს,
ამნაირად ქვეყნის მმართველს,
ისტორია არქმევს სახელს,
გაიღვიძე საქართველოვ!
გაიღვიძე! გაიღვიძე!

დამესიზმრა

წუხელ, ისევ დამესიზმრა,
საქართველოს შიოდა...
ანგელოზის მოსავლენად
ქალს მუცელი სტკიოდა.
ღვთის კურთხეულ ქართულ მიწას
ცრემლი ღვარად სდიოდა,
ცის წუხილი ღრუბელ-ღრუბელ
წვიმად ჩამოსდიოდა.
გიორგი გზას გაჰყურებდა...
მარიამი სტიროდა...
ილიას ხმა გაბზაროდა...
სულხან-საბას ციოდა...
წუხელ მიწაც კანკალებდა...
ციდან ქვები ცვიოდა...
მთვარეს ძალა წართმეოდა...
ვეღარ ამოდიოდა...
ზღვა ნაპირებს აწყდებოდა...
ქაფი გადმოდიოდა...
დედას ძუძუ ასკდებოდა...

შვილი ვერ მიდიოდა...
წუხელ,წუხელ...საზარელი...
ქარი ურცხვად ჰკიოდა...
საქართველოს ქართველების
მთლიანობა შიოდა...

* * *

ჩვენ შეგვეშალა...
ვერცხლეულისთვის
გათლილ თაროზე
ქვიშა დავყარეთ...
მარგალიტები დავუფინეთ
ღორებს სადგომში,
დავასამარეთ სამართალი...
რწმენა გავროზგეთ,
რადგან კეისარს კეისრისა
არ ვუწყალობეთ,
ჩვენ შეგვეშალა...
ვერცხლეულისთვის
გათლილ თაროზე
ქვიშა დავყარეთ...

სიცოცხლე სამარადისო

ხიხანის ციხე-ტაძარო,
სიტყვავ ნათელო ერის,
გმირების დამბადებელო,
აზრო დიადი რწმენის.
რუსთველის კალმით ნაჭედო,
სიტყვავ ძლიერი ერის,
ტაძარო რვაასი წლისავ,
აბუსერიძე ტბელის.
სხალთის ზარებო მთავარო,
კელაპტარივით ენთეთ,
თამარის დიდო საუნჯევ,
ქვეყნის დიდებავ დღემდე.
სელიმის დედა აკვანო,
შეწუხებულო ხვედრით,
აკვნესებულო ჭიბონო,
“ჰანგებო ქოჩახელის”.
ხიხანის ციხე-ტაძარო,
სიტყვავ ნათელო ერის,
გმირების ადგილ-ალაგო,
ლიბოვ დიადი რწმენის;
სიცოცხლე სამარადისო,
ლოცვავ ქართული ენის,
ღამენათევო ტაძარო,
ისევ დიდება გელის!

გასაუბრება ილიას სულთან

გავკადნიერდი,
გასაუბრება გაგიბედეთ,
მამაო ერის...
მოწყენილი ვარ,
წიწამურია ტკივილის მოწმე-
ტყვია, რომელმაც დაბადებამდე
გამიხვრიტა გული,
ორმაგად მტკივა...
ცრემლით ვიხსენებ
ისტორიას ქართლოსიანთა,
რადგანაც თავი
ჩვენივე ნებით აღარ
“გვეყუდვნის”-
სულში ბინდია...
წარსულიდან
გამოყოლილი
ტკივილები
აღმუილებულ
ქარებად ქრიან...
ახარხარეულ სატანამდე
ბეწვის ხიდია
ბრძენო ილია
გავკადნიერდი,
გასაუბრება გაგიბედეთ,
მამაო ერის...

მერაბ კოსტავას ხსოვნას

მიძინებული სიტყვები ისმის,
სამშობლოვ ჩემო,
გამოღვიძებულ მამულში,
დილა მზის გვირგვინს ჩემობს,
ახალი გმირიც მოსულა,
გმირი შავლეგოს დარი,
სახელად მერაბ კოსტავა,
ღმერთმა უკურთხოს გვარი.

ჩვენ ლაშქარი ვართ გმირისა,
დასალაშქრავი გზებით,
გაბრწყინებული ძირძველი
სინათლითა და გზნებით.
დღეს საქართველო, თვით მე ვარ,
გამოასხივე მზეო,
ღმერთო, შემწირე სამშობლოს,
თუ მსხვერპლად დავჭირდეო.
ოღონდ მამული მიცოცხლე,
მითავისუფლე ტყვეო,
დღეო, სიმართლის გამჭედო,
გაცისკრებულო დღეო.
დიდმამულო და დიდგორო,
იყავ გამძლე და მხნეო.
მარადჟამს გყავდეს დარაჯად,
წმინდა ასული, ძეო!



რომან ძიძიგური

დაე, ცხონდეს სული შენი მარადის
(ეძღვნება ზვიად გამსახურდიას)

საქართველოს ღირსეულო რაინდო
სამშობლოს მტრებს შენი რისხვით ზარავდი,
მოძმის ტყვიამ მიტომაც არ დაგინდო
დაე, ცხონდეს სული შენი მარადის !
სხივ ნათელი შარავანდით შემკულო
სიმართლისთვის მამულს მკერდით ფარავდი,
ერთგულების მტკიცე ფიცით შეკრულო
დაე, ცხონდეს სული შენი მარადის !
ბრძოლის ველზე მოგენიჭა დიდება
თავდადებულ წინაპართა სადარი ,
უკვდავება შენი ღმერთმა ინება
დაე, ცხონდეს სული შენი მარადის !
ბედ - დამწვარი ერის ცრემლთა ნამია
საბურველი შენი წმიდა სამარის ,
მშობლიური კალთა ზედ გაფარია
დაე, ცხონდეს სული შენი მარადის !
წუთისოფლად ნიშან - სვეტი დარჩება
ნავლის ფერი სისხლიანი ფარაჯის ,
შენებრ გმირი კვლავ მრავალი გაჩნდება
დაე, ცხონდეს სული შენი მარადის !
თავდადება ვაჟ-კაცების წესია
ასე იყო და იქნება მანამდის ,
ვიდრე უფალს სამწყსო დაუმწყემსია
დაე, ცხონდეს სული შენი მარადის !

* * *

წყარომ თქვა: - შევჩერდებიო,
დარმა თქვა: - გავავდრებიო,
ზღვამ – გაწოლილმა პირაღმა-
ხმელეთად გადვიქცევიო,
მიწამ, სიცხისგან დამსკდარმა,
თქვა: - უმიზეზოდ ვკვდებიო,
მთამ – აზიდულმა ზეცამდე:
ვხედავ, ყველაფერს ვხვდებიო...
ავდარი უფრო გაავდა,
თქვა: მე თქვენს გამო ვყვირიო,
სულმა თქვა: ამგვარ ტკივილებს
ერთად წაიღებს ჭირიო.
დროზე დავტოვებ სასახლეს
არ მინდა მარტოს ლხინიო.
გული ატოკდა, გადიდდა,
თქვა: - მეც თქვენსავით ვჩივიო,
უნდა შევწყვიტოთ სიცოცხლე,
ასე როდემდე ვივლიო.
სხეულმა ამოიკვნესა
სიტყვა რად დავზრა ძვირიო,
უსულოსა და უგულოს
შემრჩა ძვალი და რბილიო...
ცამ გაიოცა სამყაროს
რატომ შეუკრავს პირიო!?
ლოცვად აქცია ყოველი,
ჩვილს უთხრა: ნუდა სტირიო!



მიშა იოსელიანი

ქუდი

(ჩემს სისხლს და ხორცს,–ქართველებს)

...ჩემთვის ღმერთია,–ჩემი ქვეყანა,
ბოროტის ქირქილს,–„ხარ ცუდზე ცუდი",
ჩემი სვანური ქუდის მადლს ვფიცავ,
...პასუხს მიახლის სვანური ქუდი,
მე გამაჩინა მეგრელმა დედამ,
მედეა არის ჩემი ზნის ფარი,
მან დამაჩემა, რომ ენგურს გარდა,
ჩემია,–ფრონე, თერგი და მტკვარი,
ხო,–და ინებოს, ვისაც კი არ სურს,
ხელზე ბორკილი და გულზე ხუნდი,
დაიხუროს! –და ატაროს მკვიდრად,
დედის ნაკურთხი,–ქართული ქუდი !

უსაფლავო ძმებს,–აქეთ და იქეთ...

წყეულიმც იყოს ვინც ჩვენ დაგვწყევლა,
–ერთგულნი ვრჩებით აღთქმული ფიცის,
სიცოცხლის ნაცვლად, არც არას
ვითხოვთ,
სისხლით და ხორცით ზიარნი მიწის,
არ დაგვიკარგავს სიკვდილში სახე,
ბევრს საფლავიც კი არ გვეღირსება,
აქეთ დარჩენა არ გვიჯავრია,
სადაც ვართ, ყველგან, გვახლავს
ღირსება,
აქ ჩვენთან, ხშირად, მოსთქვამს ნადირი,
და ქარი გლოვობს თვალდათხრილ
ოდებს,
ყოველ დაისზე, ტირიფის ნაცვლად,
ჩვენს ალაგს, ღამის ფრინველი გოდებს,
მხოლოდ ეს ერთი, გვაწევს სიმძიმედ,
სისხლის და ცრემლის შენდობა გვინდა,
–ბრძოლის გრიგალში გაშმაგებულებს,
გადაგვავიწყდა კურთხევა წმინდა...
...გაზაფხულობით, ვართ თითქოს
ღვთისგან,
შენდობილნი და ნაპატიები,
- ჩვენს მკერდზე, ძვირფას ჩოხას
ქარგავენ,
სამშობლო მიწის, ლურჯი იები ...

დიდი ქარტია

(ოდა თავისუფლებას,
„ანუ",– ვაი ჩვენს პატრონს)

მოგილოცავთ ! -კუზიანებს,
კოჭლებს, გონჯებს, ბრუციანებს,
იდიოტებს, დებილებს,
დაუნებს, ინბეცილებს!
ნაძირალებს, აქტივისტებს,
ბანკირებს და ჟუ0რნალისტებს,
შტანგისტებს და ალპინისტებს,
ნაცარმქექავ ფატალისტებს!
-როსკიპებს და მორფინისტებს,
ნირწამხდარებს, ოპტიმისტებს,
ბუდისტ–მორმონ–რასელისტებს,..
–ბრიყვებსა და აფერისტებს!
მდგრადებს, მრუდებს, ჩარეცხილებს,
სინდის-ნამუსგარეცხილებს,
სირი მამის თოლხო შვილებს,
ბოზი დედის გაჩენილებს!
ლესბოსელებს, მამათმავლებს,
რიგითებს და მამამთავრებს,
პაპუასებს, ბურებს, ფრანგებს,
წითლებს, ყვითლებს, თეთრებს, ზანგებს!..
-არის! -დიდი ქარტია!
-ყველასა აქვს უფლება!(?)
-მოდის დემოკრატია!
-აიიი ! თავისუფლება !(?)...

სამშობლო

ამერიკა, ბრიტანეთი, ისრაელი, რუსეთი,
ირან-ერაყ-ავღანეთი, სასომხეთი,
თურქეთი,
მოსკოვ-ლონდონ-ვოშინგტონი,
ცხრუკვათი და მამათი,
აბაშა და ბრიუსელი... -„მამა ცხონდა
ამათი"!
არაბ-ზანგი, ჩინელ-ჰინდუ, თარაქამა,
ჰურია,
გადაღმელი, გადმოღმელი, შინა,
გარეულია,
ჩაფრენია ჩემს წყალს, მიწას, -აწმყოც
უნდა, წარსულიც,
მე ვინ რაღას მეკითხება, -ვარ
ქვეთავსლაფდასხმული!..
ცა ფირუზი, ხმელზურმუხტი, წყალი
ბროლ-მარგალიტის,
მონაგარი ამირანის, აიეტის, დავითის,
საქართველო!.. -ჩემო დედავ, დევების და
გმირების!?
-ხოხბის, მრავალჟამიერის, ზაქების და
ვირების!..

ყაჩაღები თუ ქურდები

ქვეყანა გათავისუფლდა,
დასწყვიტა „კრემლის ხუნდები",
ატლანტიკიდან მოფრინდნენ,
„მშვიდობის მტრედთა გუნდები"...
-ბეჩავი ისე გაძარცვეს,
არ დაუტოვეს ხურდები,
რაღა სჯობს? -„კანონიერი",
ყაჩაღები? -თუ ქურდები?
მუშვან ვარგი
(მიშა იოსელიანი)

გაუმარჯოს იბერიას!

(სადაც არის იქ!...)

მე, კარგად ვიცი ვინცა ვარ,
რომელი მთის და ბარისა,
სისხლის და სახის, -რჯულისა,
ოთხიდან, რომელ მხარისა?...
-იბერიელი ღმერთების,
დარჯელან-დალის ჯიშისა,
ხვამლს მიჯაჭვული პაპის ვარ,
ყრმობით, დამღვევის ფიცისა...
ამათი ქვეყნიდანა ვარ!
წმინდა! -გიორგის მხარიდან...
ბევრჯერ დალეწილ-დაჭედილ,
დარიალის ბჭის კარიდან,
-ყველას დამხვდური მასპინძლის,
ავკარგიანთა გვარიდან...
-უკანასკნელი, -„ჰოე" დან,
თავდაპირველი, -„ანი" დან...
-ჩემს მოდგმას ვეთაყვანები,
იბერთა სამფლობელოდან,
კავკასიონის თხემიდან!
-ოდესღაც, საქართველოდან...

proeqti

saqarTvelos kanoni saxelmwifo enis Sesaxeb

ქართული სახელმწიფო ენა წარმო–ადგენს საქართველოს ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას და მისი სახელმწიფოებრიობის აუცილებელ პირო–ბას. იგი არის საქართველოს ყველა მოქალაქის საერთო სახელმწიფოებრივი კუთვნილება. სახელმწიფო ყველა თავის ფუნქციას აღასრულებს სახელწიფო ენაზე. სახელმწიფო იცავს ამ ენას და გასაზღვრავს მისი ფუნქციონირებისა და განვითარების პოლიტიკას.

საქართველოს სახელმწიფო, ამავე დროს იცავს და განამტკიცებს ქვეყანაში ენათა და კულტურათა თანაარსებობისა და ჰარმონიული განვითარების საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ ტრადი–ციას, დაუშვებლად მიიჩნევს ნებისმიერი ენის მიმართ უპატივცემლობის გამოხა–ტვას, საქართველოს მოქალაქის ენობრივი უფლებების შელახვას, აღკვეთს ენობრივი პოლიტიკის კონსტიტუციური პრინციპების საწინააღმდეგო ყოველგვარ ქმედებას.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი განამტკიცებს სახელმწიფო ენის კონსტიტუციურ სტატუსს, ადგენს მისი

გამოყენებისა დადაცვის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს სახელმწიფო და

სხვა (არასახელმწიფო) ენების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ

ურთიერთობებს.

2. ეს კანონი ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, აგრეთვე, საქართველოს

ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებზე და უცხოელებზე.

3. ეს კანონი არ ვრცელდება პირად ურთიერთობებზე.

მუხლი 2. საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო ენის შესახებ

1. საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო ენის შესახებ შედგება საქართველოს

კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის, სხვა

საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

2. სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს

საქართველოს პარლამენტი.

მუხლი 3. კანონში გამოყენებული ცნებები და ტერმინები

ამ კანონში გამოყენებულ ცნებებსა და ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სახელმწიფო ენა - ენა (ენები), რომელსაც საქართველოს კონსტიტუციით აქვს

მინიჭებული ეს სტატუსი და რომელიც, ისტორიული ტრადიციის შესაბამისად,

წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისა და ქვეყნის მოქალაქეთა,

ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ურთიერთობის ძირითად საშუალებას.

ბ) არასახელმწიფო ენა - სახელმწიფო ენის (ენების) გარდა, ნებისმიერი სხვა ენა,

რომლითაც სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მცხოვრები

სხვა პირები პირად ცხოვრებაში თუ საჯაროდ.

გ) საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი - საჯარო სამართლის იურიდიული

პირი, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის ფუნქციონირების

მაკონტროლებელი და საზედამხედველო დაწესებულება.

დ) სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია - საქართველოს

მთავრობასთან არსებული სახელმწიფო ენის ნორმალიზაციისა და სტანდარტიზაციის,

სალიტერატურო ენის ნორმათა და სპეციალურ ტერმინთა დამდგენი ორგანო.

ე) სახელმწიფო ენის პროგრამა - სახელმწიფო ენის განვითარების, ნორმალიზაციისა და

სტანდარტიზაციის ძირითად მიმართულებათა განმსაზღვრელი ერთიანი დოკუმენტი,

რომელსაც შეიმუშავებს სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია და

ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

ვ) ტრანსლიტერაცია - ერთი ენის ფონემების (ბგერების) გადმოცემა მეორე ენის

დამწერლობის ნიშნებით.

ზ) ტოპონიმი - რაიმე გეოგრაფიული ობიექტის (ნებისმიერი ადგილის, სოფლის, მთის,

ტყის, მინდვრის, მდინარის და სხვ.) აღმნიშვნელი სახელწოდება.

მუხლი 4. სახელმწიფო ენის სტატუსი

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო

ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში - აგრეთვე, აფხაზური.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის

კონსტიტუციური სტატუსის დაცვას.

3. სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს ქართველურ ენა-კილოთა შენარჩუნებასა და

შესწავლაზე, როგორც სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს

პირობაზე.

მუხლი 5. სახელმწიფო ენის დაცვის გარანტიები

1. სახელმწიფო ენის დაცვის, მისი ფუნქციონირებისა და განვითარების უმთავრესი

გარანტი არის სახელმწიფო. 2. სახელმწიფო ენის დაცვის გარანტიები განსაზღვრულია საქართველოს

კონსტიტუციით, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

3. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სახელმწიფო და

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში უზრუნველყოფენ სახელმწიფო ენის

ფუნქციონირებისა და დაცვისათვის აუცილებელ ორგანიზაციულ და მატერიალურ-

ტექნიკურ პირობებს.

4. სახელმწიფო უზრუნველყოფს

სახელმწიფო ენის პროგრამების განხორციელებას.

მუხლი 6. სახელმწიფო და სხვა (არასახელმწიფო) ენების გამოყენების გარანტიები

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს სათანადო პირობებს სახელმწიფო ენის შესწავლისა და გამოყენებისთვის.

2. საქართველოს მოქალაქე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, უზრუნველყოფილია საჯარო ინფორმაციით სახელმწიფო ენაზე, (იმ შემთხვევაში, როდესაც საჯარო ინფორმაცია დაცულია სახელმწიფო ენაზე).

3. ყოველი საჯარო მოსამსახურე, კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფილია სამსახურებრივი ინფორმაციით სახელმწიფო ენაზე.

4. საჯარო მოსამსახურე ვალდებულია ფლობდეს სახელმწიფო ენას.

5. არასახელმწიფო ენების გამოყენება თავისუფალია, თუ ამით არ იზღუდება სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსი.

მუხლი 7. განათლების ენის არჩევის თავისუფლება

1. საქართველოში მცხოვრებ ყოველ პირს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განათლების მისაღებად აირჩიოს სხვა ენა.

2. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული არასახელმწიფოენოვანი სასწავლო დაწესებულებები ვალდებული არიან შესაბამის კონტინგენტს შესთავაზონ სახელმწიფო ენის სპეციალური (არჩევითი) კურსი.

მუხლი 8. სახელმწიფოს საგარეო ენობრივი პოლიტიკის პრინციპები

საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების (შეთანხმებების) გათვალისწინებით სახელმწიფო ხელს უწყობს:

ა) ქვეყნის ფარგლებს გარეთ საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლებას.

ბ) ქართველოლოგიური კვლევების გაღრმავებას, ქართული ენის პოპულარიზაციას;

გ) სათანადო სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გავრცელებას, კონფერენციების და სამეცნიერო ფორუმების ორგანიზებას.

თავი II

სახელმწიფო ენის გამოყენების სამართლებრივი პრინციპები

მუხლი 9. საქართველოს მოქალაქეების უფლება-მოვალეობანი ენის გამოყენების სფეროში

1. საქართველოს თითოეული მოქალაქის უფლებაა სახელმწიფოსაგან მოითხოვოს სახელმწიფო ენის დაცვის, შესწავლისა და განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი გარანტიების უზრუნველყოფა.

2. საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობა დაამყაროს სახელმწიფო ენაზე, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

3. მოქალაქის ენობრივ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვა მოქალაქეთა შესაბამისი უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 10. მოქალაქის უფლება მიიღოს ოფიციალური დოკუმენტები

სახელმწიფო ენაზე

საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს და კანონით დადგენილი წესით მიიღოს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მის შესახებ არსებული ოფიციალური დოკუმენტები და ინფორმაცია სახელმწიფო ენაზე, გარდა იმ დოკუმენტების ასლებისა, რომლებიც გაიცემა შესაბამისი ორიგინალის ენაზე.

თავი III

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის, საქმისწარმოებისა და სამართალწარმოების ენა

მუხლი 11. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმისწარმოების ენა

1. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფო ენაზე, გარდა კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევებისა.

2. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ოფიციალური საქმისწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე.

3. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის ურთიერთობა, მიმოწერა და თანამშრომლობა ხორციელდება სახელმწიფო ენაზე.

4. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა განცხადებებს, საჩივრებსა და წინადადებებს განიხილავენ და უპასუხებენ სახელმწიფო ენაზე, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

მუხლი 12. სამართალშემოქმედებისა და საკანონმდებლო საქმიანობის ენა

1. საქართველოში სამართლებრივი აქტები მზადდება და მიიღება (გამოიცემა) ქართულ ენაზე, აფხაზეთში - აგრეთვე, აფხაზურ ენაზე.

2. საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში კანონპროექტის წარდგენა ხდება ქართულ ენაზე.

3. სამართლებრივი ნორმატიული აქტები ოფიციალურად ქვეყნდება ქართულ ენაზე, აფხაზეთში - აგრეთვე, აფხაზურ ენაზე.

მუხლი 13. სამართალწარმოების ენა

საქართველოს კონსტიტუციისა და საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე.

მუხლი 14. ენის გამოყენება საქართველოს სამხედრო ძალებში

1. საქართველოს სამხედრო და სხვა გასამხედროებულ ძალებში ოფიციალური საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფო ენაზე (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა თუ შეთანხმებებით დადგენილია განსხვავებული წესები).

2. საქართველოს სამხედრო და სხვა გასამხედროებულ ძალებში სამსახურისა და სამხედრო ბრძანებების ენა არის ქართული.

მუხლი 15. ბეჭდების, შტამპების, შტემპელების, ბლანკების ტექსტის, განცხადებებისა და შეტყობინებების ენა

1. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ბეჭდების, შტამპების, შტემპელების, ბლანკების ტექსტი დგება სახელმწიფო ენაზე. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება შესაბამისი ტექსტი პარალელურად გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთ არასახელმწიფო ენაზე.

2. სახელმწიფო და ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოებში ოფიციალური საჯარო განცხადებებისა და შეტყობინების ტექსტი სრულდება სახელმწიფო ენაზე.

თავი IV

საგარეო ურთიერთობების ენა

მუხლი 16. საგარეო ურთიერთობების ენა

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები ვალდებული არიან საგარეო ურთიერთობებისას გამოიყენონ საერთაშორისო სამართლის ნორმებით განსაზღვრული უფლებები სახელმწიფო ენების სფეროში.

თავი V

არჩევნების, რეფერენდუმის, პლებისციტისა და ოფიციალურ ღონისძიებათა ენა

მუხლი 17. არჩევნების ენა

არჩევნების პროცესში კანდიდატთა რეგისტრაცია, სათანადო დოკუმენტაციის შედგენა და საარჩევნო პროცედურები უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ენაზე, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 18. რეფერენდუმისა და პლებისციტის ენა

1. საქართველოში რეფერენდუმი და პლებისციტი მზადდება და ტარდება სახელმწიფო ენაზე, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. სახელმწიფო ენაზე ფორმდება რეფერენდუმისა და პლებისციტის ჩასატარებელი ბიულეტენები და რეფერენდუმის, პლებისციტის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 19. კონკურსებისა და ატესტაციების ენა

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული კონკურსები და ატესტაციები ტარდება და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ფორმდება სახელმწიფო ენაზე.

მუხლი 20. ოფიციალურ ღონისძიებათა ენა

1. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების,

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ოფიციალური

ღონისძიებები (ყრილობები, სესიები, სხდომები, სიმპოზიუმები, მიღებები და სხვ.)

ტარდება სახელმწიფო ენაზე, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ღონისძიებაზე გამომსვლელის მიერ არასახელმწიფო ენის გამოყენების

შემთხვევაში უნდა განხორციელდეს თარგმანი სახელმწიფო ენაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე

ორგანიზებულ საერთაშორისო ხასიათის ოფიციალურ ღონისძიებებზე.

თავი VI

საკუთარ სახელთა და სახელწოდებათა ენა

მუხლი 21. ტოპონიმთა და კარტოგრაფიულ გამოცემათა ენა

1. ტოპონიმები არ ითარგმნება და სხვა ენებზე გადმოიცემა სალიტერატურო ენათა ნორმებით დადგენილი ტრანსლიტერაციის წესების შესაბამისად.

2. ტოპონიმები იქმნება და ოფიციალურად გამოიყენება სახელმწიფო ენაზე, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.3. ტოპონიმებთან დაკავშირებული სხვა საკითხები წყდება შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 22. სახელის, მამის სახელისა და გვარის დაწერილობა

1. საქართველოს მოქალაქის, საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირის სახელის, მამის სახელისა და გვარის ოფიციალური რეგისტრაცია და გამოყენება ხდება სახელმწიფო ენაზე.

2. საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს გამოიყენოს საკუთარი სახელი, მამის სახელი და გვარი მშობლიურ ენაზე, აგრეთვე აქვს უფლება მისი ოფიციალურად აღიარებისა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სახელი, მამის სახელი და გვარი სახელმწიფო ენიდან სხვა ენაზე და სხვა ენიდან სახელმწიფო ენაზე გადმოიცემა შესაბამისი სალიტერატურო ენის ნორმებით დადგენილი ტრანსლიტერაციის წესების დაცვით.

4. სახელის, გვარისა და მამის სახელის კორექტირება (შესწორება ან/და დამატება) ხდება სახელმწიფო ენაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 23. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციის სახელწოდების ენა

1. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ოფიციალური სახელწოდებები იქმნება და გამოიყენება სახელმწიფო ენაზე. ეს სახელწოდებები, სახელმწიფო ენასთან ერთად, შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთ არასახელმწიფო ენაზე.

2. დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციის სახელწოდება სახელმწიფო რეესტრში შეიტანება სახელმწიფო ენაზე.

3. საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების სახელდება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ამ მუხლის 1-3 პუნქტებით განსაზღვრულ სახელწოდებათა შეუსაბამობა მითითებულ ნორმებთან უნდა გასწორდეს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის რეკომენდაციის შესაბამისად.

მუხლი 24. სასაქონლო (მომსახურების) ნიშნების გამოყენება

არასახელმწიფოენოვანი სასაქონლო ნიშნების გამოყენება უნდა მოხდეს ქართულენოვანი დაწერილობით (ტრანსლიტერაციით).

თავი VII

საჯარო ინფორმირებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ენა

მუხლი 25. საჯარო ინფორმირების ენა

საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადების, შეტყობინების, სასათაურო წარწერის, პლაკატის, აბრის, აფიშის, რეკლამისა და სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტები სრულდება სახელმწიფო ენაზე, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

მუხლი 26. საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილ წარწერათა განლაგება

1. საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილ წარწერათა წარმოდგენა სახელმწიფო ენაზე სავალდებულოა; ამ წარწერათა არასახელმწიფო ენაზე წარმოდგენის ზოგადსავალდებულო წესებს შეიმუშავებს სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია.

2. ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში ოფიციალურ სახელწოდებათა სახელმწიფო და არასახელმწიფო

ენებზე გადმოცემისას სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება მარცხნივ (ზევით), ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი - მარჯვნივ (ქვევით).

3. ოფიციალურ სახელწოდებათა ქართულ, აფხაზურ და არასახელმწიფო ენებზე გადმოცემისას ქართული ტექსტი თავსდება მარცხნივ (ზევით), აფხაზური ტექსტი - ცენტრში, ხოლო არასახელმწიფოენოვანი ტექსტი - მარჯვნივ (ქვევით).

4. ყველა სახვა შემთხვევაში სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება სხვა ენაზე შესრულებული ტექსტის მარცხნივ ან ზემოთ; ამასთანავე, ეს წესი მოქმედებს უცხოენოვანი წარწერის ყოველი ახალი გამოყენებისას.

5. არასახელმწიფოენოვანი ტექსტის სახელმწიფო ენაზე შესრულებულ ტექსტთან ერთად გამოყენებისას არასახელმწიფოენოვანი შრიფტი ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ შრიფტს.

მუხლი 27. საზოგადოებრივი ცნობარებისა და სხვა საინფორმაციო მასალების ენა

1. საზოგადოებრივი ცნობარებისა და სხვა საინფორმაციო მასალები როგორც წესი გამოიცემა და ქვეყნდება სახელმწიფო ენაზე.

2. იურიდიული და/ან ფიზიკური პირის მიერ საქართველოში გასავრცელებლად გამოცემულ ცნობარებსა და ამ სახის სხვა საინფორმაციო მასალებს, რომლებიც შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, თან უნდა ახლდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებული თარგმანი.

მუხლი 28. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ენა

1. გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემა, აგრეთვე, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის გადაცემები ხორციელდება სახელმწიფო ენაზე, გარდა კანონმდებლობით გათვალიწინებული სხვა შემთხვევებისა.

2. მასობრივი ინფორმაციის ის საშუალებები, რომლებიც მაუწყებლობენ სახელმწიფო ენაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებულ იქნეს არასახელმწიფო ენებიც, მაგრამ ტელე-და რადიომაუწყებლობის საეთერო დროის არაუმეტეს 10%-ისა.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებით საჯარო გადაცემის მიზნით ნაჩვენები აუდიოვიზუალური პროდუქციის თარგმნისას და დუბლირებისას გამოიყენება სახელმწიფო ენა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 29. რეკლამის ენა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში რეკლამისათვის ენის გამოყენების სამართლებრივ საფუძველს განსაზღვრავს ეს კანონი, კანონი „რეკლამის შესახებ“ და სხვა საკანონდებლო აქტები.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში რეკლამა ვრცელდება სახელმწიფო ენაზე, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა.

3. სახელმწიფოენოვანთან ერთად არასახელმწიფო ენაზე შესრულებული სარეკლამო განცხადების გამოყენებისას სახელმწიფოენოვანი ვერსია უნდა იყოს უფრო მკაფიოდ გამოხატული, წასაკითხი და მოსასმენი.

თავი VIII

სახელმწიფო ენის გამოყენება სხვა სფეროებში

მუხლი 30. მომხმარებლის უფლება - მიიღოს ინფორმაცია სახელმწიფო ენაზე

1. მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია სახელმწიფო ენაზე, გარდა კანონმდებლობით გათვალიწინებული სხვა შემთხვევებისა.

2. სახელმწიფო ენის არცოდნა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომსახურებაზე უარის თქმის მოტივად.

მუხლი 31. ენის გამოყენება მეცნიერების სფეროში

1. აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის მოსაპოვებლად ნაშრომის წარდგენა და საჯარო დაცვა ხდება სახელმწიფო ენაზე, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისისა.

2. სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულებებში მეცნერული კვლევების შედეგები ფორმდება და ვრცელდება სახელმწიფო, ენაზე გარდა კანონმდებლობით გათვალიწინებული სხვა შემთხვევებისა.

3. სამეცნიერო კვლევის შედეგების არასახელმწიფო ენაზე გამოქვეყნების შემთხვევაში, მას უნდა ახლდეს სახელმწიფოენოვანი თარგმანი ან ვრცელი რეზიუმე.

4. ტექნიკურ დოკუმენტაციასა და საქმისწარმოებაში გამოიყენება ერთიანი ტერმინოლოგია. ტერმინოლოგიის დადგენისა და გამოყენების ნორმებს განსაზღვრავს სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია.

5. ამ მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს მოქალაქეების მიერ უცხოეთში გამოქვეყნებულ ნაშრომებზე.

მუხლი 32. ენის გამოყენება ინფორმატიკის სფეროში

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიებში ქართული ენის გამოყენებას.

2. ინფორმატიკის საშუალებებით ინფორმაციის მიღება და გავრცელება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე.

3. კომპიუტერული (ელექტრონული) ტექნიკა, რომელიც გამოიყენება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, უნდა უზრუნველყოფდეს ტექსტის შესრულებას სახელმწიფო ენაზე.

მუხლი 33. ენის გამოყენება კულტურის სფეროში

მოქალაქეებისათვის მსოფლიო კულტურის მიღწევების სრულფასოვანი გაცნობის მიზნით სახელმწიფო ხელს უწყობს:

ა) მხატვრული, სამეცნიერო, პოლიტიკური და სხვა ლიტერატურის თარგმნასა და

გამოცემას სახელმწიფო ენაზე.

ბ) აუდიოვიზუალური ნაწარმოებების თარგმნასა და საჯარო გადაცემას

სახელმწიფო ენაზე.

თავი IX

სახელმწიფო ენის ცოდნასთან დაკავშირებული მოთხოვნები

მუხლი 34. სახელმწიფო ენის ცოდნის მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის შეფასება

1. სახელმწიფო ენის ცოდნის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის შეფასება ხდება სახელმწიფო გამოცდის მეშვეობით.

2. სახელმწიფო გამოცდის ჩატარების წესს ადგენს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად) და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

3. სახელმწიფო გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.4. პირი, ვინც სახელმწიფო ენის გამოცდას ჩააბარებს, მიიღებს

შესაბამის დოკუმენტს (სერტიფიკატს), რომლის გამოყენებაც მას შეუძლია საჯარო სამსახურში მიღებისას, მოქალაქეობის მოპოვებისას და სხვა დანიშნულებისამებრ.

5. ენის სახელმწიფო გამოცდას არ აბარებენ ის პირები, რომელთაც ზოგადი ან უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ სახელმწიფო ენაზე.

თავი X

სახელმწიფო ენის დაცვის სახელმწიფო კონტროლი და შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებათა კომპეტენცია ამ სფეროში

მუხლი 35. სახელმწიფო ენის დაცვის სახელმწიფო კონტროლი

სახელმწიფო ენის დაცვის სახელმწიფო კონტროლს თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ:

ა) საქართველოს პარლამენტი;

ბ) საქართველოს მთავრობა;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები;

გ) სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.

მუხლი 36. სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

1. სახელმწიფო ენის დაცვის კონტროლს, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ ფარგლებში, ახორციელებს „საქარველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი“, რომელიც არის ამ კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დებულებას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

3. სახელმწიფო ენის დეპარტამენტს ხელძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

4. სახელმწიფო ენის დეპარტამენტზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი.

5. სახელმწიფო ენის დეპარტამენტი:

ა) უზრუნველყოფს ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას სახელმწიფო ენის დაცვის, განვითარებისა და გამოყენების სფეროში;

ბ) შეიმუშავებს და გამოსცემს სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარებისათვის აუცილებელ ნორმატიულ აქტებს;გ) ახორციელებს კონტროლს „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონის შესრულებაზე;

დ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აძლევს რეკომენდაციებს ენის გამოყენების სფეროში არსებული დარღვევების აღმოსაფხვრელად;

ე) უფლებამოსილია გამოიყენოს ამ კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონის დარღვევის ფაქტზე;

ვ) რეკომენდაციით მიმართავს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფო ენის კანონის დარღვევისათვის კონკრეტული პირის მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ;

ზ) უზრუნველყოფს სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებას სახელმწიფო ენაში;

თ) ახორციელებს საინფორმაციო და მეთოდური უზრუნველყოფის ღონისძიებებს სახელმწიფო ენის

სფეროში;

ი) ახორციელებს დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

6. სახელმწიფო ენის დეპარტამენტი უფლებამოსილია სახელმწიფო ორგანოებიდან, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან გამოითხოვოს ინფორმაცია ამ კანონითა და დეპარტამენტის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირების მიერ დეპარტამენტისათვის არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება ითვლება ინფორმაციის მიუწოდებლობად. გამოთხოვილი ინფორმაცია დეპარტამენტს უნდა წარედგინოს მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 37. სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია

1. საქართველოს მთავრობასთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია მოქმედებს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

2. სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედ სახელმწიფო კომისიას ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომელიც ნიშნავს კომისიის თანათავმჯდომარეს და კომისიის წევრებს.

3. სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია ადგენს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

4. სახელმწიფო ენის ფუნქციონირების სფეროებში ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა სავალდებულოა.5. სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი სახეხელმწიფო კომისიის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.

მუხლი 38. სახელმწიფო ენის პროგრამები

1. სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო ენის განვითარების ერთიან პროგრამას.

2. სახელმწიფო ენის პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფენ კანონმდებლობით უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები.

3. სახელმწიფო ენის პროგრამები ითვალისწინებს:

ა) სახელმწიფო ენაზე სამეცნიერო და სამეცნიერო- პოპულარული ლიტერატურის მიზნობრივ გამოცემას;

ბ) შესაბამისი სამეცნიერო კვლევების გააქტიურებას;

გ) სათანადო პირობების შექმნას სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებული კადრების მოსამზადებლად;

დ) სახელმწიფო ენის სწავლებისა და ენობრივი კულტურის ამაღლების მიზნით განათლების სისტემისთვის ხელის შეწყობას.

4. სახელმწიფო ენის პროგრამების დაფინანსებას (სრულად ან ნაწილობრი) უზრუნვეყოფს სახელმწიფო ბიუჯეტი.

5. სახელმწიფო ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას სახელმწიფო ენის პროგრამების განხორციელების მიზნით.

თავი XI

პასუხისმგებლობა და სანქციები

მუხლი 39. პასუხისმგებლობა „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონმდებლობის დარღვევისათვის

სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის პირი პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 40. სახელმწიფო ენის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებელი პირები

1. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მოქმედი კანონმდებლობით, ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა მათდამი დაქვემდებარებული სფეროს ფარგლებში სახელმწიფო ენის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევისათვის.

2. მომსახურების სფეროს დაწესებულებები (ორგანიზაციები) ვალდებული არიან აანაზღაურონ მომსახურების სფეროს შესაბამისი თანამდებობის პირის ან რიგითი მუშაკის მიერ სახელმწიფოსათვის ან ფიზიკური პირისათვის სახელმწიფო ენის შესახებ კანონის დარღვევით მიყენებული ზიანი სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 41. სანქციები ამ კანონის დარღვევისათვის

1. ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფო ენის დეპარტამენტი უფლებამოსილია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები წერილობით გააფრთხილოს და განუსაზღვროს გონივრული ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად.

2. სახელმწიფო ენის დეპარტამენტი უფლებამოსილია ამ კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის, 26-ე მუხლის პირველი, მე-4, მე-5 პუნქტებისა და 29-ე მუხლის დარღვევისათვის შესაბამის პირებს დააკისროს ჯარიმა, თუ ამ მუხლის პირველი

პუნქტით გათვალისწინებულ გაფრთხილებაში მითითებულ ვადაში არ აღმოიფხვრა დარღვევა ან ჯარიმის, როგორც სანქციის გამოყენებიდან 1 წლის განმავლობაში ჩადენილ იქნა ახალი დარღვევა.

3. ამ კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ოქმს ადგენს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამდებობის პირი, ხოლო საქმეს განიხილავს დეპარტამენტი.

4. გაფრთხილების ან ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოპასუხე უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ამ კანონით გათვალისწინებული სანქციის არამართლზომირი გამოყენების გამო. ზიანის ოდენობას ადგენს სასამართლო.

მუხლი 42. ჯარიმის ოდენობა და გადახდის წესი

1. ამ კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის, 26-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფო ენის დეპარტამენტი უფლებამოსილია შესაბამის პირებს დააკისროს ჯარიმა 100-დან 300 ლარამდე.

2. დაჯარიმების შემდეგ დამრღვევის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში დეპარტამენტი უფლებამოსილია დამრღვევი დააჯარიმოს 300-დან 500 ლარამდე.

3 ამ კანონის 29-ე მუხლის დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფო ენის დეპარტამენტი უფლებამოსილია დამრღვევს დააკისროს ჯარიმა 200-დან 500 ლარამდე.

4. დაჯარიმების შემდეგ დამრღვევის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში დეპარტამენტი უფლებამოსილია დამრღვევი დააჯარიმოს 500-დან 1000 ლარამდე.

5. დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება მოტივებისა და საფუძვლის მითითებით გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში წერილობით ეცნობება დამრღვევს.

6. დამრღვევის მიერ ჯარიმა გადახდილ უნდა იქნეს დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების დამრღვევისათვის ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში.

7. დამრღვევის მიერ დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი-აღსრულების ეროვნული ბიურო. ჯარიმის თანხა ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

მუხლი 43. უკანონოდ განლაგებული წარწერის დემონტაჟი

1. თუ ამ კანონის 26-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების დარღვევისათვის ერთი წლის განმავლობაში მეორედ დაჯარიმების შემდეგ დარღვევა არ აღმოიფხვრა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, დეპარტამენტი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს უკანონოდ განლაგებული წარწერის დემონტაჟის მოთხოვნით.

2. დემონტაჟის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი-აღსრულების ეროვნული ბიურო. დემონტაჟისათვის აუცილებელი თანხა ეკისრება დამრღვევს.

თავი XII

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 44. ამ კანონთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები

1. ამ კანონის ამოქმედებიდან 2015 წლის 1 ივნისამდე საქართველოს მთავრობამ მიიღოს დადგენილება „სახელმწიფო ენის სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების წესის შესახებ“.

2. ამ კანონის ამოქმედებიდან 2015 წლის 1 ივნისამდე კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი სასაქონლო ნიშნებისა და საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილ წარწერათა დაწერილობა და განლაგება.

3. ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა და სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისიის დებულებები.

მეცნიერება

zviad gamsaxurdia
saqarTvelos sulieri missia

ლექცია წაკითხული „იდრიატის“
ფესტივალზე თბილისში.
ფილარმონია, 2 მაისი, 1990 წელი

ძვირფასო მეგობრებო!

ერთი ლექციის ფარგლებში ყოვლად შეუძლებელია ესოდენ რთული თემის ჩატევა და ამიტომ ამ ლექციას ექნება უფრო მიმოხილვითი ხასიათი, უფრო ზოგადად მოგახსენებთ ყოველივე იმას, რაზეც გვიფიქრია, გვიმუშავია მე და ჩემს მეგობრებს წლების მანძილზე, აგრეთვე ცალკეული გამოკვლევების შედეგებს როგორც აქ, საქართველოში, ასევე დასავლეთში

ლექციის გეგმა ასეთი იქნება: თავდაპირველად ვისაუბრებთ ქართველთა ეთნოგენეზისზე. მე ვიცი, რომ დასავლელი სტუმრები განსაკუთრებით დაინტერესებული არიან ამით და გავაშუქებთ უფრო ისეთ მომენტებს, რომლებიც შეიძლება მათთვის არ იყოს ცნობილი და რომლებიც ნაკლებად შუქდება დასავლეთის დღევანდელ მეცნიერებაში. და, გარდა ამისა, უნდა მოგახსენოთ,რომ საბჭოთა იდეოლოგიური დიქტატურის მრავალწლიანი ბატონობის პერიოდში მრავალი რამ ქართული კულტურის ისტორიაში იყო მიჩქმალული, დამახინჯებული და ტაბუირებული. ერთგვარი მეცნიერული ტაბუ იყო ამ საკითხზე დადებული, რაც, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება, ვინაიდან არც ისე ადვილია იმ ავადსახსენებელი ეპოქის ჰიპნოზის შედეგების მოცილება თავიდან. მრავალი საკითხი გაყალბებულია და საბჭოთა იმპერიული მეცნიერების მიერ უზურპირებული,თავისი ინტერესებისადმი დაქვემდებარებული. ყოველივე ამის გავლენის ქვეშ, სამწუხაროდ, მოქცეულნი არიან ქართველი მეცნიერებიც. მე არ მინდა მათი კონკრეტულად დასახელება, ისინი ჯერ ვერ ბედავენ კვლევა განავითარონ იმ მიმართულებით, რაც ნათელს მოჰფენდა ამ საკითხებს. ამას ყველაფერს ძალიან დიდი და შორს მიმავალი მიზეზები ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით დიდი კამპანია იყო გაჩაღებული ქართველი მეცნიერების ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარრის წინააღმდეგ.

აგრეთვე მიჩქმალულია დასავლეთის ისეთი დიდი მეცნიერების გამოკვლევები იბერთა ეთნოგენეზისის სფეროში, როგორიც არის ვილჰელმ ჰუმბოლდტი და სხვანი. ეს იმის გამო ხდებოდა,მეგობრებო, რომ სურდათ ქართველი ერისათვის შთაენერგათ არასრულფასოვნების კომპლექსი. საბჭოთა მეცნიერებამ,კერძოდ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა, შექმნეს თეორია იმის შესახებ (არსებობს სტალინის თეორია ამასთან დაკავშირებით),რომ თურმე ქართველი ერი, როგორც ასეთი, შეიქმნა და ჩამოყალიბდა ერად მეცხრამეტე საუკუნეში, რომ მანამდე იგი თურმე არც ერი ყოფილა და არც არსებობდა. მეცხრამეტე საუკუნეში შემოვიდა ჩვენში კაპიტალიზმი და

ვითომდაც ამან განაპირობა ქართველი ერის ერად ქცევა. ეს არის მარქსისტული თეორია, რომელიც დღემდე ბატონობს და რომელიც ზოგიერთ ჩვენს მეცნიერს დღემდე ვერ მოუცილებია თავიდან და კვლავ ამ მიმართულებით აგრძელებს მუშაობას. ეს ყველაფერი ისახავდა შორს მიმავალ მიზნებს.

სინამდვილეში როგორია ვითარება ქართველთა ეთნოგენეზისთან დაკავშირებით? მეოცე საუკუნეში ჩვენი მეცნიერების დიდი კორიფეების აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარრის მიერ გამოკვლეული იქნა გენეტიკური ძირები ქართული მოდგმისა, ქართველი ერისა და გამოტანილი იქნა შემდეგი დასკვნები, რასაც სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ორთოდოქსული საბჭოთა მეცნიერება. ამავე დროს, როგორც მოგახსენეთ, მიჩქმალული იყო დიდი გერმანელი მეცნიერის ვილჰელმ ჰუმბოლდტის გამოკვლევები. რაში მდგომარეობს ამ გამოკვლევათა არსი და რად არ ვითარდება თანამედროვე ეთნოლოგიური, ენათმეცნიერული კვლევა ამ მიმართულებით?

საქმე ის გახლავთ, რომ ვილჰელმ ჰუმბოლდტი მისმა გამოკვლევებმა ბასკური ენის სფეროში და პირინეის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობის ვინაობის კვლევის ვფეროში მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა. ამ მოსახლეობას უწოდებენ პროტოიბერებს, მათგან მომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლეობა. მეცნიერებაში მიღებულია აგრეთვე ტერმინი – ხმელთაშუა ზღვის რასსა, მედიტერანული რასსა,ანუ მედიტერანული მოდგმა. იმ მოდგმის აღსანიშნავად, რომელიც იდენტურია ტერმინისა კავკასიური რასსა, არის აგრეთვე ტერმინები: პალეოკავკასიური რასსა, ანუ უძველესი კავკასიური რასსა, უძველესი მედიტერიანული რასსა, რაც ურთიერთის იდენტურია. საუბარია იმ მოსახლეობაზე, იმ მოდგმაზე, რომელიც სახლობდა პირინეების ნახევარკუნძულიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში, ბალკანებზე, თანამედროვე საბერძნეთში,კავკასიაში და ინდოეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, აგრეთვე, მცირე აზიაში და პალესტინაში.

ეს არის გავრცელების არეთლი იმ პროტოიბერიული მოდგმისა, რომელსაც ვილჰელმ ჰუმბოლდტის გამოკვლევების მიხედვით ჰქონდა მრავალი განშტოება. ენა ამ მოდგმისა, ამ რასსისა იყო ერთი ძირითადი, რომელსაც ჰქონდა მრავალი დიალექტური განშტოება და თუ ეს ენაკავები ღებულობდნენ ცალკე ენების ხასიათს, ისინი იყვნენ მონათესავენი და ვითარდებოდნენ როგორც ურთიერთმონათესავე ენები. ამიტომ დამკვიდრდა ტერმინი პროტოიბერიული, რომელთანაც არის დაკაშირებული უცველესი მოსახლეობა, როგორც მოგახსენეთ, პირინეებისა, იტალიისა, კერძოდ, ბასკური, ლუზიტანური, ტურდეტანული, ეტრუსკული, პელაზგური და სხვა, რასაც ნიკო მარრის შტუდიებით დაემატა მცირე აზიაში, მესოპოტამიაში უძველესი იბერიული ტომების – სუმერების ენის გამოკვლევა და, აგრეთვე, დიდი ქართველი მეცნიერის მიხეილ წერეთლის გამოკვლეული გენეტიური ნათესაობა შუმერულსა და თანამედროვე ქართულს შორის.

ნიკო მარრის და, სხვათაშორის, სომეხი მეცნიერების ობიექტური წარმომადგენლების გამოკვლევითაც (მაგალითად, ღაფანციანის გამოკვლევით) მცირე აზიის მოსახლეობის დიდი ნაწილი მიეკუთვნებოდა ამ მოდგმას და მესხები, ანუ მოსხები, კაპადოკიელები, კოლხები, ტაოხები და სხვანი არიან ამ მოდგმის წარმომადგენლები. როგორც ხედავთ, ეს არის სხვადასხვა განშტოებები ერთი და იმავე მოდგმისა, რომელსაც მეცნიერებაში ქართველური ან პროტოიბერიული მოდგმა ეწოდება, ხოლო საკუთრივ საქართველო, საკუთრივ ქართველი ერი, ლოკალიზებული კავკასიის მასშტაბით,

დაკავშირებულია იბერიულ-კავკასიურ განშტოებასთან. იბერიულს აქვს მრავალი განშტოება და დღესდღეობით შემორჩენილია პირინეულ-იბერიული, ანუ ბასკური და კავკასიურ-იბერიული, ანუ ქართული და მისი მონათესავე ტომები ჩრდილოეთ კავკასიაში. დანარჩენი კი ამჟამად ასიმილირებულია ინდოევროპული კაცობრიობის მიერ, რომელიც, როგორც ჩანს, არის გვიან მოსული ევროპის კონტინენტზე. კერძოდ მეორე ათასწლეულის შემდეგ, ხოლო პროტოიბერიული კაცობრიობის, ანუ პალეომედიტერანული, პალეოკავკასიური კაცობრიობის მოღვაწეობის,მისი ზნეობის ხანად მიჩნეულია ეპოქა უძველესი დროიდან მესამე ათასწლეულამდე. მესამე ათასწლეულში იწყება დაკნინება ამ რასისა,მისი რიცხობრივი შემცირება,მისი ასიმილირება მოსული ინდოევროპელების მიერ.

ამ დროიდან და უფრო გვიან წამოიწევს წინ ხეთური და ძველბერძნული, ელინური სამყაროები. მაგრამ აქ ხდება კულტურათა სინთეზირება: პალიომედიტერანულ, ანუ პროტოიბერიულ მოდგმასთან დაკავშირებულია პირველადი კულტურები მინოსისა, ეგეოსური კულტურები, კოლხური (ძველკოლხური), რომელიც უადრესად მჭიდროდ არის მინოსურთან დაკავშირებული. ხოლო შემდგომ, უკვე მეორე ათასწლეულიდან იწყება წამოწევა ხეთური სამყაროსი, რომელიც უკვე ინდოევროპული სამყაროა, აგრეთვე ძველბერძნული სამყაროსი, რომელიც ვედური ტომიდან მომდინარეობს და მოსულია იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც შემდგომ აღმოცენდა ძველბერძნული კულტურა და ძველბერძნული სამყარო, ხოლო პირველადი მოსახლეობა ძველი საბეძნეთისა, ძველბერძენი ისტორიკოსების მონაცემებზე დაყრდნობით, განსაზღვრულია როგორც პელაზგური, პელაზგური, ანუ პროტოიბერიული. პელაზგები არიან ერთ-ერთი განშტოება პროტოიბერებისა, ისევე როგორც ეტრუსკები და სხვა ხალხები, ისევე როგორც კოლხები. კოლხური,პელაზგური, ტროული, მინოსური სამყაროები მონათესავე სამყაროებია, უფრო სწორად, ერთ სამყაროს წარმოადგენენ და ეს ყოველივე აირეკლა ჰომეროსის დიად ეპოსში და ამის შესახებ უკვე ძალზე სერიოზული გამოკვლევებია თანამედროვე მეცნიერებაში, რომელსაც რატომღაც სათანადო პოპულარიზებას არ უწევენ.

დასავლეთში ამ მიმართულებით მოღვაწეობს ცნობილი მეცნიერი ფურნეე, რომელსაც ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევა წინა ბერძნულის, ანუ პულაზგურის და ქართველურის შესახებ. საქართველოში ნაყოფიერად მოღვაწეობს ამ მიმართულებით პროფესორი რისმაგ გორდეზიანი, რომელსაც აქვს აგრეთვე მნიშვნელოვანი მიგნებები „ილიადაში“ მოხსენებულ ტომთა ეთნოგენეზისის გამოკვლევისა, თუ როგორ იყო როლი ქართველური, პროტოქართული ტომებისა ტროასომში,“ილიადაში“ დაგამოვლენილია გენეტიური ნათესაობა ქართული ენისა ეტრუსკულთან, ქართველური ტომებისა ლიკიელებთან, კარიელებთან და მცირე აზიისა და ეგეოსის მთელ სამყაროსთან და, უპირველეს ყოვლისა–ტროასთან. ტროა უფრო ძველი კულტურული სამყაროა, ვიდრე ელინური სამყარო, ვინაიდან ელინები ლაშქრობენ ტროაში საკრალური, მისტერიული სიბრძნისა, ანუ პალადიუმის მოპოვებისათვის. ტროა არის იგივე კოლხური სამყარო, ვინაიდან ტროელებთან აქაელების დავის დროს ტროელები ხსნიან ელენეს მოტაცებას, როგორც ერთგვარ შურისძიებას ადრე მათ მიერ მედეას მოტაცებისათვის.

ტროელები უხსნიან აქაველებს, რომ ისევე როგორც ადრე მათ მოიტაცეს ქალი, ე. ი. მედეა, ამჟამად მათ მოიტაცეს ელენე, რომელიც ამდენად კოლხების მიერ არის მოტაცებული. ტროელები და კოლხები ერთი და იმავე მოდგმის ხალხია და მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი, მცირე აზიის მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკუთვნის ამ მოდგმას. აი, ასეთი შორს მიმავალი დასკვნები აქვს თანამედროვე

მეცნიერებას,მაგრამ,როგორც მოგახსენეთ, ხდება ყოველივე ამის ტაბუირება და ხდება ინდოევროპელების როლის წინ წამოწევა იმ არქაულ, პრეისტორიულ ეპოქაში, არადა ჩვენ ვიცით, რომ ინდოევროპული მოდგმა ძირითადად აღზევდა მეორე ათასწლეულიდან. და ტროას ომი, „ილიადა“ ფაქტიურად არის პერიოდი, როდესაც ინდოევროპული მოდგმა უკვე მძლავრობს მცირე აზიაშიც და საბერძნეთშიც და პელაზგურ მოდგმას უკვე დეკადანსი ემუქრება, თუმც ტროას ომის უდიდესი გმირი–აქილევსი წარმოშობით პელაზგია,ე. ი. ქართველური მოდგმის წარმომადგენელია, ხოლო აგამენონი და მენელაოსი არიან წმინდა ელინური წარმოშობის ადამიანები და ელინური სამყაროს წარმომადგენლები. აქ არის აშკარა კონფლიქტი ელინურ სამყაროსა და პროტოქართულ სამყაროს შორის. ტროა ეს არის პროტოქართული სამყარო,ელინური სამყარო კი აქაველებია.

ამ კონფლიქტში იკვეთება ერთი რამ, რომ ამ ლაშქრობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი არის პალადიუსის მოტაცება, რომელიც სიმბოლურად ტრო–ასეული ცხენის მეშვეობით ხორცი–ელდება. მართალია, სიმბოლურად აქ არის ქალის მოტაცების მოტივი, მაგრამ ელენე, ანუ ელენე არის სიმბოლო ძველი წარმართული სოფიისა (სიბრძნის, სოფიას მოტაცება და შემდეგ მისი კვლავ გამოხსნა გავრცელებული მოტივია ანტიურ პოემებში), ხოლო ცხენი, როგორც მოგეხსენებათ, ინტელექტის სიმბოლოა ძველ ეპიურ პოეზიასა და მითოსში. აქაველთა, ელინთა მისსია–ინტელექტის განვითარება–არის უკვე ახალი ეტაპი ცნობიერებისა, ხოლო ძველკოლხური, ტროიანული, პელაზგური კულტურა ეს არის ნათელმხილველური კულტურა, რომელიც უსწრებს წინ ინტელექტისმიერ, აზროვნებით კულტურას. ძველბერძნული მითოსი. ამას აღნიშნავდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსი შელინგი და პელაზგურ ეპოქას საბერძნეთის განვითარებაში იგი განმარტავდა როგორც საიზმს, ე. ი. ნათელხილვითი სიბრძნის ეპოქას. შემდგომდროინდელი ბერძნული მითოლოგიიდან ჩვენ ვიცით,რომ პერსევსმა და სხვა გმირებმა ნათელხილველური, პელაზგური კულტურა გადაიყვანეს აზროვნებით კულტურაზე, კერძოდ, ინტელექტისმიერ ელინურ კულტურაზე.

ყოველივე ამასთან არის დაკავშირებული აგრეთვე პრომეთეს მითი. ვინ არის პრომეთე? საერთოდ უნდა მოგახსენოთ,რომ მითოსი და მითოლოგია არ არის იდენტური ცნებები. მითოსი არის მითების სამყარო, ხოლო მითოლოგია არის ამ მითების სამყაროს განმარტება, მნიშვნელობა, ანუ ლოგოსი, მითოსის ლოგოსი. ასე რომ, ძველბერძნული მითების სინამდვილე შექმნილია პელაზგების მიერ, ხოლო ელინების მიერ იგი არის სისტემატიზებული და ინტერპრეტირებული. ჰომეროსი და ჰესიოდე არ არიან შემოქმედნი ძველბერძნული მითებისა, ისინი არიან პელაზგური ეპოქის მითოსის სისტემატიზატორები, განმმარტებელნი. ისინი არიან მითოლოგოსები, ხოლო პელაზგური ეპოქის მითოსის შემოქმედთა, მითოგრაფოსთა სახელებმა ჩვენამდე არ მოაღწია, მაგრამ მოაღწიეს ღვთაებებმა, მითოსის პერსონაჟებმა. ძირითადი ღვთაებები ძველბერძნული პანთეონისა წარმოშობით პელაზგურნი არიან.

მათ შორისაა ზევსი. არსებობს პელაზგური ქტონური ზევსი, რომლის კულტიც მუხასთან არის დაკავშირებული; ჰერა ანუ ჰაერა,რომელიც არის უძველესი პელაზგურ-იბერიული ქალღმერთი; აგრეთვე დემეტრე, რომლის ფუძის განმარტებისას აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი მიანიშნებდა იმაზე,რომ „დე“ ფუძე სავსებით უცხოა ძველბერძნული ენისათვის. „მეტერ“ მართალია დედას ნიშნავს, მაგრამ „დე“ არის სუფთა იბერიული წარმოშობის ფუძე, „დე“, ანუ „დედა“, დედა-ქალღმერთის აღმნიშვნელი. ამრიგად დემეტრე არის ის სახე,რომელშიც უძველესი კოლხური, პელაზგური დედა-ქალღმერთის აღმნიშვნელი. ამრიგად

დემეტრე არის ის სხე, რომელშიც უძველესი კოლხური, პელაზგური დედა-ქალღმერთი შეერწყა ძველბერძნულ ქალღმერთს. ეს არის ძველბერძნული პანთეონი, თუ შეიძლება ითქვას, დამყნილი პროტოქართულ, პროტოიბერიულ, ანუ პელაზგურ პანთეონზე.

ახლა რაც შეეხება პრომეთეს. პრომეთეს მითი უმნიშვნელოვანესია კაცობრიობის ევოლუციის თვალსაზრისით და, ამავე დროს, ქართველთა ეთნოგენეზისის თვალსაზრისით, ვინაიდან პრომეთეს მითი, როგორც მოგეხსენებათ, დაკავშირებულია კავკასიასთან და შემთხვევითი არ არის, რომ კავკასიასთან დაკავშირებულია ბერძნული მითოსის უმთავრესი მომენტები. გაიხსენეთ არგონავტების ლაშქრობა, გაიხსენეთ პრომეთეს მიჯაჭვა კავკასიის ქედზე, რაც უმთავრესი მომენტია ბერძნულ მითოლოგიაში. მითოსის პერსონაჟთა მისსია, მათი სულიერი რაობა ყოველთვის მათი სახელების მიხედვით განიმარტებოდა. სახელები მითოსის პერსონაჟებისა (როგორც მოგეხსენებათ, მითები იქმნებოდა ძველ მისტერიებში ქურუმების, ხელდასხმულების, ადეპტების მიერ) ღმერთების, ნახევრადღმერთების, ტიტიანების, გმირების სახელები იქმნებოდა მათი არსობრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე. კერძოდ, „პრო-მეთელ“ ძველბერძნულად ნიშნავს წინასწარმეტყველურ აზროვნებას, წინასწარგანჭვრეტას, ეპიმეთე–მისი ძმა–ნიშნავს თანადროულ, განსჯისმიერ აზროვნებას.

რა არის პრომეთე? პრომეთე არის იმ კაცობრიობის წარმომადგენელი, რომელმაც უნდა განავითაროს წინასწარმეტყველური, ანუ ინტუიტიური აზროვნება, ხოლო ეპიმეთე, რომელმაც უნდა განავითაროს განსჯითი, ანუ ინტელექტუალური აზროვნება. ვისი ძეა პრომეთე? იგი არის ძე იაპეტოსისა. იაპეტოსის სახელი ზენონ ელეელის მიერ განიმარტება როგორც ზენა სამყარო, სულიერი სამყარო. იაპეტოს, ე. ი. ის, რაც მიისწრაფვის ზევით, სულიერი სამყაროსაკენ. ე. ი. პრომეთე არის ზენა სამყაროს, სულიერი სამყაროს ძე, ანუ წინასწარმეტყველური აზროვნება. როგორც პლუტარქე აღნიშნავს, ძველბერძნული და საერთოდ მითები შეიძლებოდა განემარტათ თორმეტ სხვადასხვა დონეზე. ე. ი. თითოეულ მითს შეიძლება ჰქონდეს 12 სხვადასხვა ახსნა. ერთ-ერთი მთავარი ახსნა პრომეთეს მითისა კაცობრიობის ევოლუციაში, აზროვნების ევოლუციაში არის ის ეტაპი, როდესაც აზროვნება მიეჯაჭვება ადამიანის ფიზიკურ სხეულს ადამიანის სულის ფიზიკურ სხეულში ჩამოსვლასთან ერთად და არის დატყვევებული ამ ფიზიკურ სხეულში. ხოლო განთავისუფლება პრომეთესი, რომელიც მიჯაჭვულია კავკასიის ქედზე, არის დატყვევებული ამ აზროვნებისა სხეულებრივი საწყისისაგან. განთავისუფლებული პრომეთე არის განთავისუფლებული წინასწარმეტყველური აზროვნება, ხოლო მიჯაჭვული პრომეთე ადამიანის ფიზიკურ სხეულზე მიჯაჭვული აზროვნებაა. ეს არის ეტაპი კაცობრიობის ევოლუციაში, რომელიც ცნობილია ადამიანური არსების, სულის ჩაძირვად ფიზიკურ სხეულში, ხოლო შემდეგ ხდება მატერიისაგან სულის განთავისუფლება. ეს არის ერთი ასპექტი პრომეთეს მითისა, მისი სპირიტუალური, ფილოსოფიური ასპექტი.

მეორე ასპექტი არის ეთნოლოგიური ასპექტი. კერძოდ, პრომეთე არის სიმბოლო იმ მოდგმისა, იმ ხალხისა, რომელმაც უნდა განავითაროს მისტერიათა კულტურა, რომელიც არის შემქმნელი მისტერიათა კულტურისა და ყოველივე იმისა, რაც მოდის ამ მისტერიათა კულტურიდან. სახელდობრ, სულიერი განვითარებისა, ინიციაციისა და სულიერი აზროვნებისა. ასეთია ეს მოდგმა. ხოლო ზევსი, ამ თვალსაზრისით განასახიერებს იმ მოდგმას, რომელიც უფრო გვიან არის მოსული საბერძნეთში და რომელიც ძალადობით ამკვიდრებს თავის კულტს და მიაჯაჭვავს პრომეთეს კავკასიის კლდეზე. რა იყო მიზეზი პრომეთეს მიჯაჭვისა კავკასიის

ქედზე? მიზეზი იყო ის, რომ კორინთოში ურთიერთს შეხვდნენ ორი კულტურის, ორი რასსის წარმომადგენელნი–ერთნი პრომეთესთან, ხოლო მეორენი ზევსთან დაკავშირებულნი. ე. ი. აქ სიმბოლურად აირეკლა შეხვედრა ორ კულტურას შორის, ორ რასსას შორის; ერთი იყო მკვიდრი, პირველადი მოსახლეობა იმჟამინდელი საბერძნეთისა, ხოლო მეორე–მოსული, ანუ ინდოევროპული, ელინური. პრომეთე და მისი მიმდევარი ქურუმები ამ შეხვედრის დროს მოატყუებენ ზევსს და მის ქურუმებს სამსხვერპლო ხარის დანაწილებისას.

მოატყუებენ იმ გაგებით, რომ მათი ინტელექტი, მათი აზროვნება იყო უფრო წინ წასული, ამიტომ მათ შესძლეს ზევსის ქურუმთა მოტყუება. ეს მოტყუება სიმბოლოა იმისა, რომ მათი ინტელექტი უფრო განვითარებულია,რომ ის კულტურა, რომელიც მოსულ ინდოევროპელებს დახვდათ – პელაზგური კულტურა – უფრო მაღლა იდგა მათზე. უფრო მაღლა იდგა შესაბამისად აზროვნებითი კულტურაც. შემდეგ კი ინდოევროპელებმა ელინური აზროვნებითი კულტურა უმაღლეს საფეხურამდე განავითარეს, მაგრამ ჯერ ის პერიოდია,როდესაც პირველად შეხვდა ეს ორი რასსა, ორი მოდგმა ერთმანეთს და პრომეთეს ქურუმები დაანაწილებენ ხარს იმგვარად,რომ ზევსის ქურუმებს და ზევსს შეხვდებათ ძვლები და ქონი,ხოლო მათ ხარის საუკეთესო ნაწილები. ესეც სიმბოლურია. სიმბოლურია, ვინაიდან აქ მსხვერპლის ორგვარ გაგებასთან გვაქვს საქმე და ამ დროს ზევსის ქურუმები ისე წარმოსახავენ საქმეს, თითქოს მათ შეგნებულად მოიტყუეს თავი. შემდეგ ზევსი მიმართავს პრომეთეს:

–იაპეტოსის ძეო, უკეთილშობილესო ყველა მეუფეთა შორის, ყველაზე დიდო მცნობო მომავლისა, მეგობარო, რად დაანაწილე ხარი ამდაგვარად?

ზევსი გვიან ხვდება იმას, რაც პრომეთემ ქმნა. აქედან გამომდინარე, განსაზღვრულია პრომეთეს რაობა და შემდგომ ამისა ზევსი აღარ აძლევს ცეცხლს კაცობრიობას და პრომეთეს მიაჯაჭვავს კავკასიის ქედზე, ვინაიდან მან კაცობრიობას მისცა ის ცეცხლი. ცეცხლი ამ შემთხვევაში არის სიმბოლო ადამიანის „მე“-სი. თქვენ იცით, რომ ოთხ ელემენტს შორის – ცეცხლი, წყალი, მიწა, ჰაერი – ადამიანის „მე“-ს,თვისებას,მეობას შეესაბამება ცეცხლი. ის, რომ ზევსი აღარ აძლევს მეობას კაცობრიობას, რომ კაცობრიობა მოკლებულია „მე“-ს, ხოლო პრომეთე აძლევს ცეცხლს კაცობრიობას, ე. ი. მეობას, ასახავს მისტერიალური კულტურის განვითარების გარკვეულ საფეხურს, როდესაც ადამიანებმა მიიღეს „მე“ ფიზიკურ სხეულში ჩამოსვლით და პრომეთეს მიჯაჭვა არის სწორედ ის ეტაპი (სხვათა შორის, ამას ნიშნავს აგრეთვე ტიტანების დამარხვაც ტარტაროსში ღმერთებისა და ტიტანების ბრძოლის შემდეგ), როდესაც ადამიანის სული და მისი „მე“ ჩამოდის სულიერი სამყაროდან ფიზიკურ სხეულში და ადამიანს ებადება „მე“ ცნობიერება. აი, ეს არის პრომეთეს მიერ კაცობრიობისათვის ცეცხლის მიცემა, ვინაიდან „მე“-სგან მოდის ყოველგვარი კულტურა, ისევე როგორც ცივილიზაცია მოდის ცეცხლის გამოყენების სწავლისაგან და ამგვარი სიმბოლოებით ჩვენ ვხვდებით, რომ პრომეთე ასახავს მისტერიათა კულტურას, რომელიც იყო პირველადი ძველ საბერძნეთში და შემდეგ ლოკალიზებული კავკასიაში, რაც სიმბოლურად ასახულია პრომეთეს მიჯაჭვით კავკასიის ქედზე.

პრომეთეს აწამებს ზევსის არწივი. არწივი, ერთი მხრივ, სიმბოლოა სულიერი აღმაფრენისა და შემეცნებისა და ძალმომრეობისა, რომელიც აწამებს პრომეთეს. კლდეზე მიჯაჭვული პრომეთე, ანუ ფიზიკურზე მიჯაჭვული აზროვნება გაანთავისუფლა ჰერაკლემ.

რა არის ჰერაკლე? ეს არის ინიციაციის ახალი კულტურა,ნებელობითი ინიციაცია, ჰეროიკული ინიციაცია, რომელიც არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა. საერთოდ, ძველბერძნული მისტერიები თავისი ხასიათით პროფეტური იყო. ძველი საბერძნეთის ცენტრალური მისტერიები

„ელიოზისის“ მისტერიები იყო. სიტყვა „ელიოზის“ ძველბერძნული სიტყვაა, ნიშნავს მოწევნადს, მოვლინებადს, წინასწარ განჭვრეტას მომავლისას. ჰერაკლეს სახე არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა, რომელიც დაკავშირებულია ნელეოლობასთან, სულის აქტივობასთან და კერძოდ იმასთან, რასაც ქრისტიანობაში სასუფევლის ძალით აღება ჰქვია, ვინაიდან ქრისტიანული ინიციაციის არსი იესო ქრისტემ განმარტა როგორც სასუფევლის აღექა ძალისხმევით („სასუფეველი იიძულების“). ამრიგად, ჰერაკლეს გმირობანი სიმბოლურად უნდა გავიგოთ როგორც ინიციაციის სხვადასხვა საფეხურები, სულიერი განვითარების სხვადასხვა დონეები, რომლის კულმინაციაც არის პრომეთეს განთავისუფლება, ანუ აზრის განთავისუფლება ფიზიკური სხეულის ტყვეობისაგან და კაცობრიობის გამოხსნა.

ეთნოლოგიური თვალსაზრისით, როგორც მოგახსენეთ, მითებს აქვს ასეთი განმარტებაც და მითოლოგია და ეთნოლოგია უაღრესად მჭიდრო კაშირშია. ეს არის განთავისუფლება იმ მოდგმისა, რომელიც ზევსის, ანუ ინდოევროპული მოდგმის მიერ იქნა მიჯაჭვული, ანუ ლოკალიზებული კავკასიაზე. ე. ი. პრომეთეს მითში აირეკლა აგრეთვე პროტოქართული მოდგმის, პროტოიბერიული მოდგმის წარსული და მომავალიც. ჰერაკლე, როგორც მოგახსენეთ, არის სიმბოლური გამოხატულება ახალი ინიციაციური კულტურისა, კერძოდ, ქრისტიანული კულტურისა და, სხვათა შორის, ეს არა მხოლოდ თანამედროვე სულიერ მეცნიერებაში არის ასე, არამედ შუასაუკუნოებრივ ღვთისმეტყველებაშიც. ბიზანტიურ ღვთისმეტყველებაშიც კი ვხვდებით ჩვენ ისეთ ძეგლებს, სადაც მინიშნებულია, რომ ჰერაკლე არის წინასახე ქრისტესი. კერძოდ, მის მიერ კვერთხით კლდიდან წყლის აღმოცენება ითვლება ქრისტიანობის წინასახედ. აგრეთვე არგონავტების ლაშქრობა არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა და შემთხვევითი არ არის, რომ ოქროს საწმისს სულიერ მეცნიერებაში ეწოდება კლასიკური გრაალი. ოქროს საწმისი კლასიკურ პერიოდში, ანტიურ პერიოდში არის იგივე, რაც შუა საუკუნეებში გრაალი და ფილოსოფიური ქვა. ფილოსოფიური ქვა და გრაალი არის აგრეთვე იდენტური ცნებები.

ფილოსოფიური ქვის ძიება არის არა მარტო ფიზიკური ოქროს ძიება, არამედ სულიერი ინიციაციის ძიება, ღვთის ძიება, სულიერი ცნობიერების განვითარების გარკვეული დონის ძიება, რომელიც ანტიურ მისტერიებში, ძველბერძნულ მისტერიებში გადმოცემული იყო როგორც ოქროს საწმისის ძიება. ხოლო ოქროს საწმისი, როგოც მოგეხსენებათ, იყო კოლხეთში. თავდაპირველად ოქროს ვერძი საბერძნეთიდან არის წასული კოლხეთში, მაგრამ ეს იმ პერიოდის საბერძნეთია, როდესაც იქ ყვავის პელაზგური კულტურა, კერძოდ, პელაზგური არგოსის კულტურა. შემთხვევითი არ არის, რომ ხომალდსაც „არგო“ ჰქვია და „არგო“ თავისი ძირით კოლხეთიდან მომდინარეობს–არგო, არგვეთი, ეგრისი, „გრ“ – ფუძე; ესეც კოლხეთია. ლაშქრობა კოლხეთში სიმბოლურად, იმაგინატიურად არის ლაშქრობა სულიერი სიბრძნის, მისტერიალური სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელიც იმჟამად შემონახული იყო მხოლოდ კოლხეთში და აღარ არსებობდა უკვე საბერძნეთის ტერიტორიაზე, აღარც ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში. ისევე როგორც კრეტაზე წასვლა თეზეოსის არის აგრეთვე იმ სიბრძნის მოპოვება, რომელიც ელინურ საბერძნეთში იმჟამად აღარ არსებობდა.

აი, დავუკვირდეთ, უდიდესი გმირები საბერძნეთისა – თეზეოსი, ჰერაკლე და იაზონი (სხვათა შორის , ჰერაკლეც ახლავს არგონავტების ხომალდს) იმ ქვეყნებში ლაშქრობენ სულიერი სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელნიც წარმოშობით პროტოქართული, პროტოიბერიული იყო. ასეთი არის მისონური კრეტა (სხვათა შორის, „მინოს“ ნიშნავს აზრის მატარებელს, მოაზროვნეს) და თეზეოსის

ჩასვლა მინოსში, მის მიერ მინოტავრის მოკვლა, ლაბირინთოსში შესვლა და მისი ლაბირინთოსიდან გამოსვლა არის სწორედ იმ მისონურ კულტურასთან ზიარება, რომელიც უფრო ძველია, ვიდრე ძველბერძნული კულტურა, უფრო ამაღლებულია მასზე. ასევეა ძველკოლხური კულტურა, რომელიც რომელიც იმჟამად უფრო მაღალ დონეზე იყო, ვიდრე საბერძნეთის კულტურა. (შემთხვევითი როდია,რომ მინოსს ცოლად ჰყავდა აეტესის დაი,პასიფაე). ასე რომ ამ გმირების ლაშქრობები მუდამ ქართველურ ქვეყნებთანაა დაკავშირებული. ჰერაკლეც ასევე მიდის პირინეის იბერიაში ჰესპერიდების ბაღნარში ვაშლების მოსაპოვებლად.

ამავე დროს,ორფეოსის შესახებ მითიც მოგვითხრობს, რომ ორფეოსის მთავარი მიზანი იყო პელაზგი წინაპრების კულტის აღორძინება. ორფეოსი წარმოშობით პელაზგია, ძე ვაგრისი (ორფეოსის მამის სახელი,სხვათაშორის,პირდაპირ ემთხვევა კოლხეთის სახელს: ეგრისი – ეგრი). მისი მიზანი იყო აღორძინება იმ პელაზგური კულტურისა,რომელიც ელინურ პერიოდში გადაგვარდა და დაკნინდა.

რაც შეეხებაარგონავტებისლაშქრობას, როგორც წეღან მოგახსენეთ, აქ არის მოცემული ძველბერძნული, დორიული ინიციაციის სხვადასხვა ეტაპები და შემთხვევით არ არის, რომ დირიული, აქტიური ინიციაცია დაკავშირებულია კოლხეთთან და კოლხურ სამყაროსთან. ხოლო შუა საუკუნეებში თვით ბიზანტიურ ღვთისმეტყველებაშიც კი გერმანე კონსტანტინოპოლელ პატრიარქის მიერ არის შექმნილი ძეგლი „სასწაულნი მთავარანგელოზთანი“, რომელშიც აღწერილია არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში, რომელსაც მფარველობს მიქაელი,ქრისტიანული მთავარანგელოზი, და არგონავტებს გამოეცხადებათ „ცით მოვლენილი ძლიერებაი საზარელი“, ანუ მიქაელ მთავარანგელოზი და ჯწინასწარმეტყველებს მათ მომავალში გამარჯვებას. აი, დაუკვირდით, როგორი გაგებაა წარმართული მითისა ერთი შეხედვით ეგზოტერული ეკლესიის წარმომადგენელთან – გერმანე პატრიარქთან. ე. ი. „ცით მოვლენილი ძლიერებაი საზარელი“ არის მიქაელ მთავარანგელოზი და არგონავტების ლაშქრობა დაკავშირებულია მიქაელის მისსიასთან, რომელიც არის უმთავრესი მზიური მთავარანგელოზი ქრისტიანობისა, ძალი ღვთისა, როგორც მას განმარტავენ (მნიშვნელოვანია,რომ გერმანე პატრიარქი წარმოშობით კოლხი, ლაზი იყო).

აი, ასეთი კავშირები არსებობს წარმართულ და ქრისტიანულ ინიციაციას შორის, რაც დაკავშირებულია უძველეს პროტოქართულ მისტერიალურ ცენტრებთან.

იაზონი, როგორც ფიგურა, როგორც გმირი, პინდარეს მეოთხე ოდაში მოხსენიებულია ვეფხისტყაოსნად.

ე. ი. იაზონი არის აგრეთვე ვეფხისტყაოსნის გმირი. ის არა მხოლოდ ოქროს საწმისის მომპოვებელა, არამედ ვეფხისტყაოსნიც გმირი არის და, საერთოდ, ვეფხისტყაოსანი გმირებიც დაკავშირებული არიან უძველეს, პროტოქართულ სამყაროსთან, თუმც ვეფხისტყაოსანი ქურუმები ეგვიპტის მისტერიებშიც გვხვდება. სხვათა შორის, ტროელი პარისიც ვეფხისტყაოსანია, ტროაშიც გმირებს ვეფხის ტყავი მშსავთ. დიონისეს პროცესიებს, სხვათა შორის, მიუძღვის ვეფხი. თავად დიონისეც ვეფხისტყაოსანია. ასე რომ, ვეფხის ტყავი უძველესი ტოტემური სახეა იაფეტური კაცობრიობისა, კავკასიური რასისა.

ახლა მინდა დავუბრუნდე დასაწყისს, როდესაც ვმსჯელობდით უძველეს პროტოიბერიულ მოდგმაზე. უნდა მოგახსენოთ, რომ მეცნიერებაში დამკვიდრდა აკადემიკოს ნიკო მარრის ტერმინი – იაფეტური მოდგმა, იაფეტური ენა. რას ნიშნავს ეს?

თქვენ მოგეხსენებათ, რომ არსებობს გაგება სემიტური კაცობრიობის,სემიტური ენებისა, სემიტური მოდგმისა. არსბობს გაგება ქამიტური მოდგმისა, რომელიც

უკავშირდება ძველ ეგვიპტეს, აფრიკას. და არსებობს აგრეთვე საფეტური მოდგმა. ეს სამი ძმა ბიბლიაში სიმბოლურად ასახავს ატლანტურ, წარღვნამდელ კაცობრიობისას. კერძოდ, ნოე ასახავს ატლანტუურ,წარღვნამდელ კაცობრიობას, ე. ი. კაცობრიობის განვითარების იმ ეტაპს, რომელიც ატლანტიდის წარღვნამდე არსებობდა. ხოლო მისი ძენი არიან უკვე ატლანტიდის შემდგომი კახობრიობის წარმომადგენლები. ერთ-ერთი ამათი შტო არის იაფეტური და,სხვათა შორის,იაფეტი ძველი აღთქმისა დაკავშირებულია ძველი ბერძნული მითოლოგიის იაპეტოსთან. შემთხვევითი არ არის, რომ პრომეთეს მამა იაპეტოსია. მისი იდენტურია იაფეტი და ყოველივე ამასთან დაკავშირებულია აგრეთვე პლანეტა იუპიტერი და იუპიტერის რასსა, ანუ თეთრი რასსა.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ ეზოტე-რიზმში რასსები დაკავშირებულნი არიან მნათობებთან. იუპიტერთან დაკავ-შირებულია თეთრი რასსა, მერკურთან – შავი, ვენერასთან – წითელი, ხოლო მარსთან ყვითელი, ანუ მონგოლური რასსა. იუპიტერის რასსის პირველადი რასსობრივი სუბსტრატი არის სწორედ სწორედ ეს იაფეტური, პროტოევროპული, პროტოიბერიული კაცობრიობა. აი, ასე უკავშირდება იუპიტერის რასსის მისსიას პროტოევროპული, ანუ პალეოკავკასიური, მედიტერანული რასსის მისსია. ეს ყოველივე, რაც შეეხება ანტიურ, წარმართულ ეპოქას, პერიოდს.

ახლა რაც შეეხება ქრისტიანულ პერიოდს. ქრისტიანობის შემოსვლა საქართველოში დაკავშირებულია პირველსავე საუკუნეებთან. არ არის შემთხვევითი, საქართველოში ორი მოციქული რომ იმყოფებოდა – ანდრსია და სვიმონ კანანელი – პირველი და უკანასკნელი მოციქულები. ანდრია იყო პირველწოდებული, სვიმონ კანანელი კი ყველაზე ბოლოს მივიდა ქრისტესთან. ეს არის სიმბოლო იმისა, რომ ისინი გამოხატავენ ალფას და ომეგას, ე. ი. დასაწყისსა და დასასრულს. რა როლი აქვა ქართველური მოდგმის ხალხებს ქრისტიანობის განვითარებაში, კერძლდ, მიქაელური ქრისტიანობის განვითარებაში და რატომ ეწოდება გეორგია საქართველოს?

თქვენ მოგეხსენებათ, რომ მიქაელ მთავარანგელოზი არის არსება,რომელსაც ჰყავს პროტოტიპები ანტიურ ეპოქაში, ქრისტემდელ ეპოქაში. ეს არის არსება, რომელიც გვევლინება ნაყოფიერების ღვთაებათა მცველ, ამინდის, ჭექა-ქუხილის ღვთებათა სახით, როგორც ძველ ინდოეთში ინდრა, მესოპოტამიურ სამყაროში მარდუკი, პალეოკავკასიურ სამყაროში ტარჰუ, ამინდისა და ჭექა-ქუხილის ვეფხისტყაოსანი ღვთაება. მას გამოქვაბულებში ყოველთვის ვეფხის ტყავით მოსილად გამოსახავდნენ. ვეფხის ტყავი არის ატრიბუტი იმ არსებისა, რომელსაც ანტიურობაში იცნობდნენ როგორც ინდრას, მარდუკს, ტარჰუს, ქრისტიანობის ეპოქაში კი იცნობენ როგორც მიქაელს და წმინდა გიორგის. წმინდა გიორგი არის მიწიერი ასპექტი მიქაელისა. მიქაელი არის სულიერი სამყაროს ასპექტი, აზროვნებათა ასპექტი, ხოლო წმინდა გიორგი არის მიქაელის ასპექტი ისტორიულ პლანში, ფიზიკურ სამყაროში. რატომ უკავშირდება საქართველოს სახელი გეორგიას? წინადადების გაგრძელება ნათელს ჰფენს ამ მეგობრობის არსსაც: „ყოველივე საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ ერს“. როგორც ლაზარე-იანე იყო მფლობელი კაცობრიობის ყოველი ეზოტერული საიდუმლოსი, ანუ საიდუმლო სიბრძნისა,ასევეა დამარხული, ე. ი. შემონახული ყველა ეს საიდუმლო საქართველოში, ქართველ ერში და არეკლილია მის ენასა და კულტურაში. მაგრამ გადაჭარბება იქნებოდა იმის თქმა, რომ ლაზარე და საქართველო იყვნენ მფლობელნი იესო ქრისტეს ყველა ეზოტერული საიდუმლოსი, როგორც ამას ამტკიცებს ზოგი მკვლევარი, ვინაიდან იოანეს სახარების თვალსაზრისით, ვერც ლაზარე და ვერც რომელიმე მოციქული

ვერ იქნებოდა მფლობელი ქრისტეს ყველა ეზოტერული საიდუმლოსი, რამეთუ თავად მაცხოვარი ეუბნება თავის რჩეულ მოწაფეთა წრეს იოანეს სახარების ფინალში:

„ფრიადღა მაქუს სიტყუად თქუენდა, არამედ აწ არღა ძალგიც ტვირთუად“ (იოანე 16. 12), რაც იმას ნიშნავს, რომ იესო ქრისტემ შესძლო გადაცემა თავის მოწაფეთათვის თავისი ეზოტერული სიბრძნის მხოლოდ ნაწილისა. მას სურდა მეტის გადაცემა, მაგრამ ისინი ჯერ არ იყვნენ ამისთვის მომწიფებულნი (ეს ლაზარესაც ეხება). გარდა ამისა, იოანესეული თვალსაზრისით, ქრისტეს ყველა საიდუმლოს არა თუ მისი მოწაფენი, მთელი სამყაროც ვერ დაიტევს: „და არიან სხუანიცა მრავალ, რომელი იქმნა იესო, რომელნი, თუმცა დაიწერებოდეს თითოეულად, არცაღა ვჰგონებ, ვითარცა სოფელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები. ამინ“ (იოანე 12. 25).

ასე რომ, საუბარია არა ქრისტეს ყველა ეზოტერულ საიდუმლოზე, არამედ იმ სიმდუმლოებაზე, რომელთა გადაცემაც მან შეძლო თავის მოწაფეთათვის და კაცობრიობისათვის საერთოდ. მართალია, ძეგლში ნახსენები ნათლისღება ქრის–ტიანული ინიციაციაა, საიდუმლო სიბრძ–ნესთან ზიარებაა, მაგრამ აშკარად ნაძალადევად გვეჩვენება ცდა „ქებაის“ გნოსტიკური ხასიათის ძეგლად გამოცხადებისა და მისი IV საუკუნით დათარიღება. სხვა რომ არ იყოს რა, გნოსტიკური ძეგლი წმ. ნინოსა და წმ. ელენე დედოფალს, ორთოდოქსული ეკლესიის ბურჯებს, ავტორიტეტებად არ მოიხსენიებდა, არამედ დაიმოწმებდა ბასილიდეს, ვალენტინუსს ან სხვა გნოსტიკოსებს და არა ეკლესიის შვილებს.

გნოსტიციზმი მართალია, სწვდებოდა სახარების სულიერ სიღრმეებს და საიდუმლოებებს, მაგრამ ვერ იაზრებდა სწორად იესო ნაზარეველის მიწიერი ცხოვრების ფაქტებს, განსაკუთრებით კი მის ფიზიკურ სიკვდილს ჯვარზე. გნოსტიკოსნი ხედავდნენ ქრისტეს ღვთაებრივ მხარეს, მაგრამ ვერ ამჩნევდნენ მის ადამიანურ მხარეს. ამის შედეგად, მათი აზრით, ჯვარს ეცვა არა რეალური სხეული ქრისტესი, არამედ ე. წ. „მოჩვენებითი სხეული“, ხოლო ზოგი გნოსტიკოსის აზრით, ჯვარს ეცვა სვიმონ კვირინელი და არა ქრისტე. ასე ასწავლიდა, მაგ., გნოსტიკოსი ბასილიდეს (იხ. ე. ბოკი, სახარების კომენტარები, ტ. II, შტუტგარტი, 1971, გერმ. ენაზე). ყოველივე ამის გამო გნოსტიციზმში ვერ იარსებებდა ქრისტესეული ნათლისღების, სიკვდილით ნათლისღების იმგვარი გაგება, როგორიც გვხვდება იოანე-ზოსიმესეულ ძეგლში. გარდა ამისა, ძეგლში გვხვდება კიდევ ერთი ნიუანსი, რომლისთვისაც დღემდე არც ერთ მკვლევარს არ მიუქცევია ყურადღება და რომელიც გამორიცხავს მის მიკუთვნებას რომელიმე არაორთოდოქსული მიმდინარეობისადმი. ეს არის ძეგლის ყველა ხელნაწარში დავით წინასწარმეტყველის მოხსენიება „წ. წინასწარმეტყველად“, ე. ი. წმინდანად, რაც პირწმინდა ეკლესიური სპეციფიკაა და გნოსტიკოსთა ნომენკლატურისათვის უცხოა.

გარდა ამისა, თუ „ქებაი“ ერეტიკული მოძღვრების შემცველია,მაშ რა საწაულით გადარჩენილა და შემონახულა საუკუნეთა მანძილზე ეს ნაწარმოები, ისიც სინას მთის მონასტერში ღიად, აშკარად, ნუთუ იქ არ აღმოჩნდა არც ერთი მცნობი ერეტიკული მოძღვრებისა? ვით „შეეპარა“ „ყოვლისგამანადგურებელ“ ეკლესიას ერეტიკული თხზულება?

ხსენებული გამოკვლევის ავტორი „ქებაის“ უწოდებს ესქატოლოგიური მისტიკის ნიმუშს. ეს გამოთქმა უნდა დაზუსტდეს. კერძოდ, „ქებაი“ არის იოანეს სახარებისა და აპოკალიპსისის კომენტარი, ეგზეგეზა ესქატოლოგიური მისტიკის თვალსაზრისით. არსებობს თვალსაზრისი, თითქოს ორთოდოქსია ებრძოდა ყოველგვარ ეზოტერიზმს და ინიცინაციურ სიბრძნეს. ამგვარი მტკიცებისას საჭიროა მეტი სიფრთხილე, განსაკუთრებით მაშინ,როდესაც საუბარია

აღმოსავლეთის ეკლესიაზე . უწინარეს ყოვლისა არ უნდა დავივიწყოთ, რომ არეოპაგიტული ტრაქტატები შეიქმნა აღმოსავლური ეკლესიის წიაღშივე, ხოლო „საიდუმლო ღვთისმეტყველება“, რომელზედაც საუბრობს დიონისე არეოპაგელი, არის იგივე ეზოტერული მოძღვრება, ანუ საიდუმლო სიბრძნე, რომელიც ყოველთვის დაწერილი სახით როდი არსებობდა, არამედ ზეპირი გადმოცემის, ე. წ. „ლოგიას“ სახით, აგრეთვე წიგნების სახით, რომელთაც ეწოდებათ „დაფარული“ წიგნები, ე.წ. „აპოკრიფები“.

აღსანიშნავია, რომ სიტყვა დოგმატიც თავდაპირველად ეკლესიურ ენაზე აღნიშნავდა საიდუმლო მოძღვრებას. მაგალითად, ეკლესიის ერთ-ერთი ბურჯი ბასილი დიდი აბობდა: „ეკლესიაში არსებული დოგმატებიდან და ქადაგებებიდან ზოგიერთი გვაქვს საღვთო წერილის მოძღვრებაში, ხოლო ზოგიერთი გადმოცემული გვაქვს საიდუმლოდ, მოციქულთა ტრადიციით დოგმატის შესახებ ვდუმვართ, ქადაგებას კი ხალხს ვამცნობთ“ (სულიწმინდის შესახებ, გვ. 322). მეორე მამა ეკლესიისა, წმ. კირილე იერუსალიმელი აღნიშნავს: „წარმართებს არ ვუქადაგებთ სიდუმლო მოძღვრებას მამაზე, ძეზე და სულიწმიდაზე, თვით კათაკმევლებსაც კი საიდუმლოთა შესახებ ვესაუბრებით ბუნდოვნად, ბევრ რამეზე გადატანით მივანიშნებთ, რათა მცოდნენი და მორწმუნენი ჩასწვდნენ, ხოლო უცოდინარნი არ დაზიანდნენ (თხზულებანი, XXV, § 29, გვ. 103).

მსგავსი თვალსაზრისი აქვს აგრეთვე გამოთქმული იოანე ოქროპირს ზიარების შესახებ, გრიგოლ ღვთისმეტყველს ნათლისღების შესახებ თავის მეორმოცე ჰომილიაში,ასევე სხვა მამებს ეკლესიისას. გერმანელი მეცნიერი ავგუსტი ჩამოთვლის ბერძნულ ტერმინებს, რომელთაც ხმარობდნენ ეკლესიის მამები ეზოტერული წესის აღსანიშნავად: ეპიკრიფის, სიოპე, გნოზის, მისტერიოკრიფია, დოგმა, ტროპოს, პაიდეას და სხვა. ასევე ლათინი მამების ტერმინებს: ოკულტაციო, რეტიცენცია საკრორუმ, სილენციუმ საკრუმ, არკანუმ და სხვა. არსებობს აგრეთვე შუა საუკუნეობრივი საეკლესიო ტერმინი ეზოტერიზმის აღსანიშნავად „დისციპლინა არკანი“, ე. ი. საიდუმლო დისციპლინა. ყოველივე ამის საუკეთესო დადასტურებაა „ქებაი“-ს დარი ძეგლის არსებობა ეკლესიის წიაღშივე.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, „გნოზისი“ ეკლესიის მამების ერთ-ერთი ტერმინია მათი ეზოტერიზმის აღმნიშვნელი, თუ ამგვარ გნოზისს დავუკავშირებთ იოანე-ზოსიმეს „ქებაის“, მაშინ ეს მისაღები იქნება, ეკლესიასთან დაპირისპირებულ გნოსტიკოსთა მოძღვრებას კი ვერ გავაიგივებთ ამ ძეგლთან. მაგალითად, თვით ანტონ პირველიც კი ხმარობდა ტერმინ „გნოზისს“ ანალოგიური მნიშვნელობით თავის „ღვთისმეტყველებაში“, სადაც ამბობს, რომ „გონება-მზე“ პეტრიწმა შემოიღო – „გნოსისინი აზნაურთა და თავისუფალთა ცნობათანი“.

ასე რომ, ამ სიტყვას თვით ანტონ კათალიკოსიც არ თვლიდა ეკლესიისათვის უცხოდ. ხსენებული გამოკვლევის ავტორის (ე. ჭელიძის) თქმით, III-IV საუკუნის ორთოდოქსიმ მთლად მოსპო გაგება ნათლისღებისა ვითარცა საიდუმლოსი და რომ მას შემდეგ ქრისტიანულმა ნათლისღებამ ეკლესიაში მიიღო მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა (გვ. 12-128). სინამდვილეში მეოთხე საუკუნის ეკლესიის მამა კირილე იერუსალიმელი თავის „მისტაგოგიურ კათეხიზმოში“ წერს, რომ, მართალია, ნათლისღებისას სამგზის წყალში ჩაძირვა სიმბოლურად განასახიერებს ქრისტეს სამ დღეს საფლავში ყოფნას, მაგრამ ეს მიბაძვა ქრისტესი არ არის მხოლოდ ხატი, სახე, „ეიკონ ჰე მიმეზის“, ვინაიდან თავად ნათლისღება არის რეალობა, რომლითაც ჩვენ რეალურად ვღებულობთ ხსნას (კირილე იერუსალიმელი, მისტაგოგიური კათეხიზმო, პარიზი, 1966. ფრანგ. ენაზე, გვ. 114). შემდეგ კირილე იერუსალიმელი განაგრძობს, რომ ნათლისღება არის

ცოდვათა მიტევება რეალურად და განწმენდა რეალურად და ა. შ. ასე რომ, ნათლისღება მართლმადიდებლური ეკლესიისათვის ერთ-ერთი საიდუმლოა, მისტერიონია. ნათლისღება სიმბოლურ ხასიათსატარებსმხოლოდპროტესტანტულ ეკლესიაში, ისევე როგორც სხვა საიდუმლონი, ხოლო პროტესტანტული და მართლმადიდებლური ეკლესიების პრაქტიკა ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ.

ავტორი ადამიანის არსების სამწევროვნების შესახებ მოძღვრებას, ანუ ტრიქოტომიას (რომელსაც იგი შეცდომით ადამიანის პიროვნების სამნაწილოვნებას უწოდებს) გნოსტიკოსტა საკუთრებად თვლის. სინამდვილეში ეს მოძღვრება უფრო ადრე ჩამოყალიბებულია პავლე მოციქულის ეპისტოლეებში (1 კორ. 2. 14, 5. 44-17) და მას იზიარებს აღმოსავლეთის ეკლესიაც, ხოლო კათოლიკურმა ეკლესიამ დაგმო იგი მხოლოდ მერვე საეკლესიო კრებაზე მეცხრე საუკუნეში და დატოვა დიქოტომია, ანუ ორწევროვნება (სამშვინველისა და სხეულისა). უცნაურად ისმის, აგრეთვე, ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ თურმე „ქრისტიანობის მიღებით ქართული ენა მოკვდა“ (გვ. 138), მაშინ როდესაც სწორედ ქრისტიანობის მიღების შემდეგ დაიწყო ქართული ენისა და მწერლობის არნახული აღორძინება.

ხოლო ქართული ენის ქრისტიანობამდელი სიცოცხლისა და აყვავების რაიმე დოკუმენტი თუ ეგულება ავტორს სადმე, ეს უდიდესი აღმოჩენა იქნებოდა. ასეთი შეხედულება არც იოანე-ზოსიმეს უნდა მივაწეროთ, ვინაიდან შეუძლებელია მას არ სცოდნოდა, თუ რა მოუტანა ქართველ ერს, ქართულ ენასა და მწერლობას ქრისტიანობამ.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ გამოთქმას „ყოველივე საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“. როგორც ითქვა, საუბარია არა ქრისტეს ყველა ეზოტერულ საიდუმლოზე, არამედ იმ საიდუმლოებაზე, რომელთა გადაცემაც მან შესძლო თავის მოწაფეთათვის და კაცობრიობისათვის. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მოციქულნი, ასევე ეკლესიის მამები ხედავდნენ ერთიანობას ქრისტიანულ საიდუმლო სიბრძნესა და ანტიკურ მისტერიალურ სიბრძნეს შორის – რომელიც აგრეთვე ღვთისაგან მომადლებულად მიაჩნდათ.

ამ სიბრძნის არსს ასე განმარტავდა პავლე მოციქული: „არამედ ვიტყვი სიბრძნესა ღმრთისას საიდუმლოდ დაფარულსა მას, რომელი პირველადვე განაჩინა ღმერთმან უწინარეს საუკუნეთა სიდიდებლად ჩუენდა“(1კორ.2. 7). ასევე ესმოდათ ეს ერთიანობა იუსტინე ფილოსოფოსს, ბასილი დიდს, ნეტარ ავგუსტინეს და სხვათა. სიმბოლიკა ქრისტიანობის პირველი საუკუნეების ხელოვნებისა ნათელყოფს. თუ რაოდენ ღრმა კავშირს ხედავდნენ პირველქრისტიანები ანტიკურ მისტერიებსა და ქრისტიანობას შორის. ასე მაგალითად, კატაკომბების ფერწერაში გავრცელებულია მოტივი, სადაც ქრისტე ფიგურირებს როგორც მისტერიათა იეროფანტი კვერთხით ხელში, რომელითაც იგი აცოცხლებს მიცვალებულ ლაზარეს, რაც ასახავს იმ ფაქტს, რომ ანტიკური ინიციაციის კერების პრაქტიკა ინიციატის სამდღიანი სატაძრო სიკვდილისმაგვარი ძილისა, რომლისგანაც მას აცოცხლებდა იეროფანტი (რაც ხდებოდა მისტერიებში დაფარულად), ქრისტემ სახალხოდ განახორციელა ლაზარეს აღდგინებით.

ასე რომ, ლაზარეს ინიციაცია ანტიური ინიციაციის გზის ახალი ეტაპი იყო. ასეთივე ღრმა კავშირი არსებობდა მზის („სოლ ინვიქტუსის“) ანტიკურ კულტსა და ქრისტიანულ კულტს შორის. არსებობს ადრექრისტიანული გამოსახულებები, სადაც „სოლ ინვიქტუს“ ფიგურირებს როგორც ქრისტე, სააღდგომო ლიტურგიის შემსრულებელი (იხ. ე. ზაუსერი, ადრექრისტიანული ხელოვნება, მიუნხენი, 1966 წ. გვ. 393, გერმ. ენაზე).

პროტო-ქართული მოდგმა და კულტურა პრეისტორიული ხანიდან უაღრესად მჭიდროდ იყო დაკავშირებული მისტერიათა კულტურასთან. უფრო მეტიც, იგი იყო შემქმნელი ამ მისტერიათა, იყო

მათი კულტურტრეგერი, რაც მოსჩანს არგონავტების მითიდან, აგრეთვე ანტიურობის მწერალთა და ისტორიკოსთა სხვა წყაროებიდან, აგრეთვე „ქართლის ცხოვრებიდან“, სადაც მოთხრობილია ფარნავაზის ინიციაცია სულიერი მზის მიერ, აგრეთვე ქვაბში საუნჯის პოვნა, რაც საყოველთაოდ ცნობილი სიმბოლოა მისტერიალურ სიბრძნესთან ზიარებისა. შემდგომში საქართველო ეზიარა ახალ, ქრისტიანულ სიბრძნეს, ქრისტიანულ ინიციაციას „ახალი ნინოს“ მეშვეობით.

აი, რას გულისხმობს იოანე-ზოსიმე, როდესაც ამბობს, რომ „ყოველივე საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“. საქართველო გადმოცემით ღვთის–მშობლის წილხვდომილია. ღვთისმშო–ბელი, სოფია, ანუ ზეციური დედა ეზოტე–რული თვალსაზრისით არის დედა მისტერიებისა,იზიდა„„მაგნა მატერ“ ყველა ანტიური რელიგიებისა და კულტებისა. ხოლო პირველქრისტიანთა და ეკლესიის მამათა გაგებით იგი არის სულიწმიდის მიწიერი გამოცხადება, სულიწმიდისა, რომელიც არის მომცემელი ჭეშმარიტი საღვთო სიბრძნისა (სოფიასი) და ამავე დროს ცოდვათაგან განწმენდის მადლისა. სახარებაში მას ეწოდება აგრეთვე პარაკლეტი, ანუ ნუგეშინისმცემელი (იხ. მ. პარმენტიერი, წმ. გრიგოლ ნოსე–ლისეული დოქტრინა სულიწმიდისა. „ეკლეზიასტიკოს ფაროს“, ალექსანდრიის საპატრიარქოს ჟურნალი, 1976, ტ. 60, გვ. 697)

იოანეს სახარებაში მაცხოვარი ამცნობს თავის მოწაფეებს, რომ მომავალში სულიწმიდამ უნდა ამხილოს სოფელი ცოდვისათვის და ამავე დროს უნდა მოჰმადლოს რჩეულებს ჭეშმარიტი საღვთო სიბრძნე:

„არამედ ჭეშმარიტსა გეტყვი თქუენ: უმჯობეს არს თქუენდა,რაითა მე წარვიდე. უკუეთუ მე არა წარვიდე ნუგეშისმცემელი იგი არა მოვიდეს თქუენდა; უკუეთუ მე წარვიდე, მოვავლინო იგი თქუენდა. და მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა ცოდვისათვის და სიმართლისათვის და სასჯელისათვის. ცოდვისათვის ესრეთ, რამეთუ არა ჰრწმენა ჩემდა მომართ,ხოლო სიმართლისათვის, რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ და არღარა მხედვიდეთ მე. ხოლო სასჯელისათვის, რამეთუ მთავარი იგი ამის სოფლისაი დასჯილ არს“ (იოანე 16. 7-11).

ამრიგად, სახარების მიხედვით, სულიწმიდის მისსია არის კაცობრიობის ცოდვათა, ანუ „ყველა ენათა“ ცოდვათა მხილება. იგივე მისსია ეკისრება ქართველ ერს მოსავალში იოანე-ზოსიმეს თვალსაზრისით. ეჭვგარეშეა,იგი,როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, სულიწმიდის მიერ კაცობრიობის მომავალ მხილებას ქართველ ერს იმის გამო უკავშირებს, რომ საქართველო არის წილხვდომილი ღვთისმშობლისა, ხოლო ღვთისმშობელი არის სულიწმიდის მიწიერი გამოცხადება. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ გადმოცემით ღვთისმშობელს წილად ერგო საქართველო სულიწმიდის გადმოსვლის დღეს, ანუ მარტვილიას.

ამრიგად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქრისტემ თავისი მიწიერი მსახურების მანძილზე გადასცა საღვთო სიბრძნე თავის მოწაფეებს, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, ვინაიდან ისინი არ იყვნენ ჯერაც მომწიფებულნი საამისოდ, არ ძალედვათ „ტვირთვა“ ამ სიბრძნისა. მაგრამ იგი ამცნობს მათ, რომ მომავალში სულიწმიდა, ანუ სული ჭეშმარიტებისა გადასცემს მათ ამ სიბრძნეს: „ფრიადღა მაქუს სიტყუად თქუენდა, არამედ აწ არღარა ძალგიც ტვირთვად, ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისაი, გიძღოდის თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა, რამეთუ არა იტყოდის თავით თვისით, არამედ რაოდენი რაი ესმის, იტყოდის და მომავალი იგი გითხრას თქუენ“ (იოანე 16.12–13). ამრიგად, სულიწმიდა არის კაცობრიობის მამხილებელი და ამავე დროს „ყოველი საიდუმლოს“, ანუ საიდუმლო სიბრძნის მომმადლებელი. ასევეა ქართული ენა, ქართული მოდგმა, ვინაიდან მისი მისსია იგივე სულიწმიდის მისსიაა, ე. ი. სულიწმიდა ქართული

ენის, ანუ ქართული მოდგმის მეშვეობით განახორციელებს თავის მისსიას, როდესაც ამხელს კაცობრიობას მეორედ მოსვლის ჟამს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომ–დინარე, მეორედ მოსვლისას ქართველ ერსა და მის ენას ეკისრება იმ მისსიის აღსრულება, რომელიც გააჩნიათ, იოანეს სახარებისა და აპოკალიპსისის გაგებით, ერთი მხრივ, ქრისტესა და მიქაელ მთავარანგელოზს, ხოლო მეორე მხრივ, სულიწმიდას და გაბრიელ მთავარანგელოზს, ვინაიდან სულიწმიდის ნების განმცხადებელი, მისი „პირი“ არის გაბრიელ მთავარანგელოზი, რომელმაც ახარა ღვთისმშობელს სულიწმიდით ჩასახვა და რომელიც დაკავშირებულია აგრეთვე სულიწმიდის მომავალ მისსიასთან. ასევე ითვლება მიქაელი ძის, ანუ ქრისტეს „პირად“.

აი, რატომ არიან დავითის IV საუკუნის სტელებზე გამოსახულნი მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები, რომელთაც სასოებით უპყრიათ ხელთ დაფა ქართული ანბანის გამოსახულებით! სხვათა შორის, ხსენებული აღმოჩენის შესახებ გ. აბრამიშვილი და ზ. ალექსიძე გაკვრით აღნიშნავდნენ, რომ ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში „ენა“ ხალხსაც ნიშნავს, თუმცა ამ დებულებას აღარ უკავშირებენ იოანე-ზოსიმეს „ქებაის“.

ბრდაძორის მეექვსე საუკუნის სტელაზე, როგორც ავტორები აღნიშნავენ, ვხვდებით იკონოგრაფიისათვის სავსებით უჩვეულო თემას: სუდარაში გახვეულ ლაზარეს ამაღლებასა და განდიდებას მეორედ მოსვლის დროს, როდესაც მიქაელ მთავარანგელოზი ამცნობს საყვირით კაცობრიობას მეორედ მოსვლის დადგომას. ეს აღმოჩენა კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს, რომ იმ ეპოქის საქართველოში იცოდნენ ეზოტერული საიდუმლო ლაზარესა და იოანეს იგივეობისა, ვინაიდან აპოკალიპსისში მეორედ მოსვლის მოვლენების აღწერისას ლაზარე სავსებით არ არის ნახსენები, ხოლო იოანე ესქატოლოგიური ხილვით ჭვრეტს თავისთავს მიქაელ მთავარანგელოზის გვერდით მეორედ მოსვლის დადგომის ჟამს (გამოცხ. 19, 9-21). ასე რომ, ბრდაძორის სტელაზე გამოსახული ლაზარე იგივე იოანეა.

aliko cincaZe
qristianobis hematriuli kodi

იმას, რომ ქართული ჰემატრია არსებობს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიაშიც აღიარებენ, მაგრამ ჯერ მხოლოდ კულისებში და ჩუმად, იმის შიშით, რომ ვინმე მაღალი რანგის ფუნქციონერმა არ გაუგოთ... ჰემატრია ბიბლიის გაშიფვრის ცნობილი მეთოდია და მასზე იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი მიუთითებდა. იგი კიდევ არაერთ საიდუმლოს ხდის ფარდას.

გთავაზობთ, ფრაგმენტს წიგნიდან: „ქართული ჰემატრია“.

როგორც ჩვენი კვლევებიდან იცით („მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა, 2013) ქართული ანბანი,სულ მცირე,ძვ.წ.აღ. 1000 წლიდან დაფარულად არსებობდა, გამოდის, რომ მასში ის საიდუმლო იდო, რომლის გამხელა დათქმულ ჟამამდე არასასურველი იყო. რა საიდუმლო იყო ის, თუ ანბანის გამხელა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდეგ მოხდა? ანუ დათქმული ჟამი ქრისტიანობის აღიარებაა. ბუნებრივი იქნება დავასკვნათ,რომ ანბანში ჩადებული ინფორმაცია ქრისტიანობას შეეხებოდა. როგორც ვნახავთ,ასეც არის. ახლა სწორედ ამ უმაღლესი ღვთიური საიდუმლოს ერთ-ერთი ფრაგმენტის თაობაზე ვისაუბრებთ. იოანე-ზოსიმე საეკლესიო პირი იყო, ამდენადაც, თუ ბიბლიის გაშიფვრის მეთოდი სადმე უნდა მოესინჯა, ალბათ, პირველ რიგში ბიბლიაში მოცემული ღმერთის სახელების შესწავლისათვის.

„глиняные таблички... указывают на то... что гематрия ещё в глубокой древности исполь-зовалась как секретный код – особенно когда дело касалось богов... особое внимание уделялось именам Бога.“ (ზ.სიტჩინი, „კოსმიური კოდი“, გვ. 57). ბ-ნი ზაქარია სიტჩინი აქ შუმერულ თიხის ფირფიტებზე საუბრობს. თუ ქართულში იგივე ცოდნა არსებობს გამოდის, რომ სიტყვა „ღმერთ“-ში და მის არეალშია უუძველესი საიდუმლო საძებნი. მისი იქ არსებობა კი შუმერულ-ქალდეურ – პროტოქართული (იბერიულ-კავკასიური) ერთიანი სივრცისა და სიბრძნის დადასტურება იქნება.

„გაყავით ერთი თავის თავზე – ისევ ერთია; გაამრავლეთ იგივეზე – ისევ ერთია და არ შეიცვლება. ამგვარად რიცხვი ერთი არის უდიდესი, უცვლელი სიმბოლო ყოველივე არსებულის მამისა.“ (ა.კროული, „გემატრია“, 1912, გვ. 7). აქედან ისიც ჩანს, რომ ღმერთის კოდში რიცხვითი სახელს – „ერთი“, განსაკუთრებული როლი უნდა ჰქონოდა. ეს საწყისი მოცემულობაც,შუამდინარული ცოდნაა და მისი გათვალისწინებით უკვე ძველ ქართულში, მის სარწმუნოებრივ ლექსიკაში დაფარული საიდუმლოს მოძიებას ვიწყებთ. რიცხვები,ე.ი. ჰემატრია, როგორც ჩანს ისტორიულ წყაროებზე უკეთ ინახავს მათზე მიბარებულ

საიდუმლოს, და მისი მიკვლევა უჭირდა არათუ მტერს, მოკეთესაც კი. მტკიცდება ისიც, რომ ამ ღვთის უდიდეს საიდუმლოს, ქართულის გარდა, ვერცერთი ანბანური სისტემა ვერც ხსნიდა.

შუმერული თიხის ფირფიტების ანალიზით გაკეთებული დასკვნების გაცნობამდე მივაკვლიე სიტყვაში "ერთ" ჩადებულ კოდს („მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა", 2013). ამ დასკვნებმა მხოლოდ ჩვენი შედეგების სამართლიანობა დაადასტურეს. ერთი ხომ ჩვეულებრივი რიცხვითი სახელი არაა, იგი შუმერულ-ქართული პარალელია, თანაც პირდაპირ შედის სიტყვაში: ღმ-**ერთი**.

ზაქარია წინასწარმეტყველი „ძველ აღთქმაში" წერს: „და იყოს უფალი მეუფედ ყოველსა ქუეყანასა ზედა. მას დღესა იყოს უფალი მხოლოი ერთ და სახელი მისი **ერთ**". (14.9

დავსვათ კითხვა: რატომ თვლის წინასწარმეტყველი, რომ ღმერთის სახელია „ერთ"? ან რატომ შედის „ერთი" სიტყვაში „ღმერთი"?

ასტრონომიულადაც ერთის განსაკუთ–რებულობა მზეს უკავშირდება. მზე დღეღამეში ვარსკვლავების მიმართ დაახლოებით 10-ით გადაადგილდება ცაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, „ერთ" კოდური სიტყვაა. რომელიც ჰემა–ტრიულად ღმერთის არსს ფარავს. სიტყვა „ღმერთი" ფუძეში მოიცავდა რა რაოდენობრივ რიცხვით სახელს „ერთი", თვლიდნენ, რომ ამით ღმერთის მონო–თეისტური, ერთსახოვანი ბუნება იყო ხაზგასმული. სიტყვის ასო-ნიშნების რიგითი სათვალავით შექმნილი ციფრული სურათი, ამ მოლოდინის საპირისპიროდ, ღმერთის ორბუნოვნობას ადასტურებს, მივყვეთ თანმიმდევრულად:

ქართულ ჰემატრიაში ორი რიცხვი აღნიშნავს ღმერთს, პირველი – 51, იგი ღმერთის კაცებრივი, ადამიანური ბუნების რიცხვია, და მეორე – 99, ის ღმერთის ღვთაებრივ ბუნებას ასახავს („მოელის დღესა მას...").

როგორც ჩანს,51 უძველესი ჰემატრიული ფესვია:

შუმერული მთვარის, ცის ღმერთის, „ან"-ის რიცხვ-მნიშვნელობათა ჰემატრია 51-ია:

ა(1) ნ(50),
1 + 50 = 51.

ეს ჰემატრია მიიღება ქართული ანბანით. ამ ანბანის პირველი ასო-ნიშნის სახელდებაც „ან"-ია, ე.ი. ისიც ჰემატრიით – 51-ია.

„ეა" – კოლხეთის სატახტო ქალაქის, მისი დედა-ღმერთის სახელი იყო. „ეა", ისევ ქართული ანბანით, 51-ის პოზიციური ჩაწერაა: „ე" – 5, „ა" – 1, ერთად 51.

„იუპიტერი (მარდუქი) ძვ.წ.აღ. 18-ე საუკუნიდან ითვლებოდა „ბაბილონის მფარველად", მიიჩნევდნენ დედამიწის ღვთაება „ეა"-ს ვაჟად, თაყვანს სცემდნენ, როგორც ნაყოფიერების, სიბრძნისა და სინათლის ღვთაებას." („ქართული საბჭოთა ენციკლოპედია"). შემდეგ, იგივე ღმერთი „ეა" აქადეველებშიც (სემიტური ტომი) გაჩნდა და ხორციელად მოვლენილი ღმერთის სახელი გახდა.

ღმერთის ჰემატრიაში 51-ის კვალი დღევანდელობამდე მოდის (ფრჩხილში ასოების რიგითი სათვალავია):

ღერბ(ეთ) – ღმერთი (სვ.). მისი ფუძეა „ღერბ" (ნ.მარრი):

ღ(25) ე(5) რ(19) ბ(2);
25 + 5 + 19 + 2 = 51.

„ფშაველები და ხევსურები, უზენაეს ღვთაებას „მარიგე"-ს უწოდებენ:

მ(13) ა(1) რ(19) ი(10) გ(3) ე(5);
13 + 1 + 19 + 10 + 3 + 5 = 51.

საქართველოს მთაში „კვირია"...„კვირე" შვილი ღვთაებაა, ხოლო სახელი „კვირე", ისევ 51-ის ტოლ ჰემატრიას იძლევა:

კ(11) ვ(6) ი(10) რ(19) ე(5);
11 + 6 + 10 + 19 + 5 = 51.

ქრისტიანობაში იესოც შვილია; ქრის–ტეშობის შემდეგ ამ რიცხვის მნიშვნელობა იზრდება, 51 – „იესო“-ს რიცხვი ხდება;

იგივე ჰემატრიულ რიცხვს იძლევა მცირე აზიური ღმერთი „ხალდ“ და ა.შ..

რაც შეეხება 99-ს,ამ ჰემატრიით გვაქვს:

99 – დღესინდელი – უძველესი ხევსურული ქალ-ღვთაება;
99 – ღორონთი – ღმერთი (მეგრ.);
99 – მამა ღმერთი;
99 – ქრისტე და ა.შ..

მივუბრუნდეთ ისევ ღმერთის სახელს – „ერთ“. გამოვიყენოთ ქართული ჰემატრიის ერთ-ერთი, უმნიშვნელოვანესი კოდის მოცემის წესი; ჩავწეროთ „ერთ“-ის ასოთა რიგითი სათვალავები:

ე(5) რ(19) თ(9).

გადავწეროთ ციფრთა მიმდევრობა, ქართულ ჰემატრიაში ცენტრალურ ადგილს ციფრი იჭერს:

5 1 9 9,

განსახილველი მიმდევრობის პირველი ორი ციფრი 5 1, ანუ ორმოცდათერთმეტი „იესო“-ს ჰემატრიაა, მეორე წყვილი 9 9, ანუ ოთხმოცდაცხრამეტი – „ქრისტე“-ს ჰემატრიას გვაძლევს. ე.ი. ღმერთის სახელი – „ერთ“-ი, კოდია და ციფრულად სრულად შეიცავს „იესო“-სა და „ქრისტე“-ს ჰემატრიებს, მის ღვთაებრივ და კაცებრივი ბუნების რიცხვულ სიმბოლოებს:

„ერთ“ – 5 1 9 9 – 51. 99;
იესო (51) – ქრისტე(99).

ი(10) ე(5) ს(20) ო(16),
10 + 5 + 20 + 16 = 51;
ქ(24) რ(19) ი(10) ს(20) ტ(21) ე(5),
24 + 19 + 10 + 20 + 21 + 5 = 99.

მაგრამ ჰემატრიული კოდი „ერთ“ აქ არ დასრულებულა: ახლა შევკრიბოთ „ერთ“-ის შემადგენელ იგივე ასო-ნიშანთა რიგითი სათვალავები: 5, 19 და 9, მივიღებთ:

5 + 19 + 9 = 33,

ეს ქრისტეს ჯვარცმის ასაკია. შეიძლება ითქვას, რომ პირველი ნატურალური რიცხვი – **„ერთ“-ი სრულად იძლევა, როგორც „იესო ქრისტე“-ს ჰემატრიას, ისე მის ასაკს. ასეთ სრულყოფილ და მრავალმხრივ კოდს არ იცნობს არათუ ქართული ჰემატრია, ზოგადად ჰემატრია საერთოდ. ასეც უნდა იყოს, რადგან იგი ქრისტიანობის კოდია.**

ქრისტე დაბადებული არაა და უკვე არსებობს ჰემატრიული სურათი, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს მისი სახელი. იგი დროში მუდმივი რჩება, არ იცვლება, იგივეა, რაც გამოდგებოდა: „ან“, „ეა“, „ღებეთ“, „მარიგე“, „კვირია“ და ა.შ. ღმერთებისთვის,თან ორგანულად ერწყმის იმას, რასაც ღმერთთა პანთეონიდან უმაღლესი შემოქმედი: „დღესინდელ“-ი, „ღორონთ“-ი, „მამა ღმერთ“-ი გვაძლევდა. ეს კოდური ინფორმაცია რიცხვულად დაცულია სიტყვაში – „ერთ“.

ამის გათვალისწინებით „ერთ“-ი სიტყვა „ღმერთი“-ს შემადგენელი ნაწილი ხდება და მასში ჩადებული საკრალური ინფორმაციაც შეაქვს.

კოდის გახსნაში ცდომილება ერთი მემილიონედია.

გამოდის რომ,როცა ასეთი უუძველესი კოდი შეიქმნა, და იგი ჯერ კიდევ „ან“, „ეა“ ღმერთებიდან იწყება, ქართული ანბანი უკვე შექმნილი და ღმერთების კოდი განსაზღვრული იყო. ანბანის პირ–ველი ასოს სახელდება (ან), მისი რიცხვ-მნიშვნელობა და პირველი რიცხვი (ერთი) სარწმუნოებრივი საწყისია. როცა პროტოქართველმა თვლა დაიწყო და სულ პირველი რიცხვი თქვა: „ერთი“,„ღმ-ერთი“ უკვე „იცოდა“, ვინც უნდა ყოფილიყო (ჰემატრიულად). ამიტომაც ამის შემდეგ, ღმერთის სახელის ყველა ჩაწერა, მათ შორის ბიბლიაშიც, არჩეულ კოდს (რიცხვულ კოორდინატს) დაექვემდებარა.

ზემოჩამოთვლილი ღმერთების რიცხ–ვული მემკვიდრეობითობა უდაოა, ამ კოდის საფუძველზე ხდება ბიბლიის თარგმანებში ღმერთის სახელი „ადონაი“ (51) და „ელიოხიმ“-ი (99), ხოლო ქართულ სინამდვილეში – „იესო ქრისტე“.

ეს ფორმულა, იგივეობა რიცხვულად ცალსახად გვეუბნება: „ღმერთი – „ერთი“-ა და ორბუნებოვანი“. 51 – მისი ადამიანური ბუნებაა, 99 – ღვთაებრივი. „ერთ“ კოდი ჩვეულებრივი სიტყვა არ გახლავთ, ასეთი დონის სარწმუნოებრივი, დაფარული ინფორმაცია მხოლოდ და მხოლოდ ქურუმთა ჩაკეტილი კასტის კუთვნილება იყო. როგორც წესი, მისი გამხელა არ ხდებოდა. იგი მოიცავს, არა მხოლოდ იმ პერიოდის, არამედ როგორც ვხედავთ, ნათელხილვით ინფორმაციასაც, რადგან მერმისის სარწმუნებასაც ეხება.

დასკვნა:

– „ერთ“ იძლევა ქრისტეს სრულ ჰემა–ტრიულ სურათს;
– „ერთ“ ჰემატრიულად ამყარებს „ქრის–ტესა“ და „მამა ღმერთის“ კავშირს –

ქ(24) რ(19) ი(10) ს(20) ტ(21) ე(5),

24 + 19 + 10 + 20 + 21 + 5 = 99;

მ(13) ა(1) მ(13) ა(1) ღ(25) მ(13) ე(5) რ(19) თ(9) –ი,

13 + 1 + 13 + 1 + 25 + 13 + 5 + 19 + 9 = 99;

99 = 99.

– „ერთ“ ქრისტეს ჯვარცმის ასა–კით განსაზღვრავს ქრისტეს მოძღვრე–ბის პროტოქართულ (ქალდეურ) წარმო–მავლობას. (51 (იესო), 99 (ქრისტე), 33 (ჯვარცმის ასაკი)) – ეს რიცხვული კოდი მხოლოდ ქართულ (ქალდეურ) ვერსიაშია, და იგივე ჩანს ბიბლიურ ტექსტებში);

– „ერთ“-ით დაცული კოდი დროში უცვლელია, ამით იგი სარწმუნოებრივი მემკვიდრეობითობის ეტალონია.

ამდენად, ბიბლიის ქართული თარგმანი ამ ადგილებში შედარებით ღრმა პლასტებს აჩენს, ვიდრე ორიგინალი. ასე სრულყოფს ჰემატრია სარწმუნოებრივ სურათს.

საპატრიაქოს ეგიდით გამოსულ ბიბლიის რედაქციას დართული აქვს ბიბლიური ისტორიის ქრონოლოგია, სადაც ქრისტეს შობა ძვ.წ.აღ. 7-6 წლებითაა განსაზღვრული, შენიშვნაში კი ვკითხულობთ: „მაცხოვარი უნდა დაბადებულიყო არა უგვიანეს ძვ.წ.აღ. 4 წლისა, რადგან სწორედ ამ წელს გარდაიცვალა ჰეროდე დიდი. აქ ნაჩვენები თარიღი 7/6 ეფუძნება ახალი აღთქმის მეცნიერების უახლეს გამოკვლევებს.“ ანუ, იგი ჯვარს 36-37 წლისა აცვეს. მიუხედავად სხვაობისა, ბიბლიურ ტექსტებში მაინც „ერთ“ კოდის რიცხვია დაცული (ჯვარცმისას იესო 33 წლისაა). შეიძლება ითქვას, რომ ბიბლიაში წინარექრისტიანული ქართული კვალი მნიშვნელოვანია.

„მე და მამა ერთ ვართ.“ (იოანე, 10.30, ურბნისის ოთხთავი) ალეგორიის დონეზე დასტურდება ზემოთ გამოთქმული დებუ–ლება.

რქუა იესომ: „ასე იყოს, ვინაიდან ასე გვმართებს ჩვენ მთელი სიმართლის აღსრულება.“ (მათე 3.15)

იმის ალბათობა, რომ ეს დამთხვევაა, იმდენად უმნიშვნელოა, მისი განხილვა არც კი ღირს; ან უნდა დავუშვათ, რომ ქართველებმა თვლა ქრისტეს შემდეგ ვისწავლეთ და „ერთი“ შემდეგი პერიოდის სიტყვაა, ან უნდა ვაღიაროთ, რომ ქართულ სიტყვაში ჩადებული კოდი იესო ქრისტეს მოსვლისას ამოქმედდა; რაღა თქმა უნდა, ალბათობის მიხედვით, მხოლოდ ეს ბოლო ვარიანტია სარწმუნო. ბიბლიის ქართულ თარგმანებში, სადაც კი ნახსენებია სიტყვა „ღმ-ერთი“, მისი ერთბუნებოვნება კი არა, ორბუნებოვნება, უფრო მეტიც, პირდაპირ იესო ქრისტეა დაფარული. სწორედ ამაზე თქვა, ახ.წ.აღ. მეათე საუკუნეში იოანე-ზოსიმემ: „ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს“...

როგორც აღმოჩნდა, ქართულ ენაში ღმერთების სახელები ჰემატრიის გათვა–ლისწინებით შემოდიოდა და ამას ღმერ–თის სახელის მატარებელი კოდი არეგუ–

ლირებდა.

ახლა თვით სიტყვა „იესო“-ს ჩაწერის მართებულობას მივუბრუნდეთ, ეს მნიშვნელოვანია იმის გასარკვევად, თუ რამდენად ძველია კოდი.

მე-18 საუკუნის დასაწყისამდე (1701წ.) სახარებისეულ ტექსტებში მაცხოვრის სახელად – „იესუ“ იხმარებოდა, და ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჰემატრიულად სწორი ფორმა „იესო“ არ არსებობდა. თავისთავად 51-ის ჰემატრიული გამორჩეულობა, რა თქმა უნდა, დაფარული უნდა ყოფილიყო. ასეც არის, ყველგან „იესუ“ გვაქვს. როგორც ზემოთ ვნახეთ, 51-ს უუძველესი ფესვი აქვს („ეა“, „ან“ და ა.შ.) და როგორც მოსალოდნელიც იყო, რიცხვული არსი თავდაპირველ ფესვს დაუბრუნდა; ბოლოს, მეოცე საუკუნის 60-იან წლებში კათალიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის დაჟინებული მოთხოვნით დაკანონდა „არასწორად მიჩნეული“ ფორმა – „იესო“: „კათალიკოსის დაჟინებული მოთხოვნით ხელუხლებლად დარჩა მღვდელმთავარი, იესო და არა იესუ“ (ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია 1979,გვ. 78). ნიშნავს თუ არა ეს, ქართული ეკლესიის წიაღში ჰემატრიის, ან 51-ის გამორჩეულობის ან „იესო“-ს ჭეშმარიტ სახელად მიჩნევის შესახებ საიდუმლო ინფორმაციის არსებობას, უკვე ძნელი გასარკვევია. ან იქნებ კათალიკოსის ღვთიური შთაგონება იყო ჰემატრიულად სწორი ფორმის მიგნების სათავე? შემთხვევით ასეთი „გადაცდომები“ არ ხდება, მითუმეტეს, ასეთ საკრალურ სახელთან მიმართებაში. ღმერთის სახელის შეცვლა ან კორექტირება განსაკუთრებული მიზეზის გარეშე წარმოუდგენელია. მთავარი ისაა, რომ ჰემატრიის აღმოჩენის მომენტისთვის სწორი ფორმაა დაკანონებული და იშიფრება. უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა სახარების მეათე საუკუნის ხელნაწერების გადამწერლებმა იცოდნენ თუ არა ამ ღვთიური საიდუმლოს თაობაზე. ეს გაცილებით მაღალი ღირებულების ინფორმაციაა.

ასე აღმოჩნდა შუმერული თიხის ფირფიტების შესწავლით გაკეთებული დასკვნები, ის საფუძველი, რაზეც ძველი ქართული და მისი უმთავრესი სარწმუნოებრივი ლექსიკაა შექმნილი. ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება იმაში,რომ შუმერი (ქალდეა) წინარექრისტიანული საქართველო (იბერია – კავკასია) ერთიანი ცოდნის სივრცეა.

მიაქციეთ ყურადღება, ჩვენ უუძველეს შუმერულ-პროტოქართულ, ქალდეა – იბერიის ცოდნაზე ვსაუბრობთ და მასში ჩადებული ცოდნის გასაშიფრად ქართულ ანბანს ვიყენებთ. ე.ი. ქართული ანბანი იმ დროს არსებობს? სწორედ ასეა, ჰემატრია ვერ იქმნება ანბანის გარეშე და ვერცერთი ანბანი ვერ იმეორებს ქართულ ანბანურ რიგს. სემიტური ანბანი ქართულთან ერთადერთი ასო-ნიშნის ადგილით განსხვავდება („რ“ (რაე)), და სწორედ ის მონაწილეობს აქ მოხსენიებულ სიტყვებში – „ღმე-რ-თი“, „ღო-რ-ონთი“, „ღე-რ-ბეთ“, „ე-რ-თ“ და ა.შ.. ე.ი. იმ რიცხვულ ინფორმაციას,რომელსაც ქართული ანბანის მიხედვით ეს ლექსიკა იძლევა, ვერ მოგვცემდა ვერცერთი ანბანი. ქართული ანბანის არსებობაა ასეთი ლექსიკის შექმნისთვის აუცილებელი და მის გარეშე იგი ვერ იქმნება (!). თუ ქართული ანბანი ახ.წ.აღ-ით მეხუთე საუკუნემდე არ არსებობდა, მაშინ იქამდე არ არსებულა ზემოხსენებული უმთავრესი სიტყვებიც (ღმერთი, ღორონთი, ღერბეთი და ა.შ.). იმედია, ასეთი პარადოქსის მტკიცებას უკიდურესი სკეპტიკოსიც ვეღარ დაიწყებს.

თავის დროზე ჰემატრიული დაშიფვრისას ანბანური სისტემა (ძირითადად რიგი) და მთელი ანბანიც იმიტომ გასაიდუმლოვდა,იმიტომ შეიტანეს უმთავრეს ლექსიკაში დაფარული ასო „რაე“, რომ სარწმუნოებრივად დაპირისპირებულს ვერ შეძლებოდა მისი გაშიფვრა. თანაც, ასეთი ფაქტით მთელი ამ საკრალური საიდუმლოს ავტორის (ხალხის) ვინაობის დადგენა ხდება შესაძლებელი. როგორც ახლა ვხედავთ,

არც ეს უკანასკნელი იყო უმნიშვნელო.

დასკვნა: ქართული ანბანს განსა–კუთრებული, საკრალური ინფორმაცია მოჰქონდა ქრისტიანობაზე. იგი ქრის–ტიანობის, და ზოგადად უმაღლესი სარწმუნოებრივი ინფორმაციის კოდის გასაღებია. ამიტომაც დაიფარა იგი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებამდე.

ასონაკლული (ღ)მერთი, ან „მერთი“ ძველ ქართულად აღნიშნავს სამყაროს და მის ჰემატრიულ რიცხვს, მატერიალური, ხორციელი სამყაროს რიცხვსაც – 46-ს იძლევა. თანაც „მერთ“-ში, როგორც მდგენელის – „ერთ“-ის არსებობა ნიშნავს იმასაც, რომ „ერთ“ და მასში დაფარული კოორდინატები (51, 99, 33) – სამყაროს, ხილული სამყაროს ღმერთის რიცხვებია. თავის მხრივ, სიტყვა ღმერთი, ფაქტობრივად,სამების ერთობის პრინციპს უყრის საფუძველს:

ღმერთი – მერთი (სამყარო) – ერთი.

იგივე ინფორმაცია დასტურდება როგორც მეგრულში, ისე სვანურში, და რადგან ეს ცოდნა ჯერ კიდევ შუმერს ჰქონდა, სრულიად ცხადია, ამ უუძველესი ზოგადსაკაცობრიო იბერიულ-კავკასიური ძირის ერთიანობა.

მეგრულში ერთს აღნიშნავს სიტყვა „ართ“,იგი ფიგურირებს სიტყვაში „ქ-ართი“, ხოლო მის ციფრულ ჩაწერაში, ისევ იშიფრება კოდური ინფორმაცია:

ა(1) რ(19) თ(9),
1 1 9 9,

ანუ 11 და 99, მზის შვილი და მზე–ღმერთი. ყრმისა (11) და მამის (99) ღვთაებრივი ბუნების რიცხვები სიტყვაში ციფრულადაა დაფარული.

იგივე კოდი უფრო სრულყოფილად მეორდება სიტყვაში „კუ-ართი“. კოდი – „ართ“ შედის უმთავრეს ზოგადქართულ სიწმინდეში და ეს პირველ რიგში იმ ერთიანობის მაჩვენებელია, რომელზეც სრულიად ქართული სახელმწიფოებრიობა დადგა. კვართი მცხეთას ელიოზ მცხე–თელმა ჩამოიტანა. „კვართის ჩამომტანი... სახელით ელიოზი ქართული საისტორიო წყარო სიმბოლიზმის გზით გადმოგვცემს, რომ უფლის კვართის მცხეთაში დამბი–ნავებელი არის მზე – სიმბოლო მესიისა და მაცხოვრისა... უფლის კვართი მცხეთელებს ხვდათ ღვთის უზენაესი განგებულებით და უმაღლესი სამართლიანობით, რისი ემბლემაც არის – მზე.“ (ც.ინწკირველი,გვ. 212) ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ ქართული მართლმადიდებლობისთვის საკრალურად ქცეული სიტყვა „კუართი“ (უფლის კვართი) კოდური სიტყვის თვი–სებებს ამჟღავნებს:

კ(11) უ(22) ა(1) რ(19) თ(9) –ი,
1 1. 2 2. 1 1. 9 9;

კუართი,კუ – მზის სულის მატარებელი სტრუქტურაა,11 – მზის შვილის სიმბოლო-რიცხვი, 22 – ღვთისმშობლის, 99 – ღმერთის ღვთაებრიობის სიმბოლო. იგივე შეიძლება ითქვას სიტყვაზე – „კუ-ალთა“ და მის ჰემატრიაზე, სადაც „ალთა“ მზის გადახრის გამზომ ხელსაწყოზე (ბუნი) უკიდურესი გადახრის წერტილია, მისი ერთი მხარია.

იგივე ჩანს სვანურში, მაგრამ იგი იმდროის ფესვია, როცა კოდური სიტყვა ციფრულ შიგთავსში ჯერ კიდევ არ შედიოდა:

ღერი – ერთი (უძველესი ფორმა);

ღერბი – გერბი, სიმბოლო ქვეყნის, გვარის;

ღერბ(ეთ) – ღმერთი.

სარწმუნოებრივი ატრიბუტიკის მთელი ლექსიკა კოდური თვისების მატარებელია. მაცხოვარს ჯვარცმის წინ თავზე ეკლის გვირგვინი დაადგეს. „ეკალი“ კოდური სიტყვაა; იგივე კოდს შეიცავს გოლგოთას აღმართისთვის შექმნილი სიტყვა,„ეკალუ“ (მეგრ.) – აღმართი. იგი უფრო ტევადი კოდია. (ა.ცინცაძე, „ყოველი საიდუმლოი... ამას ენასა შინა“) ეს იმ ხალხის კვალია, ვინც შექმნა ქრისტიანობის პირველისტორია და სულიერად მზად დახვდა იესო ქრისტეს მოვლინებას!

და ეს ცოდნა ძველ ქართულში ჰემატრიული შიფრით დაფარა.

ფაქტობრივად, ჰემატრიული ინფორმა–ციის ხარისხის გაზრდასთან ერთად ცხადად იკვეთება ენის დიფერენციაციის ეტაპები: სვანური, მეგრული, ზოგად–ქართული.

დასკვნა: იმ ხალხმა, რომელმაც პირველმა შექმნა სარწმუნოებრივად უცვლელი და სრულყოფილი კოდი – „ერთ“, ფაქტობრივად, განსაზღვრა სარწმუნოების პირველისტორია და მომავალი.

ჩვენ
და
მსოფლიო



firuz diakoniZe

წერილი ამერიკელ მეგობარს

გამარჯობა რიჩარდ!

აი თითქმის 30 წელი გავიდა მაგრამ გუშინდელივით მახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა პეტერბურგში (მაშინ მას ლენინგრადი ერქვა). ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით, უფრო ფერადი სათვალით ვუყურებდით ცხოვრებას. თუმცა მაშინაც საკმაოდ ვკამათობდით... ასე არაა ბატონო რიჩარდ? განსაკუთრებით მახსოვს კამათი დემოკრატიაზე. საკითხი იდგა რომელი სჯობს ამერიკული თუ საბჭოთა! თავდაპირველად ხმები გაიყო, რადგან რუსებიც თქვენ მოგემხროთ ამერიკული უფრო ჭეშმარიტი დემოკრატიაარ! მხოლოდ მე გიმტკიცებდით რომ ერთი და იგივეაო. უბრალოდ ამერიკელებს უფრო კარგად გაქვთ შეფუთული-თქო! მაშინ ფრეზე შევთანხმდით, მაგრამ ერთ კვირაში მოსკოვში პრაქტიკულად გაჩვენეთ რასაც ვგულისხმობდი!!! თქვენ მეტროთი უნდა გემგზავრათ გორკის სახელობის კულტურის პარკიდან ლენინგრადის ვაგზლამდე. მე კი გაჩვენეთ როგორია ამერიკული არჩევნები... დაგანახეთ მეტროს ორი სადგური სხვა და სხვა მხარეს მდგომი და შემოგთავაზეთ თავად აგერჩიათ რომელში შევიდოდით. თქვენ გაიკვირეთ მაგრამ დამნებდით. როცა მიწის ქვეშ ჩავედით კვლავ აგარჩევინეთ თუ რომელი მიმართულებით წავსულიყავით მარჯვნივ თუ მარცხნივ. თქვენ აღშფოთდით მაგრამ მაინც დამნებდით. ბოლოს კი როცა ლენინგრადის ვაგზალთან ამოვედით მიგიყვანეთ მეტროს რუკასთან და გაჩვენეთ რომ თქვენ რომელი არჩევანიც არ უნდა გაგეკეთებინათ მაინც აქ მოვიდოდით. თან დავამატე რომ "აი ასეთია ამერიკული არჩევნები! თითქოს მრავალი კანდიდატია, სინამდვილეში კი ერთ მხარეს წარმოადგენენ!!! საბჭოთა არჩევნები კი მარტივად თბილისის მეტროსავეთაა...

Piruz Diakonidze

A Letter to an American Friend

Dear Richard,

it has been almost 30 years since we last met but I still remember our first meeting in St. Petersburg (then called Leningrad) like it was yesterday. We were young and looked at the world through rose-colored glasses. However, we did argue a lot back then, did not we Richard? I particularly remember our argument about democracy. We discussed which democracy was better American or Soviet one! Initially opinions were split; Russians were on your side acknowledging the supremacy of American democracy! It was only me arguing that the two were merely the same; with the only difference that Americans managed to wrap it up much nicely than

ერთია ასარჩევი და შედეგიც მარტივადაა... არ იტყუებიან!" თქვენ ბევრი იცინეთ, თუმცა ადიარეთ ჩემი ლოგიკის ძალა. ოღონდ ის კი მითხარით "შენ დიდი საბჭოთა იდეოლოგი ყოფილხარო"!!! თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენი რუსი კოლეგები შენზე მიმტკიცებდნენ "სულ საბჭოთა ადამიანს დაემსგავსაო"!

ახლადაც იმ აზრზე ვარ! თანაც ახლაც ამერიკელები უფრო დამაჯერებლად და ლამაზად წარმოაჩენენ ყოველივეს. მე მაშინ არ ვიცოდი და ახლა მოგაწვდით თქვენთვის "საყვარელი" სტალინის ერთ გამონათქვამს: "მე ყოველთვის ვიცოდი რომ დემოკრატია ხალხის ხელისუფლებაა, მაგრამ აი ამხანაგმა რუზველტმა მახვილგონივრულად დამარწმუნა რომ დემოკრატია ამერიკელი ხალხის ხელისუფლებაა"!!! ყველაფერი შეიძლება თქვა მაგრამ სტალინს იუმორს ვერ დაუწუნებ!

სიმართლე გითხრა თქვენს გაცნობამდე ამერიკელებზე მხოლოდ კარგი ვიცოდი. პირველი ეჭვი მაშინ გამიჩნდა როცა ერთერთ ვახშამზე ვერც ერთმა ამერიკელმა ვერ თქვით შექსპირის ვერცერთი სტროფი. არადა ბრწყინვალედ ფლობდით გორკისა და მაიაკოვსკის შემოქმედებას. კი გავიგე თქვენი ჩაღრმავება სპეციალობაში, მაგრამ ჩემთვის ცოტა ზოგადი განათლებაც იყო საჭირო. თუმცა ვაღიარებ რომ ჩვენ პირიქით ზოგადი განათლებით გამოვირჩეოდით და ალბათ სიღრმეები გვაკლდა სპეციალობაში. ამას შენ უფრო მიხვდებოდი. მეორე შეეჭვება იმან გამოიწვია რომ შენი საცოლე სხვასთან "დასეირნობდა" და შენ ამას "დემოკრატიული" და ჩემთვის გაუგებარი სიმშვიდით ხვდებოდი. უფრო გვიან კი ჩვენი საერთო რუსი კოლეგები გამოექცნენ საბჭოთა კავშირს და ჩამოვიდნენ თქვენთან, მათი გაგებით თავისუფლების ქვეყანაში. და მოხდა საოცრება ისინი კიდევ უფრო აღშფოთდნენ საბჭოთა იდეოლოგიაზე, რადგან მწარედ მოტყუებულები დარჩნენ. თურმე ბევრი რამ რასაც ამერიკელებზე ამბობდნენ სინამდვილეს შეესაბამებოდა. აი სწორედ ამის გამო დარჩნენ ისინი გაწბილებულები... მე მაშინაც ვიცოდი რომ

Russians! We both compromised at that point but a week later in Moscow I showed you exactly what I meant!!! You had to take tube from the Culture Park named after Gorki towards the Leningrad railway station. I showed you the true face of the American elections… I showed you two entries to the tube on different sides of the road and gave you the freedom to choose which one you wanted to enter. You were surprised but made your decision. When we got under the ground I again offered you to choose which way to go: left or right. You were anxious but still did what I asked to do. Finally, when we reached the Leningrad railway station I showed you to the tube map and explained that it did not matter which side you chose, we'd still end up at that particular point. I added: "this is what US elections look like!" It looks like there are many candidates, but in reality they represent one side!!! Soviet elections are simpler like the tube in Tbilisi… there is only one to choose and the results are also straightforward … they are not lying!" You laughed your head off and admitted the strength of my argument, but also told me "you seem to be a big soviet ideologist!!!" Few months later Russian colleagues were convincing me that "you were completely converted into soviet human being!"

I'm still of the same opinion! Now Americans stage everything even more nicely and convincingly. I was not aware of this saying after your "beloved" Stalin, but I would tell it to you now: "I always knew that democracy meant the power of the people, but comrade Roosevelt wittingly proved to me that democracy means the power of American people!!!" You could say anything, but Stalin had a really good sense of humor!

To say the truth, I only heard good things about Americans before meeting you. First doubts appeared at the dinner, when none of the Americans could recite any verse by Shakespeare, while you knew Gorki and

ვიეტნამში ამერიკელებიც და რუსებიც დამპყრობლები არიან. ასევე არის ეს ავღანეთშიც! ამჟამად ჩვენ, ქართველები, თითქოს განვთავისუფლდით რუსეთის იმპერიისგან და ერს დამოუკიდებლობა მოუნდა. მაგრამ სწორედ თქვენი ხელისუფლების მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი ჩვენი დამოუკიდებლობის ხელყოფა. სწორედ თქვენს პრეზიდენტს არ მოეწონა ჩემი პრეზიდენტის ეროვნულობა. "დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო"!!! ეწინააღმდეგებაო მსოფლიო წესრიგსო. კი მაგრამ ვინ დაგნიშნათ თქვენ მსოფლიოს მმართველად? ანდა იუგოსლავიაში რა ჩაიდინეთ? სერბი ხალხი ქრისტიანობისთვის დასაჯეთ. სამშობლოს ნაწილი წაართვით და დემოკრატიულად გააფორმეთ! შედეგად თქვენგან ნებადართულმა რუსეთმაც იგივე ჩაიდინა. ჩვენ სამშობლოს ნაწილი წაგვართვა და თქვენებურად გადაიფორმა. თუმცა ოფიციალურად აშშ ჩვენი მეგობარია და გვერდში გვიდგას უამრავი "შეშფოთებებითა" და "განცხადებებით"!!! ამ დროს შენ,რიჩარდ, ჩემი მეგობარი გქვია და ხმას არ იღებ შენი ხელისუფლების მანკიერებებზე, რომელიც ცდილობს მსოფლიოზე ბატონობას! მე მგონი შენ მსოფლიოს ისტორია კარგად იცი და მოგეხსენება რომ ყველა იმპერია განწირულია დასაღუპად! "ვინც მახვილი აღმართოს მახვილითვე განიგმიროსო" წერია ჩვენს რწმენის წიგნში! თქვენ სხვაგვარად გგონიათ?

ამ დღეებში აშშ-ის სახელმწიფო დეპა–რტამენტის წარმომადგენელმა აზერბა–იჯანში ადამიანის უფლებების ირგვლივ არსებული სიტუაცია გააკრიტიკა. მისი თქმით, აშშ-ს აწუხებს ის ფატქი რომ აზერბაიჯანის მთავრობა "არ ასრულებს აღებულ ვალდებულებებს ადამიანის უფლებების სფეროში. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, აშშ-ის კრიტიკის საპასუხოდ, სახელმწიფო დეპარტამენტს შესთავაზა, ადამიანის უფლებების სიტუაციის შესწავლით, ჯერ, საკუთარ ქვეყანაში დაკავდეს... აი ხომ ხედავთ ვინ დაგნიშნათ თქვენ მსოფლიოს მმართველადო? ახლა მოდგებიან შენი

Mayakovski by heart. I could explain this by your focus on your field of study, but I expected higher level of general education from you. However, I have to admit, that we did have general knowledge, but lacked in-depth knowledge in our fields of specialization. You would have known this better. Second doubt came when I found out that your fiancée was seeing someone else and you accepted this with "democratic" and peaceful calmness, so strange to me. Later our common Russian colleagues fled from Soviet Union and went to the States, the country of freedom as they assumed. Strange thing happened: they became even more frustrated with the soviet ideology, because they felt deceived. Apparently, a lot of things told about Americans were true. This is why they felt misled. I already knew that Americans and Russians both were intruders in Vietnam; the same is true for Afghanistan! Currently, Georgians look like they became free from Russians and we now want independence. But the case is it is through your Government's support that our independence is undermined. Your president was not pleased by national motives of my president. "He is swimming against the tide"! Against the world order! acclaimed the US about him. But I wonder who appointed you as a world governor? And the things you did in Yugoslavia? Serbs were punished for being Christians. You took part of their homeland and registered it for yourself! As a result Russians did the same with your permission. They took part of our homeland and made it part of their country. Officially, US is our friend and supports us by "expressing deep concerns" and "making statements". You, Richard are called my friend, while you do not even try to reveal the dark sides of American governance which tries to become the world master! I believe you know the world history very well and you should also know that every Empire is doomed to fail! The

თანამოქალაქეების მხრიდან დაქრთამული (დაგრანტული) ჩემი თანამემამულეები და ჩემზე იტყვიან რუსეთუმეაო. ამაოდ გაირჯებიან რადგან რუსი მეგობარი უფრო ადრე ვამხილე, მასაც მივწერე და მოვახსენე რომ იგი აღარაა ჩემი მეგობარი და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვი!

ახლა მინდა მართალი ვიყო შენს წინაშე და ამიტომ გაგანდობ ჩვენს ეროვნულ საიდუმლოებას. ქართველები ზედმეტად ამპარტავნები ვართ, გვიყვარს თავის გამოჩენა და სხვას ვუქმნით ყალბ შთაბეჭდილებას რომ ჩვენ ძალიან კარგად ვცხოვრობთ. ამით ჩვენს მოკეთეებს გულს ვუხარებთ, ხოლო მტრებს გულს ვუხეთქავთ. ეს იმდენად ბუნებრივად ხდება რომ ჩვენც ვერ ვამჩნევთ... სწორედ ასე მოხდა თქვენთან ურთიერთობაშიც. მახსენდება თქვენი გაკვირვებული სახეები როცა ლენინგრადში რამდენიმე ქართველმა სტუდენტმა ათი ამერიკელი სტუდენტი დაგპატიჟეთ რესტორანში. ხოლო როცა თორმეტი ბოთლი ღვინო შევუკვეთეთ თქვენს სახეებზე რაღაც არაბუნებრივი გამომეტყველება იყო. თუმცა ხომ გითხარით ჩვენთვის ეს ბუნებრივი რამაა. ჩვენი აზრით მდიდარი ის კი არაა ვისაც ბევრი ფული აქვს (არადა ამ მხრივ თქვენ ვერ შეგედრებოდით), არამედ ის ვინც ბევრს ხარჯავს... მაშინვე მოხდა კიდევ ასეთი ფაქტი. მე მეგობრებმა შემიგროვეს თანხა, თბილისში გადმოვფრინდი და ქართული სურნელი ჩამოვიტანე. რათა თქვენ უკეთ გაცნობოდით საქართველოს. ჩვენ ხომ გვეამაყება ჩვენი სამშობლო, მისი ისტორია, ხელოვნება, სამზარეულო... სწორედ ამის გამო იყო რომ ერთი წლის შემდეგ თქვენ პირდაპირ თბილისში გვესტუმრეთ. ჩვენ კვლავ ვეცადეთ და თქვენ კვლავ ჩათვალეთ რომ მე ძალიან მდიდარი ვარ (არც შემცდარხარ) და ბოდიშისმოხდით მითხარი: "მამაჩემმა საგანგებოდ გამაფრთხილა შენთვის პატივი მეცაო". მაჩვენე საბანკო დოკუმენტი 100000 აშშ დოლარზე და შემომთავაზე "ვიცი შენი სიმდიდრის ამბავი, მაგრამ ეგებ დოლარი გაჩუქო. თქვენ ხომ აქ არ გეშოვებათო". მეც, თითქოს ბევრის მქონემ ისე გიპასუხე: "არაა საჭირო,

bible says: "those who use sword will be killed by it"! Do you agree with this?

The representative of US state department criticized Azerbaijan for violation of human rights recently. According to her US government is concerned that "the government of Azerbaijan does not fulfill its responsibilities in the field of human rights protection". The ministry of external affairs of Azerbaijan responded to criticism by offering the US state department to tackle the issues of human rights violations first of all in their own country. So, basically asking US: who appointed you as a world master? Now my fellow Georgians bribed (those receiving grants from you) by you will call me a Russian spy. But their allegations will not be grounded; I already wrote to my Russian friend and told him he is not my friend anymore, so everything has its name now!

I want to be honest with you and I will confide you our national secret. Georgians are rather ambitious, we like showing off and give fake impression to others that we actually live well. By doing so we make our friends happy and our enemies angry. We are doing this unconsciously. This is exactly what happened in relation to you. I remember your surprised faces when few Georgian students invited ten American students for a dinner. Your astonishment only grew when we ordered twelve bottles of wine, even though we told you this was very natural for us. We consider someone rich if he spends much, not if he possesses much (in the latter case we cannot even compare with you). Another fact happened by then as well: My friends collected money for me and I flew to Tbilisi, coming back I brought part of Georgian spirit with me (books, drinks and food). I wanted you to get to know Georgia better. We are so proud of Georgian history, art, cuisine. This is why a year later you visited us in Tbilisi. Again, we tried hard and again you thought I was very rich (in Georgian understanding

თუმცა შენ რომ არ გეწყინოს ჯიბეში გექნება რაიმე კუპიურა და სუვენირად დავიტოვებ”-თქო. ჩემდა სამწუხაროდ მხოლოდ ხუთდოლარიანი აღმოგაჩნდა... შენ დაკმაყოფილდი მე კი მეორე დღესვე იგი დავხარჯე!!! აი ასეა! ისიც გამახსენდა იმ საღამოს თბილისში ტაქსი ვერ ვიშოვე და რაღაც ავტობუსი დავიქირავე. თქვენ კი ვახშმად მყოფებს გეხუმრეთ: “არ გეწყინოთ ჩემი პირადი ავტობუსით გაგამგზავრებთ”! ვერც წარმოვიდგენდი რომ თქვენ ამას სერიოზულად მიიღებდით. ერთი კვირის შემდეგ თქვენ გითქვამთ ჩვენი საერთო ნაცნობებისთვის ლენინგრადში: “კი ვიცოდით ფირუზი რომ ძალიან მდიდარი იყო, მაგრამ საბჭოთა პირობებში თუ ვინმე ავტობუსს ფლობდა ვერ წარმოგვედგინაო”!!! ეს ამბავი მთელს ლენინგრადში ანეგდოტად გავრცელდა!!! აი ასეა ჩემო მეგობარო! ყველაფერი ისე არაა როგორც გვეჩვენება!

ბოლოს მინდა მოგმართო დიდი ისტორიის მქონე ერის წარმომადგენელმა დიდი ძალის მქონე ხალხის წარმომადგენელს. თქვენი აზრით, ჩვენ დროში ჩარჩენილები ვართ და თქვენი სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი გვმოძღვრავს რომ მას არ აინტერესებს ჩვენი კულტურა და ისტორია, მას აინტერესებს როგორ ვიცავთ ჩვენ ვიღაც ვიღაცეების უფლებებს. ჩვენ შეგვეძლო მისთვის გვეპასუხა ბიბლიური ჭეშმარიტებით: “ღორს ნუ დაუყრით მარგალიტებსო”! მაგრამ ჩვენ ვიცით მას განსწავლულობა არ აკლია! მას უბრალოდ ჩვენ ვეზედმეტებით ამ დედამიწაზე და ამისთვის იღწვის! ამიტომ ჩვენ მას მტრად მივიჩნევთ, იგი ჩვენი გენოციდის მოსურნეა... მტერს კი როგორც უნდა მოქცევა არ შეგვშლია და შეიძლება მანაც ჩაიხედოს ისტორიაში! ჩვენი გაქრობა ვერ შეძლეს: კიმერიელებმა, სპარსელებმა, ხაზარებმა, არაბებმა, თურქებმა, მონგოლებმა, რუსებმა... თავად კი გაქრა რამდენიმე მათგანი!!! ჩვენ წარსულს ვითვალისწინებთ იმის გამო რომ მასში როგორც სარკეში ჩანს ჩვენი მომავალი. თანაც ის შეგვახსენებს ვისი გორისანი ვართ და მოვალეობად ვიხდით ჩვენს წინაპართა საპატივცემლოდ მოვუაროთ ამ ქვეყანას!

I am) and you told me apologizing: “my dad told me to treat you with special respect”. You showed me a bank check worth of 100000 USD and said: “ I know you are rich but I want to give you some US dollars, it is hard to get it here, isn’t it?” I answered as if I was a true billionaire: “this is not necessary, but I would take a few dollar notes that you might have in your pocket, just as a souvenir”. Unfortunately, you only had 5 dollar note in your pocket; I of course used it the next day!!! I also remember I could not catch a taxi that day in Tbilisi and rented a bus. Over dinner I joked telling you that I would see you off with my private bus! I would not even imagine that you would take it seriously. A week later you told our common friend in Leningrad: “We knew Piruz was very rich, but we could not imagine that someone could own a bus in Soviet Union”! This story became an anecdote all over Leningrad!!! That’s how it is my friend! Nothing is the way it seems!

Finally, as a representative of a nation with big history I want to address you as a representative of the people with big power. In your opinion, we are lagging behind and your official representative tells us he is not interested in our history and culture, but rather he is interested in how we are protecting some people’s rights. We could only answer you: “Do not throw your pearls to pigs”! We know your representative is well-educated! but for him we are a burden for the earth! This is why we consider him our enemy, he wishes our genocide… We know how to deal with the enemy; he could see examples in the history! Cimmerians, Persians, Khazars, Arabs, Turks, Mongols, Russians could not wipe us out … few of them were wiped out themselves!!! We take note of our past, because it mirrors our future. It also reminds us were we come from and we make it our duty to take care of this country as a sign of respect to our ancestors! Our aim of living in friendship with other people of the world is realistic!

ჩვენი მიზანი, ვიცხოვროთ მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობაში, მიღწევადია! თქვენი მიზანი, იყოთ მსოფლიოს ბატონ-პატრონი, ილუზიაა!

მე, როგორც ქრისტიანი, გპირდებით რომ ვილოცებ თქვენზე! რათა დაუბრუნდეთ ადამიანურ სიყვარულს, რომ არ განმეორდეს ატლანტიდის დაღუპვის ამბავი!!! ვინ იცის პლატონმა წარსული კი არა ეგებ მომავალი იწინასწარმეტყველა თავის ნაწარმოებში!!!

Your aim of becoming a world master is an illusion!

As a Christian I promise I will pray for you! So as you come back to love and the tragedy of Atlantics does not play back!!! Maybe Pluto predicted the future, rather than describing past in his works!!!

ზურაბ წიქარიძე
რა არის ეს ნაციონალიზმი?

ამას წინათ საქართველოს ტელევიზიით ტელეჟურნალისტ გოგონას ესაუბრებოდა ჩემთვის უცნობი მამაკაცი, ღრმად მცოდნის პოზით. კერძოდ რესპონდენტი საკმაოდ თვითდაჯერებულად სახავდა ზოგადსაკაცობრიო პრინციპებს, როგორც ამოსავალს ჩვენი პლანეტის მოსახლეთა შორის ურთიერთობებში, რაშიც შეუძლებელია არ დაეთანხმოს ადამიანი, რომ არა საკმაოდ უსაფუძვლო დაპირისპირება ასეთი პრინციპებისა ნაციონალიზმთან, რის დასამტკიცებლადაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უაზროდ ჩათვალა კავკასიური სახლის იდეა და მაგალითად მოიყვანა ამერიკელების (რომლებიც, როგორც მან ბრძანა, "ნაციონალობას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებენ") მიერ მოზარდებზე ჩატარებული ექსპერიმენტი საბჭოთა ხალხებს შორის ურთიერთობის შესწავლის მიზნით. ექსპერიმენტი კი თურმე მდგომარეობდა იმაში, რომ სხვადასხვა წარმომავლობის მოზარდები მოათავსეს ერთად, რომელიღაც იზოლირებულ გარემოში და თანდათან გაუუარესეს ყოფითი პირობები, რის შედეგად მათ შორის დაიძაბა ურთიერთობა და თითოეულმა მათგანმა გაიხსენა თავისი ნამდვილი ეროვნება "ვინ ირლანდიელი იყო, ვინ კი შოტლანდიელი".

მე არ ვიცი როდის და რომელი ბარბაროსები იყვნენ მოზარდებზე ასეთი შემზარავი ექსპერიმენტის ავტორები, რადგან მიღებული შედეგების პროგნოზი ისედაც ძალზე ადვილი იყო, უბრალოდ ადამიანური თვისებებიდან გამომდინარე, მაგრამ ჩემის აზრით, ასეთი ექსპერიმენტის შედეგები გრანდიოზული მასშტაბებითა და მთელი სიცხადით უკვე მიღებული იყო იმპერიების ნგრევის პროცესების დროს და კერძოდ კი სულ ახლახანს მეფის რუსეთის დაშლისას.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტელევიზიით პირდაპირ ტოტალური შეტევა ხორციელდება ნაციონალიზმზე, როგორც ცნებაზე სხვადასხვა ხერხებით, მაგრამ უმთავრესად ეს ხდება მასთან (ნაციონალიზმთან) ზოგადსაკაცობრიო პრინციპებისა და ფასეულობების დაპირისპირებით. ტელეჟურნალისტი თითქოს შეეცადა ჩაეწოდებინა ორატორისათვის ეროვნულიდან ზოგადსაკაცობრიოზე გადასვლის ვარიანტი, მაგრამ მან ეს ვარიანტი აბეზარი კრაზანასავით მოიგერია სწორედ იმ არაადამიანური ექსპერიმენტის მოშველიებით, რომლის შესახებაც უკვე მოგახსენეთ.

ასე ყოფილა, ადამიანები საგნებსა და მოვლენებს საკუთარი სულიერი განწყობით აფასებენ. ისე, ზემოთმოყვანილი ექსპერიმენტის ავტორის, ან მისი მხარდამჭერის სულიერმა მდგომარეობამ უსათუოდ ეჭვები უნდა გააჩინოს, მაგრამ ადამიანურად ცოდვის შეგრძნებაც უნდა გააჩინოს, რადგან, როგორც ილია ამბობს, სულით ავადმყოფზე ერთნი იცინიან, ხოლო მეორენი ცოდვით აღივსებიანო.

კავკასიური სახლის იდეა კიდევ საჭიროებს შესწავლას, მაგრამ როდესაც ხსენებული რესპონდენტი ასე ხელაღებით, ზოგადსაკაცობრიო პრინციპების მოშველიებით ასეთ იდეას მიუღებლად თვლის, ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ არის ასეთივე პრინციპებით გამართლებული ევროპული სახლის იდეა, რომელიც

ამჟამად ხორციელდება და რომელსაც უკვე კავშირი დაარქვეს? ეს ხელოვნურად შეკოწიწებული "კავშირები" კი შემდეგ ირღვევა და ადამიანებისთვის უკიდურესი უბედურება მოაქვს. ღმერთმა ნუ ქნას და თუ ევროპული ქვეყნების "კავშირიც" დაიშალა, როგორც ქ-მა მარგარეტ ტეტჩერმა ბრძანა "არსებობს საშიშროება იმისა, რომ მთელ კონტინენტზე მივიღოთ ბოსნიის ვარიანტი".

იბადება აგრეთვე კითხვა: რომელი ზოგადსაკაცობრიო პრინციპების შესაბამისად აქვს უფლება რუსეთს (სადაც პირდაპირ დუღს ველიკოდერჟავული მისწრაფებები: ჟირინოვსკის გამარჯვება არჩევნებში – ერთის მხრივ; ჩეჩნეთის ომი მეორეს მხრივ) გააჩნდეს ე.წ. "სტრატეგიული ინტერესები" ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, კერძოდ საქართველოში (როგორც ეს არაერთხელ განაცხადეს რუსეთის ყველა დონის სახელმწიფო თუ სამხედრო მოხელეებმა)? და ეს "ნაციონალისტობად" არ ითვლება, ხოლო თუ ქართველმა თქვა, რომ მას არ სურს ასეთი ინტერესების სფეროში ყოფნა, მას ამგვარ საქციელს "ნაციონალისტობის" გამოვლინებად უთვლიან.

მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჩემს მსჯელობაში ნაციონალიზმსა და "ნაციონალიზმს" შორის ტოლობის ნიშანი არ არის. შეიძლება ითქვას, რომ სიტყვები "ნაციონალისტი", "ნაციონალიზმი","ინტერნაციონალისტი" და "ინტერნაციონალიზმი" ქართულ ცნობიერებში, ქართულ ენაში ერთგვარი ბარბარიზმებია, ისინი პირდაპირ ქართულად არც კი ითარგმნება. დავაკვირდეთ: ლათინურად ნატიო = ინგლისურად ნატიონ = რუსულად нация = ქართულად ერი, ლათინურად ნატიონალიზმო = ინგლისურად ნატიონალისმ = რუსულად национализм, აქ უკვე ერიზმს ვეღარ ვიტყვით და იძულებული ვართ ჩავსვათ უცხო ენიდან ნაწარმოები ნაციონალიზმი. და მაინც რას ნიშნავს სიტყვა ნაციომალიზმი? და ვინ არიან ისინი ვინც ამ სიტყვას მაინცდამაინც უარყოფით მნიშვნელობას ანიჭებენ?

ფრანგულ (ლარუსი, რობერი), ინგლისური (ოქსფორდის), ამერიკულ (ვებსტერი) ენციკლოპედიურ ლექსიკონებში სიტყვა ნაციონალიზმი ზოგადად განმარტებულია, როგორც ეროვნული ტრადიციებიდან და მისწრაფებებიდან გამომდინარე დოქტრინა, პატრიოტული გრძნობა, პრინციპები და ძალისხმევა, ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ მიმართული პოლიტიკა; ეროვნული აღმშენებლობისაკენ მიმართული პოლიტიკა; და აგრეთვე როგორც ეროვნული ეგოიზმი და მცირე ერების ჩაგვრა. 1928 წელს გამოცემულ იოსებ იმედაშვილის მიერ შედგენილ უცხო სიტყვათა ლექსიკონში ნაციონალიზმი განმარტებულია როგორც: 1. თავისი ერის თავისებურებათა და ინტერესთა დაცვა, მისი გაერთიანებისა, გაძლიერებისა და დამოუკიდებლობისაკენ მიმართული პოლიტიკა; 2. თავისი ერის ღირსებების შესახებ გადაჭარბებული წარმოდგენა; და 3. სახელმწიფოში გაბატონებული ერის ინტერესებით ხელმძღვანელობა და მცირერიცხოვანი ერების დაჩაგვრა. (ერთადერთი ენციკლოპედია, სადაც ეს ყოველივე თავდაყირაა დაყენებული არის БСЭ). ადვილი გასაგებია, რომ მე-2-ე და მე-3-ე განმარტებები იმპერიული მისწრაფებების მქონე ერების მახასიათებლებია და სრულიად არ მიესადაგება იმ ერებს, რომლებიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე თავისუფლებისთვის იბრძვიან.

ისმის კითხვა, ვის აწყობს სიტყვა ნაციონალიზმის იმედაშვილის ლექსიკონში მოცემული მე-2-ე და მე-3-ე განმარტებებით წარმოდგენა? ჩემი აზრით დამნაშავეთა სამყაროს, რომელსაც ეროვნება არ გააჩნია; ეროვნებამიმალულ ფარისევლებს, რომლებიც სხვის

ქვეყანაში ცხოვრობენ და უკეთეს შემთხვევაში არ უყვართ ერი, რომლის სახელიც ჰქვია ამ ქვეყანას, უსამშობლო კოსმოპოლიტებს, რომლებიც ერთნაირად გულგრილნი არიან სხვისი, როგორც მწუხარების ისე სიხარულის მიმართ, ათასგვარ სექტებს, საზოგადოებებსა და ლოჟებს, რომლებსაც აკვიატებული აქვთ დედამიწის ერთგვარ "ზნეობრივ" ეროვნებებისა და რელიგიების გარეშე პლანეტად გადაკეთების იდეა, და იმპერიული მისწრაფებების მქონე ერებს, რომლებიც "ინტერნაციონალიზმის" დროშის მიღმა მალავენ თავიანთ საზარელ დამპყრობლურ თვისება-მოთხოვნილებებს.

ღვთის ნებით არსებობენ სხვადასხვა ერები (მკითხველს ვთხოვ წარმოიდგინოს, რომ ჩვენს პლანეტაზე ცხოვრობენ მაგალითად მხოლოდ სომხები ან "ნაციონალიზმში" რომ არ ჩამითვალონ, მხოლოდ ქართველები ან მათგან მხოლოდ ოკრიბელი იმერლები) და რადგან სიტყვა ნაციონალიზმი ქართულად პირდაპირ არ ითარგმნება ჩვენ შეგვიძლია ეს სიტყვა წარმოვიდგინოთ სწორედაც როგორც თავისი (ჩვენს შემთხვევაში ჩვენი) ერის თავისებურებათა და ინტერესთა დაცვა, მისი გაერთიანებისა და აღმშენებლობისაკენ მიმართული მოძღვრება. ამდენად ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ ნაციონალისტები, პატივი ვცეთ ყველა ნაციასა (ერსა) და ნაციონალისტს მთელს მსოფლიოში, ვინაიდან ნამდვილი ინტერნაციონალიზმი მხოლოდ ნაციონალისტებს შორის შეიძლება არსებობდეს, ხოლო ინტერნაციონალიზმი კოსმოპოლიტებს ან "ნაციონალისტებს" შორის აბსურდია.

ყველას წაგვიკითხავს სხვადასხვა ეროვნების მწერლების მიერ აღწერილი სხვათა სამშობლოს მშვენიერება, მაგრამ ჩემი აზრით უფრო სხარტად და უფრო დიდი სიყვარულით ვიდრე ეს ვაჟა ფშაველას აქვს სულ რამდენიმე სიტყვით შეუდარებელია:

გაღმა სჩანს ქისტის სოფელი
არწივის ბუდესავითა,
საამო არის საცქერლად
დიაცის უბესავითა.

შეუძლებელია უფრო დიდი კაცთმოყვარეობისა და ინტერნაციონალიზმის გამოხატვა. სიტყვათა და გრძნობათა ასეთი თანწყობა შეეძლო მხოლოდ ისეთ ნაციონალისტს, ქართულად რომ ვთქვათ თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანს, რომელსაც ასევე რამდენიმე სიტყვით აქვს ნათქვამი:

ღმერთო სამშობლო მიცოცხლე
ძილშიაც ამას ვბუბუნებ –

და მრავალი ამის მსგავსი.

მხოლოდ თავისი სამშობლოსი და თავისი ერის ისეთ თაყვანისმცემელს, როგორიც ბაირონი იყო, შეეძლო გამოეჩინა ისეთი ალტრუიზმი, როგორიც მან ჩაიდინა – სხვათა ქვეყნის თავისუფლებას შესწირა სიცოცხლე და ამით კიდევ უფრო მაღლა ასწია თავისი ერის ღირსება.

ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ა. ლოსევი ამბობს, რომ "…. ყველაზე ზოგასაკაცობრიო იმავ დროს არის ყველაზე ეროვნულიო".

ნაციონალისტები იყვნენ ფრანგული "პლეადის" წარმომადგენლები, რომლებმაც სწორედ მშობლიური ენის განდიდებით დატოვეს ფასდაუდებელი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები. ჩვენ ვერ ვიპოვით ისეთ მსოფლიო სულიერ სიმდიდრეს, რომელსაც ეროვნება არ გააჩნია. სოკრატე ბერძენი იყო, სერვანტესი ესპანელი, როსინი იტალიელი, ედიტ პიაფი მთელ სამყაროს ეკუთვნის, მაგრამ შეუძლებელია უფრო ფრანგულის წარმოდგენა ვიდრე ედიტ პიაფია.

რამოდენიმე სიტყვა მართლაც

და მდაბიო "ინტერნაციონალიზმის" შესახებ. თუ არ ვცდები 1993 წლის გაზაფხულზე საქართველოს ტელევიზიის მეორე არხით გადაიცა სიუჟეტი, რომელშიც ახალგაზრდა ტელეჟურნალისტმა გოგონამ ტელემაყურებელს აუწყა თბილისის რიტუალების სასახლის მიერ ფუნქციონირების განახლების შესახებ და უკიდურესი მწუხარებით აღნიშნა, რომ "საუბედუროდ ჯერ ძალზედ ცოტაა შერეული ქორწინებები"-ო (!?!?). არავის აქვს უფლება ვინმეს აუკრძალოს ან დააძალოს სხვა ეროვნების ადამიანზე დაქორწინება, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოს ტელევიზია მაშინ იქნება სრულიად ბედნიერი, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ყველა ვაჟი და ქალი სხვა ეროვნების ადამიანზე იქორწინებს (წარმოიდგინეთ მკითხველო). იბადება კითხვა: რა არის ეს ყოველივე? მართლაც მდაბიო "ინტერნაციონალიზმი", რათა მავანმა თქვას რა "ინტერნაცინალისტები ყოფილან ქართველებიო, თუ თანმიმ–დევრული მეთოდური, ფსიქოლოგიური ზემოქმედება ქართველ ტელემა–ყურებლებზე ე.წ. სამომავლო "ინტერნა–ციონალური" "ინტეგრაციის" განხორ–ციელების მიზნით?

ეხლა დავუბრუნდეთ იმ არაადამიანურ "ექსპერიმენტს", რომლის შესახებაც დასაწყისში მოგახსენებთ და რომლის შედეგებიც ხსენებულმა რესპონდენტმა უყოყმანოდ უარყოფითად წარმოადგინა. თუმცა, თუმცა საჭვოა, რომ ასეთი ექსპერიმენტი ჩატარდა, მაგრამ თუ ეს მაინც მოხდა, მაშინ მისი შედეგების (როგორც ნებისმიერი ექსპერიმენტის) ანალიზი საჭიროა ყველა შესაძლო კუთხით. ამდენად გვაქვს უფლება დავსვათ კითხვა: იქნებ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა მოზარდებმა სწორედ იმიტომ მიაკითხეს თავიანთი წინაპრების სისხლსა და გენს, რომ საკუთარი თავისა და ღირსების გადარჩენის ერთადერთი გზა ნახეს მათში? იქნებ რომელიმე მათგანმა სწორედ იმიტომ შეძლო დაეცვა თავი სხვათა მიერ დაჩაგვრისა შეურაცხყოფისაგან, რომ გაიხსენა თავისი ამაყი შოტლანდიელი წინაპრები, რომლებიც უბრალოდ თავს არავის დააჩაგვრინებდნენ? და თუ შეიძლება რომ ასე იყოს, რა არის ამაში ცუდი? ცუდი ის არის, რომ ადამიანებს ხელოვნურად უშლიან ეროვნულობის ნიშნებს. ინგლისელს ალბათ ურჩევნია ჰქონდეს მეტი დოლარი, ვიდრე ცოტა ფუნტი სტერლინგი, მაგრამ ფუნტი სტერლინგი მისი ეროვნულობის ნიშანია და თუ ადამიანებს ამ და სხვა ეროვნულობის ნიშნებს ხელოვნურად მოუშლიან, მოსალოდნელია ორი სავალალო შედეგი: პირველ შემთხვევაში მივიღებთ ერთგვარ, ყველაფრისადმი ინდიფერენტულ ეგოისტ მუტანტებს, რომლებიც ნახევრადშიშველნი და მხარზე ფოტო-ვიდეოკამერა გადაკიდებულნი ჯერ კიდევ იბორიალებენ იტალიისა თუ ესპანეთის მუზეუმებში და სულიერი გამდიდრების ნაცვლად ჭკუა-გონება ათასგვარი ნაყინებისა და ნუგბარების ჭამისკენ ექნებათ მიმართული, ხოლო მეორე შემთხვევაში ადამიანები მიაკითხავენ თავიანთ წინაპართა სისხლსა და გენს, და შეეცდებიან თავი დაიცვან ასეთი გადაგვარებისაგან. ორივე შემთხვევაში ტრაგიზმი გარდაუვალი იქნება.

სხვადასხა ერებს შორის ცივი–ლიზებული და კულტურული ურთიერ–თობები რომ აუცილებულია ეს სადავო არ არის, მაგრამ თუ რომელიმე ერში უცხო ცივილიზაციისა და კულტურის შეღწევა შოკური ზემოქმედებით ხდება, მაშინ ეს ერი ვერ ასწრებს გადარჩევას იმისა, თუ რა მიესადაგება, ან რა არ მიესადაგება ამ ცივილიზაციიდან და კულტურიდან მის ცხოვრებისეულ და სულიერ წყობას. რა მოგვიტანა

ჩვენ, ქართველებს ბოლო ოცი წლის განმავლობაში ე.წ. დასავლური ცივილიზაციისა და კულტურის შემოხეთქებულმა ღვარცოფმა? რაც ყველაზე თვალშისაცემია არის ის, რომ სიტყვა "პოლიტიკის" საფარქვეშ იჩქმალება უმთავრესი ცნება ადამიანებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებისა – სიმართლე, ხოლო ის, რაც ყველაზე ინტიმური, ყველაზე დაფარული უნდა იყოს, ის, რაც მხოლოდ და მხოლოდ ორი ადამიანის ქალისა და მამაკცის ურთიერთობის საგანს წარმოადგენს, ათასფრად არის გაშუქებული უთვალავ ეროტიკულ, სექს-ფილმებსა და ჟურნალ-გაზეთებში, პროპაგანდა ეწევა აღვირახსნილობას, სრულიად შიშველი ქართველი ქალები მოურიდებლად პოზიორობენ ობიექტივების წინ.

თუ ეს ყოველივე გარდუვალად ახლავს ამ შემოხეთქებულ ცივი–ლიზაციასა და კულტურას, მაშინ ის, ვინც ხალხს მოუწოდებს გაითავისოს ეს ფენომენი, და იმავ დროს წამდაუწუმ მოძღვრავს აბულაძის ფილმ "მონანიების" ცნობილი ფრაგმენტით იარონ იმ გზით, რომელიც ტაძრამდე მიგვიყვანს, ან უსაშველო ბრიყვია, ან სულწამხდარი ფარისეველი, ვინაიდან ვერანაირი ქუჩა და ვერანაირი შარაგზა, რომელსაც ისთი შესახვევები და ჩიხიც კი გააჩნია, სადაც იჩქმალება სიმართლე და პროპაგანდა ეწევა აღვირახსნილობას, ვერავის ვერ მიიყვანს ტაძრამდე.

ღმერთის ნების წინააღმდეგ წასვლა არ შეიძლება. ამდენად ჩემი აზრით, ადამიანებმა არ უნდა დაიწყონ ახალი გოდოლის შენება. დაინგრა თვით ბაბილონის გოდოლი, რომლის მეშვეობით ადამიანებს ღმერთთან მისვლა მექანიკურად სურდათ, ხოლო გოდოლი, რომლის აშენებასაც დღეს ლამობენ, და რომლის მიზანიც სოციალურ-ეკონომიკური და ხორციელ-კუჭის ღვთაებასთან მისვლაა, აუცილებლად დაინგრევა და ნანგრევებში დაიყოლიებს იმათაც, ვისაც ასეთი გოდოლის აშენების სურვილი არ ჰქონია.



დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს

გოჩა ესებუა

უგმიროდ ცხოვრება არ შეიძლება. წარმოუდგენელია უგმიროდ ცხოვრება.

ამიტომ გამოჩნდა უცებ, თითქოს არსაიდან გოჩა ესებუა, იმ რეპრესიულ პერიოდში რაინდის ჯვრიანი სამოსელი ამოიღო წინაპართა სკივრიდან და მთელს მსოფლიოს ანახა, როგორი "ტერორისტები" არიან ქართველები. ტერორისტები თუ მასპინძლები.

როცა ალყა შემოურტყამთ მისთვის და მისი მეგობრებისთვის, ბიჭებისთვის უთქვამს, ჯერ მე გავალ ძმებო, მე მომკლავენ, მერე თქვენ აღარაფერს გერჩიანო". ასეც მოხდა. გმირმა იცის როგორც იქნება.

სიმბოლურია ისაა, რომ გოჩა ესებუა ზვიადის დაბადების დღეს მოკლეს.

ვახტანგ ნოდია

ზუგდიდის დრამატული თეატრის დარბაზში, 1993 წლის 9 ივლისს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე ითქვა, რომ მხატვარი ვახტანგ ნოდია ფერწერულ ტილოს „გამოცხადება“ უძღვნის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და უზენაეს საბჭოს თხოვს ეს საჩუქარი გადასცეს პრეზიდენტს.

დარბაზში მსხდომნი ფეხზე წამოდგნენ, როცა იხილეს მისტერიული შემოსვლა მაცხოვრის, წმ.ნინოს, წმ.გიორგის საქართველოში, ეკლესიასთან მლოცავი, ხელებაღმართული მერაბ კოსტავა, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია... იხუვლა ტაშმა. ჭაღარა წვერით მოსილ, მომღიმარე მხატვარს თვალები სიხარულით გაბრწყინებოდა.

1993 წლის 29 ოქტომბერს, ზუგდიდის ტელევიზიით შემზარავი სურათი იხილა სამეგრელოს მოსახლეობამ. ეკრანზე ჩანდა უღვთოდ ნაწამები, მკლავმოჭრილი, უამრავი ტყვიით დაცხრილული მამაკაცის გვამი. იუწყებოდნენ, რომ 43 წლის ცნობილი მხატვრის, ასოციაცია „აისის“ პრეზიდენტის, ვახტანგ ნოდიას ცხედარი იპოვეს 27 ოქტომბერს, ქ. ხობის საცურაო კომპლექსში, რომელიც სწორედ ამ მხატვრის მიერ იყო მოპირკეთებული.



ამირან კალაძე

აწამეს სამშობლოს სიყვარულისთვის.

ამირან კალაძემ ღირსეულად ატარა პოეტისა და მამულიშვილის უღელი, წარბშეუხრელად, უყოყმანოდ მიიტანა თავისი სიცოცხლე სამშობლოსა და პოეზიის სამსხვერპლოზე. ის მუდამ იქ იდგა,სადაც ეროვნული მოძრაობა დუღდა; ის ერთგულად ედგა გვერდით ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას. ერთხელ არჩეული გზისთვის არ უღალატია.

მისი ფასი მეგობრებმაც იცოდნენ და მტრებმაც, ამიტომ აწამეს განსაკუთრებული სისასტიკით „დემოკრატმა“ ჯალათებმა. ამირან კალაძე, აწამეს საკუთარი დედის, საკუთარის მეუღლისა და შვილების თვალწინ.

მოკვდა ამირან კალაძე, მაგრამ დარჩა მისი ლამაზი, კაცურად გავლილი გზა, მისი ლექსები,დარჩნენ მისი შვილები,შვილიშვილები,რომლებიც მუდამ იამაყებენ თავიანთი წინაპრით.



გივი ფარადაშვილის სევდიანი მონატრება

თითქოს გუშინ იყო ისე სწრაფად გავიდა ორმოცი დღე. კიდევ ერთი ლამაზი ისტორია დასრულდა . ცხოვრება კაცისა, რომლისთვისაც ვაჟკაცობა, სამართლიანობა, პატიოსნება,კაცთმოყვარეობა თანამდევი იყო. ამ ლამაზ ცხოვრებისეულ ისტორიას ასევე ლამაზი სახელი და გვარი ამშვენებდა - გივი ფარადაშვილი, ზვიად გამსახურდიას მიერ ახლად შექმნილი საქართველოს ეროვნული გვარდიის აღმოსავლეთ საქართველოს ჯარების სარდალი, პოლკოვნიკი.

ძალიან ლამაზად იცხოვრე, ნათელი კვალი დატოვე აქ საქართველოშიც და იქ ემიგრაციაში გადახვეწილმაც!

განისვენე მშვიდად მარადიულ სასუფეველში! უალმა ნათელი მოჰფინოს შენს ლამაზ სულს!

მეგობრების სახელით

გოგი სოიტაშვილი

ღირსების სასამართლო

სამწუხაროდ საქართველოში ძალიან მომრავლდა დასაბუთებული თუ დაუსაბუთებული ურთიერთბრალდებები. გაძნელდა სიმართლის დადგენა. მითუმეტეს როცა ქვეყანაში არ არსებობს სასამართლო რომელსაც ენდობა ხალხი. არადა ეგებ დამნაშავეზე მეტ ცოდვას ზოგჯერ მბრალდებელი ჩადის.

რადგანაც ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება სასამართლო ხელისუფლებაზე გთავაზობთ შევქმნათ ღირსების სასამართლო. ავარჩიოთ სამი ღირსეული პიროვნება პატიოსანი, გონიერი, პრინციპული და მათ წინაშე ვამტკიცოთ ჩვენი სიმართლე. ეს სასამართლო ვერ დასჯის ვერავის, მაგრამ ამხელს და ამის შემდეგ ცილისწამებას მაინც გადავრჩებით. თანაც დამნაშავე თუ არ მოინანიებს ცნობილი მაინც გახდება საზოგადოებისთვის!

გვაინტერესებს თქვენი აზრი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. შეიძლება მოგვაწოდოთ კანდიდატურებიც მოსამართლის პოსტზე!

vu l ocavT dabadebis dRes!

"დაუმორჩილებელი" სოსო ჟღენტი